

29  
1948



სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

# შ რ ო მ ა ბ ი

Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА  
ИМЕНИ СТАЛИНА

XXXIII

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина

თ ბ ი ლ ი ს ი

1948

საბჭოთა კავშირის  
საინჟინერო-ტექნიკური უნივერსიტეტი



დაიბეჭდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

პასუხისმგებელი რედაქტორი პროფ. ნ. კეცხოველი  
საქ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი

გადაეცა წარმოებას 19/I-48 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/VII-48 წ. ტირაჟი 500.  
სასტამბო თაბახი 12, საალ.-საგამ. თაბახი 16. ანაწყოების ზომა 7x11. ღირ. 10662  
გამომცემლობის შეკვეთა № 1. სტამბის შეკვეთა № 14.  
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტ. გამომც. სტამბა, მარის ქ., 1

XXXIII ს. ტომის

შინაარსი

გვ.

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ . . . . . 1
  2. ივ. ჯავახიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პირველი შემადგენლობა და სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის პირველი სასწავლო გეგმა . . . . . 13
  3. ვახტანგ ბერიძე, ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი . . . . . 35
  4. კ. კეკელიძე, „გოდების“ ჟანრი და „გლოვის წესი“ ძველს ქართულს ლიტერატურაში . . . . . 73
  5. ილ. აბულაძე, სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის განმარტების გარშემო . . . . . 107
  6. პ. ბერაძე, დაქტილური ჰეგზამეტრის გენეზისისათვის . . . . . 121
  7. ვ. დონდუა, „ლიბარიტეთ“-ისა და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში . . . . . 133
  8. დ. მგელაძე, ლინგვისტიკური შენიშვნები . . . . . 167
  9. ა. ჭილაია, პოეტიკური სტილისტიკის საკითხები . . . . . 173
-

## СОДЕРЖАНИЕ

стр.

1. И. Джавахишвили, О необходимости основания Грузинского университета . . . . . 1
  2. И. Джавахишвили, Первый состав профессорско-преподавательского персонала и первый учебный план философского факультета Тбилисского университета . . . . . 13
  3. Вахтанг Беридзе, Архитектор Симон Квдиашвили . . . . . 35
  4. К. Кекелидзе, Жанр „плача“ и „ритуал оплакивания“ в древнегрузинской литературе . . . . . 73
  5. Илья Абуладзе, По поводу толкования одного свидетельства из истории Степаноса Орбелиана . . . . . 107
  6. П. Берадзе, К генезису дактилического гекзаметра . . . . . 121
  7. В. Дондуа, О «Липаритет» и аналогичной формы фамильных названий в грузинских исторических источниках . . . . . 133
  8. Д. Мгеладзе, Лингвистические заметки: 1. *на дню, вгорячах, утянула, на-коротке*; 2. к этимологии слова *шипак* . 167
  9. А. Чилая, Вопросы поэтической стилистики . . . . . 173
- 
-

## ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ

ფგ. ა. ჯავახიშვილის მოხსენება ქართული უნივერსიტეტის ხაზოგადობის დამფუძნებელ  
კრებაში წაკითხული 12 მაისს 1917 წ. ტფილისში და 17 მაისს ქუთაისში \*

საქართველო ძველად კულტურით იმდენად ძლიერი იყო, რომ მეზობელ  
დაწინაურებულ დიდ სახელმწიფოებსა და ერებსა, ბერძენ-ბიზანტიელებსა,  
სპარსელებსა და არაბებს, განათლებითა და შემოქმედებითი სამწერლობო  
მოღვაწეობით კვალდაკვალ მისდევდა. იყო დრო მეთორმეტე საუკუნეში, მაგ.,  
როდესაც ჩვენმა წინაპრებმა მცირე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ამ  
მხრივ უმაღლეს ხარისხს მიაღწიეს. მაშინ განათლებასა და მწერლობას უფრო  
რომ საეკლესიო ელფერი ედვა და მათი ცხოველმყოფელი კერა განსაკუთრებით  
მონასტრებში იყო. მსწრაფლ რკინის გზებისა, ორთქლმავალ გეგმებისა და  
ტელეგრაფის უქონლობის დროსაც საქართველოს ისე ჰქონდა საქმე მოწყობილი,  
რომ მაშინდელ დაწინაურებულ ქვეყნებთან მუდმივი და პირდაპირი კავშირი  
არსებობდა: ჩვენ წინაპართა დაუცხრომელმა მხნეობამ და სულიერ განვითარე-  
ბისა და ცოდნისმოყვარეობისადმი შეუფერხებელმა მისწრაფებამ ქართველობას  
საზღვარგარეთაც ისეთი დაწესებულებანი შეუქმნა, რომელთა წყალობით საქარ-  
თველოს საშუალება ჰქონდა მეზობელთა სამეცნიერო, სამწერლობო და საკულ-  
ტურო წარმატებისათვის თვალყური ედევნებინა და რაც მისთვის საჭირო იყო  
დროზე შეეთვისებინა კიდევ. ქართველებს თავიანთი განთქმული მონასტრები  
უცხოეთში ბიზანტიის სახელმწიფოში სწორედ ისეთ ადგილებში ჰქონდათ,  
სადაც მაშინ სამეცნიერო-სამწერლობო, ან რაიმე საკულტურო შემოქმედებითი  
მუშაობა იყო გაჩაღებული, სადაც მაშინდელ განათლების ცენტრი იყო. ქარ-  
თველთა მონასტრები სრნაის მთაზე და პალესტინაში, შავს მთაზე ანტიოქიის  
მახლობლად, ათონზე და პეტრიწონში სწორედ იმ დაწესებულებებად იყვნენ,  
რომელნიც საქართველოს მაშინდელ დაწინაურებულ ქვეყნებთან აერთებდნენ.  
მათის წყალობით ქართველობას უცხოეთში ქრისტიანულ კულტურის წილში  
წარმოშობილ ყოველ ახალ მიმართულების, ახალთახალ შესანიშნავ თხზულებისა  
და გამოჩენილ მოღვაწის შესახებ ცნობები ჰქონდა ხოლმე. მათმა დაუღალავმა  
შრომამვე ქართული ნწერლობა ბერძნული შემოქმედების მრავალ შესანიშნავ  
ძეგლთა თარგმანით გაამდიდრა. ეს უცხოეთში მყოფი ქართული გამოჩენილი  
მონასტრები იმის გარდა, რომ წიგნის ბეჭდვისა, ორთქლისა და ელექტრონის

\* დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო საქმეში“ 1917 წლის №№ 62, 63, 66, 68. ვებეჭდავთ მცირე  
შემოკლებით.

ძალის უცოდინარობის ხანაში საქართველოს, როგორც აღნიშნული იყო, საშუალებას აძლევდნენ ბიზანტიის წარმოების ყოველ ნაბიჯის გადადგმა სცოდნოდნის ისინი ამასთანავე თავის მნიშვნელობით, ცოტა არ იყოს, სხვადასხვა ერთა უცხოეთში მყოფ თანამედროვე სამეცნიერო ინსტიტუტებსა; სადგურებსა და მისსიებს მიემსგავსებოდნენ (მაგ. ფრანგულ და გერმანულ საარქ. ინსტიტუტებს, ბიოლოგიურსა და სხვაგვარს სადგურებს).

თვით საქართველოშიაც უმთავრესს სამეცნიერო, სამწერლობო და საკულტურო მუშაობას მონასტრებში ჰქონდა მყუდრო კერა. აქ ისეთს განთქმულს მონასტრებში, როგორც იყო შიო-მღვიმისა, შატბერდისა, წყაროსთავისა, ოთხთა ეკლესიისა, გელათისა და მრავალ სხვა მონასტრებში, მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მოძღვარნი, მეცნიერნი ღვთისმეტყველნი, ფილოსოფოსნი და მთარგმანებელნი, სჯულის მეცნიერნი, უცხო ენათა მეცნიერნი, ისტორიკოსები და ხელოვანნი. როდესაც დავით აღმაშენებელმა, მაგ., გელათის მონასტერი ააგო, მან ყოველმხრით განთქმული ქართველი მონაზონები შეჰკრიბა, ქონებრივად უზრუნველჰყო და ისტორიკოსის სიტყვით „მოძღურად სწავლულებისად, სხვად ათინად, ფრიად უადრეს მისსა“ აქცია. მათთან მოივლტოდნენ სულიერ, ზნეობრივ და გონებრივ განვითარების მონატრული ქართველი მოზარდი თაობანი. ერთ განთქმულ მოძღვართან სწავლის შემდგომ მეორესთან და მესამესთან მიდიოდნენ ხოლმე ცოდნის მოყვარეობის წყურვილის მოსაკლავად, ზოგჯერ უცხოეთში მყოფ ქართულ მონასტრებშიც მიემგზავრებოდნენ ხოლმე ამა თუ იმ განთქმულ ქართველ მეცნიერ ბერ-მოძღვართან სწავლის დასამთავრებლად.

ცნობები მოგვეპოება, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში თვით უცხოელ სახელოვან მეცნიერებთანა და ფილოსოფოსებთანაც მუშაობდნენ ხოლმე, როდესაც არჩეულ დარგში საუკეთესო მცოდნე უცხოეთში ეგულეობდათ.

თითოეული სახელოვანი მონასტერი მეცნიერებისა, სიბრძნისა და ხელოვნების რომელიმე დარგით იყო განთქმული, თავისი განსაკუთრებული მიმართულება ჰქონდა.

ქართულ ძველ განათლების ისტორიის ერთ-ერთ საგულისხმიერო მოვლენათაგანად უნდა მოძღვრობა და მოძღვართ-მოძღვრობა ჩაითვალოს. მოძღვარნი „უმღვდლო“ მონაზონები იყვნენ, რომელნიც მოზარდ თაობას ასწავლიდნენ და ვითარცა გზად ცხოვრებისად მიმყვანებელნი „სულთა გამკითხველობა“-საც ქისრულობდნენ. ქართველი მოძღვარი ბერძნულს თავდაპირველს „დიდასკალოს“-ს, ანუ მასწავლებელს და მერმინდელს სომხურს „ვარდაპეტ“-ს უდრის, რომელიც ქრისტიანობის პირველ ხანებში აგრეთვე „უმღვდლო“ ბერი იყო, ესე იგი ხუცობის პატივი არ ჰქონდა და მღვდელ-მონაზონად არ ითვლებოდა. თუმცა საქართველოშიც ამ მოძღვრობას თანდათან ელფერი ეცვლებოდა და მოძღვართა მოღვაწეობაში ხალხისათვის განსაკუთრებით „სულთა მკურნალობა“ იყო მიმზიდველი, მაგრამ მაინც მასწავლებელნი იყვნენ და ვისაც მაშინ უმწვერვალესი მეცნიერების შეთვისება ჰსურდა, ერთადერთ განთქმულ მოძღვართან მიდიოდა და სწავლობდა ხოლმე. ამ მოძღვრებას საქართველოში როგორც ეტყობა თავისი წესწყობილება ჰქონია და მოძღვრებს გარდა „მოძღვართ-მოძღვარიც“ არსებობდა თვით სახელიც გვაფიქრებინებს, რომ ის ყველა მოძღვრების უფროსი

უნდა ყოფილიყო. მაგრამ რომ მასაც უმთავრეს მოვალეობად სასულიერო მეცნიერების მასწავლებლობა ჰქონია, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ მოძღვართ-მოძღვარს მოწაფენი ჰყოლია. რაკი მოძღვრებს დიდი პატივისცემა ჰქონდათ მაშინდელ ქართველ საზოგადოებაში დამსახურებული, არც გასაკვირვებელია, რომ მოძღვართა-მოძღვარიც განსაკუთრებით პატივცემული ყოფილიყოს. მართლაც, „ქარის-გარიგება“ ამტკიცებს, რომ მოძღვართა-მოძღვარს დარბაზობის დროსაც და ისედაც თვით კათალიკოსზე მეტი პატივისცემაც კი ეკუთვნოდა, სხვას ეკლესიის მწყემს-მთავარსა და საქეთ მპყრობელზედაც კი მაღლა იდგა.

ამ კერძო მასწავლებლობას, რომელიც მეცნიერ, განთქმულ მოძღვართა ხელში იყო, განსაკუთრებულ სამოსწავლო დიწესებულებისა და სასწავლებლის სახე არ მიუღია, არამედ კერძო ხასიათი ჰქონდა. როცა განთქმული მოძღვარი გარდაიცვლებოდა, თუ მას ღირსეული მოადგილე არ ჰყავდა, თვით საქმეც თავისდა თავად ისპობოდა, მაგრამ გიორგი მთაწმინდელის თაოსნობით ათონის მონასტერში და გრიგოლ ბაკურიანის წყალობით პეტრიწონის მონასტერში მუდმივი სასულიერო სასწავლებელიც იყო შექმნილი, სადაც იმ დროის კვალობაზე მოწაფეები იყვნენ თავმოყრილნი განსასწავლელად.

უცხოეთში მყოფ ქართულ მონასტრებისა და შიგ საქართველოში მოქმედ მონასტრების მუდმივ დაუცხრომელ სამეცნიერო-სამწერლობა და საკულტურო მუშაობის წყალობით ქართველს ერს მაშინ საშუალება ჰქონდა ერთის მხრით უცხო და მეზობელ ერთა კულტურულ წარმოებას არ ჩამორჩენოდა და მათს დაწინაურების ყოველის ნაბიჯის გადადგმას და მიმართულებას ფეხდაფეხ მისდევნებოდა. ჩვენმა ერმა ისიც შესძლო, რომ უკვე იმ დროსვე სხვებზე ადრე თავისს განათლებასა და მწერლობა-მეცნიერებაში საერო და არაქრისტიანული ელემენტებიც შეითვისა, სპარსული პოეზიის ქმნილებანი შეითვისა და საკუთარი საერო მხატვრული, სააზიკო-სავირო და რაინდული ხასიათის მწერლობა შექმნა. სიბრძნის-მეტყველებისა და მკურნალობის მეცნიერების დარგებშიაც ჩვენი წინაპრები მართო ქრისტიანულ ბერძნულ შემოქმედების შესწავლით არ დაკმაყოფილებულან, არამედ არაბულ-სპარსულ მდიდარ მწერლობითაც უხვად ისარგებლეს. რა გზით და საშუალებით ითვისებდა ქართველობა სპარსულ-არაბთა კულტურის ნაყოფს, ამის შესახებ ჯერ ჩვენ გარკვეული ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ არაბულისა და სპარსულ მწერლობის ღრმა ცოდნა გვაფიქრებინებს, რომ იგი განთქმულ მეცნიერ მასწავლებლებთან ბეჯითი სწავლისა და მუშაობის ნაყოფი უნდა ყოფილიყო. სხვაფრივ წარმოუდგენელია, საიდგან შეეძლო შეეძინა, მაგ., დავით აღმაშენებელს ყურანის ისეთი საფუძვლიანი ცოდნა, რომ მაჰმადიან სჯულის მეცნიერებთან კამათი შესძლებოდა.

სპარსულ-არაბულ მეცნიერებისა და მწერლობის შეთვისებით ქართველობა მაჰმადიანურ ქვეყნებისა და კულტურის ცხოველმყოფელს წყაროსაც დაეწაფა. ამით ქართველთა აზროვნებას ფართო მსოფლიომხედველობა გადაეშალა და ბერძნულ-ქრისტიანულ დინჯ და მკაცრ შემოქმედებასთან ერთად მწველ აღმოსავლეთის ლაღი და სიცოცხლით აღსავსე ფერადოვანი კულტურის ნაყოფი იგემა. ქართველობამ ეს ორი მთავარი კულტურული სამფლობელო ესოდენ



გულის სიღრმეზე შეითვისა და თავის შემოქმედებაში განუყოფელად შეაერთა, რომ ქართული კულტურა აღმოსავლეთისა ცენტრის და დასავლეთისა ცენტრის ტიანულსა და მაჰმადიანურსა. ამით ქართველობამ მაშინდელ მსოფლიო-კულტურის შეერთება შესძლო და ამიტომაც არის, რომ მის მაშინდელს გონებრივს და ნივთიერს შემოქმედებას ის ცალმხრივობა არ ეტყობა, რომლითაც ცნობილია იმდროინდელი ბიზანტიური, სომხური, ასურული, და ცოტაოდნად თვით სპარსულ-არაბული მწერლობა და კულტურაც.

ხვარაზმელთა შემოსევამ და მონღოლთა, ხოლო შემდეგ სპარს-ოსმალთა ბატონობამ როგორც ვიცით საქართველოს წარმატება შეაფერხა და კულტურულად დასცა. ქართული სამეცნიერო და მხატვრული აზრის ბუნებრივი განვითარებაც რასაკვირველია შეფერხდა, ამასთანავე ბიზანტიის თანდათან დაქვეითების გამო უცხოეთში მყოფ ქართულ მონასტრებს წინანდებურად აღარ შეეძლოთ თავიანთი მაღალხარისხოვანი მოღვაწეობა განეგრძოთ; რაკი თვით იმ ქვეყნებში სამეცნიერო და სამწერლობო შემოქმედება დაძაბუნებული იყო, კულტურა დაეცა, აღარც იქ მყოფ ქართველ მონასტრებს შეეძლოთ თავიანთ სამშობლოში ბიზანტიის გონებრივ წარმატების მოციქულობა გაეწიათ. შემდეგ ხომ, როდესაც ბიზანტია პოლიტიკურად დაეცა და მთელი მისი სამფლობელო ოსმალებს ჩაუვარდად ხელში, უცხოეთში მყოფ ქართულ მონასტრებს კულტურული მნიშვნელობა თითქმის სრულებით დაეკარგათ. საუბედუროდ, მონღოლთა ბატონობამ და სხვა მიზეზებმაც საქართველოს და სამხრეთის მეზობლებიც, სპარსნი და არაბებიც, კულტურულად დააქვეითა. ამიტომ არც ამ ქვეყნებიდან-ღა შეეძლოთ ჩვენს წინაპრებს ცხოველყოფელ გონებრივ შემოქმედებითა და კულტურული წარმატებით ესარგებლათ. კულტურის კერა უკვე ამაზე უწინარესად ბიზანტიაში ჩაქრა და თანდათან დასავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის ქვეყნებში აენთო. პოლიტიკურად დაცემული და დაუძღვრებულნი საქართველო იმ მხრივაც იყო უბედური და იმიტომაც ჩავარდა უწიფო მდგომარეობაში, რომ მას მეზობლებშიც დაწინაურებული აღარავინ მოეძებნებოდა და ყოველგვარ აყვავებული კულტურის ცენტრებს დასავლეთს ევროპაში ასე დაშორებული და მოწყვეტილი იყო. იქ მას არც ათონისა და შავი მთის მსგავსი მონასტრები ან სხვა რაიმე დაწესებულება მოეპოებოდა, რომ მათი საშუალებით ამ წარმატების მოზიარე გამხდარიყო და არც პირდაპირი კავშირი შეეძლო რომ ჰქონოდა დასავლეთ ევროპის განათლებულ ქვეყნებთან. უამისოდ კი მონღოლთა ბატონობით წელში გაწყვეტილი ქართველობა თავის კულტურულ მდგომარეობის გამოსწორებას როგორ მოახერხებდა. თუ წინათ ქართული სამეცნიერო ენა საუცხოვოდ შემუშავებული და შესაფერისად მოქნილი იყო, ეხლა მას უკვე არც შესატყვისი ტერმინოლოგია-ღა ჰქონდა და არც ახალ მსოფლმხედველობის და მეცნიერების ახალ დარგების მოციქულები მოეძებნებოდა.

აღორძინების ხანაში საქართველოს სრულ განახლებას ამას გარდა ის გარემოებაც აფერხებდა, რომ დასავლეთ ევროპის სამეცნიერო ენაც, ჯერ ლათინური და შემდეგ ახალი ენებიც, საქართველოში უნობი იყო. ამ მხრივაც ძველ ხანასთან შედარებით ქართველობა მეტად ცუდს მდგომარეობაში ჩავარდა: თუ

წინათ ბერძნული და სპარსული ენის მცოდნენი საქართველოში მრავალნი იყვნენ, განახლებისა და აღორძინების ხანაში XVII—XVIII საუკუნეში ლათინური და ახალი უცხო ენები თითქმის არავინ, თითო ოროლამ თუ, იცოდა. ამის გამო ცოდნის მოყვარე ქართველობას თავის სულიერი წყურვილის მოკვლა მხოლოდ სხვების შუამავლობითა და დახმარებით შეეძლო. ამკვარ შუამავლებად კათოლიკეთა სამღვდლოება იყო, და XVII საუკ. სულ უკანასკნელ ხანებში რუსული ენის მცოდნენი. მაგრამ კათოლიკე ბერების დახმარება შემთხვევითი იყო, ხოლო რუსული სამეცნიერო მწერლობაც მაშინ როგორც ახალი ფეხადგმული მეტად სუსტობდა, ჯერ თავისი სამეცნიერო შემოქმედება არ ჰქონდა და მხოლოდ გერმანულიდანა და ფრანგულიდან ნათარგმნით იკვებებოდა. ამიტომ როდესაც ქართველები რუსულიდან სთარგმნიდნენ, თითქმის ყოველთვის თარგმანის თარგმანი გამოდიოდა და დედანს ცხოველმყოფელობა აკლდა. უკვე ეფერემ მცირემ სამართლიანად დაჰგმო ასეთი ნაწარმოებნი და ამ გზით ცხადია შეუძლებელი იქნებოდა ქართული სამეცნიერო მწერლობა დასავლეთ ევროპისას დასწეოდა. და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაკი ბერები წინანდებურად მეცნიერებაში და მწერლობაში პირველობას ვეღარ დაიჩემებდნენ და საქართველოშიაც ორივე დარგი თანდათან ერისკაცთა კუთვნილებად იქცა, მონასტრებს მნიშვნელობა დაეკარგათ. და არც მეცნიერებისა და არც მწერლობის კერად და უმაღლეს სასწავლებლად-ლა ითვლებოდნენ. საქართველოს მეფეები და მმართველი წრეები მშვენივრად გრძნობდნენ ქართული მეცნიერებისა და მწერლობის აყვავების აუცილებლობას და თითონაც პირად შრომას და ქონებას არ ზოგავდნენ, რომ ჩვენს ქვეყანას ამ უმწეო მდგომარეობიდან თავი დაეღწია. რაკი მონასტრებში უმაღლესი მეცნიერებისა და განათლების ცეცხლი უკვე აღარ ღვიოდა, უნდა მათი მაგიერი დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებელი დაარსებულეყო, თუ რომ ქართველობას გონებრივი დაქვეითება და გავლურება არ ჰსურდა. მართლაც იოანე ბატონიშვილის მიერ 10 მაისს, 1799 წელს, თბილისში შედგენილს საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების პროექტში, რომელიც გიორგი მეფემ დაამტკიცა, ამის შესახებ ერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება.

იოანე ბატონიშვილის პროექტით საზოგადოებრივად რამდენიმე ჯგუფად დაყოფილს საქართველოში სკოლაც ერთგვარი არ იყო. უმაღლეს სასწავლებლებში, რომელშიაც „მიებარებოდნენ“-ო თავად-ახნაურნი და „პირველნი მოქალაქეს შვილები“, საქმე ისე უნდა ყოფილიყო დაყენებული, რომ „მიიჩინოთ მუნ მცოდნენი კაცნი რათა ასწავლიდნენ სამეცნიეროსა სწავლასა და სამხედროსაცა, აგრეთვე ენებთა. ამის მოურნეთ იყოს განათლებისა მთავარი და ესე აძლედეს რიგსა და ჯამაგირთა ოსტატებსა“-ო. ქვემოთ იმ ენების სიაც არის მოყვანილი, რომელიც ამ სასწავლებლების მოწაფეთ უნდა შეეთვისებინათ: „სასწავლებლებსა მას შინა ჰსწავლობდნენ ქართულსა, სომხურსა, თათრულსა, რუსულსა და თუ შეიძლება ბერძნული და ლათინურიც უკეთესი იქნებისა“-ო. იმგვარი უმაღლესი სასწავლებელი „სამს ადგილას გაიმართოს სკოლა ტფილისსა, გორსა და თელავსა შინა“-ო.


ამ სამ მალალ სასწავლებელს გარდა „იყოს ამაზედ მდაბალი სასწავლებლები, დუქნები ანუ სახლები. ამას შინა ისწავლებოდნენ მსახურნი კაცის შვილები, მდაბლები ვაჭართ შვილები. აგრეთვე გლეხისაც ვის როგორად შეეძლოსთ“.

როგორც ეტყობა ამ დაბალ სასწავლებლებშიც ენების შესწავლა სავალდებულო უნდა ყოფილიყო. ყველა ზემოაღნიშნულს მალალსა და დაბალს სასწავლებლებში „ოსტატები ანუ მასწავლებლები იყვნენ მეფის ხარჯითა, ხოლო მოწაფენი თვით მშობელთა ხარჯითა ვიდრე შემოსავალთ განვრცობამდე“-ო. მაშასადამე შემდეგში მაინც სწავლა საქართველოში უფასო უნდა ყოფილიყო. ამ საერო სკოლებს გარდა „ეს სახედვე სასულიერო სასწავლებლები იყოს განწესებით და ამის მეურნეობა კათალიკოს[ს] და სულიერსა მთავარსა“-ო (პეტრეს ქალაქის საჯარო სამკითხველოს ივ. ბატონიშვილის საეკლ. წიგნთსაცავის ხელთნაწერი № 65, თავი „მეორმოცდა მეთვრამეტე“).


ზემო ნათქვამიდან ცხადია, რომ 1799 წელს აღმოსავლეთ საქართველოში სამ ლიცეუმის მსგავს უმაღლეს სასწავლებლის გახსნა ყოფილა გადაწყვეტილი, სადაც ქართველ მოზარდ თაობისათვის, „სამეცნიერო სწავლა“ და ექვსი ენა უნდა შესწავლინებინებიათ.

ეს გეგმა მხოლოდ იმიტომ არ განხორციელდა, რომ მეფის რუსეთმა საქართ. დამოუკიდებლობა მოსპო და არამც თუ მაშინ, აქამდისაც, 117 წლის განმავლობაში, როგორც ვიცით, მთელ ამიერ-კავკასიაშიაც ერთი რუსული უმაღლესი სასწავლებელიც კი არც კი გაუხსნიათ. ქართულის გახსნისა უფლება ხომ ბოლოს დრომდის არავის არა ჰქონდა.

მას შემდგომ რაც რუს. მთავრობამ 1783 წელს დადებული ხელშეკრულება წარმეუხრელად დაარღვია და საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპო, ყველა დაწესებულებათაგან ჩვენი დედა-ენა განდევნა, სკოლაც კი არ დანდო და დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში რუსული გააბატონა, რათა მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთის მთავრობის ქართველთა გულის ნადებზე, ქართულ უმაღლეს სასწავლებლის დაარსებაზე ეზრუნა. ... ქართულს ენას სავარჯიშო ასპარეზი მოუსპო, არც სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, არც სასამართლოსა და სკოლაში მისი ხმა აღარ ისმოდა. მის სამოქმედო ასპარეზად მხოლოდ ეკლესია და თეატრი-ღა დარჩა. მაგრამ პირველშიაც კი მთავრობამ მას სრული თავისუფლება არ შეუწარჩუნა. ერთბაშა უ ისე მოხდა, რომ ქართული ქართველთა მეცნიერების და ხელოვნების, სარწმუნოების და უზენაეს სულსკვეთების გამომხატველი ნაწი და მომხიბლავი ენა კი აღარ იყო, არამედ დაბალხარისხოვან ტომის ენის მხოლოდ მსგავსად შინაურობაში სახმარებლად „საყველპუროდ“ იქცა. ქართული სამეცნიერო ენა XVIII საუკ. და XIX საუკ. დამდეგს ქართველ მეცნიერთა დაუღალავ შრომის წყალობით გამოცოცხლებული ზემოაღნიშნული პირობებისა და გარემოებათა გამო ისე დაეცა და ჩამოქვეითდა, რომ განათლებული ქართველი სულიერად გადაგვარდა და თავის უგულითადეს და უწმინდეს გრძნობებისა და აზრების ქართულად გამოთქმადლივსდა ეხერხებოდა. ჩვენი ენა, საუკუნეებით შემუშავებული და მდიდარი, უცხო გავლენით წაირყვნა და შესაბრალისად გადატაკდა. თუ ჩვენი ხალხი



ეროვნულად არ გადაგვარდა და ჩვენმა დედა-ენამ ეგოდენ უმწეო მდგომარეობაში თავი შეინარჩუნა, თანდათანობით კვლავ მოღონიერება და ნაკლებად აღორძინებაც კი დაეტყო, მხოლოდ ქართველ მოღვაწეების, პოეტების, მწერლების, დრამატურგებისა და მსახიობთა, თანაც თითო-ოროლა მეცნიერის თავგამოდებულ და დაუცხრომელ პირად მხნეობის წყალობით. ეკლიანი და საქმელა იყო მათი გზა, შემადარწუნებელი იყო მათი მდგომარეობა... მაგრამ მათმა წმინდა სულისკვეთებამ და სპეტაკმა, უანგარო მოღვაწეობამ შედარებით უხვი ნაყოფი გამოიღო: ჩვენმა ენამ ძალა მოიკრიფა, პოეზია არამც თუ გამოცოცხლდა, არამედ შემოქმედების მშვენიერი ძეგლებიც კი შეგვძინა, ქართული ენა კვლავ საზოგადოებრივ დაწესებულებებში გაისმა და ეხლა უკვე რამდენიმე ქართული სამეცნიერო საზოგადოებაც კი გვაქვს. რასაკირველია, ჯერ კიდევ ბევრი შრომა და მხნეობაა საჭირო, ქართულ მეცნიერებისა და აზროვნების აყვავებამდის ჯერ კიდევ ბევრი რამე გვაკლია, მაგრამ ყველა გრძნობს, რომ შესაძლებელია ქართულმა აზროვნებამ და ენამ წინანდებურად ლაღად ფრთა გაშალოს, ქართველობამ კვლავ აზროვნების უმწვერვალეს სფერომდე აღმართონა შეიძლოს და თავის ამ სულისკვეთებისათვის შესაფერისად მოქნილი და მდიდარი ენა შექმნას; ხოლო თუ ჩვენ გვინდა, რომ ამ ჩვენს აღორძინებას მტკიცე საფუძველი ჰქონდეს, ფესვები მაგრად გაიდგას და უხვად გაიფურქნოს, უნდა დაუყოვნებლივ ჩვენს თანამედროვე ვითარებას ჩაუფიქროდეთ და საქმის შესატყვისი სამოქმედო გეგმა შევიპოვათ, რომლის განსახორციელებლად არაფერი უნდა დაგზოვოთ და არავითარ დაბრკოლების წინაშე არ უნდა შევდრკეთ. საქართველოს თანამედროვე აღორძინება უქვევლია ჯერ კიდევ ძალიან ნორჩია, რომ მას გულმტკიცუნული მზრუნველობა არ ესაჭირობოდეს. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ არც ერთს ეროვნებას და ქვეყანას არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ ახადია. ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიაც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული. რაც უნდა კარგად შეისწავლოს პრაქტიკულად გამოსაყენებელი ტექნიკის თვით უკანასკნელი აღმოჩენა და საშუალებანი, თუ რომ თეორიული მეცნიერება მას საფუძვლიანად მუდამ ნიადაგს არ უმაგრებს, ამგვარს ცოდნას, ვითარცა ნამდვილ ხელოსნურსა, მცირედი ღირებულება აქვს და თანდათან უნდა უქვევლად ჩამოქვეითდეს. ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენ ვგსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გავუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალღონით ქართულ მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ. რა გზით? ჩვენი წარსულის მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ უმაღლეს მეცნიერებისა და მწერლობისათვის განსაკუთრებულნი დაწესებულებანი და მეცნიერთა საკმაო რიცხვია საჭირო. როგორც ვიცით, ძველად ქართული მონასტრები ჩვენ სამშობლოში და უცხოეთში, მოძღვარნი და მოძღვართა-მოძღვარნი ამ დიად მიზნის განხორციელებას ემსახურებოდნენ. უკვე აღნიშნული იყო, რომ კარგა ხანია რაც ჩვენ ამის მაგიერი არც დაწესებულებანი, საქართველოში ერთად თავმოყრილნი, გვეყვანან. ის ორიოდ სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც გვა-



ბადია, რასაკვირველია სრულებით საქმარისიც არ არის და მათ საპატიო მუშაობასაც შემთხვევითი ხასიათი აქვს. არქეოლოგიისა, ისტორიისა, ეთნოგრაფიისა, მწერლობისა, მკურნალობისა და ბუნებისმეტყველების გარდა ჯერ ერთი რომ მეცნიერების მრავალი სხვა დარგიც არსებობს და თუ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი წარმატება ყოველმხრივი და საფუძვლიანი იყოს, უნდა იმდენს ვეცადნეთ, რომ ჩვენი მეცნიერება მთელის თავისი მრავალფეროვანებით და მრავალმხრივობით ჯაიფურჩქნოს. მეორე ისა, რომ აწინდელს ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებაში საქებური მუშაობა უნებლიედ სხვათა შორის წარმოებს. მათი წევრნი სხვა თავიანთ პირდაპირ მოვალეობით არიან დატვირთულნი და ქართულს მეცნიერებას და სამეცნიერო საზოგადოებას შეუძლიათ მხოლოდ იმდენად ემსახურონ, რამდენადაც მათ მოცლა ექნებათ. უნებლიეთ მათი მუშაობა სამშობლოსათვის მათი გულმოდგინეობის ნამეტანობის ნაყოფია ხოლმე. მეცნიერებას კი მუდმივი და დაუცხრომელი მსახურნი და ქურუმნი სჭირია. ის მხოლოდ, ვინც მთელ თავის ძალ ღონეს ანდომებს, შესძლებს კიდევ, რომ მსოფლიო მეცნიერებს მსწრაფლ განვითარებას არ ჩამორჩეს. თუმცა უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებელში მყოფი ქართველი მეცნიერი, დოცენტები, ასისტენტები და ლაბორანტები არც ისე ცოტანი გვეყვანან, როგორც ბევრსა ჰგონია, მაგრამ თითქმის ყველანი რუსეთის და თითო ოროლა უცხოეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში არიან გაფანტულნი. ქართული მეცნიერებისათვის სამსახური მათს პირდაპირს მოვალეობას არ შეადგენს და ამის გამო მომეტებული მათგანი იძულებულია მთელი თავისი ნიჭი და ძალღონე უცხოეთის მეცნიერებას და უმაღლეს სასწავლებლებს შეაღოს. ასე შორიშორს მყოფნი და გაფანტულნი თუნდაც რომ ქართულ მეცნიერებას თავგანწირულ მხნეობით ემსახურონ, ცხადია მინც ქართულ სამეცნიერო მწერლობას და სკოლას ვერ შეჰქმნიან. ამისათვის უნდა ერთი ქართული სამეცნიერო უმაღლესი დაწესებულება შეიქმნას, რომლის წევრთა უმთავრესსა და პირდაპირს მოვალეობას მხოლოდ ქართულ მეცნიერებისათვის სამსახური და მის წარმატებასა და აყვავებაზე ზრუნვა უნდა შეადგენდეს. მარტო ამგვარს დაწესებულებას შეუძლია ქართულ მეცნიერებისა და შემოქმედებითი აზროვნების დაუფასებელ, ცხოველმყოფელ კერად და მანათობელად იქცეს.

რაკი ამ აზრის სიმართლე ვგონებ თავის-თავად ცხადი უნდა იყოს, ამიტომ ეხლა ის საკითხი-ლა გვაქვს გამოსარკვევი, თუ რა სახის უნდა იყოს ეს ქართული უმაღლესი დაწესებულება. ზოგს ჰგონია ჩვენში, რომ ასეთ დაწესებულებად სამეცნიერო აკადემია უნდა იყოს და სწორედ სამეცნიერო აკადემიის დაარსება მიიჩნიათ საჭიროდ. მაგრამ სრულებით შემცდარი აზრია. რაკი სამეცნიერო აკადემია რაღაც უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებად ითვლება და აკადემიკოსობისათვის არავითარი სავანგებო არც სამეცნიერო გამოცლა და არც ხარისხი არის საჭირო, არანედ აკადემიკოსად ირჩევენ ხოლმე უკვე სახელგანთქმულ მეცნიერებს, ამის გამო სამეცნიერო აკადემიებში საქმე ისეა დაყენებული, რომ ჩვეულებრივ 45—50 წ. უფრო ჯიელ მეცნიერს იშვიათად თუ ეღირსება ხოლმე აკადემიკოსობა. ხოლო რაკი შემოქმედებისა და სამეცნიერო ნაყოფიერების ძალა ადამიანს სწორედ 30—35 წლოვანობის ხანაში შესწევს

და აზროვნებასაც ამ ხანაში თავისუფალი აღმადრენა და ჭაბუკური გამბედაობა აქვს, ასე გამოდის, რომ სანამ მეცნიერი უფრო ნაყოფიერი და შედეგით სავსეა, ის აკადემიკოსად არ ითვლება და, როცა უკვე სახელი მოუხვეჭნია და სიბერე ეპარება, ის აკადემიკოსად ხდება. ამასთანავე რადგან აკადემიკოსის მოვალეობაა ახალგაზრდა მეცნიერთ მფარველობა გაუწიოს და მოეხმაროს, ამიტომ აკადემიკოსების მოღვაწეობა მოუტკლევლობისა გამოც დიდ ნაყოფიერებას ვერ იჩენს, იგი იძულებულია სხვათა და თავის წინამოადგილეების შრომების გამოქვეყნებას შეაღოს ისედაც უკვე ხანში შესული პირადი ნიჭი და ძალღონე. ამას გარდა, სამეცნიერო აკადემია ვიწროდ შემოზღუდული დაწესებულებაა, მეცნიერების სრული და მთლიანი სამფლობელოს მაგიერ იქ ყველა დარგები კი არ არის წარმოდგენილი, არამედ მხოლოდ ზოგიერთი უმთავრესი. ესეც არის, რომ სამეცნიერო აკადემია მარტო თვით აკადემიკოსებისათვის არსებობს, საზოგადოებასთან მას მცირედი დამოკიდებულება აქვს, მოზარდ თაობასთან ხომ არავითარი კავშირი არა აქვს და ამის გამო მისი მოქმედების და გავლენის სფეროც შედარებით ვიწროდ არის შემოზღუდული.

სულ სხვაა უნივერსიტეტი: იქ მეცნიერება მთელის თავის მრავალმხრივობითა და მრავალფერადოვანებით სუფევს; ყველა თავის მიმართულებით, სამეცნიერო გამოცდების და ხარისხების წყალობით იქ ერთად მოღვაწეობენ სიცოცხლითა, ნიჭითა და გამბედაობით სავსე ახალგაზრდა მეცნიერნიც და სიბრძნის ბრძმედად გაკაეხებული განთქმული მეცნიერნიც. უნივერსიტეტი ამასთანავე უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებაც არის და იმავე ღროს უმაღლეს მეცნიერების სასწავლებელიც, სადაც მოზარდი ახალგაზრდობა და ჭაბუკნი, მომავალი თაობა მეცნიერ-მკვლევართა მოძღვრებითა და ხელმძღვანელობით უმაღლეს მეცნიერებას ითვისებს, სამეცნიერო მუშაობას ეჩვევა და თანდათან მის თანამოაზრედ ხდება. აქ მჭიდრო სულიერი კავშირია მეცნიერთა და მომავალ თაობას შორის. აქ შესაძლებელი ხდება მეცნიერების ცხოველი, შეუჩერებელი მიმდინარეობა და მეცნიერება დაუშრეტელ, ცოცხალ ძალად არის ქცეული. სწორედ ასეთი დაწესებულებაა ჩვენ ქართველებისათვის საჭირო.

სამეცნიერო აკადემიისა და უნივერსიტეტის ერთად შენახვა ჩვენ არ შეგვიძლია და არც იმოდენი ძალა შეგვწევს, ამიტომ ცხადია ჩვენი მოვალეობა უნდა იყოს ქართულ უმაღლეს სასწავლებლის დაარსებაზე ვიზრუნოთ და არა აკადემიაზე. დასავლეთ ევროპის მაგალითიც ნათლად გვიჩვენებს, რომ იქაც ჯერ უნივერსიტეტები იყო, ხოლო შემდეგ აკადემიები გაჩნდა. ჩვენშიაც მომავალი გვიჩვენებს, საჭირო იქნება (და თანაც შეეძლებთ) თუ არა ისეთ ძვირფას დაწესებულების შექმნას, როგორიც სამეცნიერო აკადემიაა? ამჟამად კი ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა.

მაგრამ იქნებ უკეთესი იყოს მომავალი ქართული უმაღლესი სასწავლებელი ტექნიკური იქნეს და არა უნივერსიტეტი: მაშინვე უკვე, როდესაც ამ რამდენი-სამე წლის წინათ თბილისში რუსულ უმაღლეს სასწავლებელზე იყო ლაპარაკი, ქართველი საზოგადოების აზრი ნათლად გამოირკვა. მთელი ქართველობა უნივერსიტეტს თხოულობდა და ეხლაც უეჭველია იმავე აზრს უნდა მივდიოთ. ტექნიკურ სასწავლებლებთან უნივერსიტეტს ის ცხადი უპირატესობა აქვს,

რომ უნივერსიტეტში მეცნიერების შემოქმედებითი, დამავიწყებელი ძალა, თეორიული კვლევა-ძიებაა გაბატონებული, ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში კი ყურადღება განსაკუთრებით თეორიული მეცნიერების პრაქტიკულად გამოყენებაზეა მიქცეული. სულ ერთია ტექნიკურ სასწავლებლებშიც საზოგადო თეორიული მეცადინეობის სწავლებაც უნდა იყოს. ჩვენ არც ქონებრივად შეგვიძლია და ჯერ-ჯერობით არც იმოდენი კულტურული ძალა შეგვწევს, რომ უნივერსიტეტშიც და რამდენიმე ცალცალკე ტექნიკური სასწავლებელიც, გინდ მარტო ერთი სრული პოლიტექნიკუმიც შევიანახოთ. უნივერსიტეტთან კი შემდეგში შეიძლება სასოფლო-მეურნეობისა და სხვაგვარი ტექნიკური ინსტიტუტები დაარსდეს. თეორიულ მეცნიერებას სხვებთან ერთად უნივერსიტეტში მოისმენენ და შეისწავლიან. ამ გზით ხარჯებიც ძალზე შემცირდება და მეცნიერთა რიცხვიც გაცილებით ნაკლები დაგვჭირდება. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ მომზადებულ ქართველ მკვლევარ-მეცნიერთა სიმცირე პირველ ხანებში მაინც ძალიან საგრძნობი იქნება. ცხადია, რომ ის ქართული უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც უნდა დაარსდეს, უმკველად უნდა უნივერსიტეტი იყოს.

უნივერსიტეტს რომ მარტო სამეცნიერო დაწესებულების თვალსაზრისითაც არ შევხვით, პრაქტიკული მოთხოვნილებაც და თვით ცხოვრება გვაიძულებს უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელი შევქნათ. ჩვენს ორს ქართულს ვაჟთა გიმნაზიებში, სამს ქალთა საშუალო სასწავლებელში, ქუთაისის საკომერციო სასწავლებელში და საქართველოს საკათალიკოზოს ორთავე სემინარიასა და ექვსსავე სასულიერო სასწავლებელში (სკოლის მომავალს ნაციონალიზაციას, ანუ გაეროვნულებასაც რომ თავი დავანებოთ) მეცნიერებაში ქართულად განსწავლილი ახალ-ახალი მასწავლებელნი ხომ ყოველთვის საჭირონი იქნებიან. ნუთუ მასწავლებლებმა წინანდებურად უნდა რუსულ უნივერსიტეტებში რუსულად შესწავლილი ხელმეორედ თავისით ქართულად შეისწავლონ. დაბალსა და საშუალო ეროვნულს სკოლას ბუნებრივი და სალი განვითარება არ შეუძლია, თუ რომ ეროვნულს განათლებას უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი არ აგვირგვინებს. ან განა ქართულ განახლებულ ეკლესიის სამღვდლოება უმაღლეს ქართულ სწავლა-განათლებას უნდა იყოს მოკლებული? რუსეთში რომ პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენთვის ისე უბედურად შემოტრიალდეს, რომ ერობის მეტს სხვას ვერას ველირსნეთ, განა ამ უკიდურეს შემთხვევაშიც ჩვენთვის ქართულად განსწავლილნი ეკონომისტები, სტატისტიკოსები და ფინანსისტები საჭირონი არ იქნებიან? ყოველი ქართველი გრძნობს ესლა, რომ ჩვენი ხსნა დაუცხრომელ შრომაში, კერძო თაოსნობაში და საკუთარ მრეწველობის შექმნაშია. დასავლეთ ევროპისა, ამერიკისა და იაპონიის მაგალითი ცხად ჰყოფს, რომ ამისაჟვის ერთის მხრით პოლიტიკურ ეკონომიისა და საფინანსო მეცნიერებისა, მეორეს მხრით საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიურ მეცნიერებათა წარმომადგენლების მედგარი კვლევა-ძიებაა საჭირო. შეუძლებელია რაიმე ეკონომიურ და საფინანსო პოლიტიკის წარმოება იმ ქვეყნებში, სადაც აღებ-მიცემობის, მრეწველობის ვითარება და ქონებრივი ძალა გამორევეული და მეცნიერულად შესწავლილი არ

არის. ან როგორ უნდა განვითარდეს ჩვენში თუნდ ქვემადნის დამუშავება, როდესაც ნივთიერების შემადგენლობის გამოკვლევა ადგილობრივ არააღივსებადია და ნიმუშები ანალიზისათვის ან რუსეთის, ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში გაიგზავნოს ხოლმე. ამგვარად, ვგონებ ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენი ცხოვრების პრაქტიკული მოთხოვნილებაც ქართულ უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობას გვიკარნახებს.

საქართველოს და კავკასიის წარსული და აწმყო, მისი ბუნება და ადამიანი უნდა შეადგენდეს ამ ქართულ უნივერსიტეტის ყოველმხრივ სამეცნიერო კვლევა-ძიების უპირველეს მიზანს. ქართველ ერის ისტორიული ბედი საუკუნეთა განმავლობაში მრავალ სხვადასხვა კულტურისა და ერის ბედთან იყო დაკავშირებული და თუ დასავლეთ ევროპის მკვლევართათვის აღმოსავლეთის კულტურის შესწავლა უფრო რომ მეცნიერული ცოდნის მოყვარეობის შედეგია, ჩვენ ქართველთათვის და ქართულ მეცნიერებისათვის ასურელთა, სპარსელების, ბერძნების, არაბებისა, სომხებისა და სხვათა ისტორიისა, მწერლობისა და კულტურის შესწავლა თვით ჩვენივე წარსულისა და აწმყოსათვის არის აუცილებლად საჭირო. აი, ეს არის ქართული უნივერსიტეტისათვის ნამდვილი მეცნიერული მოწოდება და ქართული და კავკასიურ ენათმეცნიერებისა, აღმოსავლეთისა და ქართულ ეთნოლოგიისა, ისტორიისა, მწერლობისა, სამართლისა და კულტურის შესწავლით ქართულ მეცნიერებას კაცობრიობის აზროვნების მსოფლიო საუნჯეში ფასდაუდებელ განძის შეტანა შეუძლია. მეორეს მხრით, ჩვენი სამშობლოს ბუნებაც, უძრავი და მოძრავი, უტყვი და მეტყველი, იმდენად საყურადღებოა მკვლევარისათვის, ადგილობრივ პირობებისა გამო კაცის სხვადასხვა სნეულებას ეგოდენი ჯერ კიდევ შეუსწავლელი, განსხვავებული თვისებები აქვს, რომ აქაც ჩვენ უმაღლეს სასწავლებლის მეცნიერ ბუნებისმეტყველთა და სამკურნალო ფაკულტეტს ფართო და საპატიო სამოქმედო ასპარეზი ექმნება. ყოველ ერის მეცნიერებას მსოფლიო გონებრივ შემოქმედებისათვის იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი საერთო კაცობრიობის საღაროში საკუთარ წვლილს შეიტანს და თავისებურობას გამოიჩინოს. ზემო აღნიშნულიდგან ცხადი უნდა იყოს, რომ თუ ქართველი მეცნიერნი თავის მოვალეობას პირნათლად აასრულებენ და საკმაო ნიჰს გამოიჩინენ, ქართულს უნივერსიტეტს და ქართულ მეცნიერებას შეუძლია საჭირო თავისებურობაც გამოიჩინოს და მსოფლიო შემოქმედებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს.

ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევა-ძიების და ცოდნის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მეთოდებისა და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნება. ამ უნივერსიტეტის პროფესორები და ხელმძღვანელები მართა ლექციების მკითხველნი კი არ უნდა იყვნენ, არამედ უპირველესად ყოვლისა მეცნიერნი და მკვლევარნი, რომელნიც თავიანთ ნაშრომებით მეცნიერების წარმატებას უნდა ხელს უწყობდნენ და მეცნიერებაზე ცხოველ მისაბაძვე მაგალითადაც იყვნენ მოზარდ თაობისათვის.

თბილისის უნივერსიტეტის  
პროფესორ-მასწავლებელთა პირველი შემაჯავებლო  
და  
სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის პირველი  
სასწავლო გეგმა

ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ დოკუმენტს, რომლის ტექსტი დაწერილია ივანე ჯავახიშვილის საკუთარი ხელით. დოკუმენტი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი დოკუმენტისა შეიცავს „ტფილისის უნივერსიტეტის გამგეობის“ მიერ დამტკიცებულს, უნივერსიტეტის პროფესორთა, მეცნიერ ხელმძღვანელთა და ლექტორთა შემაჯავებლობას 1918 წლის პირველი სემესტრისათვის:

პროფესორი . . . . .	7
პროფესორის მოადგილე .	5
მეცნიერ-ხელმძღვანელი .	2
ლექტორი . . . . .	4
<hr/>	
სულ . . . . .	17

დოკუმენტის მეორე ნაწილი წარმოადგენს 1918 წელს გახსნილი, უნივერსიტეტის ერთადერთი ფაკულტეტის (სიბრძნის მეტყველების ფაკ.) სასწავლო გეგმას ყველა ექვსი დარგისათვის: 1) ფილოსოფიის, 2) ფსიქოლოგიის, 3) ენათმეცნიერების, 4) ლიტერატურის, 5) ისტორიის და 6) ეკონომიკის დარგებისათვის.

ეს დოკუმენტი დაიბეჭდა უნივერსიტეტის გახსნის წინა დღეებში (1918 წლის იანვარში) თბილისის გაზეთში „სახალხო საქმე“. დედანი ამ დოკუმენტისა, დაბეჭდვის შემდეგ დაბრუნებული სტამბიდან, ამჟამად ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „უნივერსიტეტის ისტორიის შემსწავლელი კაბინეტის“ არქივში.

**ქართული უნივერსიტეტის  
პროფესორთა კოლეჯისა, მასწავლებლებისა  
და დოცენტების შიშვენიერება  
1918 წ. პიკაპის სემესტრში**

**უნივერსიტეტის რეფორმი:** დამსახურებული პროფესორი პეტრე გრიგოლისძე  
მელიქიშვილი (ქიმიის დოქტორი).

**სიბრძნის მკვლევარის შიშვენიერების დეკანი:** პროფ. ივ. ა. **ჯავახიშვილი** (ქარ-  
თული ფილოლოგიის მაგისტროსი პეტერბურგის უნივერსი-  
ტეტისა).

**სიბრძნისმკვლევარის შიშვენიერების დეკანი:** პროფ. იოს. ალექ. **უფშიძე** (ქარ-  
თული ფილოლოგიის მაგისტროსი პეტერბურგის უნივერსი-  
ტეტისა).

**პროფ. [ანდ.] ბენაშვილი** (გეოდეზიისა და ვარსკვლავთმრიცხველობის  
პროფესორი პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტისა და  
სამხედრო-საინჟინერო აკადემიისა. ლექციების კითხვას დაიწ-  
ყებს, როდესაც სამათემატიკო განყოფილება გაიხსნება).

**პროფ. კორნ. კეკელიძე** (საეკლესიო ისტორია და მწერლობა. ღვთის-  
მეტყველების მაგისტროსი).

**პროფ. დ. უზნაძე** (ფსიქოლოგია და პედაგოგია. ფილოსოფიის დოქ-  
ტორი ჰალეს უნივერსიტეტისა).

**პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი** (პოლიტიკური ეკონომია და სტატისტიკა.  
ფილოსოფიის დოქტორი ლაიფციგის უნივერსიტეტისა).



Երևանի Գրադարանի Հայաստանի Հանրապետության Ազգային գրադարան

~~ԿՆԱՅԻՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ~~  
~~Ճեղքված ԶԵՄԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ~~

1918 թ. Գրքերի կազմակերպչական

ԿՆԱՅԻՆԱԿԱՆ ԿԻՏՈՒՆ:

ԿՆԱՅԻՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ ԶԵՄԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ (Գրքերի կազմակերպչական)

~~ԿՆԱՅԻՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ ԶԵՄԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ~~

Քիտ: Ճեղք. ոգ. 2. Գրքերի կազմակերպչական

~~ԿՆԱՅԻՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ ԶԵՄԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ~~  
~~ԳՐԱԴԱՐԱՆ ԶԵՄԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ~~

Քիտ: Ճեղք. ոգ. 2. Գրքերի կազմակերպչական

Գրքերի կազմակերպչական (Գրքերի կազմակերպչական)

Ճեղք. ԿՆԱՅԻՆԱԿԱՆ (Գրքերի կազմակերպչական)  
Գրքերի կազմակերպչական Ճեղքված ԶԵՄԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ  
ԶԵՄԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ ԶԵՄԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ  
ԶԵՄԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ ԶԵՄԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ  
ԶԵՄԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ ԶԵՄԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ  
ԶԵՄԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ ԶԵՄԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

Ճեղք. չեղ. 31396 (Գրքերի կազմակերպչական)  
Գրքերի կազմակերպչական (Գրքերի կազմակերպչական)

Ճեղք. Գ. ԿՆԱՅԻՆԱԿԱՆ (Գրքերի կազմակերպչական)  
Գրքերի կազմակերպչական (Գրքերի կազմակերպչական)

Ճեղք. ոգ. Գրքերի կազմակերպչական (Գրքերի կազմակերպչական)



პროფესორის მოადგილე **ანდ. რაჭმაძე** (უმაღლეს მათემატიკის მაგისტრანტი, მოსკოვის უნივერსიტეტის პრივ.-დოცენტი. ლექციებს შემოდგომით გან დაიწყებს).

პროფესორის მოადგილე **სვ. ავალიანი** (ისტორიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივ.-დოცენტი).

პროფესორის მოადგილე **შ. ნუცუბიძე** (ფილოსოფიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერს.).

პროფესორის მოადგილე **გ. ახვლედიანი** (საზოგადო და შედარებით ინდოევროპული ენათმეცნიერება. ენათმეცნიერების მაგისტრანტი, ხარკოვის უნივერს.).

პროფესორის მოადგილე **აკ. შანიძე** (ენათმეცნიერება. ქართული ფილოლოგიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერს.).

მეცნიერი ხელმძღვანელი **ე. თაყაიშვილი** (ქართული სიძველეთა-მეცნიერება, ანუ არქეოლოგია).

მეცნიერი ხელმძღვანელი **იუს. აბულაძე** (სპარსული ენა).

ლექტორი **ელ. ორბელიანისა** (ფრანგული ენა).

ლექტორი **არტ. ლახტი** (გერმანული ენა).

ლექტორი **ილ. თ. ყიფშიძე** (გერმანული ენა).

ლექტორი **ვანდა ლამბაშიძისა** (ინგლისური ენა).

**თბილისის უნივერსიტეტის გამგეობა.**

Ձեռք բերելու ժամանակ Եր. Կեմուցի (Կոստանյանի ծննդավայրը,  
Սալուստի Կոնստանյանի Զիւռ-Բախա. Կոստանյանի Կոնստանյան)  
Ձեռք բերելու ժամանակ Կո. ՆՆՆՆՆՆՆՆ (Կոստանյանի ծննդավայրը  
Սո, ՆՆՆՆՆՆՆՆ Կոնստանյանի Զիւռ-Բա-  
խա)

Ձեռ. ՆՆՆՆՆՆՆ Ս. ՆՆՆՆՆ (Կոստանյանի ծննդավայրը,  
Կոնստանյանի Կոնստանյան)

Ձեռ. ՆՆՆՆՆՆՆ Յ. ՆՆՆՆՆՆՆ (ՆՆՆՆՆՆ թմ ՆՆՆՆՆ-  
ՆՆՆՆ թճճճճճճ ՆՆՆՆ ՆՆՆՆՆՆՆ. Կոն-  
ստանյանի ծննդավայրը, Սալուստի Կոնստանյան)

Ձեռ. ՆՆՆՆՆՆՆ Ս. ՆՆՆՆՆ (Կոնստանյանի, Կոնստանյան  
Կոնստանյանի ծննդավայրը, ՆՆՆՆՆ  
ՆՆՆ ՆՆՆՆՆ)

Ձեռք բերելու ժամանակ Ն. Ն. Ն. (Կոնստանյանի  
Կոնստանյանի ծննդավայրը, ՆՆՆ ՆՆՆՆՆ)

Ձեռք բերելու ժամանակ Ն. Ն. Ն. (Կոնստանյանի  
Կոնստանյանի ծննդավայրը, ՆՆՆ ՆՆՆՆՆ)

Ձեռք բերելու ժամանակ Ն. Ն. Ն. (Կոնստանյանի ծննդավայրը, ՆՆՆ ՆՆՆՆՆ)

Ձեռք բերելու ժամանակ Ն. Ն. Ն. (Կոնստանյանի ծննդավայրը, ՆՆՆ ՆՆՆՆՆ)

Ձեռք բերելու ժամանակ Ն. Ն. Ն. (Կոնստանյանի ծննդավայրը, ՆՆՆ ՆՆՆՆՆ)

Ձեռք բերելու ժամանակ Ն. Ն. Ն. (Կոնստանյանի ծննդավայրը, ՆՆՆ ՆՆՆՆՆ)

Ձեռք բերելու ժամանակ Ն. Ն. Ն. (Կոնստանյանի ծննդավայրը, ՆՆՆ ՆՆՆՆՆ)



## გზიდისის უნივერსიტეტის

### სიბრძნისმეტყველების ზედა განყოფილების და სამონაწილო გეგმის შესახებ

თბილისის ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიური ფაკულტეტი შეიცავს ყველა იმ საგნებს, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტების სამს ფაკულტეტზეა, — საისტორიო-საფილოლოგიოზე, აღმოსავლეთ ენებისაზე და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოზე. ამჟამად ტექნიკურ და ქონებრივ დაბრკოლებათა გამო (ლაბორატორიებისა და კაბინეტებისათვის მოწყობილობისა და იარაღების შექმნის შეუძლებლობის გამო) ამ ფაკულტეტის მხოლოდ ჰუმანურ და სოციალურ დარგების ლექციები მოეწყობა. შემდეგ (იმედია შემოდგომითგანვე) სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო დარგების ლექციებიც დაიწყება. ჰუმანურ და სოციალურ დარგების ლექციების სიაც თანდათანობით შეიქმნება და მხოლოდ ოთხ წელიწადში შეიქმნება სრული.

ამჟამად-კი, 1918 წ. პირველს სემესტრში, შემდეგი ლექციები იქმნება:

- 1., ფილოსოფიის შესავალი (კვირაში 1 საათს)  
 საფილოსოფიო სემინარი ( „ 2 ს.)
- 2., საექსპერიმენტო ფსიქოლოგიის შესავალი (2 ს.)
- 3., საზოგადო ენათმეცნიერება (2 ს.)
- 4., მსოფლიო ისტორია (2 ს.)

Հայտարարում  
Հայտարարում  
Հայտարարում

Երևանի քաղաքի քաղաքապետարանի կողմից  
 հանրապետության տարածքում կատարվող  
 աշխատանքների շրջանակում կատարվող  
 աշխատանքների կատարման համար  
 հանրապետության տարածքում կատարվող  
 աշխատանքների կատարման համար  
 հանրապետության տարածքում կատարվող  
 աշխատանքների կատարման համար

Հայտարարում  
 Հայտարարում  
 Հայտարարում

Հայտարարում  
 Հայտարարում  
 Հայտարարում

1. Հայտարարումը մնաց (ընդամենը 1 հատ)
2. Կազմակերպության կողմից մնաց (2 հատ)
3. Կազմակերպության կողմից մնաց (2 հատ)
4. Կազմակերպության կողմից մնաց (2 հատ)

- 5., ქართული სიძველეთმცნირება, ანუ არქეოლოგია (2 ს.)
- 6., საქართველოს ისტორია (2 ს.)  
საისტორიო სემინარი (2 ს.)
- 7., საეკლესიო ისტორია (2 ს.)
- 8., ქართულ ძველ მხატვრულ მწერლობის ისტორია (1 ს.)
- 9., რუსეთისა და სლავების ისტორია (2 ს.)
- 10., ქართულ სამართლის წყაროები და ისტორია (1 ს.)
- 11., პოლიტიკური ეკონომია (2 ს.)
- 12., მიწისმფლობელობა საქართველოში (1 ს.)
- 13., ძველი ქართული (2 ს.)
- 14., ლათინური ენა (3 ს.)
- 15., ძველი არაბული ენა (4 ს.)
- 16., ძველი სომხური ენა (2 ს.)
- 17., სპარსული ენა (3 ს.)
- 18., გერმანული ენა (3 ს.)
- 19., ინგლისური ენა (3 ს.)
- 20., ფრანგული ენა (3 ს.)

ყველა ამ საგნების ერთად არამცთუ შესწავლა, მოსმენაც-კი არცერთს სტუდენტს, ან მსმენელს არ ძალუძს და თუნდაც რომ შეიძლებოდეს არც საჭიროა. საუნივერსიტეტო საგნების სივრცე და მრავალფეროვანება სამეც.

- 5.) Գլխային և կրծքային զանգված, այն ժամանակ  
2ս (2կ.)
- 6.) Կրծքային և կրծքային զանգված (2կ.)  
կրծքային կրծքային (2կ.)
- 7.) Կրծքային և կրծքային զանգված (2կ.)
- 8.) Գլխային և կրծքային զանգված, այն ժամանակ  
և կրծքային զանգված (2կ.)
- 9.) Կրծքային և կրծքային զանգված (2կ.)
- 10.) Գլխային և կրծքային զանգված, այն ժամանակ  
և կրծքային զանգված (2կ.)
- 11.) Կրծքային և կրծքային զանգված (2կ.)
- 12.) Կրծքային և կրծքային զանգված, այն ժամանակ  
և կրծքային զանգված (2կ.)

- 13.) Գլխային և կրծքային զանգված (2կ.)
- 14.) Կրծքային և կրծքային զանգված (2կ.)
- 15.) Կրծքային և կրծքային զանգված (2կ.)
- 16.) Կրծքային և կրծքային զանգված (2կ.)
- 17.) Կրծքային և կրծքային զանգված (2կ.)
- 18.) Կրծքային և կրծքային զանգված (2կ.)
- 19.) Կրծքային և կրծքային զանգված (2կ.)
- 20.) Կրծքային և կրծքային զանգված (2կ.)

Կրծքային և կրծքային զանգված, այն ժամանակ  
և կրծքային զանգված (2կ.)

Կրծքային և կրծքային զանգված, այն ժամանակ  
և կրծքային զանգված (2կ.)

Կրծքային և կրծքային զանգված, այն ժամանակ  
և կրծքային զանգված (2կ.)

ნიერო დარგებისდა მიხედვით სპეციალობას აუცილებელ საჭიროებად ხდის. ამის გამო რუსეთის უნივერსიტეტებში განსაკუთრებული განყოფილებანი არსებობენ (კლასიკური, საისტორიო, რომანულ-გერმანული, რუსული და სლავური). რაკი ამგვარი დანაწილება მხოლოდ პრაქტიკულ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არის შექმნილი და მკვიდრ სამეცნიერო საფუძველზე აგებული არაა, ამიტომ ამგვარი დანაწილება ტფილისის უნივერსიტეტში უარყოფილია. ამის მაგიერ სტუდენტების სახელმძღვანელოდ შედგენილია მხოლოდ სანიმუშო სამეცნიერო-სამოსწავლო გეგმა, რომელიც იმ საზოგადო დებულებაზეა დაფუძნებული, რომ ჰუმანურ ცოდნის შეძენა და მეცნიერების შესწავლა შეიძლება ან 1., ფილოსოფიურის თვალსაზრისით, ან 2., ფსიქოლოგიურად, ან 3., ენათმეცნიერების მხრით, ან 4., ხელოვნების თვალსაზრისით (სიტყვიერების ხელოვნება და ხატოვან-ნივთიერი ხელოვნება), ან 5., ისტორიულად, ან 6., სოციალურ-ეკონომიურ თვალსაზრისით. ამ საზოგადო დებულებისდა თანახმად ქვემოთ ჯერჯერობით შემდეგი სამეცნიერო დარგების გეგმა იქმნება მოყვანილი: 1., ფილოსოფიის დარგისა,





უნივერსიტეტი  
თბილისი

2., ფსიქოლოგიის დარგისა, 3., ენათმეცნიერებისა, 4., სიტყვიერებისა, 5., საისტორიო, 6., საეკონომიო. ამ დარგების გარდა სხვაც შეიძლება იყოს და სტუდენტს, ან მსმენელს თითონაც უფლება აქვს თავის სამეცნიერო მისწრაფებისა და სურვილის მიხედვით სხვა საკუთარი გეგმა შეადგინოს და ამ გეგმისდა თანახმად შეიძინოს უნივერსიტეტში სამეცნიერო ცოდნა.

სამეცნიერო დარგების სხვაობისდა მიუხედავად ისეთი საგნებია, რომელთა ცოდნა ყველასათვის არის საჭირო და ამის გამო ყველა დარგებისათვის არის სავალდებულო. ასეთ ყველასათვის სავალდებულო საგნებად 1., ლოლიკა, 2., ფსიქოლოგია, 3., ფილოსოფიის შესავალი 4., საქართველოს ისტორია (დროებით) და 5., ერთ-ერთი თანამედროვე ევროპული ენათაგანი ითვლება.

ამ ყველასათვის სავალდებულო საგნებს გარდა თვითოეულ დარგისათვის განსაკუთრებული საგნებია საჭირო, რომელთა სია ქვემოთ არის მოყვანილი. სანამ სტუდენტი, ან მსმენელი ამ სიების გადაკითხვას შეუდგებოდეს, უნდა გაითვალისწინოს, რომ თვითოეული დარგის შესწავლა ან საზოგადო თეორიის მხრივ, ან ამასთანავე ერთ-ერთ ეროვნების, ან ქვეყნის, ან მეცნიერების საგანგებო შტოისა (მაგ., ისტორიკოსმა შეიძლება

2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100.

2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100.

2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100.

2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100.

2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100.



ან ისტორიის ფილოსოფია (თეორია და მეთოდოლოგია) აირჩიოს, ან ძველ აღმოსავლეთის, ან ძველ საბერძნეთის და რომის, ან საქართველოს, ან სომხეთის, ან სპარსეთის, ან დასავლეთ ევროპის ისტორია. ამგვარადვე ენათმეცნიერმა თავის ცოდნის განსაკუთრებულ საგნად შეიძლება ან ქართულენოვანი ან ინდოევროპული, ან სემური ენათმეცნიერება, ან არადა მხოლოდ ცალცალკე ენა და სხვა-კი არა). ამისდა გვარად სხვადასხვა საგნებს სხვადასხვა მნიშვნელობა ექმნება: ზოგისათვის ერთი ჯგუფი საგნებისა იქმნება საჭირო, ზოგისათვის მეორე, ზოგისათვის მესამე.

### I. ფილოსოფიის დარგი

- 1., ყველასათვის სავალდებულო საგნები.
- 2., ფილოსოფიის ისტორია: ძველი, საშუალო, აღმოსავლეთისა, ქართული და ახალი.
- 3., ენათმეცნიერების შესავალი.
- 4., უმაღლესი მათემატიკის ერთი საგანთაგანი.
- 5., ან საზოგადო ფიზიკა, ან საზოგადო ქიმია, ან მსოფლიო ისტორია.
- 6., ძველი ქართული და სპეციალობისდა მიხედვით ერთ-ერთი ენა: ან ბერძნული, ან ლათინური, ან არაბული, ან სანსკრიტი.

### II. ფსიქოლოგიის დარგი

- 1., ყველასათვის სავალდებულო საგნები.
- 2., საექსპერიმენტო ფსიქოლოგია (თეორია და პრაქტიკული მუშაობა).
- 3., ფილოსოფიის ისტორია.
- 4., ენათმეცნიერების შესავალი.
- 5., საზოგადო ანატომია და ფიზიოლოგია, განსაკუთრებით ნერვებისა.



Հանրային Գրադատարանի Գրադարանի Առկա Պատճառներով Գրքերը չեն փոխանակվում

գոյմեջանք

1. Գոյմեջանք (գոյմեջանք) ստեղծել, թե՛ Գոյմեջանք  
 2. Գոյմեջանք (գոյմեջանք) ստեղծել, թե՛ Գոյմեջանք  
 3. Գոյմեջանք (գոյմեջանք) ստեղծել, թե՛ Գոյմեջանք  
 4. Գոյմեջանք (գոյմեջանք) ստեղծել, թե՛ Գոյմեջանք  
 5. Գոյմեջանք (գոյմեջանք) ստեղծել, թե՛ Գոյմեջանք  
 6. Գոյմեջանք (գոյմեջանք) ստեղծել, թե՛ Գոյմեջանք  
 7. Գոյմեջանք (գոյմեջանք) ստեղծել, թե՛ Գոյմեջանք  
 8. Գոյմեջանք (գոյմեջանք) ստեղծել, թե՛ Գոյմեջանք  
 9. Գոյմեջանք (գոյմեջանք) ստեղծել, թե՛ Գոյմեջանք  
 10. Գոյմեջանք (գոյմեջանք) ստեղծել, թե՛ Գոյմեջանք

Դ. գոյմեջանքի բնույթը

1. Գոյմեջանքի բնույթը և նշանակությունը
2. Գոյմեջանքի բնույթը և նշանակությունը: Գոյմեջանքի բնույթը, ստեղծման պայմանները, փոխանակումը և նշանակությունը
3. Գոյմեջանքի բնույթը և նշանակությունը: Գոյմեջանքի բնույթը, ստեղծման պայմանները, փոխանակումը և նշանակությունը

4. Գոյմեջանքի բնույթը և նշանակությունը: Գոյմեջանքի բնույթը, ստեղծման պայմանները, փոխանակումը և նշանակությունը
5. Գոյմեջանքի բնույթը և նշանակությունը: Գոյմեջանքի բնույթը, ստեղծման պայմանները, փոխանակումը և նշանակությունը
6. Գոյմեջանքի բնույթը և նշանակությունը: Գոյմեջանքի բնույթը, ստեղծման պայմանները, փոխանակումը և նշանակությունը

Ե. գոյմեջանքի բնույթը

1. Գոյմեջանքի բնույթը և նշանակությունը
2. Գոյմեջանքի բնույթը և նշանակությունը: Գոյմեջանքի բնույթը, ստեղծման պայմանները, փոխանակումը և նշանակությունը
3. Գոյմեջանքի բնույթը և նշանակությունը: Գոյմեջանքի բնույթը, ստեղծման պայմանները, փոխանակումը և նշանակությունը
4. Գոյմեջանքի բնույթը և նշանակությունը: Գոյմեջանքի բնույթը, ստեղծման պայմանները, փոխանակումը և նշանակությունը
5. Գոյմեջանքի բնույթը և նշանակությունը: Գոյմեջանքի բնույթը, ստեղծման պայմանները, փոխանակումը և նշանակությունը

- 6., უმაღლეს მათემატიკის ერთი დარგთაგანი.
- 7., საზოგადო ფიზიკა და პრაქტიკული მუშაობა.

### III. ენათმეცნიერების დარგი

ა.

- 1., ყველასათვის სავალდებულო საგნები.
- 2., საზოგადო ენათმეცნიერება.
- 3., საექსპერიმენტო ფონეტიკა, ანუ ბგერათმეცნიერება.
- 4., ყველ-ცხვირ-პირის ანატომია და ფიზიოლოგია.
- 5., ძველი ქართული.
- 6., საზოგადო შედარებითი ენათმეცნიერება (ინდოევროპული, ქართული, სემური და თურქული).
- 7., ერთ-ერთი კლასიკური ენა: ან ბერძნული, ან ლათინური, და სანსკრიტი.

### ბ. ქართული ენათმეცნიერება

ზემოაღნიშნულ 7\* მუხლში დასახელებულს გარდა:

- 8., ქართულ მწერლობის საზოგადო ისტორია.
- 9., ქართული ენის ისტორიული გრამატიკა.
- 10., ახალი ქართული და კილოკავები.
- 11., მეგრულ-ქანური.
- 12., სვანური.
- 13., აბხაზური.
- 14., შედარებითი ქართ.-მეგრულ-სვანურის გრამატიკა.
- 15., არაბული ენა (მომავალში: ან ასურული, ან ებრაული) 4 სემესტრის განმავლობაში.

\* თავდაპირველად ეწერა „6“, მაგრამ შემდეგ ფანქრით გადასწორებულია „7“-ად. ამის შესაბამისად ქვემოთ 7, 8, 9, ... გადასწორებულია იმავე ფანქრით 8, 9, 10... კლიშეში ფანქრით გადასწორებული არ აღიბეჭდა და დარჩა დედნის ძველი დაწერილობა.



Երկրորդ.

- 6.) Գրքերի մասին խոսող և լեզու ունեցող
- 7.) Երկրորդ զինված բանակի 3 խմբեր.

III. ԳՐԱԳ. ՏՈՒՆԻՆԻ ԲԱՆԱ.

- 1.) Գրքերի մասին և լեզու ունեցող
- 2.) Երկրորդ գրքերի մասին
- 3.) Երկրորդ զինված բանակի 3 խմբեր
- 4.) Գրքերի մասին և լեզու ունեցող
- 5.) Գրքերի մասին
- 6.) Երկրորդ զինված բանակի մասին (և լեզու ունեցող)
- 7.) Գրքերի մասին և լեզու ունեցող

4.) Գրքերի մասին լեզու ունեցող

- Գրքերի մասին և լեզու ունեցող
- 7.) Գրքերի մասին և լեզու ունեցող
- 8.) Գրքերի մասին և լեզու ունեցող
- 9.) Գրքերի մասին և լեզու ունեցող
- 10.) Գրքերի մասին
- 11.) Գրքերի մասին
- 12.) Գրքերի մասին
- 13.) Գրքերի մասին և լեզու ունեցող
- 14.) Գրքերի մասին (և լեզու ունեցող)
- 15.) Գրքերի մասին (և լեզու ունեցող)

Մանկավարժական Գրքարանի Գրքերի Կառավարություն

16., ან სომხური, ან სპარსული, ან თურქული (2 სემესტრის განმავლობაში).

#### IV. სიტყვიერების დარგი

- 1., ყველასათვის სავალდებულო საგნები.
- 2., ენათმეცნიერების შესავალი და სინტაქსისი.
- 3., სიტყვიერების თეორია.
- 4., ესთეტიკის ისტორია და თეორია.
- 5., ძველი ქართული ენა.
- 6., საზოგადო და ქართული საეკლესიო მწერლობის ისტორია.
- 7., ძველ ქართულ მხატვრულ მწერლობის ისტორია.
- 8., ახალი ქართული მხატვრული მწერლობის ისტორია.
- 9., ქართული ხალხური პოეზია (და კილოკავები ან მეგრულ-ქანური, ან სვანური).
- 10., მსოფლიო მწერლობის ისტორია სპეციალობისდა მიხედვით: ან ბერძნულ-რომანულის, ან ბერძნულ-ლათინურ-ბიზანტიურის, ან არაბულ-სპარსულის, ან სომხურის, ან სპარსულ-თურქულის, ან რუსულის.
- 11., სპეციალობისდა მიხედვით ენები: ან ბერძნულ-ლათინური, ან სომხური, ან გერმანულ-ფრანგული, ან ინგლისური, ან არაბული და სპარსული, ან თურქული, ან რუსული.

#### V. საისტორიო დარგი

- 1., ყველასათვის სავალდებულო საგნები.
- 2., ენათმეცნიერების შესავალი.
- 3., ქართულ სამართლის ისტორია, ან სამართლის თეორია.
- 4., პოლიტიკური ეკონომია.
- 5., საზოგადო და ქართული სიძველეთა მემკვიდრეობა.



- 6., ძველი აღმოსავლეთის ისტორია.
- 7., მსოფლიო ისტორია.
- 8., მახლობელ აღმოსავლეთის ისტორია (არაბეთი, სპარსეთი და ოსმალეთი, სომხეთი).
- 9., მსოფლიო და ქართული საეკლესიო ისტორია.
- 10., ისტორიის მეთოდოლოგია და ფილოსოფია.
- 11., მსოფლიო ან ქართულ ხელოვნების ისტორია.
- 12., ძველი ქართული ენა და სპეციალობისდა მიხედვით ენები: ან ასსირიული, ან ბერძნულ-ლათინური, ან სომხური და არაბული, ან არაბული და სპარსული, ან ლათინური და ერთ ევროპ. ენათგანი, ან ოსმალური და იტალიური.

ამას გარდა ვინც განსაკუთრებულ საგნად საქართველოს ისტორიას  
აირჩევს:

- 13., ქართველ ერის ისტორია (სპეც. კურსები) და საქართველოს საისტორიო გეოგრაფია.
- 14., საქართველოს ეკონომიური ისტორია.
- 15., ქართული მწერლობის ისტორია (საზოგ. კურსი).
- 16., ქართული ეპიგრაფიკა, პალეოგრაფია, სფრაგისტიკა და ნუსშიზ-მატიკა.

## VI. საეკონომიო დარგი

- 1., ყველასათვის სავალდებულო საგნები.
- 2., პოლიტიკური ეკონომია და სემინარი.
- 3., სტატისტიკა (თეორია და პრაქტიკული ვარჯიშობა).
- 4., საფინანსო მეცნიერება.
- 5., სახელმწიფო სამართალი.
- 6., სააღმკვეთი სამართალი.
- 7., საერთაშორისო სამართალი.
- 8., სამოხელეო სამართალი.
- 9., საეკონომიო მოძღვრებათა ისტორია.

- 6.) ճշգրտ. սրժանեցողանե ճշգրտ.
- 7.) ճշգրտ. ճշգրտ.
- 8.) սրժանեցողանե ճշգրտ. (սիժան. Եժիկան բառ  
ճշգրտ. Եժիկան).

- 9.) ճշգրտ. բն ճիշակման կարգով ճշգրտ.
- 10.) ճշգրտ. կարգով ճշգրտ.
- 11.) ճշգրտ. բն ճիշակման կարգով ճշգրտ.
- 12.) ճշգրտ. կարգով ճշգրտ. (սիժան. Եժիկան բառ  
ճշգրտ. Եժիկան).

- ճիշակման հաշիվը
- 13.) ճիշակման հաշիվը (սիժան. Եժիկան բառ  
ճշգրտ. Եժիկան).
  - 14.) ճիշակման հաշիվը (սիժան. Եժիկան բառ  
ճշգրտ. Եժիկան).
  - 15.) ճիշակման հաշիվը (սիժան. Եժիկան բառ  
ճշգրտ. Եժիկան).
  - 16.) ճիշակման հաշիվը (սիժան. Եժիկան բառ  
ճշգրտ. Եժիկան).

Գ. Կարգով ճշգրտ.

- 1.) կարգով ճշգրտ. կարգով ճշգրտ.
- 2.) կարգով ճշգրտ. կարգով ճշգրտ.
- 3.) կարգով ճշգրտ. կարգով ճշգրտ.
- 4.) կարգով ճշգրտ. կարգով ճշգրտ.
- 5.) կարգով ճշգրտ. կարգով ճշգրտ.
- 6.) կարգով ճշգրտ. կարգով ճշգրտ.
- 7.) կարգով ճշգրտ. կարգով ճշգրտ.
- 8.) կարգով ճշգրտ. կարգով ճշգրտ.
- 9.) կարգով ճշգրտ. կարգով ճշգրտ.
- 10.) կարգով ճշգրտ. կարգով ճշգրտ.
- 11.) կարգով ճշգրտ. կարգով ճշգրտ.
- 12.) կարգով ճշգրտ. կարգով ճշգրտ.
- 13.) կարգով ճշգրտ. կարգով ճշգրտ.
- 14.) կարգով ճշգրտ. կարգով ճշգրտ.



Մանկավարժական համալսարանի գրադարան

- 10., საქართველოს ეკონომიური ისტორია.
- 11., ქართულ სამართლის ისტორია.
- 12., მიწათმფლობელობა საქართველოში.
- 13., ერთ-ერთი ან ევროპული, ან აღმოსავლეთის ენათაგანი.
- 14., ბუხჰალტერია (თეორია და პრაქტიკ. ვარჯიშობა)

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის

დეკანი ივ. ჯავახიშვილი

ვახტანგ ბერიძე

## ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი

ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი ფართო საზოგადოებისათვის დღეს ნაკლებად არის ცნობილი. ეს ადამიანი მეოთხედი საუკუნის მანძილზე ჩუმად და დაუღალავად იღვწოდა ჩვენი კულტურის ასპარეზზე, ასევე უხმაურო იყო მისი სიკვდილი, იმდროინდელმა პრესამ საჭიროდ არ სცნო გამოხმაურებოდა ამ ამბავს და მას შემდეგაც იგი ბევრს არავის გახსენებია: არავის არ უზრუნვია მისი ნამუშევრების მოგროვებისა და შენახვისათვის, არავის არაფერი არ დაუწერია მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ და, ბუნებრივია, რომ დღეს უმრავლესობისათვის ეს სახელი არაფრის მთქმელია. თვით იმ ახალგაზრდობის უდიდესმა ნაწილმაც კი, რომელიც თავისი სტუდენტობის წლებს უნივერსიტეტში ატარებს, ალბათ არ იცის, რომ ეს უზარმაზარი, ყველა თბილისელისათვის ასე კარგად ცნობილი შენობა სიმონ კლდიაშვილის პროექტით არის აგებული.

ხუროთმოძღვრის ხსოვნისადმი ამგვარმა უყურადღებობამ უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი: მისი არქივი სულ რამდენსავე საბუთს-ლა შეიცავს, მისი უმთავრესი პროექტები დაკარგულია და ზოგიერთი საინტერესო ნაწარმოებისათვის ჩვენ სიტყვიერი ვადმოცემების გარდა, არა ვაგვაჩნია რა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან აძნელებს საქმეს და ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი სახის მთლიანად დახატვის საშუალებას გვისპობს. მაგრამ ის მასალა, რომელიც ჩვენ ხელთ არის, მაინც საკმარისია კლდიაშვილის შესახებ თუნდაც ზოგადი წარმოდგენის მისაღებად. შემდგომი მუშაობა კი, ალბათ, ბევრ ისეთ რამესაც გამოავლენს, რაც ჯერ ჯერობით ჩვენთვის უცნობი დარჩა.

### I

სიმონ კლდიაშვილი 1865 წლის თებერვლის 2/14-ს დაიბადა<sup>1</sup>, სოფ. ქვიშხეთში. მამა მისი, გრიგოლ ლუარსაბის ძე, ქუთაისის საგუბერნიო ნმ-ე ბატალიონის პოდპორუჩიკი, სიმონთელი იყო, ხოლო დედა ეფროსინე — „ქვიშხეთელი ყიფიანის გვარის ქალი, დიმიტრი ყიფიანის ახლობელი ნათესავი“<sup>2</sup>. ბავშვი ქუთაისში იზრდებოდა: აქ მის მშობლებს საკუთარი სახლი ჰქონდათ და

<sup>1</sup> იხ. მოწმობა, გაცემული 1895 წლის 19. V მოსკოვის სამხატვრო საზ-ბის საბჭოს მიერ.

<sup>2</sup> დ. კლდიაშვილი, მემუარები, გვ. 295.



მათი ოჯახი ერთი უმთავრეს კულტურულ კერათაგანი იყო. ეფროსინე კლდიაშვილი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველა საზოგადო საქმეში, მნიშვნელოვანი როლი ითავსებდა რუსულიდან, წერდა პატარპატარა წერილებს<sup>1</sup> და იმავე დროს სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენებშიც თამაშობდა. ამ სპექტაკლებში მის პარტნიორებად, სხვათაშორის, რაფიელ ერისთავი და აკაკი წერეთელიც იყვნენ და უკვე ეს გარემოებაა საკმარისი იმ დიდი მნიშვნელობის გასათვალისწინებლად, რომელიც სცენისმოყვარეთა მოღვაწეობას ქუთაისის კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებისათვის ჰქონდა. „პირველად რომ თეატრმა ქუთაისში ბიჯი გადადგა, — წერდა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ აკაკი<sup>2</sup> — ეფროს თან დაჰყვა და თანასწორმომხიბლავად თამაშობდა, როგორც დრამატიულს, ისე კომიკურ როლებსაც“... „...ახლა..., როცა თეატრზე რამეს სწერენ, ეფროს ხსენებაც არ არის და მე კი უნდა აღვიარო, რომ ჯერ ქართულ სცენაზე უკეთესი მოთამაშე არ გამოსულა... არა თუ უსასყიდლოდ თამაშობდა, პირიქით, თავის ლარიბ ქონებიდანაც ბევრი დაუხარჯავს თეატრის გულისთვის“.

კლდიაშვილების ოჯახი მეტად მრავალრიცხოვანი იყო; სიმონის გარდა, მათ კიდევ თერთმეტი ბავშვი ჰყავდათ, მაგრამ მხოლოდ ოთხი ძმა და ოთხი და გაიზარდა. ეფროსინეს „ქალიშვილი იყო მარიამ ძნელადისა, პირველი ქართველი მომღერალი — კონსერვატორია დასრულებული ქალი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული მუსიკის განვითარებისათვის შრომაში“<sup>3</sup>. 1880 წელს მისი მონაწილეობით დაიდგა ქართულად ოდრანის ოპერეტა „მასკოტა“, რომელიც ქართულ სცენაზე „ნატურის თვალის“ სახელით იყო მონათლული. სიმონის ერთი ძმა, ანდრია, ტექნიკოსად მუშაობდა, ხოლო მეორე, ალექსანდრე, ოდესის უნივერსიტეტის ასისტენტი, 1905 წლის 20. X დაიღუპა რუს შავრახმელთა მიერ ებრაელთა დარბევის დროს. იგი საქართველოში ჩამოასვენეს და მასი დაკრძალვა თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო დიდ მანიფესტაციად გადაიქცა.

სიმონმა საშუალო განათლება ქუთაისში მიიღო, შემდეგ თბილისში, სამასწავლებლო ინსტიტუტში განაგრძო სწავლა, ბოლოს კი მოსკოვს გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად. აქ იგი მოსკოვის სამხატვრო საზოგადოების „ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში“<sup>4</sup> შედის, საარქიტექტურო დარგზე. ამ სასწავლებელში, რომელიც 1842 წლიდან არსებობდა, ძალიან ბევრ რუს ხელოვანს მიუღია განათლება. სახუროთმოძღვრო დარგის კურსდამთავრებულთ იგი არქიტექტორის წოდებას ანიჭებდა და სამშენებლო სამუშაოთა წარმოების უფლებას აძლევდა. კლდიაშვილმა 1895 წელს ვერცხლის დიდი მედალით დაასრულა კურსი და მიიღო წოდება Класный художник архитектуры, „с предоставлением ему по сему званию права на чин XIV класса и с правом производить постройки“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> დ. კლდიაშვილი, მემუარები, გვ. 295.

<sup>2</sup> აკაკი, განხეივება თეატრის შესახებ: „თეატრი და ცხოვრება“, 1910, № 36.

<sup>3</sup> დ. კლდიაშვილი, მემუარები, გვ. 296.

<sup>4</sup> Московского Художественного Общества Училище Живописи, Ваяния и Зодчества.

<sup>5</sup> იხ. მისი დიპლომი, გაცემული 1895 წლ. 5. XII და მოწმობა — 1895 წლ. 19. V-სა.



სიმონ კლდიაშვილი



პროფ. იაკობ ნიკოლაძის ცნობით, მისი სადიპლომო თემად ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი ყოფილა. ჩვენს ხელთა გვაქვს კლდიაშვილის ორი აკადემიური პროექტი (ერთი მათგანი — სახანძრო რაზმის შენობა), რომლებიც გარკვევით ამჟღავნებს ხუროთმოძღვრის ინტერესს დასავლ. ევროპის შუასაუკუნეებრივ, განსაკუთრებით გუთურ არქიტექტურისადმი.

ამის შემდეგ, რამდენიმე ხნის განმავლობაში, იგი კერძო საქმეებზე მუშაობდა კოსტრომის გუბერნიაში<sup>1</sup>, ხოლო 1896 წელს მიწვეულ იქნა სოხუმს, ქალაქის ხუროთმოძღვრად. ჩვენთვის უცნობია, აქვს თუ არა აგებული რაიმე შენობა კლდიაშვილს სოხუმში, და საერთოდ, რაში გამოიხატებოდა მისი მოღვაწეობა ახალ თანამდებობაზე. ყოველ შემთხვევაში, აქ იგი დიდხანს არ დარჩენილა, 1899 წელს მან ახალ სამუშაოს მოჰკიდა ხელი: ეს სამუშაო თბილისის სათავადაზნაურო სკოლის შენობის პროექტის შედგენა და თვით მშენებლობის ხელმძღვანელობა იყო. სწორედ ეს არის უმთავრესი ეტაპი კლდიაშვილის „ხუროთმოძღვრული“ ბიოგრაფიისა. როგორც ამ უზარმაზარი შენობის ავტორი, სიმონ კლდიაშვილი იმ საქმის ერთი უმთავრეს მონაწილეთაგანი გახდა, რომელსაც თავის დროზე უდიდესი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საზოგადოებისათვის. უფრო მეტიც: ეს საქმე, მოწინავე მოღვაწეთა თვალში, ზოგადდროვნულ მოვლენად იყო მიჩნეული.

სათავადაზნაურო სკოლა თბილისში 1879 წლის თებერვალში დაარსდა<sup>2</sup> და თითქმის ორმოც წელს იარსება, რევოლუციის წლებამდე. მიუხედავად სახელწოდებისა, ამ სკოლაში, რომელიც შემდეგ უკვე ქართულ გიმნაზიად იქცა, ყველა წოდების ბავშვები სწავლობდნენ. იგი „გიმნაზიის კურსის მქონე ერთადერთი საშუალო სასწავლებელი იყო, რომელიც ნაკლებად შემძლე ქართველებს თავისი ბავშვების ასე თუ ისე აღზრდის საშუალებას აძლევდა“<sup>3</sup>. 1914 წელს, მაგალითად, 851 მოწაფიდან თავადაზნაურის ბავშვი მხოლოდ 364 იყო, სხვები — სასულიერო წოდებისა, მოხელეთა, მოქალაქეთა და უმთავრესად გლეხის შვილები იყვნენ. მეფის რუსეთის სასტიკი გამარუსებელი პოლიტიკის პირობებში, ბუნებრივია, ამ სკოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მოეპოვებინა: სხვა საგნების გარდა, აქ ისწავლებოდა „სამშობლოს აღწერა, ქართული ენა და ქართულ ენასთან ერთად საქართველოს ისტორია“<sup>4</sup>. და ესეც კი საქმარისი იყო იმისთვის, რომ მოწინავე ქართველ ინტელიგენციას სკოლის წარმატება ჩვენი კულტურის აღორძინების საწინდრად მიეჩნია.

ეს საშუალო სასწავლებელი, — წერდა მისი დაარსების გამო ილია ჭავჭავაძის „ივერია“, ჩვენი საკუთარი, ქართული სასწავლებელი, შეიქმნება ჩვენის ხალხისთვის სახსარი უფრო მომეტებულის სწავლისა და განათლების შესაძენად.

<sup>1</sup> თუ დაფუძერებთ „თ. და ცხ.“-ში მოთავსებულ ნეკროლოგს.

<sup>2</sup> „დროება“, 1879 წ., № 100.

<sup>3</sup> Кавказский край (გ. ესაძის რედაქტორობით), 1905, № 5. Эргнели, Тифлисская Грузинская дворянская школа.

<sup>4</sup> 1898 წ. ანგარიში თბ. გუბ. თავ.-აზნ. სახ.-ბისა დარბ მოწაფეთა შემწეობისათვის.

ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენ ჩვენს საკუთარს, ქართველს ინტელიგენციას, ე. ი. იმგვართ პირთ, რომელნიც არიან დედა-ბოძნი ყოველს სახლის განვითარებისა და წარმატებისა...“<sup>1</sup>.

მისი არსებობის მანძილზე, სათავადაზნაურო სკოლაში, ანუ, როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებდნენ ხოლმე, „ქართულ გიმნაზიაში“, ბევრი ცნობილი პედაგოგი და მოღვაწე მუშაობდა: ე. თაყაიშვილი, არისტო ქუთათელაძე, ვლადლორთქიფანიძე, დავ. კარიჭაშვილი, ლ. ბოცვაძე, ივ. რატიშვილი, შიო ჩიტაძე, სერგი გორგაძე, ალ. ჭიჭინაძე, ალ. მიქაბერიძე, გ. ნათაძე, ს. იაშვილი, აკ. შანიძე, ალ. ჯანელიძე და სხვები; იგი ერთი მთავარ ცენტრთაგანი იყო ჩვენი კულტურული ძალების თავმოყრისა. მისთვის ხელის შესაწყობად იმთავითვე არსებობდა ე. წ. „ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“, რომელსაც სათავეში ე. წ. „გამგე კომიტეტი“ ედგა.

თავდაპირველად სასწავლებელს მხოლოდ მოსამზადებელი ჯგუფები ჰქონდა, შემდეგ, ყოველწლიურად ახალ ჯგუფს ხსნიდნენ, ხოლო 1899 წლის 1. IX-დან იგი უკვე რვაკლასიან გიმნაზიას წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, ერთი უმთავრეს საზრუნავთაგანი, თავიდანვე, სკოლისთვის შესაფერი სადგომის გამოძებნა იყო. ოცდახუთი წლის განმავლობაში ოთხი ბინა გამოიცვალეს, მაგრამ ვერც ერთი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას; სივიწროვისთვის თავის დაღწევა არ მოხერხდა. აუცილებელი გახდა ახალი შენობის აგება.

1897 წლის 22. V. „შეუძლებელ მოსწავლეთა შემწე საზ-ბის“ კრებამ მოისმინა „გამგე კომიტეტის“ მოხსენება, რომელშიც ნათქვამი იყო შემდეგი: „რადგანაც გურგენბეგოვების სახლის სყიდვა არ მოხდა, ამიტომ საჭიროა საზოგადოებამ ეხლავე იზრუნოს მიწის შეძენისთვის და მასზედ სათავადაზნაურო სკოლისთვის შესაფერი შენობის აშენებისათვის, ვინაიდან თითქმის მთელ ტფილისში არ მოიპოვება იმისთანა სახლი, რომელიც შესაფერი იყოს სკოლისთვის. გამგე კომიტეტი თავის მოხსენებით სთხოვდა საზოგადო კრებას მიენდოს მას მიწის შესაძენად, სადაც ის დაინახავს სასარგებლოდ, გამონახოს სახსარი ფულის შოვნისა: კერძო ვალის აღებით, ანუ სესხის აღებით რომელიმე საკრედიტო დაწესებულებიდან. კრებამ გადაწყვიტა: დაევალოს განგე კომიტეტს მიწის სყიდვა, სადაც ის ჰპოებს სასარგებლოდ და ამ მიწაზე სათავადაზნაურო სკოლისათვის შენობის აგება, რისთვისაც მიენდოს მას ამ საგნისთვის ისესხოს ფული სადაც და ვისთანაც ჰპოებს შესაძლოდ და საზოგადოების სასარგებლოდ...“<sup>2</sup>.

ამ კრებას თავმჯდომარეობდა ნიკოლოზ ცხვედაძე და სწორედ ეს აღამიანი იყო მთელი ამ საქმის სულისჩამდგმელი. თუ დღეს თბილისის უნივერსიტეტის შენობა არსებობს, ეს უმთავრესად ნიკოლოზ ცხვედაძის თავდადებული მუშაობისა და დაუშრეტელი ენერჯის წყალობაა. სამშენებლო კომისიის სათავეში ჩადგომის დღიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მას თავისი მზრუნველობა არ მოუკლია გიმნაზიის მშენებლობისათვის და მიუხედავად ათასგვარი

<sup>1</sup> „ივერია“, 1879, № 4. „შინაური მიმოხილვა“, გვ. 156.

<sup>2</sup> საზ-ბის ანგარიში 1897 წლისა, გვ. 3.



დაბრკოლებისა, მიუხედავად წრავალი დამცირებისა, მაინც შეძლო ჩინის მხრივ ლომდე მიყვანა.

1898 წლისთვის გამგე კომიტეტმა ვერაზე, ვარაზის ხევს გაღმა, თავ. სოლომონ ალექსანდრის ძის ბებუთაშვილისგან ექვსი დესეტინა ადგილი შეიძინა<sup>1</sup>. „სულ მიწის სტიღვა დაჯდა 21002 მან. და 15 კაპ.“<sup>2</sup>.

უკვე ეს ამბავი გამხდარა მითქმა-მოთქმისა და კორების საბაზად. ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვით, ცხველადქს „... ჰკიცხავდნენ მრავალნი ყვედრებით: ვერის მეღებისა და ტურებისათვის უყიდნია სკოლის ადგილი და ქართველი ყმაწვილები ვერელ ელიბუა მენახშირე და მეშეშეებისკენ უნდა გარეკოსო“<sup>3</sup>.

იმავე წლის 23. IV. საზოგადო კრებამ დაავალა კომიტეტს სახსრების გამონახვა სკოლის შენობის ასაგებად და დაადგინა „მიეცეს გამგე კომიტეტს უფლება იმოქმედოს სრულიად თავისუფლად სკოლის სახლის აშენებაში“<sup>4</sup>. საქმეს გულშემატკივარი აღმოუჩნდნენ: თავ. კ. ბაკრატიონ-მუხრანბატონმა, ძმებმა ზუბალაშვილებმა, დავით სარაჯიშვილმა მნიშვნელოვანი თანხა შესწირეს და მუშაობაც გაჩაღდა: შეიძინეს საშენი მასალა და საგანგებო აგურის ქარხანაც გამართეს. 1899 წელს ამ საქმეზე 1700 მანეთამდე დაიხარჯა<sup>5</sup>. იმავე 1899 წელს, ან 98-ის ბოლოს გამგე კომიტეტმა გიმნაზიის შენობის პროექტის შესადგენად და „შენობის აშენების დროს მეთვალყურეობისათვის“ დაადგინა სიმონ კლდიაშვილის მოწვევა. შრომის ფასად მას დაუნიშნეს „3% ყველა შენობათა ღირებულებისა, რაიც კი მისი ხელძღვანელობით იქნებოდა აშენებული“, პლუს 1% გეგმის შედგენისათვის<sup>6</sup>. რა თქმა უნდა, ამ საქმის ჩაბარება კლდიაშვილისთვის, დიდ პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთად, უდიდესი ნდობის გამოცხადებასაც ნიშნავდა; ამოცანა მეტად რთული იყო ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით: არქიტექტორს უნდა შეექმნა უზარმაზარი სახლი რომელიც თავისი მოცულობით თბილისში არსებულ ყველა სხვა შენობას აღემატებოდა და მრავალგვარი დანიშნულების სადგომებს შეიცავდა. და იმავე დროს, ეს იყო „დიდებული საქმე ქართველი ერისა“: ნიკოლოზ ცხველადქს, რომელსაც მუდამ ღრმად სწამდა საქართველოს უკეთესი მომავალი, არა ერთხელ უთქვამს, აქ ოდესმე ჩვენი უნივერსიტეტი მოთავსდებაო<sup>7</sup>.

სიმონ კლდიაშვილი იმ დროს მაინცდამაინც დიდი გამოცდილების მქონე ხუროთმოძღვარი არ უნდა ყოფილიყო: მისი სტაჟი ოთხ-ხუთ წელიწადს არ აღემატებოდა. მაგრამ რაკი ცხველადქმ ყველა სხვა სახელმძღვანელო ოსტატ გვერდი აუხვია და სწორედ მას მიმართა, ალბათ კლდიაშვილს უკვე გამოჩენილი ჰქონდა თავისი ცოდნა და მუშაობის უნარი.

<sup>1</sup> საზ-ბის ანგარიში 1898 წლისა.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 55.

<sup>3</sup> იხ. ზ. ჭიჭინაძე, დიდებული საქმე ქართველი ერისა, ტფ. 1908, გვ. 34.


<sup>4</sup> საზ-ბის ანგარიში 1898 წ. 23. IV. კრების ოქმი.

<sup>5</sup> საზ-ბის ანგარიში 1899 წლისა, გვ. 51.

<sup>6</sup> საზ-ბის ანგარიში 1916 წლისა, გვ. 20-21.

<sup>7</sup> გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 150.

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს  
სამართლებრივი დეპარტამენტი



ს. კლდიაშვილი. ქართული გიმნაზიის შენობის პროექტი. შთავარი ფასადი.



ახალგაზრდა არქიტექტორს არ გაუტრუევიბია მისი იმედები: იგი ჩამოვინდობდა თბილისს, შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას და სულ ბოლომდე მასთან ერთად სწევდა ამ მძიმე უღელს. ამიერიდან მისი ცხოვრება მჭიდროდ და განუყრელად იყო დაკავშირებული გიმნაზიის მშენებლობასთან.

სამწუხაროდ, ჩვენ კლდიაშვილის შემოქმედებითი მუშაობის შესახებ მსჯელობის საშუალებას მოკლებული ვართ; როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ავტორის ნახაზებს ჩვენ ვერ მივაგენით, არა გვაქვს არც საპროექტო მოცემულობა, რომელიც ხუროთმოძღვარს ჰქონდა ხელთ, ე. ი. ფაქტიურად არ ვაგვაჩნია ის მასალა, რომელიც აუცილებელია არქიტექტურული ობიექტის სათანადოდ განხილვისათვის. უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმ არასრული და, ალბათ, არც საესე-ბით ზუსტი ცნობებით, რომლებიც პრესაში ჩნდებოდა ხოლმე, ორიოდ ფოტოსურათითა და ზოგიერთი ზეპირი ცნობით. ერთი ასეთი ცნობის თანახმად, გიმნაზიის შენობა თავდაპირველად უფრო მცირე ზომისა, სამსართულიანი ყოფილა განზრახული და მხოლოდ შემდეგ, როცა პროექტი დამთავრებული იყო, ცხვედაძეს მისი გაფართოება გადაუწყვეტია: მან გაადიდებინა სააქტო დარბაზი, გამრავლებინა კლასები და ეკლესია დაამატებინაო (გიმნაზიის ყოფ. თანამშრომლის დი. მ. ეპიტაშვილის გადმოცემით). გიმნაზიაში მრავალი დამატებითი და დამხმარე სადგომი ჰქონდათ გათვალისწინებული, მაგრამ უმთავრესი, ცხადია, საკლასო ოთახები და პანსიონი იყო. „ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება შემდგენიარად მოგვითხრობს სადგომთა განაწილებას შენობაში: „ძირის ნახევარ სართულში მოთავსდებოდა: სასადილო დარბაზი, ხელსაქმის კლასები, სამზარეულო, ბუფეტი, კანცელარია, არხივი, საგიმნასტიკო დარბაზი და სხვ. პირველ სართულში კანტორა, დირექტორის, ინსპექტორის და მასწავლებელთა კაბინეტები, ორი სარეკრეაციო დარბაზი, 9 კლასი და სხვ. მე-2 სართულში: ეკლესია, სადღესასწაულო აქტის გასამართი დარბაზი, სხვადასხვა სამეცნიერო კაბინეტები, 9 კლასი, სამუსიკო კლასი და სხვ. მე-3 სართულში: პანსიონის სადგომი. სულ შენობა დაიტევს 800 მოწაფეს, პანსიონი სამასს, ეკლესია რვაასს“<sup>1</sup>.

1899 წლის თებერვალში ესკიზები, როგორც ჩანს, უკვე მზად იყო: თებერვლის 21-ს კლდიაშვილი ცხვედაძეს სწერდა: გიგზავნით გეგმებს, რომლებშიც შემდეგ, სრული პროექტის შედგენისას, ზოგი რამ შეიცვლება და დაზუსტდებაო.

როგორია ამ შენობის გეგმა? იგი სავსებით სიმეტრიულია და მიუხედავად სიდიდისა, საკმაოდ ნათელი კონფიგურაცია აქვს, მონახულებით დაახლოებით ქართულ M-ს ჰგავს, მხოლოდ შუა კიდური განაპირებზე საგრძნობლად უფრო მოკლეა და ბოლოში ფართოვდება. კომპოზიციის ცენტრში ყველაზე უფრო დიდი სადგომებია თავმოყრილი: ვრცელი ვესტიბული, რომელიც მეორე სართულშია მოწყობილი, ფართომარშიანი კიბეები და სასპორტო დარბაზი. ამ უკანასკნელს შუა კიდურის ბოლოში ქვემო ორი სართულის სიმაღლე უჭირავს. ვესტიბულის თავზე ეკლესიაა, ხოლო მოპირდაპირე მხარეს, სასპორტო სადგომს ზემოთ, სააქტო დარბაზი (აწინდელი კლუბი). კლუბიცა და ეკლესიაც

<sup>1</sup> „ცნობის ფურცელი“ 1901 წ. 19. VIII, № 2. აქ დაბეჭდილია მთავარი ფასადის ნახაზის რეპროდუქცია.

აგრეთვე ორშუქიანია და მთელი შენობის სიმაღლეს ავსებს. ყველა სხვა სადგომი ამ ცენტრალური ბირთვის გარშემოა განლაგებული, სიმეტრიულ ფორმებში. მიუხედავად მცირე ღრობისა, რომელიც ამ შენობის აგების შემდეგ გავიდა, მის ცალკეულ სადგომებს საგრძნობი ცვლილებები აქვს განცდილი: ეკლესიას უკვე საესებით დაეკარგა თავდაპირველი სახე: იგი ორსართულად და მრავალ მცირე ოთახად არის დანაწილებული და უწინდელი სივრცის წარმოდგენაც, რა ოქმა უნდა, სრულიად აღარ ხერხდება. ძლიერ გადაკეთებულია, დამატებითი ტიხრების საშუალებით, ზოგიერთი სხვა ნაწილიც, განსაკუთრებით ის, სადაც ამჟამად უნივერსიტეტის ადმინისტრაციაა მოთავსებული. მაგრამ ის, რაც ხელუხლებლად დარჩა — ფართო, სინათლიანი დერეფნები და აუდიტორიები — გარკვევით მოწმობს ხუროთმოძღვრის ზრუნვას მაქსიმალურად მოხერხებული, კეთილმოწყობილი ბინის შექმნისათვის.

ადვილი არ იყო შენობის გარეგნული გაფორმება. გარშემო დიდი, ცარიელი სივრცე იყო, მეზობლად არც ერთი სხვა სახლი. შენობა ყოველმხრივ დიდი მანძილიდან ჩანდა. ფასადთაგან უფრო მნიშვნელოვანია ორი: ერთი — ბაღისა, მეორე კი ახლანდელი მარის ქუჩისა, ერთიცა და მეორეც ქალაქიდან მომავალ მთავარ გზისკენ მიმართული. მესამეს (მდ. ვერისკენ მიქცეულს), ბუნებრივია, ნაკლები ყურადღება უნდა მიეპყრო, მით უფრო იმ დროს, როცა ქალაქი იქეთ ჯერ კიდევ არ იყო გაზრდილი. შენობის გარეგნული სახისთვის ხუროთმოძღვარმა რენესანსული ფორმები აირჩია. მიუხედავად ობიექტის სიდიდისა და არქიტექტურულ ელემენტთა სიმარტივისა (როგორც ყოველ სხვა სასწავლებელში, ფასადის შესაქმნელად მას აქაც, ძირითადად, მხოლოდ დიდი ფანჯრებითა და მცირე შუაკედლისებით შეეძლო ოპერირება), მან მაინც შეძლო მონოტონურობის თავიდან აცილება, თუმცა დეკორს იგი ძალიან ზომიერად, ძუნწადაც კი ხმარობს.

მთავარი — ბაღის ფასადია, შენობა ამ მხარეს „იყურება“. ცენტრი — მკაფიოდ გამოყოფილი: რამდენადმე წინ წამოშვერილი, უფრო მაღალი დამაგვირგვინებელი ნაწილითა და გარეგანი „გუმბათით“ აღჭურვილი. ფართო კიბე და ორმხრივი პანდუსი ეკიპაჟებისთვის — პირდაპირ მეორე სართულის დონემდე აღის. ეს თითქოს ამოღლებს შენობას, უფრო სახეიმოსა და მონუმენტალურ იერს ანიჭებს მას. შუაში — სამი ერთნაირი შესასვლელი კარი, მათ ზემოთ, ცენტრალურ ნაწილში, მცენარეული კაპიტელებით აღჭურვილ პილასტრების კოლოსალური ორდერი, რომელიც ორ ზემოთა სართულს ჰკრავს; მაღალი ანტაბლემენტი, საგრძნობლად შვერილი ფოთლოვანი კრონშტეინებითა და იონიკებით შემკული კარნიზი, დასასრულ, მცირე პარაპეტი. ეს — მთელ შენობაში ყველაზე უფრო მორთული ნაწილია და იგი ყველაზე უფრო სახეიმო სადგომს — ეკლესიას შეესაბამება. ფასადის ფრაგები შედარებით მარტივია: ნაპირებში — ორი შვერილი, რომლებიც, ხაზგასმულ ცენტრთან ერთად, კედლის მთავარ დამანაწევრებელ ელემენტებს შეადგენს პორიზონტალური მიმართულებით. რუსტოვანისა და გლუვი ფაქტურის დაპირისპირება, პროფილირებული სარტყლები პირველსა და მეორე სართულებს ზემოთ, სამკუთხა და ნახევარწრიული ფრონტონების მონაცვლეობა ფანჯრების თავზე, თვით ფანჯრების თალოვანი და არქიტრავეული გადახურვა,



იონიკებიანი კარნიზი და ბალუსტრადი — აი ის ჩვეულებრივი არქიტექტურული ფორმები, რომელთაც ავტორი იყენებს ამ უზარმაზარი ზედაპირის დასამუშავებლად. ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: არქიტექტორის ნახაზსა და არსებულ ფასადს შორის ცენტრალურ ნაწილში საგრძნობი განსხვავებაა: ნახაზის თანახმად, ფასადის ყველა ნაწილს ერთი ტიპის ფანჯრები უნდა ჰქონოდა, შუა ნაწილისთვის რაიმე განსხვავებული ელემენტები არაა გამოყენებული, გარდა პილასტრებისა. პროექტის განხორციელებისას აქ რატომღაც ცვლილება შეუტანიათ: ზემო სართულის ცენტრში თითო დიდი სწორკუთხა ფანჯრის ნაცვლად ორ-ორი წვრილი თაღოვანი სარკმელია, საერთო თაღოვან ჩარჩოში ჩასმული. შუა ნაწილის მეზობლად, ორსავე მხარეს, სადაც კიბის უჯრედებია, ჩვეულებრივი სწორკუთხა ფანჯრები შეცვლილია უზარმაზარი თაღოვანი ფანჯრითა და მის თავზე მოთავსებული, მასთან გადაბმული მრგვალი სარკმლით. თავისთავად, ფასადის შუა ნაწილი, საერთო ორდერითაც და პროპორციებითაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ, თუ მთელ ფასადს განვიხილავთ, მაშინ მისი ცენტრი რამდენადმე მოწყვეტილად მოგვეჩვენება: ახლახან ნახსენები ფანჯრები აქ თითქოს შემთხვევითაა მოხვედრილი და გვერდის ფრთებისა და შუა ნაწილის დამავიჯინებელი არშიებიც ვერ ებმის ერთმანეთს.


მარის ქუჩის ფასადი უფრო მთლიანია: დანაწევრება — მარტივი და ნათელი: ცენტრსა და განაპირებში — შვერილები, შუა მათგანი მსუბუქი ფრონტონითაა აქცენტირებული. ვერტიკალური მიმართულებით: მკაფიო გაყოფა ორ ძირითად არათანაბარ ნაწილად: ზედა ორი სართული საერთო ორდერითაა გაერთიანებული (რუსტოვანი პილასტრები ფანჯრებს შუა), ხოლო ქვედა ორი, რომელიც საერთო სინაღლით ზედა ორზე ნაკლებია, ერთგვარი პოსტამენტიც ამ ორდერისთვის. იმავე დროს, ყველა სართული დიფერენცირებულია დამუშავების მხრივ: პირველი, ცოკოლისა — თლილი ქვისაა, სავსებით გლუვი ზედაპირი და მარტივი, სწორკუთხა ფანჯრები აქვს. მეორე — გაკეთებულია à la rustica: შედრმავებული, ხაზგასმული ნაკერები, მკაფიოდ მოხაზული, „სოლებით“ გამოყვანილი, ფანჯრის თაღები. მესამე სართულში — შვერილთა სამსამი ფანჯარა სწორკუთხაა, შვერილთაშორისი დიდი ფანჯრები კი — თაღოვანი, ორ-ორი მცირე პილასტრითა და არქივოლტით, რომელსაც გამოყოფილი საქეჩი ქვა აქვს. სულ ზედა სართული ამათთან შედარებით უფრო მსუბუქი და უბრალოა. მთელ კომპოზიციას საერთო კარნიზი და ბალუსტრადი ავიჯინებს. ეს ფასადი თითქმის უცვლელადაა პროექტის მიხედვით შესრულებული, მხოლოდ ზოგიერთი დეტალი გაუმარტივებიათ. მესამე ფასადი, საერთო განლაგებით, ახლახან განხილულს იმეორებს, განსხვავება მხოლოდ დეტალებშია.

მთლიანად, ეს შენობა ფრიად იმპოზანტურ შთაბეჭდილებას სტოვებს, თუმცა იგი სრულებით მოკლებულია ზედმეტად სადღესასწაულო და საზეიმო იერს. ეს ნამდვილი სასწავლებელია, საზოგადოებრივი დანიშნულების დიდი ნაგებობა, ძალიან მკაცრად და ზომიერად გაფორმებული. საერთო სახით იგი ვარკვევით ენათესავება თავისდროინდელ რუსულსა და დასავლეთ-ევროპულ სასწავლებლებს: პროექტის შედგენისას კლდიაშვილი, ცხადია, გაეცნო მათ და გამოიყენა კიდევ ხუროთმოძღვრების ამ დარგში დაგროვილი გამოცდილება.



ქართული  
ბიბლიოთეკა

ხატვისი ქვედა



ს. კლდიაშვილი. ქართული გიმნაზიის შენობის პროექტი. ჯვრდის ფასადი (აწინდელი მარის კუთხის მხრივ).



## II

სკოლის საძირკვლის ჩაყრა 1900 წლის 14 (26) ოქტომბერს მოხდა. დღეს-წინ სათავადაზნაურო სკოლის გამგე კომიტეტის წევრნი და სათავადაზნაურო სკოლის მოწაფენი მასწავლებლებითურთ, ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, რედაქციებისა და ჟურნალების წარმომადგენლები, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. წერეთელი და სხვანი<sup>1</sup>. „კარგად მახსოვს ის დღე, — ივონებს გიორგი ლასხიშვილი, — როცა ცხვედაძემ ქართველი საზოგადოება მიიწვია საძირკვლს ჩაყრაზე და კურთხევაზე. სხვათაშორის ვიყავით რედაქციის წარმომადგენელიც. იმ დღის გაზეთების ნომრები მოვათავსეთ ბოთლებში და ეს ბოთლები ჩაუშვით საძირკვლისთვის ღრმად ამოთხრილ მიწაში“<sup>2</sup>. მშენებლობა დაიწყო. კლდიაშვილს იქვე, ეზოში, მცირე სადგომი ჰქონდა გამართული და ცხვედაძესთან ერთად დღესა და ღამეს ასწორებდა მუშაობაში. რამდენიმე თვის შემდეგ ცოკოლის სართული უკვე ამოყვანილი იყო<sup>3</sup>, 1902 წელს ამას პირველი და მეორე სართულიც მიემატა, ხოლო გამგე კომიტეტის 1903 წლის ანგარიშში შემდეგია ნათქვამი: „საანგარიშო წელს... გაკეთდა შენობის ზოგადი ნაწილი, ე. ი. მთავარი შენობის განაპირა ნაწილები და ერთი მათგანი ზამთარში დაიხურა და მეორეს ამჟამად ვხურავთ. დაგვრჩა მხოლოდ შუა შენობის მეოთხე სართული, რომელსაც ახლა ვაკეთებთ და ივნისის ოცამდე იმედია დავესრულებთ და კიდევაც დავხურავთ. ასე რომ მთელი შენობა სრულიად დახურული იქნება ამ ზაფხულს და შევეუდგებით დანარჩენი კერძო საჭიროების შენობის აგებას, როგორც მაგ., საავადმყოფოს, სკოლის გამგესი, ეკონომის და სხვა პატარპატარა სახლებისას...“<sup>4</sup>

1905 წელს შენობის ნაწილში უკვე შინაგანი მოპირკეთება წარმოებს<sup>5</sup>, მაგრამ მთლიანად, მთელი სახლის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია. 1906 თუ 1907 წელს სკოლა მაინც გადავიდა ახალ ბინაში და თუმცა ზოგან შუშები ჩაუსმელი იყო, მაინც დაიწყეს მეცადინეობა: კლასებში პალტოებით, კალოშებითა და ქუდებით ისხდნენ. მთავარი, რაც ხელს უშლიდა საქმის სწრაფად დასრულებას, ცხადია, ფულის ნაკლებობა იყო. შექოსავლის მთავარ წყაროს შეწირულება წარმოადგენდა, დამხმარე თითქოს ბევრი ჩანდა, „კომიტეტს და სააღმშ. კომისიას ეხმარებოდა... თავადაზნაურობა, სათავადაზნაურობანიკი, ეხმარებოდა ყველა, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა, განურჩევლად ქონებრივი მდგომარეობისა და სადაურობისა. თვალი რომ გადავაგლოთ შემომწირველთა სიას, ამოვიკითხავთ მდიდართან ერთად ღარიბსაც, თავადთან გლეხსაც, დიდ მოხელესთან პატარა მოხელესაც...“ — ასეა ნათქვამი გამგე კომიტეტის 1911 წლის მოხსენებაში. მაგრამ ყველაფერი ეს არ იყო საკმარისი, უზარმაზარი შენობა დიდ თანხას ნთქამდა და იმავე კომიტეტის სხვა ანგარი-

<sup>1</sup> „ივერია“, 1900, № 225, 15. X: „ახალი ამბავი“.

<sup>2</sup> გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 150.

<sup>3</sup> „ცნობის ფურც.“, სურათ. დამატ. 1901, № 2, 19. VIII.

<sup>4</sup> სახ-ბის ანგარიში 1901 წლისა. გამგე კომიტეტის მოხსენება, დართული ცალკე ფურცლად, წიგნის ბოლოში.

<sup>5</sup> Кавказский Край, 1905, № 4.

შები და ოქმები ნათლად გვიჩვენებს, რა სიძნელეთა გადალახვა სჭარდებოდათ გიმნაზიის მშენებელთ. 1909 წელს ცხვედაძემ ერთ-ერთ სბლომაზე განაზღაურა, „გიმნაზიის შენობა დასრულებული იქნებოდა, რომ თავადაზნაურობას ღონისძიება ჰქონოდა და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სრულად ეძლია გამგე კომიტეტისთვის ფული, რომელსაც ჰსთხოვდაო“<sup>1</sup>. გაქირვებისგან თავის დასაღწევად შენობა რამდენიმეჯერ დაავიწავეს სათავადაზნაურო ბანკში და არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა მთელი ეს „საშვილიშვილო“ საქმე ბეწვზე ეკიდა. შეუძლებელია გულგრილად წაიკითხოს ადამიანი 1911 წლის მოხსენების სტრიქონები: „ამ ოთხის წლის წინათ, საზოგადოების სურვილის თანახმად სახლის დასამთავრებლად დავავიწავეთ ეს სახლი სათავადაზნ. ბანკში 450 ათას მანეთში... თითქმის ორი წლის შესატანი ფული თავის ჯარიმებით 67971 მან. და 03 კაპ. გვმართებს ახლა. 30. VI-სთვის არის დანიშნული გაყიდვა ჩვენი სკოლისა. თუ ვინიცაა ვერ შევიტანეთ ბანკში ეს შესატანი ფული, სახლს გაგვიყიდინან. ამ სიტყვებს ენაც ადვილად იტყვის და კალამიც ადვილად დასწერს, მაგრამ ამ სიტყვების შედეგი საშინელებაა ყველა ქართველისათვის, რომელსაც კი უფიქრია თავის ქვეყნის მომავალსა და წარსულზე. 32 წელიწადია, რაც დავაარსეთ სათავადაზნაურო სკოლა, ახლა გარდაქცეული რეკლასიან გიმნაზიად და დაარსებიდანვე განვიზარებთ ამ სკოლისთვის ბინა გაგვიჩინა. ამ თორმეტი წლის წინათ გარემოებამ ხელი შეგვიწყო სისრულეში მოგვეყვანა ჩვენი დიდი ხნის განზრახვა. ახლა ეს განზრახვა განხორციელებულია და აი ეხლა სწორედ, როცა ჩვენმა სკოლამ უნდა ფრთა გაშალოს და გაბდეს ჩვენი ქვეყნის ნუგეშისმცემელ ანგელოზად, სწორედ ამ დროს ხელიდან მივდის ბინა სკოლის და რჩება სკოლა უბინაოდ. ახლა როგორ ბინას ვკარგავთ? იმისთანა ბინას, რომლის მაგვარის გაჩენა ძნელი იქნება ჩვენთვის. სკოლის ბინის დაკარგვა, ვიდრე ცოცხალი ვართ და ჩვენს თავს ერადა ვთვლით, შეუძლებელია...“<sup>2</sup>.

საუბედუროდ, სკოლის საქმეს არა მარტო ხელმოკლეობა აფერხებდა; მას ხელისშემშლელიც ბევრი ჰყავდა, სკეპტიკოსებზე რომ არაფერი ვთქვათ. ამ მხრივ დამახასიათებელია ოსკარ შმერლინგის კარიკატურა, რომელიც ეურსნალ Кавказский Край-ს 1905 წლის № 4-ში იყო მოთავსებული: კალატოზები ქართული გიმნაზიის კედლებს აშენებენ. კედელზე ამყად დგას ნიკოლოზ ცხვედაძე. თავადები, მღვდელი და მოხელე მას ქვებს უშენენ. ის კი მშვილად უბასუხებს მათ: „Вы себе стреляйте!.. а школа будет построена“. და როგორც ცნობილია, ეს დაპირება მან მართლაც შეასრულა, თუმცა მშენებლობის საბოლოო დასრულებას კი თვითონ ვერ მოესწო.

1910 წელს გაკეთდა სამანქანო განყოფილება, რკინის კიბეები, გასწორდა ეზო და დაიგო ასფალტი<sup>3</sup>. 1911 წელს „აკლია დამთავრებას მხოლოდ შუა

<sup>1</sup> საზ-ბის ანგარიში 1909 წლისა, 25. X. კრების ოქმი.

<sup>2</sup> გამგე კომიტ. მოხს. სათავადაზნ. გიმნ. შენობის შესახებ. 31. V. 1911. იხ. 1910 წლის ანგარიში საზ-ბისა.

<sup>3</sup> საზ-ბის ანგ. 1910 წლისა, გვ. 57.



ნაწილი“ და დახარჯული კი უკვე 666.009 მან. 8 კაპეიკა<sup>1</sup>. ეს შუა ნაწილი და სხვა წერილმანები თანდათან მოთავდა შემდეგი რამდენიმე წლის განმავლობაში, ასე რომ მთლიანად მშენებლობა 15 წელიწადზე მეტს გაგრძელდა. 1916 წელს მშენებლობის ღირებულება უკვე თითქმის 690.000 მანეთად იყო ასული. ახალი სახლი არა მარტო სკოლას იტევდა, არაჲდ სხვა ქართულ კულტურულ ორგანიზაციებსაც: მას შეაფარეს თავი ქალთა გიმნაზიამ, საქართველოს საეთნო-გრაფიო და საისტორიო საზოგადოებამ, ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზ-ბის სიძველეთა საცავმა და ქართლ-კახეთის სამღვდლოების თბილისის საეკლესიო მუზეუმმა. სულ მალე, ჯერ კიდევ კლდიაშვილის სიცოცხლეში, განხორციელდა ცხვედაძის წინასწარმეტყველება: სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში ქართული უნივერსიტეტის პირველი აუდიტორიები გაიხსნა.

### III

ამგვარად, სათავადაზნაურო სკოლის მშენებლობა კლდიაშვილის სახუროთ-მოდღვრო მოღვაწეობის დიდ ნაწილს სწვდება და თავისი მნიშვნელობითაც ცენტრალური ადგილი უჭირავს ამ მოღვაწეობაში. მაგრამ მისი მუშაობა ამ ხნის განმავლობაში მარტო ამით არ შემოფარგლულა: ის ასრულებს კერძო დაკვეთებს. მას, როგორც „ქეშმარიტ მამულიშვილსა“ და „ქველმოქმედს“ შემწეობისთვის მიმართავენ სხვადასხვა ორგანიზაციები და ეს შემწეობა, ცხადია, პროექტის უფასოდ შედგენაში უნდა გამოიხატოს; იგი საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა, დასასრულ, დიდ ინტერესს იჩენს ძველი ქართული ხუროთ-მოდღვრების ძეგლებისადმიც.

1900 წელს კლდიაშვილი მონაწილეობს რუს ხუროთმოდღვართა მესამე ყრილობაში, რომელიც 14 (26) იანვარს გაიხსნა პეტერბურგს<sup>2</sup>, ხოლო 1902 წლის ზაფხულს ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად ატარებს ექსპედიციას. ამ „ექსპედიციის მიზანი იყო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრათა ზოგიერთი უცნობი და ნაკლებცნობილი ძეგლის დათვალიერება და გამოკვლევა, იქედან ყარსის მხარეში გადასვლა და არტაანის ოლქის ჩილდირისა და არტაანის უბნებში ქრისტიანული ძეგლების შესწავლა, გაზომვა და აღწერა“<sup>3</sup>. ექვთიმე თაყაიშვილი და ფოტოგრაფი მამუჩაშვილი თბილისიდან 17. VII. გაემგზავრნენ, კლდიაშვილი მათ ახალციხეში უნდა შეხვედროდა, მაგრამ დაიგვიანა და მხოლოდ ზურზუნაში (ჩილდირის უბნის აღმინ. ცენტრში) დაეწია ექსპედიციას. ამის შემდეგ სამივემ ერთად მოიარა ჩილდირის, არტაანისა და ოლთისის უბნები. კლდიაშვილის განაზომები დაბეჭდილია Материалы по Археологии Кавказа-ს XII ტომში თაყაიშვილის ტექსტთან ერთად. სულ გაზომილ იქნა ოცამდე ძეგლი. ზოგი მათგანი შედარებით უმნიშ-

<sup>1</sup> გამვე კომ. მოხს. 31. V. 1911. 1910 წლის ანგარიში.

<sup>2</sup> იხ. ამ ყრილობისათვის ჟურნ. Неделя Строителя, 1900 წ. და აგრეთვე 1901 წ. გამოცემული ალბომი Третий съезд русских зодчих, რომელშიც ყველა მონაწილის პორტრეტია მოთავსებული.

<sup>3</sup> იხ. МАК, XII, გვ. V.



ენელოა სიდიდითაც და ღირებულებითაც, მაგრამ რამდენიმე კი ფრიად დიდი ინტერესის აღმძვრელია.

აი ეს ძეგლებიც: ჩაისი, ვაშლობი, ამპური, ჩომარდო, კოტასი, სანსუტი, ველი (ორი ეკლესია), ური — ერთნაგიან ტაძართა გეგმები; ერუშეთი — გეგმა; ჯავახეთის წყაროსთავი, სამნაგიანი გუმბათოვანი კომპოზიცია — გეგმა, გრძივი განაკვეთი, სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფასადები; ზეგანი ანუ ზაქი — ტრიკონქის გეგმა და გრძივი განაკვეთი; გოგაუბა და კიაღმისალთი — ექვსაფსი-ლიანი ეკლესიების გეგმები, განაკვეთები და ფასადები; სოლომონ-ყალის გუნბათოვანი, ჯვარისებრი შენობისა და კლდის ეკლესიის გეგმა და განაკვეთი; ჩამხუსი — ძლიერ დაზიანებული ტეტრაკონქის („ჯვარის“ ტიპისა?) გეგმა; დასასრულ, ბანას ტეტრაკონქი.

ამ ნახაზთა განხილვისას ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რა პირობებში უხდებოდა მუშაობა ხუროთმოძღვარს: ერთი თვისა თუ თვენახევრის განმავლობაში ოცი ობიექტის გაზომვა, რა თქმა უნდა, მეტად დიდი ტვირთია, მით უფრო, რომ ამ ობიექტთაგან ზოგიერთი ძალიან დიდი იყო. ვისაც უნახავს ჯავახეთის წყაროსთავის, ზაქის, ანუ ზეგანის, განსაკუთრებით კი ბანას ტაძართა თუნდაც ფოტოსურათები, იმისთვის ცხადია, რომ ყოველი მათგანის გაზომვა ხანგრძლივსა და მშვიდ მუშაობას მოითხოვს. კლდიაშვილს ამისი საშუალება არ ჰქონდა და ამიტომ მის ნახაზებს ერთგვარი სქემატურობის ხასიათი გადაჰკრავს; დეტალებში, მაგალითად ქვის წყობის გადმოკვლევაში, დიდი სიზუსტე მათ არ უნდა მოეთხოვოთ. ზოგიერთ შემთხვევაში ქვის წყობა სრულიადაც არ არის ნაჩვენები (გუმბათის ყელი წყაროსთავის აღმოს. ფასადზე, წყაროსთავის გრძივი განაკვეთი, ზაქისა და ბანას განაკვეთები და სხვ.). ამას გარდა, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება: გამოქვეყნებული მასალა ძეგლების მხოლოდ რეკონსტრუირებულ სახეს იძლევა: აღდგენილია წყაროსთავის სტოა და გუმბათის კონუსური საბურავი, გოგაუბასა და კიაღმისალთის ფასადები და განაკვეთები, ცალკეული ნაწილები სხვა შენობათა გეგმებისა, დასასრულ, ბანას გეგმები და განაკვეთები. რამდენსამე შემთხვევაში ხუროთმოძღვარს ის აღდგენილი ნაწილები განსხვავებული დაშტრახვით, ან პუნქტირით აქვს გამოყოფილი, მაგრამ ზოგჯერ (გოგაუბა, კიაღმისალთი) ძეგლის ის სახე, რომელიც მას გაზომვის მომენტში ჰქონდა, ნაჩვენები არ არის. ეს, რა თქმა უნდა, რამდენადმე აძნელებს ნახაზებით სარგებლობას.

მიუხედავად ამისა, კლდიაშვილის განაზომებს ქართული ხუროთმოძღვრების მკვლევართათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: თუ არ ჩავთვლით ბანას, არც ერთი ძეგლისთვის არ არსებობს სხვა გრაფიკული მასალა, გარდა კლდიაშვილის მიერ შესრულებულისა. ეს ძეგლები ამჟამად მისაწვდომი არაა და იმავე დროს, აღრინდელი შუასაუკუნეების ზოგიერთი ხუროთმოძღვრული თემის გასაცნობად მათ ვერაგვხით ვერ აუუვლით გვერდს. ამგვარია, მაგალითად, მრავალაფსიდიანი ტაძრების თემა, რომელიც აქ წარმოდგენილია ორი ფრიად საინტერესო ნიმუშით: კიაღმისალთითა და გოგაუბით. ასეთია რთული და მრავალნაწევრიანი წყაროსთავი, ქართული ბაზილიკის ევოლუციის შესწავლისათვის მეტად საგულისხმო შენობა, რომელშიც გუმბათოვან ნაწილთან ერთად, უძველესი



ბაზილიკის გადმონაშთებიც უნდა იყოს შემონახული: ზაქის ტრიკონქული კომპლექსი, პოზიცია და სხვ. ცალკე უნდა აღინიშნოს ბანას უზარმაზარი კათედრალი, რომელიც, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ჩამოთვლილ ძეგლთა შორის.

ეს „გუნბათიანი, დიდი, შვენიერად ნაგები, კეთილშენიერს აღვილს“ მდებარე ტაძარი კარგა ხანია მეცნიერთა ყურადღებას იპყრობდა. მართალია, იგი გერმანელმა მეკლევარმა კარლ კოხმა ინახულა და თავის წიგნში<sup>1</sup>, შენობის აღწერასთან ერთად, მან მისი გეგმაც მოათავსა. მაგრამ ამ გეგმას აქლია სიზუსტე; ავტორმა გვაჩვენა მხოლოდ საერთო კონტური და მთავარი შინაგანი მასების მდებარეობა. 1881 წელს ბანას გეგმა ჩაიხატა მხატვარმა ბერიძემ, რომელიც დი. ბაქრაძესთან ერთად იყო ექსპედიციაში. მაგრამ მისი მეტად სქემატური ნახატი შემცდარია და საერთოდ, ძნელი გასაგები<sup>2</sup>. ამის შემდეგ, წარსულ საუკუნის ბოლომდე ბანას გრაფიკული გამოსახვა აღარავის უცდია, ასე რომ ფაქტიურად, ძეგლის ნამდვილი გაზომვა და მისი სათანადო სახით წარმოდგენა პირველად სიმონ კლდიაშვილს ხვდა წილად.

ექსპედიციის ხელმძღვანელს თაყაიშვილს 1902 წლის მოგზაურობის დროს განზრახული არ ჰქონია ბანას დაწვრილებითი გამოკვლევა: „ჩვენ გინდოდა მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვექონოდა ტაძრის შესახებ და [თან] ამოცანები დაგვესახა ხელმეორე მოგზაურობისთვის. ამ ვარაუდით წამომყენენ მეორი დღით არტაანიდან ბანაში არქიტ. კლდიაშვილი და ფოტ. ა. მამუჩაშვილი. მათ ძალიან ეჩქარებოდათ თბილისში თავისი საქმეების გამო“<sup>3</sup>. მაგრამ ექსპედიციის წევრებს ძეგლი ისეთ მდგომარეობაში დახვდათ, რომ მათ მისი დაუყონებლივ გადაღება გადაწყვიტეს: ერთადერთი გადარჩენილი კედელი (აღმოსავლეთისა) ყოველ წუთს შეიძლებოდა დანგრეულიყო, სულ მცირე ბიძგისგანაც კი. „არქ. ს. კლდიაშვილი შეუდგა გადარჩენილ ნაწილთა ზომვას და, როგორც მას მაშინ ეგონა, ყველაფერი შეასრულა, რაც საჭირო იყო. მაგრამ თბილისში დაბრუნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ განაზომს დეფექტები აქვს და რომ მეტნაკლებად ზუსტი გეგმის შედგენა დამატებითი გაზომვის გარეშე არ მოხერხდებოდა“<sup>4</sup>. ეს სრულიად ბუნებრივიცაა, თუ გავიხსენებთ ამოცანის მეტისმეტ სიმძლავრეს და იმ უმნიშვნელო ვადას, რომელიც არქიტექტორს ჰქონდა. ხელმეორე ექსპედიციის მოწყობა ძალიან დაგვიანდა და კლდიაშვილს უნდოდა სრულიად აეღო ხელი ნახაზების შესრულებაზე. მხოლოდ თაყაიშვილის დაჟინებით მოთხოვნის შემდეგ შეუდგა იგი საქმეს: დახაზა I, II და III იარუსთა გეგმები და განაკვეთი<sup>5</sup>. „მე მიმაწნდა, წერს თაყაიშვილი, რომ წინასწარ ცნობებს ბანას შესახებ ამ სახითაც შეეძლო ინტერესი აღედგრა ძეგლის შესწავლისადმი“.

<sup>1</sup> Reise im pontischen Gebirge und türkischen Armenien, II, Weimar, 243—248.

<sup>2</sup> იხ. MAK, XII, გვ. 93, ნახ. 83.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 95—96.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 96.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 64, 65, 66, 67.

დღეს, თუმცა ჩვენ ხელთა გვაქვს 1907 წელს ან. კალგინის მიერ უფრო ზუსტად შესრულებული ნახაზები, კლდიაშვილის განაზომებს მაინც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა: ჯერ ერთი, როგორც თვით თაყაიშვილი ამბობს, ზოგიერთი გვიანდელი დანაშატი, მაგ., განივი კედლები გარშემოსავლების აღმოს. ნაწილში, რომლებიც კალგინს გამოუტოვებია, კლდიაშვილს აღინშნული აქვს. ამას გარდა: დანგრეულ ნაწილთა რესტავრაცია ორსავე ხუროთმოძღვარს განსხვავებულად აქვს წარმოდგენილი: კალგინის აზრით შენობა გარედან სამსაფეხურიანი უნდა ყოფილიყო (პირველი იარუსი გარშემოსავლებს შეესაბამება, მეორე — ჯვრის მკლავების სიმაღლეს, მესამე — ძალიან ფართო, აგრეთვე გარშემოსავლებიანი გუმბათისკელია). კლდიაშვილის თანახმად, შენობა ერთი მთლიანი ცილინდრისა და უფრო ვიწრო გუმბათის ყელისაგან შედგებოდა, ხოლო გარშემოსავლებს ორი სართული ჰქონდა. როგორც ვხედავთ, განსხვავება არსებობდა. ჩვენს საგანს, ცხადია, არ შეადგენს ამ ორი ვარიანტის განხილვა და მათი ნაკლისა და უპირატესობის გარკვევა. მაგრამ ერთი კი უნდა აღინშნოს: ხელმისაწვდომი მასალის შესწავლა ამტკიცებს, რომ კლდიაშვილის რეკონსტრუქცია, თავისი ძირითადი ნაწილებით, სრულიადაც არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული და ძეგლის შემდგომი კვლევის დროსაც მისი ნახაზები აუცილებლად გასათვალისწინებელია<sup>1</sup>. შემდეგ: არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბანას ტიპის ძეგლთა შესწავლაში კლდიაშვილის განაზომი ერთი პირველ სერიოზულ ნაბიჯთაგანი იყო, თუ არ პირველი: არქიმანდრიტ ხაჩიკ დადიანის მიერ ორიოდე წლით ადრე (1900 წ.) გათხრილი „ზუართნოცი“ იმდენად დაზიანებულია, რომ მარტო მისი ნაშთებით ბევრს ვერაფერს წარმოიდგენს ადამიანი<sup>2</sup>; გააკვირვების ეკლესია ნიკო მარმა მხოლოდ 1905 წელს აღმოაჩინა, ხოლო იმხანი 1917 წლამდე განაზომილი არ ყოფილა.

ზემო ნათქვამის მიხედვით სავსებით ნათელია, რომ ს. კლდიაშვილის ინტერესი საქართველოს ხუროთმოძღვრულ სიძველეებისადმი შემთხვევითი არ იყო. მართლაც, მოიბოვება ცნობები, რომ იგი შემდეგ წლებშიც მონაწილეობდა ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლთა შესწავლაში. 1913 წელს, „კახულ ხელოვნებათა საზოგადოების“ (Кавказское общество поощрения изящных искусств) სამხატვრო-სახუროთმოძღვრო კომისიამ ახტალის ტაძრის გუმბათის რესტავრაციის საკითხი განიხილა. კლდიაშვილი, როგორც კომისიის წევრი, სხვებთან ერთად მუშაობდა ამ საკითხზე<sup>3</sup>. 1914 წლის ივნისში იგი მცხეთის „ჯვრის“ შემკეთებელ კომისიაში შედის<sup>4</sup>, ამას გარდა, „სვეტიცხოვლის“ განმა-

<sup>1</sup> იხ. ამის შესახებ გ. ჩუბინაშვილის ქართ. ხელოვნ. ისტორია, I, გვ. 169.

<sup>2</sup> იხ. მესრობ ტერ-მოვსესიანის Раскопки развалин церкви св. Григория близ Мч-мгадзина: Известия Имп. археол. комиссии, вып. VII, 1903.

<sup>3</sup> ეს ცნობა მოგვაწოდა განსვენებულმა პროფ. ან. კალგინმა. ტაძარი რესტავრირებული სახით გ. მ. ტერ-მიქელაშვილმა დახაზა.

<sup>4</sup> იხ. „სახალხო ფურცელი“, 1914, 24. VI. № 20: «ახალი ამბავი» — ცნობა კომისიის მიერ ტაძრის დათვალიერების შესახებ და იმავე წლის „სურათებიან დამატებაში“ № 6, ფოტოსურათი: „კომისია სპეციალისტებისა, რომელმაც 22. VI ჯვრის მონასტერი დაათვალიერა“.

ახლებელ კომიტეტის წევრადაც ითვლება<sup>1</sup>, ხოლო 1910 წელს ისევ ექვთიათაყაიშვილთან ერთად, სვანეთის ექსპედიციაში მონაწილეობს.

მაგრამ მთავარი მის მოღვაწეობაში მაინც პრაქტიკული მუშაობაა. ქართული გიმნაზიის გარდა, მის მიერ აგებული თითქმის ყველა შენობა საცხოვრებელია და, უმრავლეს შემთხვევაში, არ არის მნიშვნელოვანი სიდიდისა. მას რამდენიმეჯერ მოუხდა უფრო დიდი, საზოგადოებრივი დანიშნულების, ობიექტების დამუშავებაც, მაგრამ ამ პროექტთაგან არც ერთი არ განხორციელებულა. ჩვენ ჯერ სწორედ მათ შევეხებით.

1907 წელს კლდიაშვილს სოხუმის ქართველობამ ეკლესიის პროექტი დაუკვეთა. მის ქალაქებში დაცულია დაქვეყნავთა წერილი, რომელიც შედგენილია „1907-სა წელსა მაისის 10-სა დღესა“. დასაწყისში, საკმაოდ მალაღობრადოვანი სტილით, მოთხრობილია სოხუმის ქართველობის გაჭირვებული მდგომარეობა და განმარტებულია თუ რა მნიშვნელობა აქვს „მომავლის ისტორიის იმ დიდ ძეგლს, რომელსაც ეწოდების ეკლესია და შკოლა“. ხოლო შემდეგ ეს თავისებური „საპროექტო მოცემულობა“, რომლის ავტორიც აშკარად კულტის მსახური უნდა იყოს, ასე გრძელდება: „... ჩვენ სოხუმში მცხოვრები ქართველებიც ზემონათქვამით და მოსაზრებით ხელმძღვანელობთ და ვეპირებით ქ. სოხუმში აღვაშენოთ ძეგლი-ეკლესია სახსოვრად ჩვენის ერის აქ მყოფობისა“... „გვსურთ... შეუდგეთ (sic!) საქმეს ყველა ქეშმარიტი მამულიშვილის დახმარებით და ღვთის შემწეობით. ამიტომ გაზოგოთ თქვენ სოხუმში ქართველთა ეკლესიის აღმშენებელი კომიტეტი შეგვიდგინოთ ეკლესიის გეგმა ქართული სტილისა. ეკლესია უნდა იყოს დიდი ესე იგი უნდა იტყვედეს 600—800 ადამიანამდის უბრალო აქაური ქვით აშენებული, გუმბათი შეიძლება ცემენტის გაუკეთდეს მონიეს სისტემისა ესე იგი რკინის რეზორტის და ცემენტისაგან. ამ პლანთან საჭიროა სმეტაც. რაც შეიძლება ეკლესია სადა და უბრალო უნდა იქნეს, ერთი გუმბათით, ფასი არ უნდა აღემატებოდეს ათიდან—თუთხმეტი ათასი მანეთს. სამხრეთით კარების პერემიჩქასთან დიდი ასე სიგძით ორი არშინიანი და სიგანიით ერთი არშინიანი თეთრი მარმარილოს ქვა უნდა დაეტანიოს. ამაზე იქნება ამოჭრილი ეკლესიის აღშენების წელიწადი, სახელი და გვარი ხუროთმოძღვრისა (შენი), ვისი თაოსნობით ვინ აღაშენა და სხვა. იმედია თქვენ ხელფასს არ გამოგვართმევთ ამ საერო საქმეში და თან მანდ ქართველებში დახმარებას აღმოგვიჩენ შემწეობისა“.

როგორი პასუხი გასცა კლდიაშვილმა სოხუმის ეკლესიის ამშენებელ კომიტეტს— ჩვენთვის უცნობია. ტადარი არ აუშენებიათ. მაგრამ მისი პროექტი თუ იყო მაინც შედგენილი? ხუროთმოძღვრის არქივში დარჩენილია რომელიღაც ეკლესიის სამხრეთის ფასადის აკვარელი. მას არავითარი წარწერა არა აქვს და ამიტომ მისი განზრახული ადგილმდებარეობის გარკვევა შეუძლებელია. ეკლესიას თუმცა კი ერთი გუმბათი აქვს, სხვა მხრივ იგი თითქოს არ უნდა აკმაყო-

<sup>1</sup> იხ. თბ. გუბ. თავ.-აზნ. წინამძღოლის საქმე შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 118, № 3171. კომიტეტის მიმართვა საქ. იმერ. სინოდალურ კანტორისადმი 1915 წლის 11. VI. რომელსაც კლდიაშვილიც აწერს ხელს.

ფილებდეს სოხუმელთა მოთხოვნისა: იგი ქართული სტილისა კი არ არის, არამედ ასე ვთქვათ, „ბიზანტიურისაა“. ტაძრის კორპუსის შუა ნაწილი სივრცეში ჯვარს ჰქმნის, ჯვრის მკლავებს შუა დაბალი სადგომებია. რვაწახნაგოვანი გუმბათისყელი შეჯვარდინების ადგილს, ორისავე ლერძის ცენტრშია აღმართული. მისი კარნიზი ჰორიზონტალურის ნაცვლად — ტალღოვანია (ყოველი წახნაგი თალით მთავრდება), ისე, როგორც ეს ბიზანტიურ ძეგლებში გვხვდება XI საუკუნიდან; თვით გუმბათისთვისაც სფერული ფორმაა არჩეული. საკურთხევის ნაწილი საგრძნობლად უფრო დ. ბალია მთავარ ნავთან შედარებით და თან ძლიერ გამოშვებულიც. მის გასაწონასწორებლად დასავლეთის მხრივ შენობას ნართექსი და ღია სამრეკლო აქვს მიმატებული. არც ფასადთა საერთო კომპოზიცია, და არც მისი დეტალები არაა ქართულ საკულტო ხუროთმოძღვრების ტრადიციებთან დაკავშირებული (ფართო ფანჯრები, სამყურა სარკმლები, მთლიანი სარტყლები ფასადის მთელ სიგრძეზე, ფანჯრების ჩართვა სარტყლის სისტემაში და სხვ.). თუ ეს პროექტი სოხუმის ეკლესიისა არ არის, მაშინ მისი წარმოშობა, მისი „ვინაობა“ და შემდგომი ბედი ჩვენთვის სრულიად უცნობია და ზემო ნათქვამს ჩვენ ვერაფერს ვერ დავუმატებთ.

კიდევ უფრო ნაკლები ითქმის მეორე პროექტის შესახებ, რომელსაც ჩვენ მხოლოდ ერთი ფოტოსურათით ვიცნობთ. ეს — ორსართულიანი, გრძელი სახლია, იმ „რუსული სტილით“ გაფორმებული, რომელიც XIX საუკუნემ შეიძუშაგა. შენობის აღმოსავლეთის ნაწილი მრავალგუმბათიან ეკლესიას აქვს დათმობილი. თავისი ხუროთმოძღვრული დამუშავებით ეს ფასადი სრულიად განცალკევებით დგას კლდიაშვილის შემოქმედებაში. შესაძლებელია ეს დამკვეთავთა საგანგებო მოთხოვნისა იყოს აიხსნებოდეს. ნაგებობის სახელწოდება თვით ნახაზს არ აწერია, მხოლოდ ფოტოსურათის უკანა მხარეს ფანქით არის წარწერილი: Проект общины сестер милосердия, Клдйашвили. ავტორის ხელისმოწერა ფოტოზედაც საკმაოდ გარკვევით გაირჩევა, მაგრამ, სამწუხაროდ, თარიღი არსად ჩანს.

ახლახან აღნიშნულ ორ ობიექტზე უფრო საინტერესო ჩვენთვის ის ფაქტია, რომ კლდიაშვილს მონაწილეობა მიუღია თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შენობის პროექტისათვის გამოცხადებულ კონკურსში 1912 წელს. კონკურსი დახურული იყო. „შეჯიბრება მოეწყობილ ადგილობრივ ხუროთმოძღვართა შორის... ბანკში წარმოდგენილ ექვს პროექტთან, ყიურომ, რომელიც კაზმულ ხელოვნებათა ადგილობრივი საზოგადოებისა და ბანკის წარმომადგენელთაგან შედგებოდა, პრემიის ღირსად მხოლოდ ერთი სცნო...“ (არქ. ა. ნ. კალგინისა და მხატვ. გრინვესკისა), ხოლო ორი პროექტი, რომლებიც არქ. ნ. ა. ობოლონსკისა და არქ. ს. გ. კლდიაშვილისა აღმოჩნდა, ყიურომ საყურადღებოდ მიიჩნია და მათი შექმნა ურჩია ბანკს<sup>1</sup>. ეს არის ყველაფერი, რაც ჩვენ კლდიაშვილის ამ ნამუშევრის შესახებ ვიცით,

<sup>1</sup> «Два же проекта, оказавшиеся принадлежащими арх. Н. А. Оболенскому и арх. С. Г. Клдйашвили жюри рекомендовало приобрести в собственность, как интересные по замыслу...» иб. Отчет Тифл. двор. Земельн. Банка за 1912 год. Т. 1913. გვ. 11.

რადგანაც თვით ნახაზების აღმოჩენა ვერ მოვახერხეთ. ზეპირი ცნობების თანახმად, ავტორი აქაც, ისევე, როგორც უნივერსიტეტის შენობაში, ევროპული ხუროთმოძღვრების ფორმებით სარგებლობდა. ალბათ, ეს იყო მისი პროექტის უარყოფის ერთი მიზეზთაგანი, რადგანაც დამკვეთთავე სურვილი ჰქონიათ «иметь здание в грузинском стиле»<sup>1</sup>.

ამგვარად, იმ უმთავრესი ობიექტებისათვის, რომლებსაც შეეძლო ჩვენთვის კლდიაშვილის, როგორც შემოქმედის, სრულად დახატვა, სათანადო მასალა, ჯერჯერობით მაინც, არ არსებობს. მარტო სიტყვიერი ცნობებით კი, ხუროთმოძღვრული ნაწარმოების შესახებ მსჯელობა, ცხადია, საექვო და მიზანშეუწონელია. მაგრამ, თუ ბანკის პროექტზე ჩვენ, ფაქტიურად, არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს, სამაგიეროდ, უფრო წვრილი ობიექტებისთვის ცოტა რამ მაინც შეგვიძლია ვთქვათ. ამათგან — ზოგი განხორციელებულია, უმრავლესობისა კი — პროექტებია დარჩენილი: თბილისის საბჭოს არქივში ჩვენ კლდიაშვილის მიერ ხელმოწერილი 60-მდე პროექტი ვიპოვეთ. როგორც აღვნიშნეთ, თითქმის ყველა — საცხოვრებელი სახლია: ზოგი სრულიად უნიშვნელო სიდიდისა, სულ რამდენიმე ოთახის შემცველი, ზოგი უფრო მოზრდილი — ორ-სამსართულიანი. გვხვდება არსებულ შენობათა რეკონსტრუქციებიც: სართულის დაწინება, ან კორპუსის მიშენება. დასასრულ, კლდიაშვილი, როგორც ჩანს, მშენებლობის წარმოებასაც ჰკიდებდა ხელს, ზოგჯერ სხვისი პროექტებითაც. ცხადია, მრავალ შემთხვევაში, აქ რაიმე მხატვრული შემოქმედების, ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი დაინტერესების შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება.

თუ სათვალავად გვიჩვენებს და ბანკის აგება განსაკუთრებული მოვლენა იყო როგორც ქართული საზოგადოებისათვის, ისე ხუროთმოძღვრისთვისაც, ამგვარი „რიგითი“ შენობების დაპროექტება არქიტექტორთა ყოველდღიურ საქმიანობასა და, იმავე დროს, მათი არსებობის წყაროს წარმოადგენდა. თვით ნახაზებსაც რაიმე განსაკუთრებული თვისებები არ უნდა მოვთხოვოთ: ქალაქის თვითმმართველობაში წარდგენილი ყველა პროექტი, რომლებიც ამჟამად არქივში ინახება, გარკვეული სტანდარტითაა შესრულებული: მთლიან ფურცელზე მკიდროდაა განლაგებული გენერალური გეგმა, გეგმები, განაკვეთები და ჩვეულებრივად, მხოლოდ ერთი ფასადი. ყველაფერი ძალიან „ტექნიკურად“ და მშრალად გამოიყურება, ფასადები, თითქმის ყოველთვის, სქემატურია და საერთოდ, ამ ნახაზებში მხატვრულობის არავითარი პრეტენზია არ იგრძნობა. ეს სავსებით გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ მათს წმინდა პრაქტიკულ, საქმიან დანიშნულებას. ასეთია კლდიაშვილის ნახაზებიც.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება მათი გაცნობის შემდეგ? უპირველეს ყოვლისა: კლდიაშვილი ტიპური, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ნორმალური“ წარმომადგენელია თავისი დროის არქიტექტურისა. იმ ხანებში, როცა მას მოღვაწეობა უხდებოდა, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციებთან რაიმე კავშირზე, ცხადია, ლაპარაკიც ზედმეტია. ამ ტრადიციების უწყვეტმა ჯაჭვმა წარსული საუკუნის ნახევარმდე მოაღწია. ბოლო ათეულ წლებში, მას

<sup>1</sup> იქვე.

შემდეგ, რაც საქართველომ რუსეთის გზით ევროპისკენ იბრუნა პირი, ევროპული ფორმები ხუროთმოძღვრებაშიც იჩინეს თავს. პირველად ესაგაფლენ ცხოველმყოფელი იყო: გარედან შემოსულისა და ადგილობრივის ორგანულმა შერწყმამ თბილისსა და საქართველოს პროვინციულ ქალაქებს ბევრი საინტერესო ძეგლი შესძინა. მაგრამ საუკუნის მეორე ნახევარში იგი უკვე საბედისწერო გახდა: მან სრულიად წააშრა და დათრგუნა ქართული არქიტექტურა, რომელსაც ადგილობრივ უკვე გამოცლილი ჰქონდა საფუძველი. საუბედუროდ ევროპის ამგვარი „შემოჭრა“ სწორედ მაშინ მოხდა, როცა ხუროთმოძღვრება იქაც დაცემის გზაზე იყო დამდგარი. უკანასკნელი დიდი სტილი — ამპირი წარსულს ჩაბარდა და ადგილი დაუთმო სასტიკ ეკლექტიზმს: რა თქმა უნდა, ცალკეული კარგი შენობები კიდევ იქმნებოდა, მაგრამ არქიტექტურამ დაჰკარგა მთლიანი, ორგანული სახე, იგი ყოველგვარ სტილთა უპირინციპო გადამღვრებითა და გადაღვევით კმაყოფილდებოდა. ბურჟუაზიულ ქალაქში შემოსავლიანი სახლის არქიტექტურა მეფდება და ეს კიდევ უფრო მეკეთრად ამჟღავნებს მხატვრული შემოქმედების გაუპიროვნებას. ამ მხრივ, რუსეთი არაფრით არ განირჩეოდა ევროპის სხვა ქვეყნებისაგან: აქაც იკვეთ „რენესანსები“, „ბაროკოები“ და ათასი სხვა რამ. პროვინციული თბილისიც მთლიანად და საბოლოოდ ექცევა ამ ორბიტში და ავტომატურად იმეორებს ამ შემოსულ ფორმებს. და როცა XIX საუკუნის ბოლოს ევროპის არქიტექტურაში ე. წ. „მოდერნი“ ვითარდება, იგი თავის გამოძახილს თბილისშიაც ჰპოულობს. რასაკვირველია, „მოდერნი“, ისევე როგორც ყველა სხვა სტილსაც, რომელიც ორგანულად კი არ აღმოცენებულა და განვითარებულა, არამედ მექანიკურად არის გადმონერგილი ჩვენში, არ შეეძლო დამოუკიდებელი შემოქმედებისა და დიდი ხელოვნების დონემდე ამაღლებულიყო. ხუროთმოძღვრები უკვე სხვაგან შემუშავებული, ცნობილი ფორმების ვარიაციებით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. მხოლოდ ამ ფარგლებში შეეძლოთ მათ, თავისი გემოვნებისა და დახელოვნების მიხედვით, მეტად ან ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ფასადის შექმნა.

თბილისში „მოდერნი“ ჩვენი საუკუნის დასაწყისიდანვე (1902—3 წლებში) იკიდებს ფეხს და მას შემდეგ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ნაგებობათა დიდი ნაწილი ამ სტილით შენდება. მაგრამ დამახასიათებელია, რომ მიუხედავად ამისა, სხვა „სტილები“ მაინც განაგრძობენ არსებობას, გვხვდება კლასიკურ ხუროთმოძღვრულ ელემენტთა გამოყენება, ხოლო წვრილი სახლების ღმრავლესობა, საერთოდ, სრულიად უსახურია. ცხადია, ეროვნული ხუროთმოძღვრული ტრადიციების აღორძინებაზე იმ დროს ოცნებაც ზედმეტი იყო. თუ ძველი ქართული ძეგლების კვლევას ჩვენი კულტურის მუშაკნი ასე თუ ისე მაინც ახერხებდნენ, ახალი ქართული არქიტექტურის შესაქმნელად საგუბერნიო ქალაქ თბილისში არავითარი პირობები არ არსებობდა. უფრო ზოგად მიზეზებზე რომ არაფერი ვთქვათ, ხუროთმოძღვართა მთავარ დამკვეთს — თბილისის ბურჟუაზიას ალბათ ქვეყანაზე არაფერი არ აინტერესებდა ისე მცირედ, როგორც ხელოვნებაში ეროვნული გზების ძიების პრობლემა. მრავალბინიანი სახლები მისთვის მხოლოდ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა, ხუროთმოძღვრის-

გან, გარკვეულ გასამრჯელოს სანაცვლოდ, იგი მოითხოვდა საიმედოსა და ეკონომიურ პროექტს და არასოდეს არ დასთანხმდებოდა, რომ ეს პროექტი უნდადაგო და გაუგებარი ექსპერიმენტის სახნად ექციათ. უკეთეს შემთხვევაში, მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომელთაც არ სურდათ მოლას ჩამორჩენოდნენ, სწორედ „მოდერნულ“ საცხოვრებლებს იშენებდნენ ხოლმე თავისთვის.

სიმონ კლდიაშვილი, თავისი შემოქმედების მიმართულებით, არაფრით არ გამოიყოფა და, იმ დროს მას არც შეეძლო რითიმე გამოყოფილიყო ამ ფონზე. მისი მუშაობა, ძალიან ზოგადად თუ ვიტყვით, ასე გვეხატება: თბილისში მოღვაწეობის პირველ პერიოდში (1899—1902) იგი კლასიკურ ხუროთმოძღვრულ ფორმებს მიმართავს, ამ მხრივ სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობა სრულიადაც არ დვას განმარტობით. 1902 წლიდან მას უკვე გარკვევით ეტყობა „მოდერნისკენ“ გადახრა, თუმცა ამ წელს შესრულებულ პროექტთა უმრავლესობა თავისუფალია ამ გავლენისგან. შემდეგ წლებში ეს ახალი ხაზი მთავარ ადგილს იჭერს, მაგრამ რამდენსამე შემთხვევაში ჩვენ უფრო გვიანაც ვხვდებით იმგვარ პროექტებს, რომლებშიც „მოდერნის“ კვალი სრულიად არ იგრძნობა.

ადრინდელი პერიოდის ნამუშევართაგან სანიმუშოდ ოთხი-ხუთი შეგვიძლია დავასახელოთ: ვასილ გაბაშვილის ერთსართულიანი სახლი კობის ქუჩაზე № 11 (1900 წ. ამჟამად ორი სართული აქვს დამატებული), ო. ვაჩნაძის სახლზე ერთი სართულის დაშენებისა და ორსართულიანი კორპუსის მიშენების პროექტი (1901, წყნეთის ქ. № 26), მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის (1901, ორბელიანის ქ.), ალ. სავანელის (1902, წყნეთის ქ.) და ნეგეფტოვისა და კონტრიძის სახლთა პროექტები (1902, სურბ-სარქისის ქ.). დასასრულ, კაზიევის სამსართულიანი სახლი წყნეთის ქუჩაზე (№ 17). პროფილირებული სართულთშუა არშიები და კარნიზი, იონიური, ან დორიული პილასტრები, კორინთული ნახევარსვეტები, ფანჯრისა და კარისზედა ფრონტონები, საპირეები, კუთხეში აყოლებული რუსტიკა, ან მთელი კედლის რუსტიკოვანი დამუშავება — აქ კლასიკური არქიტექტურის ფორმათა თეორიის მიხედვითაა შესრულებული (ცხადია, ეს ისეთი „კლასიკა“ და ისეთი „რენესანსია“, რომელსაც უკვე გამოვლილი აქვს XIX საუკუნე). სამწუხაროდ, პირველი ორისა და უკანასკნელის გარდა, ამ პროექტთაგან არც ერთი არ განხორციელებულა.

ამ მხრივ კლდიაშვილს საერთოდ არ სწყალობდა ბედი: მის მიერ შედგენილ პროექტთა უდიდესი ნაწილი რატომღაც პროექტადვე დარჩა, ხოლო ის შენობები, რომელთა აგებაც მოხერხდა, ყოველთვის ძალიან დაშორებულია ხუროთმოძღვრის განაზრახს (ეს დაშორება კი მულამ გაუარესებას ნიშნავს). ასევეა შეცვლილი, მაგალითად, ვაჩნაძის ხსენებული სახლიც.

1902 წელს კლდიაშვილს ქობულაშვილების სახლის რეკონსტრუქცია მოუხდა (გრიბოედოვის ქ. № 22). ჩვენთვის უცნობია, როგორ გამოიყურებოდა უწინ ეს შენობა, რომელშიც ამჟამად სამხატვრო აკადემიაა მოთავსებული, რამდენად გაუწია ხუროთმოძღვარმა ანგარიში უწინდელ ფორმებს. საფიქრებელია რომ ფასადის კარფანჯრები შეცვლილი არ არის და საერთო კომპოზიცია ხელუხლებლად დატოვებული, მორთულობა კი კლდიაშვილს უნდა ეკუთვნოდეს.

ყოველშემთხვევაში, მის მიერ ხელმოწერილ ფურცელზე ფასადის ნახაზი არის შეტანილი<sup>1</sup>. ეს მორთულობა — მოძრავი, ტალღოვანი მოხაზულობის მქონე, საკმაოდ მდიდარი სამკაულები, რომლებიც უმთავრესად კარებისა და ფანჯრების გარშემოა თავმოყრილი, რამდენადმე ბაროკულად გამოიყურება, მაგრამ მას, თითქოს უკვე შეეხებია მოდერნი, სულ ოდნავ მაინც. ნახაზთან შედარებით, განხორციელებულ ფასადში ზოგიერთი ცვლილებაა შეტანილი: ცენტრალური ნაწილის თავზე — ფონტონის ნაცვლად — დიდი მასიური კრონშტეინებით მორთული, მძიმე კარნიზი, მის ზემოთ კი პარაპეტია აღმართული, მარჯვენა კუთხის აივნის ბოძები ხის ნაცვლად — ქვისაა, მარჯვენა, განაპირა შევრილში ყრუ ნიშები — ფანჯრებითაა შეცვლილი, განსხვავდება ზოგიერთი დეტალიც (ცხადია, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ფასადი დღეს თავისი თავდაპირველი სახით აღარ არსებობს: სხვა თუ არაფერი გამოცვლილა, ყოველ შემთხვევაში, იგი შეღებილი მაინც სხვანაირად იქნებოდა). შენობის შიგნით კლდიაშვილს მხოლოდ იმ მდიდრული დეკორის აღდგენა მოუხდა, რომელიც მანამდეც არსებობდა და დაზიანებული იყო.

იმავე 1902 წელს ეკუთვნის არონ პრილუცკის დიდი, სამსართულიანი სახლის პროექტი (სექტემბერში დამტკიცებული, მილუტინისა და ელისაბედის კუთხე, ამჟამად ამ ადგილას სხვა სახლი დგას), პირველი ნაწარმოები, რომელშიც უკვე იგრძნობა შემობრუნება. მასში მანამდე ცნობილ, ჩვეულებრივ მოტივების გვერდით, ახალი მოტივებიც ჩნდება, ჯერ კიდევ თითქოს გაუბედავად, მხოლოდ ცალკეულ ნაწილებში: ალაყაფის კარისა და ჭიშკრის შემცველი ნაწილები ოდნავ შევირლია და ზემოთ სრულიად ფახტასტიკური მოხაზულობის პარაპეტები აქვს, აქა-იქ დამახასიათებელი ხაზობრივი სამკაულებია გამოყენებული, ახლებურად გამოიყურება აივნის მოაჯირებიც. შემდგომ ნაბიჯს ამ მიმართულებით გ. ქართველიშვილის მემკვიდრეთა სახლზე დაშენებული მესამე სართული და მიშენებული სამსართულიანი კორპუსი წარმოადგენს (ვარდციხის ქ. № 4. იმავე 1902 წლის სექტემბერშია დამტკიცებული). თუ პროექტში აქაც მხოლოდ ოდნავ იგრძნობა ახალი ნაკადის სიახლოვე, განხორციელებულ ფასადზე მოდერნულ ელემენტებს უკვე სრული სისავსით ვხედავთ.

1904—8 წლებს მიეკუთვნება უკვე სავსებით მოდერნული პროექტები: ილია ჭავჭავაძის (ორჯონიკიძის ქ. № 22), ნინო თამაშვეის (სადგურის ქ., 1904), დარია გოგნიევის (ოლღას ქ., მესამე სართულის დაშენება, 1904), ეკატერინე სავანელის (შიშველი მთისა და წამლის ქ. კუთხე, 1905), ოლია მელიქმინასოვის (ანანურის ქ., 1906), ელ. ხიზანოვისა (1907, ვაკე) და ივ. სვანიშვილის (1908, კირკისა და დიდმთავრის ქ. კუთხე) სახლებისა. ამათგან ზოგი არ განუხორციელებიათ, ზოგი კი მხოლოდ სახეშეცვლით, ან „შავადაა“ დასრულებული: მაგ., ილიას სახლის პროექტი, რომელიც თბილისის ქალაქის თვითმმართველობის საამშენებლო განყოფილების მიერ 1904 წლის დეკემბრის ჩვიდ-

<sup>1</sup> იხ. ქალაქის თვითმართვ. სააშშ. განყ. საქმე № 12257 თბილისის საბჭოს არქივში.



მეტსაა დამტკიცებული, ძლიერ განსხვავდება აგებული შენობისგან. პროექტის თანახმად, შესასვლელი — ფასადის მარცხენა კუთხეში უნდა ყოფილიყო დასავლური „კარიბჭე“ უნდა ჰქონოდა, მარჯვნივ, შვერილი ნაწილი რამდენადმე გამოყოფილია დამუშავების მხრივ (უფრო მაღალი კარნიზი, ორი ვიწრო და მათ შორის ერთი დიდი ფანჯარა, ერთმანეთისგან იონიური ნახევარსვეტებით გაყოფილი), შუა ნაწილის ფანჯრებს დამატებითი საერთო კარნიზი აქვს, კედელზე აქა-იქ ხაზოვანი სამკაულებია დართული<sup>1</sup>. არსებულ შენობაში მთლიანი კომპოზიციაც შეცვლილია და დეტალებიც: სამკაულთაგან აღარაფერი არ დარჩენილა, ყველაფერი გამარტივებული და „გაღარიბებულია“, ასე რომ ხუროთმოძღვრის თავდაპირველი განაზრახვის შეფასება უკვე შეუძლებელი ხდება. დანარჩენი სახლები, პროექტების მიხედვით, ორ-ორ საართულიანი უნდა ყოფილიყო, ამ პროექტთაგან ყველაზე უფრო საყურადღებო სვანელის სახლისა ჩანს. კლდიაშვილს თითქმის არც ერთ სხვა ნაწარმოებში არ დაუთმია დეკორისათვის ისეთი დიდი ადგილი, როგორც მას აქა აქვს მიკუთვნებული. ფასადზე ორი შვერილია: მარჯვნივ — უფრო ვიწრო, მაღალი საბურავითა და შპილით აღჭურვილი, მარცხნივ — უფრო ფართო (სამი ფაჯრის სიგანისა) — ზემოთკენ აზნექილი მორთული კარნიზითა და თაღოვანი ფანჯრებით (თაღები სამკენტროვანია). ფანჯრების მოჩარჩოება, საართულთშუა პროფილირებული სარტყლები, პილასტრების, კარნიზისა და პარაპეტის მორთულობა საკმაოდ მდიდრულ იერს ანიჭებს ამ ფასადს<sup>2</sup>. მასთან შედარებით თამამშევის, მელიქ-მინასოვის, ხიზანოვისა და სვანიშვილის სახლების ფასადები უფრო მარტივად გამოიყურება<sup>3</sup>. მაგრამ სპეციფიკური მოდერნული დეკორი მაინც ყველას აქვს. საერთოდ, სწორედ დეკორატიულობაა ამ ტიპის ფასადთა დამახასიათებელი. „მოდერნის“ სახლები თბილისის ევროპული ნაწილის ყველა რაიონშია გაფანტული და ისინი ადვილად გამოირჩევიან ხოლმე: ფასადი ისეთი სამკაულებითაა აღჭურვილი, რომლებიც ტექტონიკის მიერ არ არის ნაკარნახევი და არც თავისი გენეზისითაა მასთან დაკავშირებული: ფანჯრის ქვეშ, ან შუაკედლისებზე, გამოყოფილ ჩარჩოებში, ყვავილოვანი, ან ფიგუროვანი კომპოზიციებია, აქა-იქ სვადასხვა სიგრძის პარალელური ხაზებია ვერტიკალურად ჩამოშვებული და ჩვეულებრივად მათ მცირე რგოლები უკეთდება თავსა და ბოლოში. პილასტრებზე, სვეტისთავეების ნაცვლად, ზოგჯერ, მასკარონებს იყენებენ, ხშირია თვით კედლის ზედაპირზე განსხვავებული ფაქტურის ან მასალის დაპირისპირება, მაგ., გლუვისა და ხორკლიანისა, თუ შენობა შეღესილია, ან თლილი ქვისა და მოჭიქული ფილებისა და სხვ. სრულიად ნებისმიერად კეთდება კარნიზი და პარაპეტი, რომელთა

<sup>1</sup> იხ. ქალაქის თვითმმართველობის საამშ. განყ. ბის საქმე № 13522 თბ. საბჭოს არქივში. კლდიაშვილის პროექტის გარდა, საქმეში, სხვათაშორის, დაცულია ილიას მიერ ხელმოწერილი თბოვნა პროექტის დამტკიცების შესახებ და მისი ხელით დაწერილი მინდობილობა: «Доверю получить обратно проект плана моего дома на Андреевской ул. № 22 Божану Иосифовичу Мchedlishvili. 13 декабря 1904 г. Кв. Илья Григорьевич Чавчавадзе».

<sup>2</sup> იხ. თბ. ქალ. თვითმმართვე. საამშ. განყ. საქმე № 13659.

<sup>3</sup> იქვე, საქმეები №№ 13524, 13884, 14119, 14141.

ფორმაც მხოლოდ და მხოლოდ ხუროთმოძღვრის ფანტაზიას ემორჩილება. კედლის ზედა ხაზი შეიძლება მრუდიც იყოს, ტეხილიც, საფხეურისებრიც. შემთხვევაში იგი უთუოდ მოძრავია. ფასადის შვერილთა დამავიროვნებელ ნაწილებს საგანგებოდ გამოჰყოფენ ხოლმე: პარაპეტი უფრო მაღალია, ხშირად ტალღოვანი, ან მორკალული მოხაზულობა აქვს და ზოგჯერ თვითონაც ძლიერ შვერილი კარნიზითაა აღჭურვილი. ერთი უმთავრეს დამახასიათებელ ელემენტთაგანი მოდერნული ფასადისა — ფანჯარაა. მისი მოხაზულობაც ხშირად სცილდება ხოლმე ჩვეულებრივ ფორმას და თითქოს რაღაც გრაფიკულ კომპოზიციას ექვემდებარება. გავრცელებულია რამდენისამე ფანჯრის გავრთიანებაც ერთ მთლიან კომპოზიციურ ჯგუფში: ფართო ფანჯარა ორ ვიწროს შუა, სამი ფანჯრის ჩახაზვა ერთ ნახევარწრეში და სხვ. დეკორატიულია ალათების ნახატი (ისევე მრუდი და ტალღოვანი ხაზები, ფრამუჯის დანაწევრება მცირე კვადრატებად), სპეციფიკურად მუშავდება აივანთა რკინის მოაჯირებიც.

ამ რეპერტუარს, მის თანამედროვე სხვა არქიტექტორებთან ერთად, სიმონ კლდიაშვილიც მიმართავს, მაგრამ რაიმე გადაჭარბებას მის პროექტებში არასოდეს არა აქვს ხოლმე ადგილი: მაშინ, როდესაც ზოგიერთი ხუროთმოძღვარი შენობის ფასადს გრაფიკული ფანტაზიების ასპარეზად აქცევდა, კლდიაშვილი სამკაულებს ზომიერად ხმარობს და არც კარ-ფანჯრებს უკარგავს ნორმალურ სახეს. საინტერესოა, რომ ფასადის კომპოზიციისთვის მას თავიდანვე, ჯერ კიდევ პირველ პერიოდში, უმუშავებდა გარკვეული ხერხები: ფასადი თითქმის ყოველთვის ასიმეტრიულია, მთავარი აქცენტი ერთ-ერთ ნაპირზე გადატანილი: პირველ სართულში აქ ჩვეულებრივ ფართო, თაღოვანი ჰიშარი თავსდება. ხოლო მის ზემოთ — ან სხვებზე უფრო ფართო ფანჯარა, ან წყვილი სარკმელი, ზოგჯერ კი აივანი და კარი. ამ ფანჯრის (ან კარის) გარშემო არქიტექტურული ელემენტები უფრო ინტენსიურადაა თავმოყრილი (პილასტრები, ნახევარსვეტები, ფრონტონი, ხოლო ახალი მანერის პროექტებში — სამკაულები, მაგ., რგოლზე დაკიდული ვერტიკალები და სხვ.), მთელი ეს ნაწილი ოდნავ შვერილია და კარნიზს ზემოთ მას პარაპეტი აქვს. ფასადის დანარჩენი ნაწილი თანაბარზომიერად ნაწევრდება, მხოლოდ ალაყაფის კარს ესმის რამდენადმე ხაზი. გარკვეული ყურადღება ექცევა კედლის ფაქტურასაც: პირველი სართული, ჩვეულებრივ, უფრო მძიმეა (მაგ., რუსტიკოვანი), მეორე უფრო მსუბუქი და თან უფრო მორთულიც. ზემოჩამოთვლილ პროექტთაგან უმრავლესობას ამგვარი აღნაგობა აქვს.

ამავე და მომდევნო პერიოდის ნამუშევართაგან ჩვენ აქ მხოლოდ უმთავრესებს დავასახელებთ:

1904 წელს ეკუთვნის სულხან ჭავჭავაძის სახლის აგება სოფ. ურიათუბანში, 1905-ს ასათიანის სახლი თბილისში (ბაქოსა და ცეტკინის ქ. კუთხე), 1907-სა და 1908 წლებს — ლოსაბერიძის, მაქსიმე შარაძისა და კერესელიძის სახლისა (მოსკოვის ქ.) და განკეიჯის დიდი, სამსართულიანი სახლის (წყნეთის ქ.) პროექტები, რომელთაგანაც არც ერთი არ განხორციელებულა, 1908-შია შესრულებული ექ. ყარამან ჩიქოვანის სახლის პროექტი. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 1913 წელი: წვრილმანსაც თუ ჩავთვლით, ამ წელს 20-მდე ობიექტი მიე-

კუთვნიება: ამათგან ზოგიერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი სიდიდისა: ისევ — განუ-  
ხორციელებელ პროექტთა მთელი რიგი: სიმ. ხუნდაძის (ანდრიას ქ.) და სოლომონ  
ჭიჭინაძისა (წყნეთის ქ.) და გამდლიშვილის სახლებისა; შემდეგ — აშენებული  
სახლები — ანასტასია მაჩაბლისა (წილკინისა და ლენინის ქ. კუთხე, ეზოში),  
გიორგი ერისთვისა (გოცირიძის ქ. № 39) და მეორე სართულის დაშენება  
სოლომონ წერეთლის დიდ სახლზე. ამათგან — პირველი ორი მხოლოდ შავადაა  
დასრულებული და ძალიან დაშორებულია ხუროთმოძღვრის დანაფიქრს.

1914-ით თარიღდება ჯავაევის სახლზე მეორე სართულის დაშენების პრო-  
ექტი. იმავე 1914 წელს კლდიაშვილი აშენებს სხირტლაძის სახლს (ლენინის ქ.  
№ 40, ფლიგელი ეზოს სიორმეში) და ამას გარდა, ხელმძღვანელობს ორი,  
საკმაოდ მოზრდილი საცხოვრებელი შენობის აგებას: პეტრიაშვილის ქ. № 20  
(გაბრ. მამაცაშვილის სახლი) და კალანდაძის ქ. № 1ა (არლუთინსკის სახლი). ამ  
შენობათა პროექტებს კლდიაშვილის მუდმივი თანაშემწე ტექნ. ე. სარაჯევი  
აწერს ხელს და, ჩვენი აზრით, კლდიაშვილის მონაწილეობა თვით პროექტირე-  
ბაშიც უეჭველი უნდა იყოს, თუნდაც ხელმძღვანელობის სახით.

რას გვიჩვენებს ყველა ეს სახლი და პროექტი? ცხადია, სტილისტიკური  
თვალსაზრისით მაინცდამაინც მტკიცე ხაზი არა გვაქვს და ეს არც იყო მოსა-  
ლოდნელი ეკლექტიზმის ხანაში. მაგრამ ეს კი თვალსაჩინოა, რომ ხუროთმოძ-  
ღვარი, თავის მოღვაწეობის ბოლომდე, ძირითადად მაინც, არ დალატობდა  
აღებულ გეზს: „მოდერნის“ უკვე ნაცნობი ხაზები უკანასკნელ წლებშიც საკ-  
მაოდ ხშირად გვხვდება (სხირტლაძის, მამაცაშვილის, ერისთვისა და არლუთინ-  
სკის სახლები, გამდლიშვილის, ხუნდაძის, ჭიჭინაძისა და წერეთლის სახლთა  
პროექტები).

მაგრამ აქ ცალკე უნდა გამოიყოს კლდიაშვილის ერთი ნაწარმოები, სახელ-  
ლობრ, ექ. ყარამან ჩიქოვანის ერთსართულიანი სახლის პროექტი (1908), რო-  
მელშიც მოდერნული დეკორის ნაცვლად, ავტორი ბერძნული ხუროთ-  
მოძღვრების ფორმებს მიმართავს<sup>1</sup>. განაპირა, შვერილი ნაწილები  
ფრონტონებითაა აღჭურვილი, ფრონტონის ქვემოთ — ტრიგლიფებიანი და მეტო-  
პებიანი ფრიზია, გამოყენებულია დორიული, დარებიანი ნახევარსვეტები, ფანჯ-  
რებს ზემოთ ზოგან „ალაგრეკის“ არშიებია, ზოგან კი ფოთლოვანი მოტივი,  
რომელიც აგრეთვე ბერძნული ორნამენტის რეპერტუარიდანაა ნასესხები. თა-  
ვისი პროპორციებითაც და გემოვნებით შერჩეული დეტალებითაც, ეს სახლი  
ერთი უკეთესთაგანი უნდა ყოფილიყო კლდიაშვილის ნაწარმოებთაგან<sup>2</sup>, მაგრამ  
სამწუხაროდ, არსებული შენობა (ცეტკინის ქ. № 15) ძალიან ნაკლებად მოგვა-  
გონებს პროექტს: მას აგურის შიშველი კედლები აქვს, ხოლო მორთულობისა  
კვალიც არ ჩანს: ფასადის დასრულება, ალბათ, მატერიალური მოტივებით აღარ  
მოხერხდა და იგი „შავადაა“ დატოვებული.

<sup>1</sup> კალ. თვითმ. საამშ. განყ. საქმე № 14179. შენობის ნაწილი უკვე არსებობდა და  
კლდიაშვილმა წინა კორპუსი მიაშენა მას.

<sup>2</sup> თუ გავიხსენებთ, რომ ბანკის პროექტი რენესანსული ყოფილა, მაშინ უნდა ვიფიქ-  
როთ, რომ ასეთი „კლასიკური“ რეციდივები კლდიაშვილისათვის ამ წლებშიც არ არის შემ-  
თხვევითი.

ყველაფერი ის, რაც ჩვენ აქ ჩამოვთვალეთ, მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც სიმონ კლდიაშვილს გაუყუთებია თავისი მოღვაწეობის განმავლობაში. ჩვენ არ დავგვისახელებია წერილი პროექტები, რომლებიც ქალაქის არქივში ინახება, რადგანაც ისინი არაფერს არ მატებენ მის ხუროთმოძღვრულ სახეს, არ აღვინიშნავს აგრეთვე ისიც, რომ მან ქვიშხეთში აგარაკი აიშენა, ხოლო თბილისში, ფიქრის გორაზე, საკუთარი სახლის რეკონსტრუქცია მოახდინა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მის ნამუშევართაგან ზოგი რამ ჩვენთვის უცნობი დარჩა: ზეპირი ცნობებით ვიცით, რომ თბილისს გარეთ კლდიაშვილს კიდევ რამდენიმე შენობა უნდა ჰქონდეს აგებული, მაგრამ მათ შესახებ არავითარი საბუთი არ გავაჩნია.

როგორც დავინახეთ, თბილისში დასახლების პირველდროიდან უკანასკნელ წლებამდე, სანამ დაავადმყოფდებოდა, კლდიაშვილი ძალიან ინტენსიურად მუშაობდა: სათავადაზნაურო გიმნაზიის მშენებლობა, სხვა კერძო დაკვეთების შესრულება, ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლთა გაზომვა, სხვადასხვა კომისიებსა და საზოგადოებებში მონაწილეობა, საადგილმამულო ბანკში სამსახური ხუროთმოძღვრის თანამდებობაზე, მოლიანად ავსებდა მის ცხოვრებას. მაგრამ, ყოველივე ამის გარდა, კლდიაშვილს ერთგვარი საზოგადოებრივი დატვირთვის შესრულებაც უხდებოდა: ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მას სოხუმის ქართველობამ ეკლესიის პროექტის უსასყიდლოდ შედგენა სთხოვა. ეს თხოვნა ერთადერთი არ არის: კლდიაშვილს სხვებიც მიმართავდნენ ხოლმე დახმარებისთვის. დამახასიათებელია, ამ მხრივ, გურიის სოფელ მაკვანეთის სასკოლო საამშენებლო კომისიის წერილი კლდიაშვილისადმი (1911 წ. 9. IV). „...ახლა განვიზრახეთ ახალი შენობის აგება ... მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენს ასეთ სურვილს არ უდრის ჩვენი ნივთიერი შეძლება. ჩვენმა ხელმოკლეობამ გვაძიულა, რომ დახმარებისთვის მივმართოთ ჩვენს გამოჩენილ მამულიშვილთ და ქველმოქმედთ და მათ შორის თქვენც, ბატონო სვიმონ გრიგორის ძე! თქვენ არ გთხოვთ პირდაპირს ნივთიერ დახმარებას, მაგრამ გთხოვთ ისეთ რამეს, რაც ასეთ დახმარებაზე უძვირფასესი და უსაჭიროესია ჩვენთვის, რადგან მასში ჩაწულ-ჩაქსოვილი იქნება, ასე ვთქვათ, თქვენი ხუროთმოძღვრული თავისებურობა. თქვენ უკვე მიმხვდარი ხართ, რომ ჩვენ გთხოვთ დავავალოთ და შევედგინოთ განზრახული სასკოლო შენობის გეგმა... ..რაკი ასეთ ხარჯებს ვკისრულობთ, გვინდა ბარემ ისეთი შენობა ავაგოთ, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სასკოლო ჰიგიენისა და ხუროთმოძღვრების უკანასკნელ სიტყვას. ასეთი გეგმის შედგენა კი თქვენზე კარგათ, ვფიქრობთ, არავის შეუძლია, რადგან თქვენ ხართ ტფილისის ქართული გიმნაზიის შენობის, რაც ამშვენებს მთელ ქალაქს, გეგმის სულის ჩამდგმელი და განმხორციელებელი...“

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სიმონ კლდიაშვილი, როგორც ჩანს, ვეღარ მუშაობდა უწინდელი ინტენსივობით. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ცნობილ მის ნამუშევართაგან 1914 წელს არც ერთი არ სცილდება. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ 1916 წელს მას ფიქრის გორაზე ქუჩის გაყვანა ჰქონდა დაგეგმილი და რომ 1919 წელს იგი საქართველოს ტექნიკური საზოგადოების წარმომადგენლად იყო სენაკის სახალხო სახლის საკონკურსო პროექტების გან-

მხლიველ ქუთრიში<sup>1</sup> (ამავე წლებში იგი ქართველ ხელოვანთა საზოგადოების წევრად ირიცხება, ხოლო საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრად იგი უკვე 1907 წელს იყო არჩეული)<sup>2</sup>. საქმე ის არის, რომ უკანასკნელი 5—6 წლის განმავლობაში იგი მუდმივ ავადმყოფობდა. მისი დის ანასტასიას ცნობით, სიმონი სათავადაზნაურო ბანკიდან გაუგზავნიათ რალაც საქმეზე, როგორც საგანგებო კომისიის წევრი; იქ ის კონსერვით მოიწამლა და მას შემდეგ ვეღარ გამოკეთდა. 1914 წელს იგი გერმანიაში გაემგზავრა სანატორიუმში სამკერნალოდ. (ამისთვის მას საკუთარი სახლის გაყიდვა დასჭირდა), მაგრამ იძულებული გახდა გზიდანვე დაბრუნებულიყო, რადგანაც ერთ-ერთ ნავსადგურში კარანტინი ყოფილა გამოცხადებული და მგზავრები აღარ გაუშვიათ. დაბრუნების შემდეგ სიმონი ხან გერმანელთა საავადმყოფოში ექიმობდა, ხან წალფერში, ბოლოს კი მიხეილის საავადმყოფოში იწვა. აქ გარდაიცვალა იგი 1920 წლის მაისის 26-ს, ხოლო იენისის პირველს ის დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონშია დაკრძალეს პოეტ ნოე ჩხიკვაძის გვერდით. პრესა სრულებით არ გამოხმაურებია მის სიკვდილს. მხოლოდ «თეატრი და ცხოვრება» უძღვნა მას მცირე ნეკროლოგი, რომელშიც «მტკიცე მამულიშვილსა» და «მშობელი ერის დიდ გულშემატკივარს» უწოდებდა მას<sup>3</sup>. სიმონ კლდიაშვილი მართლაც სამშობლოს გულშემატკივარი იყო, ნამდვილი საზოგადო მოღვაწე, არაჩვეულებრივად თავმდაბალი და ჩუმი ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე დაუღალავ შრომაში გაატარა, ადამიანი, რომელიც გულწრფელად იყო დაინტერესებული ჩვენი ქვეყნის კულტურული წინსვლით და როგორმაც მეტად დასაფასებელი წვლილი შეიტანა კიდევ ამ კულტურის განვითარებაში. და დღეს, როცა ჩვენი წარსულის მემკვიდრეობა ასე ფასდება და ყოველი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფაქტი მზრუნველობისა და შესწავლის საგნადაა გადაქცეული, ჩვენ არ შეგვიძლია პატივისცემისა და მადლობის გრძნობით არ გავიხსენოთ თბილისის უნივერსიტეტის შენობის ამ გეგმის სახელი.

<sup>1</sup> მის ქალაქდებში დატულია სათანადო მოწიბა.

<sup>2</sup> იხ. «ძველი საქართველო». ტ. I, ტფ. 1909, ოქმი 8. XI-ის არაჩვეულებრივი კრებისა, 1907 წელს.

<sup>3</sup> იხ. «თეატრი და ცხოვრება», 1920, № 21, გვ. 14.

## აკაძიტ. სიმონ კლდიაშვილის ნაშუაშვართა სია

1899

თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის პროექტი.

1900

დიწყო სათავადაზნაურო გიმნაზიის მშენებლობა.

ვასილ გაბაშვილის სახლი, კობის ქ. № 11, აშენებულია. ამჟამად მეორე და მესამე სართულები აქვს დამატებული. № 11104\*.

გიორგი ბაქრაძის სახლისთვის ორსართულიანი ფლიგელის მიშენება, წყნეთისა და კალანდაძის ქ. კუთხე, აშენებულია. № 11278.

იოსებ გაბაშვილის სახლზე ორსართულიანი ნაწილის მიშენების პროექტი, ოლღას და აგურის ქ. კუთხე (sicl). № 11280.

მარიამ ნემსაძის სახლზე ორსართულიანი ფლიგელის მიშენების პროექტი, ანანურის შესახვევი. № 11290.

1901

ანასტ. დოსოევის სახლის პროექტი, რიყის ქ.; № 11664.

ოლღა გაჩნაძის სახლზე მესამე სართულის დაშენება და კარაპუსის მიშენება, წყნეთის ქ. № 26, განხორციელებულია გამარტივებული სახით. № 11804.

ფირადოვის სახლის პროექტი, გორონოვის ქ.; № 11827.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის სახლის პროექტი, ორბელიანის ქ., არ განხორციელებულა. № 11865.

დოსოევის დუქნები, რიყის ქ.; № 11875.

1902

მღვდ. ბენიამინ კონტრიძის სახლი, სურფ-სარქისის ქ., არ აუშენებიათ. № 12163.

ლენტი ნეგუფტოვის სახლი, სურფ-სარქისის ქ. არ აუშენებიათ (ეს ორი — ერთდროულადაა დაპროექტებული და დამტკიცებული, ერთნაირა, სარქისებრი შებრუნებით). № 12154.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის სახლთან სამზარეულოსა და საყრდენი კედლის აგების პროექტი. № 12223.

მარიამ კოვალიოვის ფლიგელის პროექტი, მატინოვის ქ.; № 12258.

ნინო ქობულაშვილის სახლის რეკონსტრუქცია, გრიბოედოვის ქ. № 22 (ახლანდელი სამხატვრო აკადემია). № 12257.

არონ პრილუცკის სამსართულიანი სახლის პროექტი, ელისაბედისა და მილიუტინის ქ. კუთხე, არ აუშენებიათ. № 12477.

გიორგი ტროშევიძის სახლის პროექტი, ელისაბედის ქ.; № 12614.

ალექსანდრე სავანელის სახლის პროექტი, წყნეთის ქ., არ აუშენებიათ. № 12142.

ასლან მდ. ვნის მალაზიების პროექტი, ოლღას ქ.; № 12128.

ანდრია ფიცხელაურის ერთსართულიანი სახლის პროექტი, „ლოტკის“ გორაზე. № 12374.

ოპანეზოვების სახლის გაფართოების პროექტი, პლენანოვის და კრილოვის ქ. კუთხე. № 12417.

გ. ქართველიშვილის მემკვიდრეთა სახლზე მე-3 სართულის დაშენება და სამსართულიანი კორპუსის მიშენება, ვარდციხის ქ. № 4, პროექტი რამდენადმე სახეშეცვლითაა განხორციელებული. № 12505.

ელიოზოვისა და მეყდლოვის სახლის პროექტი, მთაწმინდის ქ.; № 12330.

მოსე კაზიევის სამსართულიანი სახლი, წყნეთის ქ. № 17, აშენებულია თითქმის უცვლელად პროექტის მიხედვით. № 12166.

\* №№ მიუთითებს ქალაქის თვითმართველობის საამშენებლო განყოფილების სათანადო აქტის №-ს (ამჟამად თბილისის საბჭოს არქივში).



## 1903

- სოფია ზედაშიძის ორსართულიანი სახლის პროექტი, თბილისის ქ.; № 12796.  
 დავით გაგლოვეის ერთსართულიან სახლზე ერთი სართულის დაშენების პროექტი, თუშანოვის ქ.; № 12665.  
 მესხიშვილების სახლზე მე-4 სართულის დაშენების პროექტი, ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქ. კუთხე (განხორციელებულია?) № 12997.  
 ელიოზოვისა და მეყდლოვის სახლის მეორე პროექტი, მთაწმინდის ქ. (იხ. 1902, № 12330); № 12330.  
 დავით გაგლოვეის სამსართულიანი სახლის პროექტი, თუშანოვის ქ.; № 12937.

## 1904

- სულხან ჭავჭავაძის სახლის აგება სოფ. ურიათუბანში.  
 ილია ჭავჭავაძის სახლის პროექტი. არსებული სახლი აშენებულია სხვა პროექტის მიხედვით; ორჯონიკიძის ქ. № 22. № 13522.  
 ნინო თამაშვეის სახლის პროექტი, ორჯონიკიძის ქ. არ აუშენებიათ. № 13524.  
 გენ. რიხენკამბფის სახლზე მიშენება-დაშენების პროექტი, ორბელიანის ქ.; № 13350.  
 დარია გოგნიევის სახლზე მე-3 სართულის დაშენების პროექტი, ოლღას ქ. თუ განხორციელებულია, ყოველ შემთხვევაში, არა ამ პროექტით. № 13214.

## 1905

- ეკატ. საგანელის ორსართულიანი სახლის პროექტი, შიშველი მთისა და წამლის ქ. კუთხე, არ აუშენებიათ. № 13659.  
 ეპრაქსია ასათიანის სამსართულიანი სახლი, ბაქოსა და კლ. ცეტკინის ქ. კუთხე, აშენებულია. № 13677.  
 გ. ჯემუზაძის საწყობების პროექტი, შუა ბაზარში.  
 მიშენება ბანკის სახლზე, ფრეილინის ქ.

## 1906

- ოლღა მელიქ-მინასოვის ორსართულიანი სახლის პროექტი, ანანურის ქ., არ აუშენებიათ. № 13884.

## 1907

- სპირ. ლოსაბერიძის, მაქსიმე შარაძისა და ესტატე კერესელიძის სახლის პროექტი, გუნბისა და მოსკოვის ქ. კუთხე, არ აუშენებიათ. № 14016.  
 ელისაბედ ხიზანოვის სახლის პროექტი, ვაკე, არ აუშენებიათ? № 14119.

## 1908

- პეტრე განკვიჩის დიდი, სამსართულიანი სახლის პროექტი, წყნეთის ქ. ბოლოში, ვარაზის ხევის პირს, არ აუშენებიათ. № 14255.  
 დავიდოვის სახლზე ფლიგელის მიშენების პროექტი, მექოთნეთა ქ.; № 14212.  
 ზაქ. აბრამიშვილის სახლის პროექტი, ვერის დაღმართი. № 14240.  
 სოლ. ჯაფარიძის ორსართულიან სახლზე მანსარდის დაშენების პროექტი, ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქ. კუთხე. № 14156.  
 ექ. ყარამან ჩიქოვანის ერთსართულიან სახლზე ქუჩის მხრივ კორპუსის მიშენება, ცეტკინის ქ. № 15, განხორციელებულია მხოლოდ „შავად“, დეკორის გარეშე. № 14179.  
 ივანე სვანიშვილის სახლზე ერთი სართულის დაშენებისა და ორსართულიანი კორპუსის მიშენების პროექტი (ფასადი მთლიანად კლდიაშვილისა) — დიდიმთავრისა და კირკის კუთხე — განხორციელებულია შეცვლილი სახით. № 14141.



ო. სტრაშნიკოვას ერთსართულიანი პატარა სახლის პროექტი, ვაქე. № 14283.  
 აშენებს ვიქტორია ბუდაგოვსკის სახლს როგოისკის პროექტით, ბარნოვის ქ. № 51.

1909

ბეგიჯანოვის სახლზე ორი ოთახის მიშენების პროექტი, არსენას ქ.; № 14485.  
 ფერ. იაკოვლევის სახლზე ერთი ოთახისა და კიბის მიშენების პროექტი. № 14509.  
 ოლგა ლაბინსკის ორსართულიანი სახლი ვეგენის ჩიხში, აშენებულია. № 14511.  
 გაბრ. ქართველიშვილის მემკვიდრეთა სახლში ქვემო სართულის გადაკეთება მალაზიებად,  
 მეორე სართულის დაშენება და სხვ. № 14400.  
 ივ. სვანიშვილის სახლზე მანსარდის დაშენების პროექტი, კირკისა და დიდმოთავრის ქ. კუთხე.  
 № 14406 (იხ. 1908, № 14141).  
 ესტ. ჩხარტიშვილის მემკვიდრეთა სახლის პროექტი, ბაქოს ქ.; № 14547.  
 სათავადაზნაურო ბანკის მალაზიის პროექტი, დესიმონოვის ქ.; № 14508.  
 პროექტი ბანკის სახლში პირველი სართულის ორი ოთახის გადაკეთებისა მალაზიებად, ანდ-  
 რიას ქ.; № 14590.

1911

ანა რატიშვილის სახლის პროექტი, ალექსანდრეს ქ. № 49. № 15014.

1912

თბილისის სათავადაზნაურო ბანკის შენობის საკონკურსო პროექტი.  
 იოსებ წითლიაშვილის ორსართულიანი სახლის პროექტი, ვერის შესახვევი. № 15342.  
 ანა ბენიშვილის ორსართულიანი სახლის პროექტი, დუშეთის ქ.; № 15497.  
 კახაროვის სახლში კედლის აყვანა და სამზარეულოს გაფართოება. № 15509.  
 სოლ. იმედაშვილის სახლზე ორსართულიანი კორპუსის მიშენება, „по Нижнему переулку“  
 (კლდიაშვილი და ტუქან. კაჩაროვსკი). № 15362.  
 ევა კობახიძის სახლი, მატერიალური ქ. და შესახვ. კუთხე, № 10. № 15141.  
 არტ. ოთაროვის სახლზე მე-2 სართულის დაშენება და სხვ. პროექტი, ამაღლების ქ.; № 15712.  
 კორნეევის სახლზე მეორე სართულის დაშენების ხელმძღვანელობა, მატერიალური ქ. № 5  
 (პროექტი სხვისია). № 15398.  
 ოდიკაძის სახლის მშენებლობის ხელმძღვანელობა „по Анневской ул.“. № 15428.  
 გიორგი ყვირიანის სახლზე ერთი ოთახის მიშენების პროექტი, ვეძინის შეს. № 6. № 15638.

1913

მღვდ. გრ. გამდლიშვილის სახლის პროექტი, ანასტასიას და იოანე ღვთისმეტყველის ქ. კუთხე,  
 არ განუხორციელებიათ. № 15752.  
 სალომე ჭიჭინაძის ორსართულიანი სახლის პროექტი, წყნეთის ქ., არ აშენებიათ. № 15914.  
 სიმონ ხუნდაძის ორსართულიანი სახლის პროექტი, ანდრეას ქ. № 23 (ადგილზე ასეთი სახლი  
 არ ჩანს). № 16045.  
 ანასტასია მაჩაბლის სახლის რეკონსტრუქციისა და მეორე სართულის დაშენების პროექტი,  
 ოლლასა და წილკნის ქ. კუთხე, ეხოში (ოლლას ქ. № 52). აშენებულია გამარტი-  
 ვებული სახით. № 16102.  
 სოლომონ წერეთლის სახლზე მეორე სართულის დაშენების პროექტი, შესრულებულია რამდე-  
 ნადმე სახეშეცვლით, ცეტკინისა და სართანის ქ. კუთხე. № 16158.  
 ივანე ჯორჯაძის სახლზე მე-3 სართულის დაშენებისა და სამსართულიანი ნაწილის მიშენების  
 პროექტი, მესანგრეთა ქ. და მესანგრეთა შესახვევის კუთხე № 19/1. № 16174.  
 გიორგი ერისთავის ორსართულიანი სახლის პროექტი, აგქალის მოედნისა და მინკვიცივის  
 (=გოცირიძის) ქ. კუთხე. № 16158 (იხ. 1914 წ.).



გაბრიელ ქელიძის სახლის რეკონსტრუქციის პროექტი, საგურამოს ქ. № 13. № 16241.  
დავით მკერალიშვილის ორსართულიანი სახლის პროექტი, სომხის ჩიხი. № 16241.  
სოფია ბერძენიშვილის ორსართულიანი მანსარდიანი სახლი, ვარდისუბნის ქ. № 3, აშენებუ-  
ლია, პროექტისაგან განსხვავდება. № 16283.

## 1914

სხირტლადის სახლი, ლენინის ქ. № 40, კორპუსი ეზოს სიღრმეში, აშენებულია. № 16354.  
ეკატ. ჯავაყვის სახლზე მეორე სართულის დაშენების პროექტი, ერისთვის ქ.; № 16487.  
ივანე მიქაძის სახლის პროექტი, კაბგერისა და ფოსტის ქ. კუთხე.  
მამაცაშვილის სახლი, პეტრიაშვილის ქ. № 20 (ხელს აწერს კლდიაშვილის თანაშემწე სარა-  
ჯუცი). აშენებულია. № 16360.  
არლუთინსკის სახლი, კალანდაძის ქ. № 1ა (ხელს აწერს სარაჯუცი). აშენებულია. № 16545.  
გიორგი ერისთვის სახლზე მე-3 სართულის დაშენების პროექტი (იხ. 1913 — № 16158). მინ-  
კვიცივის ქ. და ავჭალის მოედნის კუთხე. სახლი გამარტივებული სახითაა აშენე-  
ბული (ახლანდელი გოცირიძის ქ. № 39).  
სასულიერო სემინარიის (პუშკინის ქ.) ეზოში ბაზრის მშენებლობა ვინოგრადოვსა და ძიძი-  
ძეის დაკვეთით (პროექტი სხვისი შედგენილია). № 16679.  
დავით ლაზრიშვილის სახლი, ვეძინის მე-2 და მე-3 ჩიხში. № 16417.

**სხვა ავტორთა, ან ხელმოწერელი პროექტები, რომელთა მშენებლობის წარმოებას  
კლდიაშვილი კისრულობს:**

ბუციყვის მალაზიაში ვიტრინების გაფართოება, მიხეილის პროსპ. № 19. № 16098.  
სეფორ კრიხელის სახლი, Дворная ქ.; № 15951.  
ალათი ჩერნიშოვის სახლის ფასადის შეცვლა, ფოსტის ქ.; № 15955.  
პილაევის სახლზე ფლიგელის მიშენება, ჩერქეზიშვილის ქ. № 7. № 16007.  
ვლიახარ ზუბკოვის სახლზე მე-3 სართულის დაშენება, ყიფიანის ქ. № 24. № 16011.  
გოლდშტეინის სახლი, ოსიპოვის შესახვევი. № 16188.  
მაქს. კობერიძის სახლი, მიხეილის პროსპ.; № 16200.  
ეკატ. ლორისმელიქოვის 4-სართულიანი სახლი, ვლისაბედის ქ. № 87. № 15753.  
ი. ცისკარიშვილის სახლი, პეტრეს ქ. და პეტრეს ჩიხ. კუთხე. № 15814.  
ოპანეს ხაჩატურიანის სახლი, იაროსლავის ქ. № 2. № 15888.  
ბარბალე ცაგარლის სახლი, მატინოვის ქ. და გუნბის ქ. კუთხეში. № 16343.  
მიხ. განინის სახლი, მტკვრის ქ. № 4 (ხელს აწერს სარაჯუცი, კლდიაშვილის თანაშემწე). აშე-  
ნებულია გამარტივებული სახით. № 15868.  
ონიევის სახლის რეკონსტრუქცია, თუმანოვის I ქ. № 23. № 13842.  
მარიამ გიგაძის სახლზე ორსართულიანი კორპუსის მიშენების პროექტი, პრიუტის შეს.  
№ 15759.

**დაუთარიღებელი:**

საკუთარი სახლი ქვიშხეთში.  
საკუთარი სახლის რეკონსტრუქცია თბილისში, დუშეთის ქ. № 16.  
მოწყალეების დათა სახლის პროექტი.  
გვლესიის პროექტი.

და მ ა თ ე ბ ა

სიმონ კლდიაშვილის წერილი ნიკოლოზ ცხენდიაძისადმი  
(წერილი შეეხება სათავადაზნაურო სკოლის შენობის პროექტს).

Многоуважаемый  
Николай Зеведеевич!

Простите что так задержал планы. Присылаю их немного не в том виде, в каком мы предположили с Вами; это произошло от изменения и направления алтаря на восток, что и изменило и входную часть; прибавил сборную [с] переходами к церкви. Актный зал у меня не на месте, его поместить где рекреационная, эту последнюю уничтожить как ненужную и вместо актовой устроить гимнастическую. Остальное расположение все по старому почти. Увеличила размеры классов, так как в точности не знал число учеников в каждом классе; я брал 30—35 и 40—45 человек.

Верхний этаж занял спальнями, этим увеличилась площадь помещения, а равно экономия в стенах, где раскрываются стены прямыми арками.

Одним словом все это на скорую руку, и [с] сожалением отношусь за незаконченность. Положим при составлении полного проекта все будет предусмотрено. Жалею что с Вами мало пришлось видеться, а то вместе можно было создать прекрасную вещь. Надеюсь, что в скором времени меня уведомят о результатах.

Остаюсь всегда готовый к услугам Ваш


С. Кадияшвили.

1899 г. 21 февраля.


P. S. Простите что так неясно пишу, так как к пароходу хочу поспеть.

С. Кадияшвили.

ამ ნარკვევის შედგენისას სხვადასხვა მასალებისა და ცნობების მოწოდებით დიდი დახმარება გამიწიეს ს. კლდიაშვილის ნათესაებებმა, მეგობრებმა და თანამშრომლებმა, განსაკუთრებით სიმონის დამ, განსვენებულმა ანასტასია კლდიაშვილმა, და ელენე ნიკოლოზის ასულმა გოგიჩაიშვილმა, აგრეთვე საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა კალისტრატემ, ეკ. ყიფშიძემ, სახალხო მხატვარმა იაკობ ნიკოლაძემ, არქიტ. ანატ. კალგინმა, დიმ. ვაიტაშვილმა, არქიტ. დინარა ყიფშიძემ, ვარლ. ბურჯანაძემ, შ. მამალაძემ, მარიამ ვახტანგის ასულმა ორბელიანმა ს. ჭავჭავაძემ, თ. სახოკიამ და სხვ... ყველას დიდ მადლობას მოვასხენებ.



ს. კლდიაშვილი. ილია ჭავჭავაძის სახლის პროექტი.




ს. კლდიაშვილი

ს. კლდიაშვილი. აწინდელი სამხატვრო აკადემიის შენობის ფასადი.



თბილისის სამხატვრო აკადემიის შენობა.  
ფასადი ს. კლდიაშვილისა.



თბილისის ქართული ჭიშნაზის მშენებლობის მომენტი.

კ. კეკელიძე

## „გოდების“ ჟანრი და „გლოვის წესი“ კველს ჰართულს ლიტერატურაში

ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია ჟანრი, რომელსაც ბიზანტიურ მწერლობაში ეწოდებოდა *Θρησις*, სლავურში *Плач*, ხოლო ქართულში „გოდება“ ან „გლოვა“. ამ ჟანრს წინ უსწრებდა და თან ახლდა ხალხური სიტყვიერების „მოთქმა“, რომელიც თავისი პრიმიტიული ფორმით, როგორც მიცვალებულის დატირება, ცნობილია თითქმის ყველა ერის ცხოვრებაში. მიცვალებულის გამოტირილი იცოდნენ ძველმა ებრაელებმა, როგორც ეს დამოწმებულია ბიბლიაში: „მოუწოდეთ შემსხმელთა გოდებისათა და მოვიდეთ... და მოიღეთ თქუენ ზედა გოდებაჲ, და დამოიღინედ თუალთა თქუენთა ცრემლნი და წამთა თქუენთა სდიოდედ წყალი... ასწავეთ, დედანო, ასულთა თქუენთა გვრინვაჲ და დედაკაცმან მოყუასსა თვისსა გოდებაჲ, რამეთუ აღმოვიდა სიკუდილი სარკმელთა თქუენთა და შევიდა ქუეყანად მიმართ თქუენად მოსპოლვად ჩხლთა გარეგნით და ჰაბუკთა უბანთაგანა (იერემ. IX, 17—21). იცოდნენ ის ბერძნებმა (ილიადა XXIV), აგრეთვე რომაელებმაც (*Lessum, nenia*), გავრცელებული იყო ეს ჩვეულება საშუალო საუკუნეთა დასავლეთ-ევროპასა და რუსეთში<sup>1</sup>; საქართველოში ხომ უკანასკნელ დრომდე იყვნენ ცნობილი „ზარის მოქმენი“, რომელნიც წარმოადგენდნენ მიცვალებულთა გამოტირების აუცილებელ ატრიბუტს.

„გოდების“ ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოები წარმოიშობა მაშინ, როდესაც ადამიანი კარგავს რაც მისთვის ყველაზე მახლობელი და ძვირფასია. ასეთია უმეტეს შემთხვევაში: 1) დაკარგვა სამშობლოსი; 2) შეგნება მისი დაქვეითება-დაკნინებისა და უკუღმართ გზაზე დადგომისა; 3) იძულებითი განშორება ადამიანისა იმ წრისაგან, რომელშიც ის ცხოვრობდა და ტრიალებდა; 4) სიკვდილი ძვირფასი ადამიანისა. რამდენადაც პირველი ორი მოვლენა გარკვეულ კულტურულ საფეხურსა და პატრიოტული გრძნობა-შეგნების განვითარებას გულისხმობს, იმდენად ორი უკანასკნელი უშუალო, ბუნებრივი და სტი-

<sup>1</sup> „Плач Ярославны“ („Слове о полку Игореве“), „Плач Евпраксии и вдовы Василька“, „Плач князя Ингваря Игоревича“, „Плач об Александре Невском“ (ამ უკანასკნელის „ცხორებაში“), „Плач княгини Евдокии“ (Димитрий Донский-ის „ცხორებიდან“). გოდების რუსული ჟანრის შესახებ იხ. В. П. Адрианова-Перетц, Очерки поэтического стиля древней Руси, 1947 г.



ქიურია. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სიკვდილის ფაქტის შესახებ: ტირილი და ჩნდება და შემოდის ამ ქვეყნად ყოველი ადამიანი, ტირილითა და სტოვებს ის მას. მოთქმა-ვაება ისმის კაცობრიობის მიერ გავლილი ცხოვრების შარავნაზე: ტირის ბავშვი, რომელმაც დაკარგა მზრუნველი მშობელი, გოდებს მშობელი, დამკარგველი თავისი იმედის — საყვარელი შვილისა; ცრემლსა ღვრის ადამიანი, დამკარგველი გულითადი მეგობრისა, მოსთქვამს დაობლებული სიყვარული ახალგაზრდა მიჯნურებისა. იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელიც გულგრილად და დამშვიდებით შეხვედროდეს თავისი თუ მახლობელის სიკვდილის აზრს.

„გლოვა“, განსაკუთრებით ადამიანის სიკვდილით გამოწვეული, სინკრეტული ხასიათისაა, ის გამოიხატება როგორც სიტყვით, ისე მასთან განუყრელი მოქმედებით. სიტყვიერი გამოთქმა „გლოვისა“ დასაწყისს აძლევს „გოდების“ ლიტერატურულ ჟანრს, ხოლო მოქმედებითი — ნაირნაირ ცერემონიალს, რომელიც სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დროს, ადამიანთა სხვადასხვა კოლექტივში სხვადასხვა სახეს ღებულობს.

წინამდებარე ნარკვევის მიზანია, გავითვალისწინოს „გოდების“, ერთი მხრით, გამოვლინება ძველ-ქართულ მწერლობაში მის მნიშვნელოვან ძეგლთა დასახელებით და შინაარსის მოტანით; მეორე მხრით კი გავაცნოს მისი ცერემონიალური, მოქმედებაში წარმოდგენილი, მხარე ან, უკეთ რომ ვთქვათ, გავაცნოს „გლოვის წესი“ ჩვენი წინაპრებისა. ორივე ეს მხარე ჩვენ გვინტერესებს იმდენად, რამდენადაც ისინი მწერლობაში არიან გამოვლინებულნი, ჩვენ არ ვვხებით ფოლკლორულ სამგლოვიარო პოეზიას და ზნე-ჩვეულებას.

## I

„გოდების“ ჟანრის ნაწარმოებთა შინაარსია: პოეტურ ფორმებში მოცემული დახასიათება სამგლოვიარო ობიექტისა, მხატვრული წარმოდგენა თავსდატეხილი უბედურებისა და უნუგეშო სევდისა. ამ მხრივ ეს ჟანრი რამდენადმე ენათესავება ეპიტაფიის დექება-ოდის ჟანრს, განსაკუთრებით კი მიცვალებულის ცხედართან ან სასაფლაოზე წარმოთქმულ სიტყვას, მაგრამ ეს ნათესაობა იგივეობამდე არ დადის, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც არსებობს: 1) საეპიტაფიურ არაა, რომ „გოდება“ თავისთავად, როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები, არსებობდეს, ხშირად ის ჩასმულია რომელიმე მოთხრობის ჩარჩოში, როგორც ერთ-ერთი მოტივი ზოგადი კომპოზიციისა. 2) ეპიტაფია-ოდა-სიტყვის ავტორები მიმართავენ გარეშე პირთ, ისინი ესაუბრებიან ამა თუ იმ პირის შესახებ მსმენელთა და მკითხველთ, „გოდების“ ავტორი კი ელაპარაკება თავის თავს და „გოდების“ პირს. 3) „გოდება“ ცდილობს გადმოგვცეს იმდენად არა რეალური დეტალები ამბისა, როგორც ამას ვხედავთ ეპიტაფიასა, ოდასა და სამიცვალებულ სიტყვაში, რამდენადაც ის მწუხარება და სევდა, რომლითაც აღსავსეა გული, ის განმსჭვალულია სათუთი ღირსებით, ღრმა სევდით და მწვავე სულიერი განცდებით. 4) ეპიტაფია-ხობა-სიტყვაში სჭარბობს ინტელექტუალურ-შემეცნებითი ელემენტი, „გოდებაში“ კი ემოციურ-გრძობითი. 5) ეპიტაფია-ხობა-სიტყვის ავტორები წინასწარ მიზნად ისახავენ მსმენელზე ზემოქმედებას, ამისათვის ისინი შესაფერ რიტორი-

კულ ხერხებს მიმართავენ, მგოდებელი კი წინასწარ ასეთს მიზანს არ განსახვავს, ის უფრო გულწრფელი და მარტივია და, თუ ზოგს შემთხვევაში ის მათთვის ვარდება, ეს — ჟარბი გრძნობების უშუალოდ ზედმოწოლით და არა ეფექტისათვის.

„გოდების“ ჟანრი თითქმის ყველა ლიტერატურამ იცის, იცის ის ქართულმა მწერლობამაც. თითოეული ერი თავისებურ იერს აძლევს ამ ჟანრს, თავისებურ ნიუანსებში გამოხატავს მას, ეს დამოკიდებულია მის უნარსა, კულტურულ დონესა და ფსიქიკურ თვისებებზე; ესევე უნდა ვთქვათ ქართველი ერის შესახებაც. საჭიროა ვიცოდეთ, რა ნიმუშებს იცნობდნენ ქართველები ამ ჟანრის მიმართულებით.

ამ შემთხვევაში მდიდარ მასალას იძლევა ებრაული ბიბლიური ლიტერატურა. ბიბლიაში არაერთი ნიმუში მოიპოვება მგრძნობიარე „გოდებისა“ და „გლოვისა“, განსაკუთრებით წინასწარმეტყველთა წიგნებში. ბირველ ყოვლისა შეიძლება დასახვლებულ იქნეს „გოდება ბაბილონისა“, რომელიც მე-136 ფსალმუნად შეტანილია „დავითნში“; სტილის ოდნავი მოდერნიზაციით ის ასე იკითხება:

მდინარეთა ზედა ბაბილონისათა  
მუნ ვისხედით ჩვენ და ვსტიროდით,  
რაჟამს გვიგონებდით შენ, სიონ!  
ძეწნთა ზედა შორის მისსა  
მუნ დავკიდენით საგალობელნი ჩუენნი.

რამეთუ მუნ ითხოვდენ ჩუენგან  
წარმტყუენველნი ჩუენნი  
სიტყუათა მათ ქებისათა  
და წარმყვანებელნი ჩუენნი გალობასა:  
გვიგალობდით ჩუენ გალობათა სიონისათა!  
ვითარმე ვგალობდეთ გალობასა სიონისასა  
ქუეყანასა უცხოისა?!

უკეთუ დავივიწყო შენ, იერუსალიმ,  
დავიწყებულ იყავ მარჯუენეცა ჩემი!  
აექვინ ენა ჩემი სასასა ჩემსა,  
არათუ მოგიხსენო შენ და მიგიჩნიო  
დასაბამად სიხარულისა ჩემისა!

მოაგონე, უფალო, ძეთა ედომისათა  
დღე იგი იერუსალიმისა,  
რაჟამს ეტყოდეს:

„დაარღვიეთ, დაარღვიეთ მისაფუძვლადმდე მისა“!

ასულო ბაბილონისაო დამარღვეველო!  
ნეტარ არს, რომელმან მიგაგოს შენ მისაგებელი შენი,  
რომელ შენ მოგუაგე ჩუენ!

ნეტარ არს, რომელმან შეიპყრნეს ჩვილნი შენნი  
და შეახეთქნეს კლდესა!

არანაკლებ საყურადღებოა ბიბლიაში მთელი წიგნი, რომელსაც ეწოდება „გოდებანი იერემია წინასწარმეტყველისანი“ ხუთ თავად; პირველ სტროფებში სტროფები წარმოდგენილია აკროსტიხულად, ებრაული ასოების გამოყენებით და ჩამოთვლით: ალფ, ბეთ, გიმელ, დალეთ, სე, ვავ, ზაინ, ეთ, ტეთ, იუთ, ხაფ, ლამიდ, მემ, ნუნ, საემხ, აინ, ჩე, სადე, კოფ, რეს, სინ, თავ. ამ წიგნში გვევლინება მწარე მოთქმა და გოდება იერემიასი ებრაელთა წარტყვენვისა და იერუსალიმის მოხრების, დამცირების და შეურაცხყოფის გამო. ის ასე იწყება: «და იქმნა, შემდგომად წარტყვენვისა ისრაელისა და იერუსალიმისა მოხრებისა, დაჟდა იერემია მტირალი, და გოდებდა გოდებასა ამას იერუსალიმსა ზედა და თქუა:

ვითარ დაჟდა მარტოჲ ქალაქი,  
განმრავლებული ერითა!  
იქმნა ვითარცა ქურივი  
განმრავლებული ნათესავთა შორის,  
მმთავრობი სოფლებსა შორის იქმნა მოხარკედა.

იმდენად მწვავე გრძნობითაა გაჟღენთილი ეს ნაწარმოები, იმდენი ცრემლებია დაღვრილი იმაში, რომ სიტყვა „იერემიად“, რომელსაც დასაწყისი ამ წიგნმა მისცა, სინონიმად იქცა ღრმა მწუხარებისა და უნუგეშო გლოვა-ვაებისა.

უფრო მეტსა და შინაარსიან ნიმუშებს „გოდების“ ჟანრისას იძლევა ბიზანტიური ქრისტიანული ლიტერატურა. პირველ ყოვლისა ამ შემთხვევაში უნდა დავასახელოთ მერვე საუკუნის გამოჩენილი ჰიმნოგრაფის იოანე დამასკელის „დასდებელნი“ მიცვალებულსა ზედა. იშვიათად თუ მოიპოვება მსოფლიო პოეზიაში ისეთი შემზარავი სურათი სიკვდილისა და მისი საშინელებისა, როგორც ამ ნაწარმოებში გვაქვს. აქ, ღია კუმოსთან, დიდი ექსპრესიით გამოხატულია ზვედრი „მიწისაგან წარმოშობილი“ კაცისა. საჭიროა, შემოკლებით მაინც, მოვიყვანოთ აქ ეს გოდებითი „დასდებელნი“:

ხმა ა

რომელი შუება სოფლისა დაადგრების თვნიერ მწუხარებისა,  
რომელი დიდება ჰგიეს ქუეყანასა ზედა შეუცვალებელად?  
ყოველივე აჩრდილისა უუძღურეს არს,  
ყოველივე სიზმრისა უმატურეს არს;  
ერთი წამი — და ამას ყოველსა სიკუდილი უჩინო-ჰყოფს.

ხმა ბ

ჰ მე, ვითარი ღუაწლი აქუს სულსა,  
განრავილოდეს ხორცთაგან!  
ჰ მე, ვითარ იგი მაშინ სცრემლოინ,  
და არავინ არს მწყალობელ მისა.  
ანგელოზთა მიმართ მიჰხედავენ და ურგებად ვეედრებინ,  
კაცთა მიმართ ხელთა განმარტებნ,



და არავინ არს შემწე მისა.  
ვინაცა, საყუარელნო ძმანო,  
გულის-ხმა ვყოთ წუთი ესე ცხოვრებაჲ ჩუენი!

ხმა 3

ყოველივე ამო არს კაცობრივი,  
რაოდენიცა არა ჰვიეს შემდგომად სიკუდილისა:  
არა დაადგრების სიმდიდრე,  
არცა თანაწარჰყვების ღიდება;  
რამეთუ მოიწია სიკუდილი  
და ესე ყოველი მყის იავარყო.

ხმა 4

სადა არს სოფლისა ამის სიხარული  
და საწუთოჲსა სასოებაჲ?  
სადა არს ოქრო გინა ვეცხლი,  
სადა არს მონათა სიმრავლე და ამბოხი?  
აჰა ესერა ყოველივე იქმნა ავლ,  
ყოველივე ესე იქმნა მტუერ,  
ყოველივე ესე იქმნა სიზმარ და აჩრდილ!

ხმა 5

მოვისხენე წინასწარმეტყუელი, რომელი იტყვის:  
მე ვარ მიწა და ნაცარი;  
და კულად: შთაფხედე საფლავსა  
და ვიხილენ ძუალნი განშიშულეზულნი  
და ვთქუ: ვინმე არს მეფე ანუ მხედარი,  
მდიდარი ანუ გლახაკი,  
მართალი ანუ ცოდვილი?

ხმა 6

ვგოდებ და ვიგლოვ მე,  
რაჟამს გულის-ხმა ვყო სიკუდილი,  
და ვიხილო საფლავსა შინა მდებარე  
შუენიერება ჩუენი, ხატად ღმრთისა დაბადებული,  
შეურაცხად, უბატიოდ და უსახუროდ:  
ეჰა საკვირველი!  
რაჲ არს ესე ჩუენი, ქუეყანისა ნაშობნო, საიდუმლო?  
ვითარ მივეცემით ხრწნილებასა,  
ვითარ შევეყუენით სიკუდილსა?!

სიკვდილის სურათით აღშფოთებული ავტორის მწარე გრძნობები გამოსავალს პოულობენ „სიტკბოსა შინა და ნათელსა კაცთმოყუარე ქრისტეს პირისასა“, რომელსაც ის სთხოვს მიცვალებულის „განსვენებას“.

„გოდების“ ჟანრი განსაკუთრებით მდიდრად წარმოდგენილია ე. წ. ტილო-დიონში<sup>1</sup>, რომელშიც მოთავსებულია საგალობლნი დიდმარხვის პერიოდისა და პერიოდი არის პერიოდი სინანულისა, თავისი უღირსების, ცოდვის და ეშმაკისადმი დამონების შეგნებისა. ამ პერიოდის ჰიმნებში გვეხვება ალსარება სულისა, მწარე ცრემლის მღვრელისა იმის გამო, რომ ის არის დაცემული და შეცოდებული. „ვინაჲ ვიწყო მე გლოვად შეცოდებათა უბადრუკისა ცხოვრებისა ჩემისათა, ანუ რომელი დასაწყისი ვყო, ქრისტე, გოდებისა ამის“, — კითხულობს ავტორი „დიდი კანონისა“, ანდრია კრიტელი (VIII ს.). განვითარების კულმინაციურ პუნქტზე ბიზანტიური „გოდება“ აიყვანეს მეცხრე საუკუნის გამოჩენილმა ჰიმნოგრაფებმა, რომელთაც ვნების კვირიაკის პარასკევისა და შაბათის ჰიმნებში მოგვცეს შეუდარებელი, ვირტუოზული ნიმუშები ამ ჟანრისა. საქმე ისაა, რომ პარასკევსა და შაბათს მორწმუნეთა თვალწინ წარმოდგება ტანჯულ-წამებულის, ჯვარზე გაკრულის და საფლავში მდებარე ქრისტეს სურათი, რომელიც ერთი ავტორის მიერ შემდეგს სიტყვიერ ლექორშია მოცემული:

წმიდისა გუამისა შენისა თვითოეულმან ასომან  
ჩუენთვს შეურაცხებაჲ დაითმინა:  
თავმან ეკლისა გვირგვინი და პირმან ნერწყვი,  
და ლაწუთა ყურიმალის-ცემაჲ,  
ბაგეთა ძმარი და ნავლელი,  
ყურთა უღმრთოთა მათ გმობაჲ ბოროტი და ყუედრებაჲ,  
ხოლო ბეჭთა გუემაჲ შოლტითა,  
ხელმან ლელწამი და ყოველმან ხორცმან განკუართვა ჯუარსა ზედა,  
და კუალად ნასხამნთა სამსჭუალნი,  
და გუერდმან ლახურისა წყლულებაჲ<sup>1</sup>.

ეს შემზარავი სურათი ფიზიკურ ბუნებაშიც კი პოულობს შესაფერ გამოხმაურებას:

განკრთი, განცვიფრებით ცაო,  
და შეირყინით მიწისა საფუძველნი,  
რამეთუ მყოფი მაღალთა შინა  
მკუდართა შეერაცხების  
და კნინსა საფლავსა ესტუმრების<sup>2</sup>.  
ჯუარცმა შენი რა იხილეს, ქრისტე,  
ზარგანხდილ იქმნეს ცისა კიდენი  
და საფუძველნი შეირყეს ქუეყანისანი,  
რამეთუ კადნიერად რა ჯუარს-გაცუეს ურიათა,  
კრეტსაბმელი ტაძრისა ორად განიპო  
და მკუდარნი სამარეთაგან აღსდგეს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> დიდი პარასკევის „აქებდითსა ზედა“ დასდებელი, ხმა 5.

<sup>2</sup> დიდი შაბათის კანონის მე-8 ირმოსი.

<sup>3</sup> დიდი პარასკევის „აქებდითსა“ ზედა დასდებელი.

თავისთავად გასაგებია, თუ რა გრძნობებს გამოიწვევს ჯვარცმის სურათი ალა-  
მიანის გულში; მოვისპინოთ, პირველ ყოვლისა, თვით ჯვარცმული სურათის  
გულის სიღრმიდან ამოხეთქილი კენესა:

რომლისა საქმისათვის გნებავთ მოკლავა ჩემი, # ურიანო?  
განრღვეულნი თქუენნი განგკურნენ  
და მკუდარნი, ვითარცა ძილისაგან, აღვადგინენ,  
წიღოვანი განვწმიდენ, ქანანელი შევიწყალენ.  
რომლისა საქმისათვის გნებავთ მოკლავა ჩემი, # ურიანო!  
ერო ჩემო, რაა შეგაწუხენ თქუენ?  
არა ნიშთა საქმითა აღვაგსე ჰურიასტანი,  
და არა სამარეთაგან მკუდარნი აღვადგინენ,  
არა ყოველნი სენნი და უძღურებანი განგკურნენ?  
რასა მომაგებთ მე ბოროტსა კეთილისა წილ?  
ნაცვლად კურნებათა მომწყლავთ მე,  
ნაცვლად ცხოვრებისა მომკლავთ მე  
და ჯუარსა ზედა მომკიდებთ მე,  
ვითარცა ძვირის-მოქმედსა,  
ქველის-მოქმედსა თქუენსა და მაცხოვარსა,  
და მსგავსად უსჯულოასა, სჯულის მომცემელსა,  
და მწყალობელსა მეუფესა, ვითარცა დასასჯელსა.  
ვაა თქუენდა უღმრთონო და ყოვლითურთ უსჯულონო!<sup>1</sup>

გამოუთქმელია გრძნობა მარიამისა, რომელიც ჯვარზე გაკრულს და მკვდარ  
შვილს შესცქერის; ამ გრძნობის გადმოცემა სცადა მეთე საუკუნეში ცნობილმა  
სვიმეონ ლოლოთეტიმ თავის „ქანონში“, გადმოცემულია ის „ღვთისმშობლის  
ვლოვაში“, რომელიც ვნების კვირიაკის პარასკევსა და შაბათს არის დადებული:

# მე შვილო, თუალთა ჩემთა ნათელი!  
რადსათვის აღივსე ტკივილითა ესრეთ,  
ვითარცა რა კაცი?  
ხოლო მე მწარედ მელმის შენთვის<sup>2</sup>.  
სადა არს, ძეო ჩემო, შევნიერება შენი განუცდელი!  
ვერ თავს-ვიღებ უმსჯავროდ მოკლვასა შენსა, ტკბილო,  
არამედ სრულ ყავ მოწყალებათა შენთა უფსკრული<sup>3</sup>.

ერთმან დედათაგანმან თვნიერ ტკივილისა  
გშევ შენ, შვილო ჩემო;  
ხოლო აწ ვნებისა შენისა მიერ  
თავს-მდებელ ვარ საღმობისა მოუთმენელისა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> დიდი პარასკევის მწუხრის „დიდება“, ხმა 2.

<sup>2</sup> დასდებელი თვითხმოვანი დიდისა პარასკევისა.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> დიდის პარასკევის „ნეტარარაინო“, სასვენი II.



აგერ იოსებ არიმათიელი, მოწაფე ჯვარცმულისა! „იხილა რა მან იგი  
შკუდრად, უსულოდ განშიშვლებული, გულითა ლმობიერითა მოწლედ ჰყოლებდა  
და ესრეთ იტყოდა:

ჭ იესო ტკბილო, ყოველთა მეუფეო...  
გხედავ აწ ჩემთვის მომკუდარსა!  
ვითარ შეგმურო, ჭ ღმერთო ჩემო?  
ანუ ვითარ დაგმარხო შენ,  
ანუ რომლითა ხელითა შევეხო  
უხრწნელთა ხორცთა შენთა  
და წარვგრაგნო იგი ტილომთა?  
ანუ ვითარი შესხმა და გალობა  
ულადადო განსლვასა შენსა?  
ვადიდებ წმიდათა ვნებათა შენთა,  
უგალობ ჯუარცმასა და დაფლვასა შენსა,  
ვაქებ აღდგომასა შენსა!<sup>1</sup>

მოგუსმინოთ დიდი შაბათის „ნეტარ არიანის“ ავტორს:

ცხოვრება ეგე საფლავსა დაიდევ, ქრისტე,  
და ანგელოზთა მხედრობანი შესძრწუნდეს.

ცხოვრებავ, ვითარ მოკუედი,  
ანუ ვითარ იყოფები საფლავსა შინა?

რომელმან დასდევ საზომი ქუეყანასა,  
მცირესა საფლავსა შინა იმყოფები,  
იესო, ყოველთა მეუფეო!

იესო ქრისტე ჩემო, ყოველთა მეუფეო!  
რომლისა მეძიებელი მიხვედ  
მყოფთა მიმართ ჯოჯოხეთისათა?  
ნუთუ ხსნა გნებავს კაცთა ნათესავისა?

ზარგანხდილ იქმნა ქუეყანა  
და მზე მიეფარა, მაცხოვარ, შენ,  
დაუღამებელსა მაგის ნათლისა, ქრისტე,  
შთასრულისაგან ხორციითა საფლავსა შინა.

ბიზანტიურ ლიტერატურაში „გოდების“ ჟანრი წარმოდგენილია „მარტო  
ჰიმნოგრაფიით, არამედ ჰაგიოგრაფიითაც. სანიმუშოდ დავსახელებთ აქ წმიდა  
გიორგის მარტილობის იმ თავს, რომელშიც მოთხრობილია მის მიერ ვეშაპის  
მოკვლის ამბავი. ქ. ლასიის მეფის ასული განწირულია ვეშაპის მიერ შესაჭმე-  
ლად; განშორების წინ მამა „ჰამბორს უყოფდა მას და ეტყოდა გოდებით და  
კრემლით: „წარვედ, მხოლოდ-შობილო და ტკბილო ასული ჩემო, შესაჭმელად  
ვეშაპისა მის უწყალომსა! ვაჟმე საწადელო შვილო ჩემო! შენ იყავ ნუგეშინს-

<sup>1</sup> დასდებულნი სტიქარონსა ზედა დიდისა პარასკევისასა, დიდება-აწდა, ხმა 2.

მცემელი და მკვდრი მეფობისა ჩემისა და ნათელი თულთა ჩემთა და მისა ლოდებელი სასძლოა სიძისა და ქორწილისა და აჰა ნაცვლად ამისა საჭმელად მკეცისა წარივლინები! ვაძმე, ვითარსადა ქორწილსა აღვასრულებ ანუ რაბამსა შევიპზადებ, გინა ვითართა ორღანთა, სახიობათა და ლამპართა და მესმურთა და მეინაკეთა აღვიკაზმავ? ვაძმე, საწადელო შეილო ჩემო, რამეთუ არღა ვიხილო პირი შენი შეუნიერი, არცა ნაყოფი მუცლისა შენისა და აჰა განმეშორები, სიცოცხლეო ჩემო, ზოგადისა სიკუდილისა მიმართ! ვაძმე საყუარელო შეილო ჩემო, ვითარიმე განყოფა და ჟამი შემემთხუევის მე აწ? ვაძმე შეილო, თულთა ჩემთა დამაბნელებელი! ვითარ ესრე ულუწავად ყოველთა მიერ გხედავ შენ? ვაძმე შეილო ჩემო, აწ შენდამი მხედველთა თულთა ჩემთა, ვითარსადა უკუანაესკენლსა ჰამბორისყოფასა მიგცემ შენ? ვაძმე შეილო ჩემო, რამეთუ თულანი შენნი, ჩემდამი მხიარულებით მომხედველნი, მკეცისა მიერ ბნელ იქმნებიან აწ! ვაძმე საყუარელო შეილო ჩემო და საწადელო სიტკბოებო, რამეთუ ამიერთგან ვერღარა ჰზრახავ სიტკბოებით და სიყუარულით მშობლისა შენისა მამისა თანა, არამედ მიეფარვი საუკუნოდ მკეცისა მუცელსა შინა! <sup>1</sup>

ამ „გოდებაში“, რომელიც მეცხრე თუ მეათე საუკუნეშია ქართულად გადმოღებული, დიდი ექსპრესიითაა გადმოცემული უნუგეშო სევდა და გრძნობები ერთადერთის ასულის მამისა, რომელიც იძულებულია სასიკვდილოდ გაიმეტოს იგი.

ამ ჟანრის ნიმუშები შეიძლება მოიძებნოს არაბულ ლიტერატურაშიც. ამთავად დავასახელებთ ტიმოთე ანტიოქელის „ცხოვრებას“, რომელიც ბერძნული თარგმანის მეშვეობით მეათე საუკუნეში ქართულ მწერლობაშიც შემოვიდა; აქ, სხვათა შორის. მოთხრობილია — რა აურზაური და ვაება გამოიწვია მის ოჯახში ტიმოთეს ვაპარვამ და უკვალოდ გადაკარგვამ. მისი ორი ძმა და და განცოფებული და განცუფრებული მიმოვიდოდეს და მათა და ბორცუთა და კვენებსა შინა ეძიებდეს საყუარელსა მას ძმასა თვსსა და იტყოდეს: „ვაძმე უბადრუკსა ამას, რომელი ესე მამისა წილ შერაცხილ ვიყავ ძმისა ჩემისა. ვითარ ვიქმენ ესრეთ მძვნარე და მღევარ მისა და წინააღმდეგომ მცნებისა მშობელთა ჩემთადას! ვაძმე სასურველო და საწადელო ჩემო, ვაძმე ძმაო ჩემო და თანამოჰასაკეო ჩემო! ვაძმე საწყალობელსა ამას და დაკლებულსა ამას საყუარელისა მის ძმისა ჩემისაგან! თქუენცა უკუე, უსულონო დაბადებულნო ღმრთისანო, ჩემთანა გოდებდით, რომელი ესე უცხო ვიქმენ სასურველისა ძმისაგან და საწყალობელ და უბადრუკ. ამისთვსცა ბოროტად ვვოდებ და განკვფლები ჰირისა ამისთვს, ჩემხედა მოწვეულისა. და თუ რა ვყო, არა უწყვი: რამეთუ რომელსა იგი შრომითა და რუღუნებით ვზრდიდი და მამისა წილ და დედისა ნუგეშინისმცემლად ჩემდა ვესევდი, რომელნი იგი უქამომან სიკუდილმან წარიტაცნა და მე უბადრუკსა ამას უნუგეშინისცემოდ გლოვად დამიტევა, აჰა ესერა უძკრევი მათი მოიწია ჩემხედა გლოვად და მწუხარებად მისისა მისთვს წარწყმედისა და განშორებისა. ვაძმე, ვაძმე რომელმანმე უწყალომან მკეცმან წარიტაცა იგი და განძარა, ანუ რომელთა უცხოთა კელთა მიერ შეპყრობილ იქმნა და შეკრული

<sup>1</sup> „საქართველოს სამოთხე“ მ. საბინინისა, გვ. 59—60.



წარიყვანა უცნაურსა ქუეყანასა, ანუ ვითარ ქუეყანამან განაღო პირი თვისი და წიალთა თვსთა შეიწყნარა იგი, არა უწყი“<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, მგოდებელს აქ უსულო, ფიზიკური ბუნებაც უნდა გაიხადოს თანამოზიარედ თავისი ჭირისა და თანამგრძობელად.

იძლევა ამ ქანრის ნიმუშს ძველი სომხური ლიტერატურაც. ყოველ შემთხვევაში მეათე საუკუნის ისტორიკოსს მოსე კალანკატვაცის გადმოუცია მეტად მგრძობიარე და ამავე დროს ეროვნულ-პოლიტიკური იდეოლოგიით გაჭუნთილი „გოდება“ ალბანელებისა მათი მთავრის ჯუანშერის (VII ს.) მუხანათური სიკვდილის გამო. „ყოვლისმცოდნეო სულო საღმრთო სიტყვისაო“, ამბობს ავტორი, „შეთხზე გონივრად საგოდებელნი გალობანი, რათა ხმითა ტყებისაჲთა ვტიროდეთ ძვირსა ამას დანაკლისსა ჩვენსა!“ მერე ის აგვიწერს ლირიკულ ტონებში მომხდარი ფაქტის მნიშვნელობას და დასასრულ წყევალ-კრულვას მოუწოდებს მის თავზე, ვინც ჩაიდინა ეს საშინელება. „დაიყავნ გზანი ლტოლვისა მისისანი, ფრინველთა ცისათა ინავარდონ მის ზედა, ყორანნი ხევისანი ესხმოდენ მას და მხეცნი მძვინვარენი ელოდენ მას“, — ამთავრებს პოეტი-ავტორი<sup>2</sup>. ცნობილია აგრეთვე დრმა ლირიზმით გამსჭვალული „გოდება“ ქალაქ ანისზე ეპისკოპოსის მოსესი, რომელიც გამოსცა არქიმანდრიტმა ტარაიჩმა<sup>3</sup>. შეიძლება დასახელებულ იქნეს გრიგოლ ნარეკელის (X—XI ს.) „გოდება“, განსაკუთრებით კი უნდა მოვიგონოთ მოსე ხორენელის „გოდება“, რომლითაც თავდება მისი «ისტორიის» მესამე წიგნი (თ. 68).

ჩვენ მოვიყვანეთ „გოდების“ ქანრის ნიმუშები ყველა იმ ლიტერატურიდან, რომლებთანაც ასე თუ ისე კავშირი და ურთიერთობა ჰქონდა ძველს ქართულს მწერლობას, სახელდობრ: ებრაული, ბერძნული, არაბული და სომხური. ზოგადი ფსიქოლოგიური საფუძველი და ნიადაგი ამ ქანრის აღმოცენების გვაფიქრებინებს, რომ ასეთი ქანრი ჩვენს მწერლობაშიც უნდა შექმნილიყო, და ის შეიქმნა კიდევაც. ამიტომ საჭიროა, ზოგად ხაზებში მიინც, გავითვალისწინოთ ის.

## II

ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ მეფის ფარსმან კველის მუხანათური სიკვდილის გამო «ყოველთა ქალაქთა, უბანთა და დაბათა დასხდიან მგოსანნი გლოვისანი და შეკრბიან ყოველნი და აკსენებდიან სიმკნესა და სიქველესა და სიმშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან კველისასა და იტყოდინან ესრეთ: «ჲაჲ ჩუენდა, მოგუიძულა ჩუენ სულმან ბოროტმან, და მეფე ჩუენი, რომლისა მიერ კსნილ ვიყვენით მონებისაგან მტერთასა, მოიკლა კაცთა გრძნეულთაგან, და აწ მივეცენით ჩუენ წარტყუენვად უცხოთა ნათესავთა!»<sup>4</sup>. ამოწერილი ადგილიდან

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ცხოვრება ტიმოთე ანტიოქელისა, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. VII, გვ. 61.

<sup>2</sup> Моисей Каганкатвази, История Агван, стр. 182—184, перевод с армянского К. Патканьяна, Петерб. 1861 г.

<sup>3</sup> Христианский Восток, т. III, вып. 1, стр. 1—5.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, მარინისეული ნუსხა, გვ. 39, ანასეული, გვ. 33.

ჩანს, რომ ჩვენში უძველესი დროიდან ცნობილი ყოფილან „მგოსანნი გლოვი-სანი“, რომელთა პროფესია ყოფილა, რომ ისინი «ახსენებდიან სიმკნესსა და სიქველესა და სიშუენიერესა და სახიერებასა» ამათუმი გარდაცვლილი აღამიანისას.

პირველი ჩაწერილი ნიმუში „გოდებისა“ შემოუნახავს მეთე საუკუნის ძველს — გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებას“. როდესაც გრიგოლმა გაიგო აშოტ კუროპალატის გარდაცვალება, ამბობს ავტორი, «გლოით იტყოდა: # მეფეო ჩემო ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო! სადაათმე მოგელოდი: აღმოსავალითმე ანუ დასავალით, ჩრდილოათმე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ. რომელიცა წყობით კელმწიფეთა დაიმორჩილებდ. საკვრველი ეგე დიდებული ღმრთის-მსახური კელმწიფეც, აწ ვითარმე მიეცი კელსა შეურაცხსა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი იგი იუდაჲს მსგავსად შენ, უფლისა თვისისა, მკლველ იქმნნეს მოსაკუდინებელად ჩუენ, გლახაკთა მლოცველთა შენთა უკუნისამდცა»<sup>1</sup>.

მე-11 საუკუნიდან ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში „გოდებისა“, რომელიც ეკუთვნის გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფს, გიორგი ხუცესმონაზონს; ის შეტანილია მთაწმიდლის „ცხოვრებაში“, როგორც ერთ-ერთი მოტივი ზოგადი კომპოზიციისა<sup>2</sup>. საჭიროდა ვთვლით, in extenso მაინც იქნეს მოყვანილი ეს საყურადღებო ძველი ჩვენი წარსულისა.

«ვითარმე ვითხრა», იწყებს ავტორი, «თუ რაბამი ამბოხი და შფოთი იქმნა და ტყებაჲ და ყვილი უწესოჲ» გიორგის გარდაცვალების გამო. მის მიერ საბერძნეთში საქართველოდან წაყვანილი 80 ობოლი ბავშვი «ჳმითა წუთილითა და ენითა მბრგვნვლითა იტყოდეს: „ვაჲ ჩუენდა, ვაჲ ჩუენდა შენ მიერ, # მამაო! რაჲ ესე შემამთხვე ჩუენ, ვითარმედ სადა შემკრიბენ და აღგუზარდენ ანუ აწ სადა დაგვტევენ და დაგუფანჩენ! „მღღელნი და დიაკონნი“, მის მიერ დამწყსნილნი, «ცრემლთა წილ სისხლთა დასთხვედეს გუამსა მისსა ზედა წმიდასა და იტყოდეს: „ვაჲ ჩუენდა, ვაჲ ჩუენდა, # წმიდაო! რამეთუ ვიდრე შენ ჩუენთანა იყავ, ღამენიცა დღენი იყენეს, ხოლო აწ, რაჲ განგუემორე, დღენიცა ღამე არიან! ავტორის აზრით, ასეთი მწუხარება და გოდება სავსებით ბუნებრივი იყო ამ შემთხვევაში, ვინაიდან «ჳე ჳეშმარიტად დაიძინა ზიარმან ანგელოზთამან, მამამან, რომელსა იგი ფრიად უყუარდით ჩუენ და გუწყალობდა, ვითარცა შვილთა ჳეშმარიტა». აწ მინდეს ცრემლნი იერემიას გოდებისანი», განაგრძობს ავტორი, «და უკუეთუ სხუამანცა ვინმე სანატრელთა მათ კაცთა-განმან სიდიდე განსაცდელისა საღამე იგლოვა! აწ მოვედ ჩემდა, # რაქაელ, დედაო ბენიამენისო, სტიროდე შვილთა შენთა და ნუგეშინისცემასა ნუ მოიღებ, სუ ვითარცა ბეთლემის ყრმათათჳს, რამეთუ იგინი ღმრთისა შეიწირნეს, არამედ ყრმათათჳს, რომელნი ორსავე სიკუდილსა თუალით ხედვიდენ, — სულისა და კორცთასა, — და არა აქუს ნუგეშინისმცემელი, რამეთუ ერთი აქუნდა და იგიცა მიეფარა. ამისთჳს სტიროდე, # რაქაელ, ვითარმცა არა არიან, ხოლო

<sup>1</sup> ნ. მარის გამოცემა, Тексты и разыскания, VII, გვ. ით.

<sup>2</sup> ათონის კრებული, გვ. 337—342.



მე ესრეთ ვიტყვოდე ძმათა მიმართ ჩემთა და ყრმათა მოძღურისა ჩემისაჲთაჲ ვაჲმე, ვაჲმე, ძმანო ჩემნო პატიოსანნო, აწ დაუგეჲსა პირი იგი, რომელი გეწუროთიდა დღე და ღამე სჯულსა უფლისასა; წარვიდა გონებისა განზრახვაჲ, ჰეშმარიტად ღმრთისა მიერ აღძრული; დაწუნხა თულნი იგი, მართლიად მხედველნი და განმრჩეველნი კეთილისა ბოროტისაგან და უმიჯობესისა უღარესთაგან. დაღუმენს ბაგენი იგი, მცველნი სჯულისა უფლისანი; შეიკრა ენაჲ იგი ოქროსიტყუაჲ და საღმრთოთა ბრძანებათა კმამაღლად მლაღადებელი და ბრწყინვალედ მთარგმნელი ღმრთიე-სულიერთა წიგნთაჲ. დაყუდნა კელი იგი, შუენიერად მწერალი, რომლითა განანათლნა ეკლესიანი ჩუენნი; დაღვნეს ფერკინცა იგი შუენიერნი, განკაფულნი ღამისთევათა შინა ზედგომითა; დაყუდნა გონებაჲ იგი, მხილველი და სიღრმეთა სულისათა გამომძიებელი, დაიფარა მიწასა შინა გუამი წმიდაჲ, მოღუაწებისა შრომითა განლუული.

«ხედავთა, თუ ვითარ არიან საქმენი ჩუენნი? მენება, უკუეთუმცა შესაძლებელ იყო, განძლიერებად უძღურებაჲ ჩემი და ამაღლებად სიმაღლესა მას თანა განსაცდელთასა და აღტეგებად კმისა რაჲსამე, ვნებისა ამის შემსგავსებულისა, ვითარცა ყვეს ობოლთა მათ და კმითა მაღლითა განსაცდელსა მოძღურისასა იგლოვდეს. არამედ რაჲმე ვყო, გინა ვითარ ვაიძულო ენასა მსახურებად სიტყუსა, რათა იგი განსაცდელისა ამის მიერ, ვითარცა მძიმითა რაჲთამე საკრველითა რკინისაჲთა შეკრულ არს. ანუ ვითარ აღვადო პირი, უტყუებითა შეპყრობილი, ვითარ აღუტეო კმაჲ, ვნებითა და გოდებითა ძალისა თვისისაგან დაკსნილი; ვითარ აღვიზილნე თულნი სულისანი, განსაცდელისა ამის აღმურიითა დაბნელებულნი? ვინმცა განმიზნია უკუნი ესე და წყუდიადი მწუხარებისა ბნელი და მიჩუენამცა სიწმიდესა შინა ბრწყინვალე იგი ნათელი მშვედობისაჲ, ანუ ვინ მოგუფინოს ჩუენ შარავანდელი, ვინაჲთვან დაკდა მნათობი ჩუენი?! ეჲ ბოროტი ესე სიბნელე, რამეთუ მზე, მნათობი ჩუენი, დაჰკდა!

«ეჲ ვითარლა იქმნეს ჩუენდა ადგილსა ამას წინაუქმო სიტყუანი ჩუენნი და საქმენი, აწ და პირველ ამისსა, რამეთუ პირველ, ვითარცა მექორწინენი, განვცხრებოდეთ, ხოლო აწ, ვითარცა საწყალობელნი, გლოვისა ამისთვის სულთ-ვითქუამთ! ანუ თუ მცირე არსა ჩუენზედა მოწევნული ესე ბოროტი? ანუ ამაოდ ნუ ვიტყებთა და განვიწირვით! ანუ თუ უფროჲსდა ვერ მივხუდებით, თავსა ამის ვნებისასა, დაღაცათუ უფროჲს აღვამაღლნეთ სიტყუანი და კმანი ჩუენნი! გუავასხენით უკუე, ძმანო, გუავასხენით ცრემლნი წყალობისანი, რამეთუ ოდეს იგი იხარებდით თქუენ, სიხარულსა თქუენსა გეზიარენით ჩუენ! აწ უკუე მომაგეთ ჩუენ ბოროტი ესე ნაცვალი, სიხარული მოხარულთა თანა მოგუეცით ჩუენ, ტირილი მტირალთა თანა მომიზღვეთ ჩუენ!

«ცრემლოდა ოდესმე უცხო-თესლი იგი ერი მამათმთავარისა იაკობისთვის და უცხო იგი განსაცდელი, ვითარცა თვისი, განესაკუთრა, რამეთუ იგი შემდგომად სიკუდილისა ძეთა მისთა ეგჰპტით გამოიყვანეს და ყოველი იგი ერი უცხოჲ ამის განსაცდელისათვის უცხოსა შინა ქუეყანასა ოცდაათ დღე და ოცდაათ ღამე იგლოვდა მას ზედა და მწარედ გოდებდა და ტიროდა. აწ უკუე, ძმანო, ემსგავსენით უცხო-თესლთა მათ, ძმანი ეგე ჩუენნი და ნათესავნი! ზოგად იყო მაშინ უცხოთა და თვისთა ტირილი, ზოგად იყავნ აწცა და, რამეთუ გლოვაჲცა ესე

და მწუხარებად ზოგად არს, ამისთვისცა, აჰა ესერა, ვითარცა სახილველსა შინა წარმოვიჩინებთ და წინავეპირობ და ვლალადებ განსაცდელისა ამის სიძვირისა და ვიტყვ: გწყალობ თქუენ, გწყალობ, შვილნო და მოწაფენო ამის ტკბილისა და სახიერისა მამისანო, ხოლო აწ მწარედ დაობლებულნო, მცირედ აღყუავებულნო, ხოლო აწ მსწრაფელ დაჭნობილნო, ბრწყინვალედ განათლებულნო და ბოროტად დაბნელებულნო!

აარამედ აჰა რაბამ კეთილ იყო ვიდრე აქამომდე გზად სიტყვსა ჩუენისად და ეჰა რაბამ სანატრელ იყო, უკუეთუმცა ამას პირსა ზედა დასრულდებოდა მოთხრობადა ჩუენი! ხოლო ამიერითგან მოუწოდოთ დედათა მტირალთა, ვითარცა იტყვს იერემია, რამეთუ განსაცდელთა და მწუხარებათა მიერ შეპყრობილისა და აღვსებულისა გულისა სხუადათა ოხითა ნუგეშინისცემად შეუძლებელ არს, არა თუ ცრემლთა მიერ და სულთქუმათა აღსუბუქენს.

უტევით უკუე, ნუგეშინისმცემელნო, უტევით და ნუ განამრავლებთ ნუგეშინისცემასა, რათა წრტიალად და მწარედ იგლოვონ ობოლთა ამით და გულისკმა ყონ დაჭირვებად ესე, რომელი დაჭირდა მათ, დადაცათუ არა გამოუცდელ არიან განბოროტებასა მისსა, ღუაწლთა მათ მიერ მოღუაწისათა და ჩუეულთა, რამეთუ ვაკსოვს განაღა, თუ ვითარ თქუენდა მომართ თქუმულმან ამა სიტყუამან ჩუენმან ღუაწლნი იგი მადლისა მის ჯაცისანი მიგითხრნა თქუენ? მწუხარე იქმნეს ოდესმე ისრაელნიცა, რაჟამს იგი აღიტაცა ზეცად ელია, არამედ ნუგეშინის ცემდა განშორებასა მისსა ელისე, ხალენითა მოძღურისადათა შემკობილი; ხოლო აწ საღმობადა ესე ზეშთა არს კურნებისა, რამეთუ ელია ამაღლდა და ელისე აქა დაშთა. უწყი, რამეთუ არა უმეცარ ხართ სიტყუათა მათ და კმათა იერემიასთა, რომელთა იგი იტყოდა გოდებით მოკრებისათვს იერუსალიმისა, რამეთუ სხუათა მათ თანა გლოვათა ესეცა შესძინა და თქუა ვითარმედ: გზანი სიონისანი იგლოვდითო; და ესე სიტყუად მაშინ ითქუა მის მიერ, ხოლო აწ ჩუენ ზედა აღესრულა. ... ვიცი სხუადცა რაჟმე გოდებად იერემიადისი, შემესგავსებული წიგნსა ფსალმუნისსა, რომელი იგი წარტყუენვისათვს ისრაელთასა შემზადა, რამეთუ იტყვს ვითარმედ: ძეწნთა ზედა დავკიდენით ორღანონი ჩუენნი, რამეთუ ღუმილისა მიერ თავნი თვსნი და ორღანონიცა თვსნი დასაჯენს. ამას უკუე გოდებასა მეცა განვიჩემებ აწ და ვიგლოვ უფროს მათსა, რამეთუ ვზი მდინარეთა ზედა ცოდვისათა, და მათგან წიად მყვანებელი ჩუენი არა მაქუს და ორღანოთა წიგნთა საღმრთოთასა დავკიდებ ღუმილისა ძეწნთა, რამეთუ იტყვს მოციქული პავლე: უკუეთუ თარგმანი არა იყოს, მკითხველი ღუმენო. რამეთუ ძეწნი ხე არს უნაყოფო და ვინადოგან დაცვვა ტკბილი იგი ცხორებისა ჩუენისა ნაყოფი, არა ძეწნი ვიქმნეთ უნაყოფო. ჰეჰეჰეშმარითად და უქმად და უძრავად ორღანონი იგი მეტყუელებისა ჩუენისანი ღუმილისა მიერ შემათა ზედა დავკიდენით.

ხოლო არავინ არს, რომელმანცა მიიღო ნაწუეთი ერთი წყლისადა და განაგრილა ენადა ჩემი საღმობიერი და შემწუარი ცეცხლითა მწუხარებათადათა! წარკდა შუენიერებადა იგი საწადელი და დადუმნა კმადა იგი სავსედა სიტკბოებითა. დაიყუნეს ბაგენი იგი ღმრთივბრწყინვალენი, აღფრინდა მადლი იგი განშაბრძნობელი ჩემი. სადა არიან თუალნი ზეცისა საიდუმლოთა მხედველნი? სადა



არიან ყურნი იგი საღმრთოდას მის კმისა მსმენელნი? სადა არს ენაჲ იგი წმიდაჲ, ტკბილად მასწავლელი ცოდვათა სინანულისა? სადა ამას ტკბილი იგი მყუდროებაჲ თუალთა მისთაჲ? სადა არს წესიერი იგი ღუმილი ბაგეთა მისთაჲ? სადა არს საწადელი იგი მარჯუნაჲ მისი, რომელი კურთხევასა მას პირისასა სასურველთა მათ თითთა ჯუარის წერითა დაჰბეჭდიდა? არამედ აწ გვედრები: შემაშვრენით მე ცრემლნი ჩემნი, დააცხვრეთ გონებაჲ ჩემი, რამეთუ ვგრძნობ, ვთარმედ უფროჲს ჯერისა განვალ საზღუართაგან გლოვისათა და ვნებისა ამის სიმძიმითა დედათა მივემსგავსები!».

ასეთია გიორგი ხუცესმონაზვნის ეს „გოდება“, რომელიც მაჩვენებელია არა მარტო ავტორის დიდი ნიჭისა, არამედ იმისაც, თუ რაოდენ დიდი გზა გაუვლია ამ ჟანრს ჩვენში; გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აზრთა დაჭიმულობით, გრძობათა სიღრმით და ინტენსივობით, მოხდენილი პოეტური აქსესუარით, ენამჭევრობით, ბიბლიიდან მოტანილი შედარებებით და სახეებით, შესაფერ ლიტერატურაში ნაკითხაობით, ეს ნაწარმოები არ ჩამოუვარდება არცერთს საშუალ-საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურის ანალოგიურ ნაწარმოებს. საყურადღებოა ამასთან ჩვენება ამ ძეგლისა იმის შესახებ, რომ მიღებული ყოფილა „გლოვის საზღუარი“, ესე იგი, გარკვეული წესი და ნორმები, რომელთაგან გარდახვევა „დედათა“ ან ქალთა დამსგავსებას ნიშნავდა.

ეჭვი არაა, თამარ დედოფლის გარდაცვალებამ წარმოშვა არაერთი ნიმუში „გოდების“ ჟანრისა, მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთ მათგანს ჩვენამდე არ მოუღწევია. პირველი ისტორიკოსის სიტყვები — „იტყოდინ მიუთხრობელთა სიკეთეთა მისთა, გამარჯუებათა და მოწყალებათა, მოსამართლეობათა, სიუხუეთა და სიმდაბლეთა“<sup>1</sup>, — გულისხმობენ არა „გოდებას“, არამედ „ქებას“, რომლის ნიმუში შემოუნახავს მეორე ისტორიკოსს<sup>2</sup>.

„გოდების“ ჟანრმა ადგილი მოიპოვა საერო მხატვრულ პოეზიაშიც. კლასიკური ხანის პოეზიაში ამ ჟანრის ნიმუშებს ვერ ვპოულობთ, სამაგიეროდ მას ხშირად მიმართავენ ე. წ. აღორძინების პერიოდის პოეტები. ამ ხანის „ჟამთა სიავემ“ ჩვენს პოეზიას მისცა მელანქოლიურ-პესიმისტური ტონი, რაც ისმის წუთისოფლის მღურვასა, მის მიუღებლობასა, გაკიცხვა-გაკრიტიკებაში. იშვიათია ამ ხანაში ისეთი პოეტი, რომელსაც ამ მიმართულებით ერთხელ მაინც არ გამოეტიროს წუთისოფელი და მწარე ცრემლები არ დაეღვაროს მისი ვერაგობისა, მუხანათობისა და სიცქაფე-სიცრუის გამო. ამ მოტივის შემცველი ზოგიერთი ნაწარმოები ნამდვილი „იერემიადაა“. ნიმუშად შეგვიძლია მოვიყვანოთ თეიმურაზ I სიტყვები:

რად, სოფელო, სხვა არ დაწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?  
გლახ, ლახვარი სპსიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე;  
დამიკარგე ძე, ასული, ძმა, არ ვიცი და სად აგე,  
სხვა ნაყოფი, მათებრ ტურფა, რა აშენე და სად აგე.

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გამოცემა კ. კეკელიძისა, გვ. 139.

<sup>2</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ი. ჯავახიშვილისა, ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. XIV, გვ. 354—357.



მე წამართვი სიცოცხლე და სული, მერმე თვალთა ჩენა,  
რად გინდოდი სასიკვდილედ? შენ მაღირსე არ დარჩენა!  
არ გმართებდა ვგზომ მეტად მტერობისა გამოჩენა,  
თავიდაღმე სრულ ბოლომდი ჩენთვის ესრეთ შეგეჩენა<sup>1</sup>.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს არა ის ცრემლები, რომლებიც წუთისოფლის ზოგადი შეფასების შედეგად იღვრება, არამედ რომლებიც გამოწვეულია რომელიმე კონკრეტული ფაქტით თუ მოვლენით. ამ ხაზით, პირველ ყოვლისა, უნდა დასახელებულ იქნეს არჩილ მეფის „თეიმურაზიანში“ მოთავსებული „მეფის თეიმურაზისაგან დედოფლის მგლოვიარობა და მწუხარება“. იმაში გვესმის გულშემნარავი მოთქმა საყვარელი და უმშვენიერესი ნეულის დამკარგველი ქმრისა, რომელსაც ხელზე დარჩენია მცირეწლოვანი ობლები. ეს „მგლოვიარობა“ ერთ-ერთი ძვირფასი მარგალიტია ქართულ პოეზიაში, ამიტომ მოვიყვანო მთლიანად.

მოვსთქვემდი: მზეო, დამაგდე, ცეცხლი მომიდეგ, წამ ალი,  
მე, გლახ, უშენოდ ოხერმან შენი ვერ ვპოვე წამალი;  
ბროლი და ლალი შეთხზულნი, მიწათა შიგან წა მალი,  
სუფევა ჰპოვე უკვდავი, წმიდათა თანა წამალი.

წამწამთა რაზმმან დაფარა თვალნი გიშრისა, დალულა,  
მშვილდი შავისა კემუხტით შემოსით ვით მოზეულა,  
თმა ამბრის ფერი შეწმასნით მიწამდის ჩამოწეულა.

ვითარ ვთქვა საქმე საზარო, ჩემზედა რა მოწეულა?

ბაგეს, ვით ვარდის ფურცელსა, აწ ვხედავ გაყვითლებულად,  
მას შიგნით თეთრსა კბილებსა სადაფ-მარგალიტებულად,  
ენასა, შაქრის უტკბესსა, ვხედავ უძრავად დებულად;  
ჰი ვაიმე, რალა ვქნა, აქა ვზი ცეცხლ-პოდებულად!

ცვირს, ზომიერად ჩამოწვდილს, სული ფშვის სურნელებისა,  
პირი, ერთ პირად შექმნილი, უალოდ გამთავრებისა;  
რომელმან ენამ აღმოსთქვას სინაზე მკლავ-ხელებისა?  
ვითა დაასკვენ გაწირვა შენ ჩემი გულ-ნაღებისა?

ვაიმე, წახდა, ვის ჰქონდა ყელი ბროლისა სურათა,  
ვერ გამოხატოს მხატვარმან ჩინელმან ეისი სურათა;  
მჭერეტელთა სატრფიალოა, უნართა მოსასურათა.

ვა, რად გამხადე უბრალო სისხლის ცრემლთ ვასაცურათა?

ვა, რად მიეც შავს მიწასა პირი ვარდი, ბროლ-ფიქალი,  
ბრწყინვალე და შუქთა მფენი, აწ ეთერი ფერ-გამქრალი?  
შენს საქციელს ვერ აიღებს ბევრის ცდითა სხვადა ქალი,  
შენ გამხადე დასაწვავად, გარ მომეგზნა მე აქ ალი.

<sup>1</sup> თეიმურაზ პირველის თხზულებათა კრებული, გამოცემა ა. ბარამიძისა და ზ. ჯაკობიასი, გვ. 110, სტრფ. 85, 87 და შემდგომნი 103 სტროფამდე.



რად დაგდე ეს სოფელი, რამცა გაკლდა მისი ნივთი?  
 სახელმწიფო, ქმარი, შვილნი, რად გაჰხადე ოხრად ვითი?  
 სამუდამო წირვა-ლოცვა, ფსალმუნება ან დავითი?  
 პირსა შენსა შუქი ჰკრთოდა, ეგრე ადრე რად წაირთვი?  
 მე გამწირე, საყვარელო, ლევან რად ჰყავ საბრალობლად?  
 აღუქსანდრე ნებიერი ვით დამიგდე მე ეს ობლად?  
 შენ უდროოდ ტახტს აოხრებ, თავსა შეიქ საბრალობლად,  
 მე გამხადე მტერთ გულისად, ბედისა და სოფლის მგმობლად.

გვირგვინის ნაცვლად ჩაჩს მბურავ, სკიპტრად მამაძლეე შეს  
 ჯოხსა,

პორფირად მაცმეე ძაძასა, ტახტად დამიდგამ ბნელ ქოხსა,  
 გამაბედითე, დამაგდე, ვკვირვარ მე გუშინ დანახსა,  
 უდროოდ ამ ყოფისათვის უბნობენ სოფლის საძრახსა<sup>1</sup>.

არჩილის შემდეგ უნდა დავასახელოთ იოსებ თბილელის «დიდ-მოურავიანის» მეთერთმეტე კარი, რომელშიც გვესმის გოდება გიორგი სააკაძის სამშობლოს იძულებით მიტოვებისა და უცხოეთში აუცილებელი გადახვეწის გამო. ეს თავი, როგორც ერთხელ ვამბობდით<sup>2</sup>, ნამდვილი „იერემიადა“ ღრმად მგრძნობიარე სულისა, რომელიც მღუღარე ცრემლებით დასტირის ცხოვრების უსამართლობას, აღამიანთა გაუტანლობას და უმადურობას, რომელიც გულისტკივილით ეთხოვება საყვარელს სამშობლოს, ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს. შეუძლებელია გულდამშვიდებით წაკითხვა ამ თავისა, ის აატირებს ისეთს ღომ-გულ კაცსაც კი, როგორც იყო დიდი მოურავი, რომელიც მოსთქვამს:

თაო ჩემო, ვით გასრულო, სევდიანო, როგორ წყლულო,  
 საქართველოს რჯულისათვის ათასფერად წამებულო,  
 მეფეთათვის რა ნასაჯო; ნამსახურო, რა ერთგულო,  
 აღარ შეგრჩა ნოსტეს ლხინი, ალაბ, სტამბოლს დაკარგულო! (294)

ვა დაგადებ სახლ-სამყოფო, სად კარგო და სად ავებო!  
 შორგვარ დავრჩი მეზობელთა, ვისთანც ვიყავ სადავებო;  
 ავჟანდათა სიმაგრენო, მე სად ვძრევედი სადავებო?  
 რამდენს მოვრჩი ძნელს ბადესა, ახლა კიდევ სად ავებო? (295)

თაო ჩემო, სად მოჰკვდები ანუ ვისსა სამარებსა,  
 რას დალახავ ქვეყანასა, იარები სამ არებსა,  
 მოშორდები მოყვარეთა, შენ ხარ ვისსა სამარებსა?  
 სამყოფთავან გააბეზრდი, კარსა გავლი გასარებსა. (297)

ყველა დავსთმე სიტკბოება, შენთვის დავსდევ თავი სულა,  
 შვილი პირმშო საყვარელი, სიცოცხლე და ჩემი სულა;  
 ბედმან მიყო, რაღა გკადრო, აწ თქმის ჟამი გარდასულა,  
 სადაური სად მოკვდები, ეტლი ჩემი სად წასულა? (310)

<sup>1</sup> არჩილიანი, ტ. II, გამოცემა ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილისა, გვ. 45—46, სტროფ. 385—393.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II<sup>2</sup>, 482.



უჩემობით მებრალები, ვამე ქართლო, სუსტობისთვის,  
გალავანი დაგექცევა, გადგებიან ზოგნი თვისთვის.  
ეგზომ ჩემი ჭირნახული აწ დავაგდო როგორ სხვისთვის?  
ოდეს მტერი წამოგატყდეს, მომიგონდეთ ამა თქმისთვის! (312)

აქანამდის სად მკვიდრობდი, თაო, აწ სად ილალები?  
გახსოვს, თავზე ჯილა გქონდის, აღმასი და ი ლალები,  
შენ და შენნი ამხანაგნი ზოგ-ზოგები ილალები,  
დაიჩაგვრი დანასული, დაილევი, ილალები! (328)

გული არ მაძლევს უთქმელად, თვარ მწადს დუმილი ბაგისა,  
მუდამ სახმილი მედების, ალი მეხვევის დაგისა;  
მას უხარიან, რომელმაც ჩემი დაკარგვა აგისა;  
წავალ, მივმართო სადგურად, სად თემი ათაბაგისა. (331)

მშვიდობით თვისნო, მოყვრებო, გამოგესალმო სალამით,  
მეგობარო და შემცნენო, ცრემლი დავსთხიოთ სალამით,  
თქვენ ნუ დაიჩნევთ გაყრასა, გული შემქნია სალა მით,  
ვინ გაირჯების სიმხნითა, მან შეიდაროს სალა მით. (333)

რად, სოფელო, სამუდამოდ ჩემზედა იქ ას ავსავეთ?  
არ დააცხრო ცთომის გველმან, კიდევ ენა ასავსავეთ,  
ჭირნი ჭირსა დამისართა, კვლავ დამიწყო ასავსავეთ,  
დამიშრიტა ბრწყინვალება და ნათელი ა სავსავეთ. (337)

სად წავიდე, სად დავლაზო აწ ქვეყნისა კიდით კიდე,  
დედა-წულნი, საუნჯენი წავილო და რას ავკიდე?  
მეფის მტერსა მე რამდენჯერ გულ-მესისხლედ წავეკიდე,  
ვადა-რყეულს ხმაღს ნუ აგდებ, თაო, ხელი კიდევ კიდე! (390)

გავათავე ჩემი სიტყვა, წავალ თქვენგან სალამითა,  
ვისცა გესმას ჩემი გავლა, ცრემლი ქენით, სალა მითა;  
უკანასკნელს ანდერძს მოგცემ, საქმე იმას ალაამითა,  
აწ საფლავად თან მამყევით, მამაყარეთ სალა მითა! (474)<sup>1</sup>

საკმაოდ მოხდენილი ნიმუშები „გოდებისა“ გვხვდება ვეფხისტყაოსნის დამატებათა იმ თავებში, რომელთაც ეწოდება „ანდერძი“ ტარიელისა და ავთანდილისა. ძირითადი „ანდერძები“ უცნობი ავტორისა ჩამოყალიბებულია XVI საუკუნეში, ხოლო მათი დამატებანი, რომელნიც უმთავრესად იოსებ თბილელსა და ნანუჩას ეკუთვნიან, მეჩვიდმეტეში. მათი ლეიტ-მოტივია აღნიშვნა იმისი, თუ როგორი იყვნენ პოემის პერსონაჟები წინათ, ახალგაზრდობისას, და როგორი არიან ახლა, სიკვდილის კარზე, მღურვა წუთისოფლისა, რომელიც ასეთს კონსტრასტებს ჰქმნის, გულისტკივილი და მწუხარება ამ ცხოვრებიდან გამავალთა, დარიგება აქ დარჩენილებისადმი და მოწოდება მათდამი — მოდით და

<sup>1</sup> დიდ-მოურავიანი, გიორგი ლეონიძის რედაქციით, გვ. 43—63.

დაგვიტირენითო. საილიუსტრაციოდ მოვიყვანოთ რამდენიმე, უფრო დამახასიათებელი სტროფი<sup>1</sup>.

ანდერძი ტარიელისა:

შემომერტყენით მიდამო, მოსხედით, მომეკარენით,  
ზოგთა მზირ მიყავთ ერდოთა, საჩქმლით და მომეკარენით;  
ნესტან-დარეჯან მკოცნიდი ბავით და მომეკარენით,  
ჯუარს ვაცმევენებ სოფელსა, ურია მამეკარენით! (1724)

მე ვიყავ მეფე ეგეთი, ვითარ მოგიტხრა წერილმან,  
ბოლოდ დამდაგა სოფელმან, ნავთმან, ფისმან და წერილმან;  
საქმლად მიშოვა ჭიამან, ბუზმან და ძალოს მწერილმან,  
ვა, თუ დაგსაჯნეს, მიჯნურნო, ძაძამან ამოწერილმან. (1725)

უხუთიშნოო, წყეულო, მოდი სიკუდილო, მომკალო,  
მომზადენ ცელნი, მოლესენ, ჩემო უქამოდ მომკალო!  
თქუნთვის-შევიქენ საქმელად, ჭიანო, მჭამდით, მომკალო,  
ჩემი გავლენე, დავაგდე, ამ სოფლის მე დამთმო მკალო! (1729)

ვამე დაისხნეს კავშირნი, არ მეფეთქენ მე მაჯანია,  
ცუდ იქნეს მკლავნი მაგარნი, ვა, მტერთა მემაჯანია!  
მკლავნი, რომელთა ვერ ბრძოდა იგ დევი, ქაჯ-მაჯანია,  
გამოისალმნეს, გაუშუა ქუემდგომმან ხორცმან ჯანია. (1730)

შოდით, მომიზღეთ მიჯნურნო, ცრემლნი რომ ისესხენითა;  
მიჯნურნო, ეგზომ ტურფანი ჩემებრ სხვას ვის ესხენითა?  
გარდაეშალე ბროლზედა ყორნისებრ თმის ესხენითა,  
აღელდი მელნისა ტბაო, გიშრის ტყის ძირს ესხენითა. (1729<sup>1</sup>)

ველარ ვმლიქნელობ, ჩემებრივ აშიყნო, მიაწარენით!  
თანა მამყევით, მიჯნურნო, საფლავის არე წარენით,  
ცრემლნი დასთხივეთ თქუნ ჩემთვის, გლახ თავნი გაიმწარენით,  
საფლავი სრად და საწოლად, სულარი მიზეწარენით! (1729<sup>2</sup>)

თქუნცა მშვიდობით, პატრონო, მსაჯულნო, ჩემებრ მეფენო!  
სახელმწიფენო ჭურჭელნო, ოქსინოვ, ქუეშე მეფენო,  
თავადნო, სპანო, მტერთათვის ლომებრ მბრდღვინავნო სეფენო!  
ყოვლნი მტიროდით საბრალოდ, ჩემთვის ცრემლისა მჩქეფენო! (1729<sup>4</sup>)

თქუნცა მშვიდობით, მშობელნო, აწ ჩემთვის ჭმუნვით გასულნო,  
თვისნოო, ტომნო და ძმანო, შვილნო, ძენო და ასულნო!  
იარაღნო და მონანო, აწ ჩემგან სხუაგნით წასულნო,  
აწ მიიბარეთ. გლახ სული, ზეცისა ძალთა დასულნო! (1729<sup>5</sup>)

ანდერძი ავთანდილისა და ნანუქასი:

მტიროდით თქუნთვის დამწვარსა, მიჯნურნო, ჩემთვის უჩვილნო,  
გამზრდელნო, თქვენცა გაზრდილნო, ტურფად ისპანო ჭურვილნო,

<sup>1</sup> ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის გამოცემა, პირველი.



ხასნო, აზიზად ნანახნო, თავნო, ნაზობით ბურვილო,  
 სულთქმით მამთქუემდით, ბაგენო, და უბანებდით სურვილნო! (1742)  
 თინათინ, პირველ სურვილი პირის შენისა ამარე,  
 აწ ლომიან თავი გამარა და, მზეო, შენ მასამარე;  
 აქა ნარბენთა სწორა უ ველოთ უიცი იგიც სამარე,  
 ერთად წავიდეთ, აჰა გზა ჩვენთვის თაბუთი, სამარე! (1742<sup>4</sup>)

ჩემი გარდახდა, სურვილო, რას გარგებს რაზომც ინანო,  
 დამოადინეთ სისხლის რუ, გაწკრით ვარდნო და მინანო;  
 ჩემთანა ცისა მნათობნო, რანო და ანუ ვინანო,  
 მზე მზეთა მოვკუე, მტიროდეთ, გულნო, კლდენო და რკინანო! (1742<sup>6</sup>)

ფრიდონისაგან ტირილი:

თქუა მეტად კარგნი სიტყუანი ფილასოფოსთა ცნობისა,  
 რომე ხორხითა იტყოდა მზგავსი დავითის ძნობისა:  
 „მე, გლახ, ვით მოვთქუა სიკეთე თქუენისა ცხენოსნობისა,  
 ან ვით მოვთუალო მოკლული თქუენისა მშუილდოსნობისა? (1750)

რაზმთა მღეწელნო, ყოველთა მებრძოლთათქუენთა მძლეველნო,  
 კულა ასპარეზად ტურფანო, უსწოროდ დამნაძლეველნო,  
 თქუენ, ვისცა შეელა უბრძანით, უცხორო შესაძლეველნო,  
 აწ ცრემლთა ჩემთა დენასა ხამს თუ ვით გაუძლე, ველნო! (1751)

თქუენებრ ტახტსა ვინ დაჯდების, ვინ მოკაზმავს სრასა სრულად?  
 ან ნადიმსა ვინ გარდისდის, ზნეუკლებსა ჯავარ-სრულად?  
 ვითამც დავრჩი მე უთქუენოდ, ვიგონებდე ამას რულად,  
 ცოცხალი მე რა ვიქნები, გაკიცხული, გაბასრულად? (1752)

თინათინს, ნესტან-დარეჯანს ვით მოუთქუნა სინაზენი?  
 ტანი მჭეერი, ალვის ნორჩი, პირი, მჭურეტთა ამაზრზენი,  
 ბროლ-ბალახში, ლალ-გიშერი, მარგალიტთა შენათხზენი,  
 საუბარი სიტყუა-ტკბილი, ვერმჭურეტელთა ამგზენი! (1753)

ერთ-ერთი ნიმუში „გოდებისა“ ჩვენ გვაქვს პოემა „ვახტანგიანში“, რომელიც დაწერილია 1727—1730 წლებში<sup>1</sup>. როდესაც ვახტანგ მეფის მეუღლე ჩავიდა მოსკოვს, მან, გადმოგვცემს პოეტი, მოინახულა არჩილ მეფის ასული დარეჯანი და მასთან ერთად

წაბძანდა მეფის არჩილის საფლავზე დედოფალია,  
 თან ახლდნენ ეპისკოპოზნი, თავის ტომი და ქალია,  
 მივა და მიტირს გულმდღურად, რუდ მოსდის თვალთა წყალია,  
 თქვენგან არს გარდაუხადი ჩემზედა დიდი ვალია!

ვინაიდან ეს „მოთქმა-გოდება“ ცნობილი არაა ჯერ, თან შინაარსითაც და ფორმითაც უმნიშვნელო არაა, მოვიყვანთ მას<sup>2</sup>.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია II<sup>2</sup>, 486—491.  
<sup>2</sup> ვსარგებლობთ პოემის ახლად აღმოჩენილი ხელნაწერით, რომელიც ყოფილა კუთვნი-



რათგან თქვენც მოგცა სოფელმა სიმუხთლე მისი, წყინება, ვისლა შერჩება, რომ მისცეს თავით ბოლომდინ ლხინება? სამაროვანთა ადგილთა დაგიდვათ გული, ი ნება, იმისი უდროდ შეცვლანი ქვეყანას მოეფინება.

ჟი მენ კვალად, ჟი მენ, რის დღის შემსწრე ვარ ამისა: არჩილ, გიორგის, ლევანის დამკარგველი ვყოფ სამისა, აღარვინ მივის პატრონად ჩემად გულთდა სიამისა, დაბნელდი თვალო, მწუნველ ვარ დღისა და ამა ჟამისა. ენაე, რალად ხარ მოძრავი, ჰყოფ სამყოფელსა თქმულებით, დაღუმდი სიბრძნე გონებით, მეცნიერობის გულობით. სასმენო, მექმენ უსმენად, ხელო ნუ იძრვი სულობით, სულო, შევიქვენ ანაზდად გვამილამ აღმოსულობით.

ვა, ჩემდა ცოცხლად ყოფასა, ნეტარძი თქვენსა მაგ დღესდა, იხარებ სასუფეველსა, ჟამსა ვერ ნახავ მოკლესდა; გიტირებით ასული, რომელი შეჰგავს მზესადა, პატრონო ჩემო, მოგიძღვენ, ნულარ გამიშვებ მე სადა! მრავალს ეცადნენ, ძლივ ექმნენ დამღუმებელ მცირობითა; ოხრავს საწუხრად, ახსენებს მალმალ ლომად გმირობითა; იყავ ობლისა პატრონი, გლახაკთ მოწყალე ხშირობით, თვალ-უღებელად მსაჯული, უზაკვოდ, ერთის პირობით. თქვენს უკან თქვენს სახლს კეთილი აღარა ჰქონდა ზომისა, გჭირდა რჯულზედა სიმაგრე, იყავ მისისა ნდომისა; დაგვყარე მრუდუნებელი ჭირისა უსაზომისა, ჰა, ჰაი კრულო სოფელო, არა გაქვს ხანი დგომისა!

ამ „გოდებაში“ სიკვდილის მწვავე გრძნობა გართულებული უცხოობასა და ყარიბობაში ყოფნის შეგნებით, რამდენადაც ასეთი ყარიბობა ხვედრი იყო როგორც დამტირებელისა, ისე დატირებულის. ამ მოტივით ეს ნაწარმოები ენათესავება გიორგი ხუცესმონაზვნის „გოდებას“ უცხოობაში გარდაცვლილი გიორგი მთაწმიდლის საფლავზე.

უფრო რელიეფურადაა წარმოდგენილი ეს ჟანრი დავით გურამიშვილის შემოქმედებაში. ამისი ნიზეზი უნდა ვეძიოთ არა მარტო დავითის უკულმართი ცხოვრების პერიპეტეიებსა და მის პესიმისტურ სულისკვეთებაში, არამედ იმდროინდელი რუსული მწერლობის გავლენაშიც, რომელშიც (მწერლობაში) ცნობილია, განსაკუთრებით ამ დროს, ამ ჟანრის ნიმუშები<sup>1</sup>. დავითის „გოდება“ ოთხი კატეგორიისა: 1) გამოწვეული წუთისოფლის ვერაგობის შეგნებით; ასეთია ორი მისი ნაწარმოები: ა) გოდება დავითისი, საწუთოს სოფლის გამო-

დება ვინე სტეფანე სიმონისძის არაქელოვისა და რომელიც სასარგებლოდ გადმოგვცა დროებით მიხ. კეკელიძემ.

<sup>1</sup> ასეთებია: 1) Слово о погибели земли русской, 2) Плач пермских людей (Житие Стефана Пермского), 3) Плач о пленении и конечном разорении Московского государства, 4) Плач православия Максима (Мелетия) Смотрицкого და სხვ.

ტირილი და ბ) ისივე გოდება, სხვა რიგი ხმა<sup>1</sup>; 2) ტირილი ბრუსიაში და ტყვე-  
 ვების გამო<sup>2</sup>; 3) მოთქმა დავითისაგან, ოდეს დატყვევებულმან ურჯულს ქვეყ-  
 ყანას საყვარლის სახე და სურათი ველარა ნახა<sup>3</sup>; პოეტი აქ სტირის ცოდვათა  
 მიერ შეპყრობას, ტყვეობაში ყოფნა არის ეშმაკის სამყაროში მოქცევა, ხოლო  
 საყვარლის სახე და სურათი — იესო ღმერთი; 4) გოდება ქრისტეს ჯვარცმისა  
 და სიკვდილის გამო. ამ ნაწარმოებში პოეტი პირდაპირი მიზნადველი და გამ-  
 გრძელბელია ბიზანტიურ-ქართული საეკლესიო ჰიმნოგრაფიისა, რომლის სიუ-  
 ჟეტური ნიმუშები „გოდების“ ხაზით ზემოთ მოვიყვანეთ. აქ ორი ნაწარმოები  
 იქცევს ყურადღებას; ერთია — „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“<sup>4</sup> და მისი ვარი-  
 ანტი „ჯვარცმის ამბები“<sup>5</sup>, რომლებშიც ჩამოთვლილია თუ რა კეთილი უყო  
 ქრისტემ უმადურ ებრაელებს და რასახის ტანჯვა მიაყენეს მას. თითოეული  
 სტროფი აქ იწყება სიტყვებით: „ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩინესო“!  
 თავდება კი ასე: „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო“! მეორეა „ტირილი  
 ღვთისმშობლისა“<sup>6</sup>, რომელიც ნამდვილი შედეგია „გლოვის“ ჟანრისა; მოგვ-  
 ყავს ის ექსცერპტულად:

მოდით ყოველნო შვილმკვდარნო დედანო, შეიყარებით!  
 შემწყნარებელი აწ თქვენი მარიამ შეიწყნარებით,  
 ისმინეთ მისი ტირილი, თქვენც ცრემლნი გადმოყარებით,  
 სულს ეციოთ მისგან ნუგეში, გულს ჭირნი უკუყარებით! (103)

ვაიმე თვალთა ნათელო, სხიო მის მზეთა მზისაო!  
 სახით ვით ნორჩო, ნაყოფით ძირ-კეთილ შტოვ ვაზისაო,  
 გამარკვეველო, გამწმენდო, მნათობო ბნელის გზისაო,  
 შენ იყავ ჩემი გამლები სამოთხის კართ რაზისაო! (107)

ძეო, შენს თავსა მნატრიდენ ყოველთა ძეთა დედები;  
 ბედნიერობას მიქებდენ, მოსწონდათ ჩემი ბედები.  
 ან ჩემის ბრალით იწვიან დღეს შენი შემომხედები,  
 ხელ-ფეხთ დაგრჭია ლურსმანი, ლახვრით დაგჭრია გვერდები. (111)

ვაიმე ლახვარ-სობილსა და გულსა დანავლებულსა,  
 შენის წყლურების ცეცხლითა დაგულსა, დანადვლებულსა,  
 შენს უკან წუთის სოფლიდგან გულ-კენესით ხან წარებულსა!  
 ძეო, მეტკობის სიკვდილი სიცოცხლე გამწარებულსა! (112)

ძეო, შენს უწინ გენუკვი ჩემს სულის ამორთმევასა!  
 გემუდარები, ნუ მიზამ შენ მე ამაზედ თნევასა;  
 მომკალ, წინაწინ წავიდე, შენი ვახარო ევასა:  
 იესო მოვა, დაგიხსნის მორჩები პირველს წყევასა! (113)

ცნობილია, რომ ირაკლის საყვარელი შვილი ლევანი, რომელზედაც დიდს  
 იმედებს ამყარებდა როგორც მამა, ისე მთელი ჩვენი ქვეყანა, უდროვოდ გარ-  
 დაიცვალა. ამ გარემოებამ გული ატკინა ყველას, სხვათა შორის ბატონიშვილის

<sup>1</sup> დავითიანი, გამოცემა ა. ბარამიძისა, გვ. 183—186. <sup>2</sup> გვ. 160—161 <sup>3</sup> გვ. 85—87.  
<sup>4</sup> გვ. 35—39. <sup>5</sup> გვ. 30—32. <sup>6</sup> გვ. 32—35.



მეგობრებს, ამათგან განსაკუთრებით პოეტს ბესარიონ გაბაშვილს. ბესიკი კი ამ თავზარდამცემ ფაქტს უძღვნა საყურადღებო თავისებური ფორმის და განმთბარი მეგობრული გრძნობით „სამძიმარი“, რომელიც 34 სტროფისაგან შედგება<sup>1</sup>. პოეტი ჩამოთვლის სატირალსა და სამგლოვიარო ბიბლიურ ფაქტებს, როგორცაა: სამოთხეში შეცოდება, იქიდან გამოფარდნა, აბელის მკვლელობა, სეთის სიკვდილი, წყლით წარღვნა; აქ ის მოიგონებს „ლეო სახსომოს“:

გამოჩნდა კალო, ატადის სავალალო,  
 ოდეს ვცანთ, ძალო, ხელდაკრებით საბრალო!  
 განფხიზლდი, მთვრალო, წყლულ-გულო და ნავალო!  
 ვლა ვიმსთენეთ, მალო, მარხად სარბიალო!  
 ვჭრქვენთ: ვინ მოჰკალო, ჰოი, ურცხვად შეუწყალო! (7)

მერე კიდევ უბრუნდება ბიბლიურ ეპიზოდებს: იაკობის სიკვდილს ეგვიპტეში, იოსების გლოვას, მოსეს გარდაცვალებას და მიმართავს ბაგრატიონთა წინაპარს, დავით წინასწარმეტყველს: „აღდეგინ, დავით, მითხარ, ლეონ სადა ვით?“ მოიგონებს სოლომონის ტაძრის რღვევას, იროდის — სისხლის მსმელს, „მარია მდედის ძესა, ლეონის მწესა“, ლაზარეს დების ტირილს და ასკენის: „ვაი დასასრული, ურგებ არს ჩემგან თქმული!“ ამის შემდეგ ის სპეციალურად ცრემლებით ლაპარაკობს ლევანის შესახებ და, გრძნობათა დაძაბულობის პირობებში, კენესით წამოიძახებს:

ჰოი ცის ლომო, ლეო, ცისავე ხომო,  
 მალალო ტომო, მხოლოდ მოვე, მარტო მო,  
 სადა არს სრა სახსომო; ვა შენდა ომო,  
 უმისოდ მოსანდომო, ვაი მიუწვდომო,  
 ხილვად მიუხვდომო! (20)

შენი სიკვდილი, მიმართავს ის მას,

მთა იქმნა შავი, ზაფხულის განათავი,  
 წყალიცა მცნავი, შენდამი დანანთქავი  
 და გზათა კავი აქვან შებმით შენასწავი. (21)

დაცარიელდა ასპარეზი, აღარა ყაბახი, ისარი უკუღმართობს, ჯირითი მისნობს. პათოსის უმაღლეს მწვერვალზე ასული, ის ამბობს:

ლეონის თოფი ნეტარ თულა არს მყოფი?  
 ლეონის ხრმალი, ვაი თუმცა არს მშრალი!  
 ლეონის შუბი აწ თუ სხვათ შენატყუები?  
 ლეონის დამბაჩა ცოცხალილა თუ დარჩა?  
 ვაი სატევარი, უმისოდ საწყევარი! (23)

<sup>1</sup> ბესიკი, ა. ბარამიძის გამოცემა, გვ. 37—47.



სადაღა ცხენი, არსაღა შემრცხვენი?  
საღა აბჯარნი, მაქებელთა დამჯარნი?  
ერთი თუ ობლად, ვაი, მეორე უხმობლად!  
ვაი ჩემღა თვალნი, მათვან მიერ დღე-მკრთალნი,  
ასხურებზ ცრემლთა, განხვრეტს გულისა გრდემლთა!

(25)

შესწყღა ნადირობა, „ხმალთა მისთა ნაყმობმა მტრებმა“, — ისმაიტელებმა, —  
თავი წამოყვეს, შესწყღა მუსიკისა და სიამოვნების ხმა, ყველაფერი მოიცვა  
სეღდამ:

სრა ცალიერი, უბოვარი, მშიერი,  
სახლი ძლიერი, აწ სახე მიწიერი!  
შვება ციერი წინაპარ-ნაცბიერი!  
საღაღა სერი, სტუმართა განმაბეერი?  
ვა, მგონე ერი, ლეო, საღ ბედნიერი?!

(31)

საღ მეგობრობა; საღ პატრონისღა ყმობა,  
საღ ერთსულობა, საღ მოყვარულთ თხზულობა,  
საღ კაზმულობა, საღღა დარბაზულობა?  
ვაი დაკარგულობა, ვაი ყმაწულობა,  
დახსნილ-დანაზრულობა!

(32)

„შორს წარხღა თემად“, ათავებს პოეტი „უცხოთა თანა გებად“;

ლეონ მოცემად ვისმცა ძალუძს საჩემად?  
გარნა საღ მრწემად ვიყომცა მსახურ მეემად?  
მწირობა-მსხემად მისღა არა მაქვეს კდემად;  
მას ესდღე ირემად, მას ნუკრად მაღლის მფენად!

ასეთიღა ეს „სამძიმარი“, რომელიც შეშვენის ბესიკის პოეტურ ნიქს, მის ბასრ  
კალამს და ღრმად მგრძნობიარე გულს.

დიდი ვაება და მწუხარება გამოიწვია, როგორც ცნობილია, მეფის ირაკ-  
ლი მეორის გარდაცვალებამ. თეიმურაზ ბატონიშვილი გადმოგვცემს: «იქმნა უკვე  
მას ჟამსა შინა დიდი მგლოვარება სახლსა შინა მეფისა და ყოველთა ერთა  
შორის საქართველოდსათა, ესრეთი ტყება და მწუხარება, რომელ ყოველი უკა-  
ნასკნელთა მცხოვრებთაგანი საქართველოდსა იგლოვდა უმეტეს ყოველთა მახლო-  
ბელთაგან თვისთა. და ვგონებ, რომელ ყოველი კაცი უმეტეს ნახევარისა სიცოც-  
ხლისა თვისისა იყვნეს დიდისა კმაყოფილებით, რათამცა ემსხვერპლათ, თუ  
საღმე შესაძლებელ იყო საყვარელისა მეფისა მათისა სიცოცხლის ბრუნებად.  
იგონებდეს მოხუცებულნი სახელოვანთა და გამირულთა საქმეთა მისთა, ჭაბუკნი  
ჭირნახულისა და კეთილისა და სამამაცოთა ზნეთა და უხვისა მოწყალებითა  
აღზრდასა მათსა. ერნი ზოგად ქველის საქმეთა, მართლმსაჯულებათა და მარა-  
ღის ხსნიასათვის მამულისა თვისისა მსხვერპლობასა მეფისაგან და ღაღადება  
მათი აღიწოდდა ვიდრე ცადმდე». სხვათა შორის, ქაზიყიდან მოსულა ერთი  
ქვრივი, გლეხის ქალი: «იწყო ამან ხმითა მაღლითა ტირილი და ესრეთისა შესა-  
ბამითა სიტყვებითა ტირილსა მას შინა მიიღებდა თითოეულთა ღირსსახსო-



ვართა საქმეთა, მეფისა მიერ ქმნულთა, რომელ ყოველნი მსმენელნი სიტყვათა მათ უმეტეს ღმობიერ იქმნებოდეს და სტიროდეს გოდებითა დიდითა და ყოველთა მიეპყრათ ყური მისა მიმართ<sup>1</sup>. იმ დროს რომ შესაძლებელი ყოფილიყო ყველა ამგვარი „ტირილის“ ჩაწერა, ჩვენ გვექნებოდა მეტად მდიდარი მასალა ამ ქანრის შესასწავლად. სამაგიეროდ ჩვენამდე მოუღწევია ერთს ასეთს „გოდებას“, რომლითაც ოდნავ მაინც ანაზღაურებულია აღნიშნული ლიტერატურული დანაკლისი. ეს არის ცნობილი „გლოვა“ ირაკლი მეორისა, რომელიც ეკუთვნის მსაჯულს სოლომონ ლეონიძეს<sup>2</sup>. დასახელებული ნაწარმოები მაჩვენებელია სოლომონის დიდი ორატორული ნიჭისა, მისი განათლებისა და იმ აუნაზღაურებელი დანაკლისის შეგნებისა, რომელიც საქართველომ განიცადა ირაკლის დაკარგვით. ამდენად ღრმა, უშუალო და ბუნებრივია გრძნობები მგოდებელისა, ამდენად მწვავე და მღუღარეა მის მიერ დაღვრილი ცრემლები!

მეორე ასეთი ნაწარმოები, რომელსაც ეწოდება „თუშთა, ფშავთა და ხე-სურთაგან გლოვაჲ სანატრელისა და ღმრთისადმი განსტენებულისა საქართველოს მეფის ირაკლი მეორისა“, „მათებრ ლექსად“ დაუწერია „ნადვორნი სოვეტნიკსა და კაეალერს“ გოდერძი ფირალოვს; ავტორს ის შეუტანია მის მიერ შეთხზულსა და პეტერბურგში 1821 წელს დაბეჭდილს „საზოგადო მდიენობაში“. ამ თხზულების მეორე ნაწილის მეოთხე თავში მოთავსებულია „წიგნი სამძიმართა“ (§ 80—89), სადაც მოცემულია ამ „გლოვის“ ტექსტი (გვ. 149—150): «აღს-დეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანი». მოიგონებს რა ირაკლის ძლევა მოსილ ომებს, ავტორი, დარწმუნებული თითქოს იმაში, რომ «მბპრუღე-ბია ნეტარსა, წასრულ არს ღმრთისა წოდებითა», სასოწარკვეთილებით იტყვის:

არ ჩვენ ვსცრემლეობთ მარტონი, სტირს შენტვის მთა და ველია,  
დავლეწნეთ, ძმანო, ფარ-ხმალნი, სადღა გვეყრების ხელია?!  
ვიგლიჯნეთ თმა და უღვაშნი, თავშიგან ვიცეთ ლოდებით,  
აწ წარდგა ჩვენი ცხოვრება, გულითაც დავიკოდებით.


რალადმე გვეიდავენ ფარ-ხმალნი, უმისოდ ცუდი ბარგია,  
დამიწდნენ თოფნი და შუბნი, მიწათ შესკამნეს კარგია,  
იგი არა გვეყავს საჭერეტლად, სხვა ეილა ვსძებნეთ ვარგია?  
ჰი, წარხდი ჩვენო ნუგეშო, დიდებაჲ დაგვეკარგია!

წარვიდეთ პირთა ხოკითა, სახლთა მიუთხრათ გლოვანი,  
ვაგლოვნეთ მთანი და კლდენი, დავობლდით ჩაღმა წოვანი,  
ჩვენთანა ფშავნი, ხევსურნი, ყრმანი, ჭაბუკნი, მსცოვანნი,  
ნუ შეგვმვრინ ცრემლნი თვალთაგან და გულთა მისი ხსოვანი!

საყურადღებოა პეტრე ლარაძის (ყარიბის) „გოდება“, რომელიც გამოწვეულია მოსკოვის გადაწვით ნაპოლეონის ომების დროს (1812 წ.) და რომელსაც ეწოდა „ეპა ვითარსა დროსა მწარესა“ (ანთოლოგია II, 286—287). ეპა ვი-

<sup>1</sup> მეფე ერეკლეს სიკვდილი: „ივერია“ 1898, № 7.

<sup>2</sup> დაბეჭდილია „ივერიაში“ 1898, № 7.



თარსა დროსა მწარესა შევესწარ, ცრემლით სამგლოვიაროსა, ამბობს ავტორი.  
რაშია საქმე? ვინ არ იგლოვდეს სამწუხარესა, განმარტავს იგი:

ვაი მოსკოვსა, წვათ მთებარესა,  
შვიდასს წელს ტრფობით ნაგებარესა!  
ტყება განმრავლდა ოთხსა კიდესა,  
ჩრდილოეთს ყოვლნი ცრემლსა ღვრიდესა,  
მდიდარნი, რომელ ღზინით სმიდესა,  
აწ გლოვით თმათა განიფხვრიდესა...

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ერთი ნაწარმოები, რომელიც 1831 წელს დაუწერია ქ. პეტერბურგში ცნობილს იონა ხელაშვილს და მიუძღვნია ვილაც ნიკოლოზ არხიმანდრიტისათვის. ამ თხზულებას ეწოდება „გოდებანი“ (H 313, გვ. 28—190); ის შედგება შვიდი ნაწილისა ან გოდებისაგან: 1) გოდება ტფილისისა ზედა, რომელსაც ეწვია სასიკუდინე სენი ხოლერა (1830 წელს); 2) გოდება მეფე ირაკლისა და გიორგის შთამომავალთა ზედა, რომელთაგან ზოგნი განიბნივნენ, ზოგნი მოსწყდნენ; 3) გოდება სისხლთა ურთიერთას დათხევისათვის; 4) გოდება „შავთა მუშაკთა ფიცხლისა ამბოხებით აღბორებებისათვის“, რომელიც დაამშვიდა „უფლისა ცხებულმან ნიკოლოზ პირველმან“, იგულისხმება ან დეკაბრისტების აჯანყება, ან პოლონეთის აჯანყება 1830 წლისა; 5) გოდება „ფიცხელისა ხორშაკისა გაგრძელებისათვის თვინიერ წვიმათა ორჟეოც დღე და ღამე“; 6) გოდება „ზღვისა ამის ბალთისა აღმოხეთქისათვის“; ეს იყო პეტერბურგის მეორეჯერ წალეკვა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველის შემდეგ მეშვიდესა წელსა, ესე იგი 1830 წელს; 7) გოდება, ოდეს „შეგუაშთო წვიმამან, დამაბერწებელმან ნაყოფთა ქუეყანისამან“. „გოდებანი“ ესე იმისთვის დავსწერეო, ამბობს ავტორი, «რათა ივერიისა ნათესავისა შობადთა გულისხმა ჰყონ ნამყო ფერად-ფერადნი რისხუანი ღმრთისა და ეკრძალნენ, რათა არა განარისხონ სახიერი ღმერთთა»<sup>1</sup>.

ასეთია უფრო საყოვალდებო ნიმუშები „გოდების“ ჟანრისა, რომელიც ჩვენს ძველს მწერლობას შემოუნახავს ჩვენამდე. თუ ამ ნიმუშებს ჩვენ შევადარებთ სხვა ლიტერატურათა ნიმუშებს, შევანჩნევთ შემდეგს: ჩვენი ნიმუშები იპდენად პროზული ფორმით არ შენახულან, რამდენადაც პოეტურით, ლექსით. მეორე — ჩვენს ნიმუშებში იპდენად რელიგიურ-მორალიზატორული ტონი არ ისმის, რამდენადაც საერო, პოლიტიკურ-მოქალაქობრივი. შინაარსობრივად, ღრმა სულიერი განცდებით, აგრეთვე გარეგნულად — ენამქვერობითა და პოეტური მოხდენილობით, ქართული ლიტერატურა ამ ჟანრის ხაზით არამც თუ არ ჩამორჩება სხვა ლიტერატურას, სჭარბობს კიდევაც მას.

III

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ გლოვა გამოიხატება არა მარტო სიტყვით (ლიტერატურა), არამედ მოქმედებითაც. ჩვენში საგანგებო „წესიც“ კი ყოფილა შემუსმავებული გლოვისა. მხედველობაში გვაქვს არა საეკლესიო წესი მიცვალებულის

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, 228-229.

დასაფლავებისა, რომელიც ე. წ. ევქალოგიონს ან „კურთხევანშია“ წარმოადგენილი, არამედ საერო, ყოფა-ცხოვრებითი. საჭიროა ზოგად ხაზებში მაინც განვიხილოთ და გავითვალისწინოთ ის ცერემონიალური მხარე, რომელიც, სიტყვასთან ერთად, განუყრელი ნაწილი იყო ქართული „გლოვისა“.

თავისი „ისტორიის“ შესავალში, იმ თავში, რომელსაც ეწოდება „ჩვეულებათათვის“, ვახუშტი მოგვითხრობს: ამკვდარსა დაჰფლვიდიან ყოვლითა შესამოსლითა და საჭურველითა და სამკაულითა თვისითა. ტიროდიან და საბნელოსა სხდიან 40 დღე. აღიპარსიან თავნი, წვერ-ულვაშნი, წარბნი, წამწამნი და ჩაიხდიდიან წელამდე სამოსელთა. მამრნი და მდედრნი იცემდიან ვიდრე სისხლინებისამდე. არა სჭამდიან ხორცსა და ცხოველსა წლამდე, გარნა მაშინაც იძულებითა დიდითა. შთაიცვიან ძაძა-ფლასნი და დაიბურთიან თავსა თხისურნი ჩაჩნი. განჰყვიან საფლავამდე ცოლნი ქმართა და ქმარნი ცოლთა და სხვათა, ახლოს მოყვასთაცა, ჯინსა შინა მსხდომარენი ბნელსა, ძაძითა მოკრულთა. იმღერდიან მწუხართა ხმითა ტყებისა ჟამსა არა ჭირისუფალნი, არამედ სხვანი, მუნ მყოფნი. ხოლო ესე წესნი მოშალა 91 მეფემან გიორგიმ, რაჟამს მოვიდა მისა პატრიარქი იელუსალიმისა, მის გამო თვინიერ შავისა ჩაცმისა, ხორცის უქმელობისა და ტყება-ტირილისა<sup>1</sup>. რასაკვირველია, თითოეული ეპოქა თავისებურ ელფერს აძლევდა „გლოვის წესს“, მაგრამ ზოგადი მხარე მისი ვახუშტის სწორად აქვს მოცემული, მის განკარგულებაში არსებული მასალისა და წყაროების მიხედვით. საისტორიო ძეგლებში შენახულა კანტი-კუნტი ცნობები ამის შესახებ. ტყება-ტირილი აუცილებელი და ბუნებრივი მოვლენა იყო ამ შემთხვევაში.

ფარსმან ქველის სიკვდილის გამო, ამბობს ისტორიკოსი, «იქმნა გლოვა, ტირილი და ტყება ყოველთა ქართველთა ზედა, წარჩინებულთგან ვიდრე გლახაკამდე იტყებდეს თავთა მათთაო»<sup>2</sup>. ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების გამო, გადმოგვცემს ისტორიკოსი, «დღე იყო სასაჯელისა წარჩინებულთა და ყოველსა ერსა ზედა, და იტყებდეს ყოველნი და ისხმიდეს ნაცარსა თავსა ზედა მათთა, და ინატრიდეს სიკვდილსა თავისა თუისისასა და კმისაგან ტირილისა და გოდებისა იძვოდა ქუეყანა»<sup>3</sup>. გიორგი მესამის მეუღლის და თამარის დედის, ბურდუხან დედოფლის, გარდაცვალების გამო, გვამცნობს ისტორიკოსი, «თუ ვითარნი ვამთა და ვაებათა სიმრავლენი იქმნნეს, შესატყუისნი მოსაწვეარისნი, რომელმანცა ენამან გამოთქჳა? მეფესა, გეგუთს მყოფსა, უთხრეს ეგოდენ ზარგანხილობაჲ. თმათა და წუერთა მმფხურელმან და ცრემლთა ნაკად-დენითა ათასეულთა და ბევრეულთა მცემელმან მკერდსა, თავისა მკუთლემან, უღონო-ქმნილმან, აღიკუეცა თმანიცა თავისა მისისანი, სოფლისანი, და ესევითართა შემეუსრვილითა გულითა შეეყარა საყუარელსა ასულსა. და ნაკადნი ცრემლთანი ოთხთავე თუალთაგან, ურთიერთას მოხუფეასა შინა, მსგავსად სამოთხისა, მომცენარეობდეს, სახედ გეონისა»<sup>4</sup>. თვით გიორგის გარდაცვალების შემდეგ აღ-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, გვ. 10.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება ანა დედოფლისა, გვ. 33.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 139.

<sup>4</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გამოცემა კ. კეკელიძისა, გვ. 70.

ჰკდეს კმანი ვაებისა და ტყეებისანი... და თამარი... შეიზღუდა ბნელთა, და მფხურელი თმათაჲ, და უსწრობდა წყაროდ სისხლისაჲ წყაროსა ცრემლისასა<sup>1</sup>. სასახლეში ცხედრის გარშემო თავი მოეყარა სამღვდლოებას, ხელისუფალთ, მეომართა რაზმებს, სპებსა და მონასპებს... «რომლითაცა ენითა გამოთქუან ანუ რომელიცა შემოვიდა სახე უსახოჲსა მის დღისაჲ? რანი გლოვანი, რანი ტყე-ბანი, რანი ვაებანი, რანი სისხლ-არეულთა ცრემლთა ნაკადნი ათას-კეცნი, რანი მოთქუმანი და მოკსენებანი...? ჭი ამას ესევეთარსა უნუგეშინის-ცემულებასა, უჭურო-ქმნასა სხეულთასა, შთაცმასა და დაფენასა ძაძისასა, კიდე-მქნელობასა ყოველისა სანოვაგისასა!»<sup>1</sup>. როდესაც თამარი გარდაიცვალა, ისტორიკოსის სიტყვით, «მოიწია მწუხარებაჲ დიდი და მიუთხრობელი მკვდრთა ზედა საქართველოჲსათა; ძნელად გამწარებულნი იტყებდეს და ისხმიდიან თავთა ნაცარსა და მტუერსა... იქმნა ტყეჲჲ, მსგავსი ვაებთა ატიდესთა, და გოდებანი, მსგავსნი მოკრებისა იერუსალემისანი იერენიჲს იერ მგოდებელისა... და ყოველთა ადვილთა მსხდომარეთა გოდებითა და ტყებითა შეიწუებოდეს მკვდრნი სამეფოჲსანი»<sup>2</sup>.

„გლოვის წესის“ დეტალები მხატვრულ ლიტერატურაშიც გვხვდება. ასე, მაგალითად, შავების ჩაცმა და ბნელსა შინა ჯდომა, ისიც არა 40 დღის განმავლობაში, როგორც ვახუშტი ამბობს, არამედ მთელი წლის, დამოწმებულია ვეფხისტყაოსანში:

მე წელიწდამდის ბნელსა ვჯე საწუთრო გაცუდებული,  
დღისით და ღამით ვვაებდი, ვერვისგან სულდაღებული...  
ებრძანა: „შვილო ტარიელ, ნუ ხარ შავითა ღებული.“

(335)

ამ პოემიდანვე ჩანს, რომ დიდი გლოვისა და მძიმე სულიერი განცდის ნიშნად ისხდნენ ხოლმე „ღიღ-ჩახსნილნი და მხარ-ამოყრილნი“ (308).

„გლოვის წესის“ შესახებ უფრო მეტი ცნობები შემოუნახავს ე. წ. აღორძინების პერიოდის ლიტერატურას, როგორც მხატვრულს, ისე საისტორიოს. თვალი მიმოვაგლოთ ჯერ მხატვრული ლიტერატურის ცნობებს.

არჩილ მეფე, თეიმურაზის პირით, ასე აგვიწერს ამ წესს:

ვით წესია, გარდვიხადე გლოვა დიდი, სულთ წესები,  
სულთქმა, ახი სამუდამო და ტკივილი საკენესები;  
ვიჯექ ბნელსა ცეცხლ-ნადები, ნათელ შრეტით დანავსები,  
ნადველს ვსვემდი სამსალითურთ, გული მქონდა შენავსები.

ორმოცამდისი ბნელს ვიჯე, სინათლეს ძვილ სად ვნახევი,  
თავსა ვიცემდი, ვსტიროდი, ცრემლითა ღაწვთა ვიხევი<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გამოცემა კ. კეკელიძისა, გვ. 70.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 139.

<sup>3</sup> არჩილანი, ტ. II, 394—5, ა. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა.



ხოლო თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი“ იგივე არჩილი ამბობს:

მოტიროლობა, გლოვის წესი, ზარი, ახა ზნედ დაიდო,  
 უსარგებლო მკვდრის და ცოცხლის ვინ ძმა იძმო, ან და იდო,  
 ერთმანერთის წაბაძვითა დაწესდა, ხიდად გაიდო,  
 წლამდინ ვინ ხორცი არ სჭამო, ბრძანე — წინა გიდგა იდო!<sup>1</sup>

განსაკუთრებით მდიდარსა და საინტერესო ცნობებს „გლოვის წესის“ შესახებ იძლევა თეიმურაზ II თავისი თხზულების „დღისა და ღამის გაბაასების“ იმ თავში, რომელსაც „კაცის სიკვდილის ამბავი“ ეწოდება<sup>2</sup>. ეს თავი იმით არის უფრო საყურადღებო, რომ აქ ლაპარაკია არა მარტო მეფეთა გლოვის წესის შესახებ, როგორც წინა ნიმუშებში, არამედ ჩვეულებრივი ადამიანის: მღაბოსისა ც. მოგვყავს ეს თავი მთლიანად.

რადგან რომ კაცსა ბოლომდის სიკვდილი არ აცილდების,  
 როს მოიწევა, ვინ უწყის — ღამეა ანუ დილდების,  
 თვისტომთა, საყვარელთაგან თვალთაგან ცრემლი მილდების,  
 შექნან გლოვა და ტირილი, მზე მათი მიუჩრდილდების.

ერთსა შოშობსა იქივე თვით იტირებენ მკვდარსა და,  
 მერე ჭირისა-უფალთა შეასხმენ სხვასა სახლსა და;  
 მხლებელთა დასხმენ ცხედართან მისატირებლად გზისადა,  
 გამართვენ კიდევ ტირილსა, ამოუშეებენ ზარსა და.

რა გავა პირველ სახლიდამ, ტირილი არის ქვრივისა,  
 ჭირისუფალთა თავია და გული უფრო სტკივისა;  
 მას ორნი-სამნი მხლებელნი თმა-გაშლით მისდევს, კივისა,  
 სხვაც ბევრნი მექვითინენი ქვითინს უცემენ მივისა.

შევა ცხედარზე, ტირილსა რაც მართებს, გაასრულებსა,  
 გაიგლიჯება დიდათა ქვრივი, თავს მოიძულებსა,  
 გამოიყვანენ ტირილით, რახან იჯერებს გულებსა,  
 საჭირისუფლოს სახლშია ძლივლა მიიწევს სულებსა.

ქვრივი რა დაჯდეს, მოთქმასა დაიწყებს გარდაცემითა;  
 სხვა წავა ჭირისუფალი ტირილით, თავში ცემითა;  
 ზარით გაუძღვენენ ყოველნი, იყვნენ გულ დანა ცემითა,  
 ტიროდენ მკვდარსა გულწყლულად, სიტყვით აქებდენ, ენითა.

ვინც არის ჭირისუფალი, თავ-თავად მოვლენ ტირილით,  
 ერთმანერთს მიუტირებენ წუხილით, გულისტკივილით;  
 რა გაათაონ, სხვანიცა მივლენ თავსცემით, ჩივილით,  
 ფარჩას წახურვენ ცრემლისა დათხევით, არ თუ ღიმილით.

ორ საღმრთოს კაცსა უჭირავს მოტირალისა ხელია,  
 ზარის თქმით მივა, იტირის, იხმაროს საქციელია;

<sup>1</sup> არჩილიანი, ტ. I, გვ. 4, სტროფი 16, ა. ბარაშიძის გამოცემა.

<sup>2</sup> თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას მიერ გამოცემული, გვ. 97—100,

ფარჩას მხარზედა გარდიშლის, ეგრე მიუძღვის მღვდელია,  
ზედ გარდაფინოს ცხედარსა, მღვდელსა ჩამოდის ცრემლია:  
ცხედარზედა მოტირალი გულმხურვალედ იტირებსა,  
მიცვალებულს ტკბილის სიტყვით შეამკობს და მას აქებსა;  
ცხედართანა მსხდომთ უტირებს, გულზე ცეცხლსა მოუდებსა,  
მგლოვარეთთან რა შეიქცეს, ცრემლი დაწვთა უსველებსა.

ჭირისუფალთა უტირებს ყველასა ჩამორიგებით,  
მათ მოტირალი უტირებს კაის სიტყვით და რიგებით;  
დასმენ მას, ქვრივი მოუთქვამს არა კრძალვით და რიდებით,  
თავს შეაბრალებს შვილებსა, ყველას სიტყვისა მოგებით.

მას ლამეს გაათენებენ მოთქმითა, ტირილითა და,  
გაასხმენ ჭირისუფალთა კიდევ ზარისა თქმითა და,  
დილაზედ გამოიტირონ მათ მკვდარი დიდის ხმითა და,  
მერმე შენოსონ ბერები თავისის კრებულთა და.

მკვდარსა შემოსენ მას ჟამსა, შემოახვევენ ტილოსა,  
ჩაასვენებენ კუბოსა ბნელსა, არ საადვილოსა;  
ვით იტყვის კაცი მაშინდელს ტირილსა, თვალთა მილოსა!  
მუნ მყოფთა ცრემლნი ზღვაობენ, იმეგობრებენ ნილოსა.

ზარი უთხრან ჭირისუფალთ მათ ცხედრისა წაღებაზე,  
ქვრივი მივა ხელმოხვევით, თუცა იყოს პირადა მზე,  
გაგლეჯილი ეხვეოდეს საყვარლისა კუბოსაზე;  
წაასვენონ, იგვი დარჩნენ უიმედო სულის დგამაზე.

ვით ჰფერობს ჭრისტიანეთა, დამარხვენ მიცვალებულსა,  
რიგს უზმენ ჭირისუფალნი, რაც მართებს გაოხრებულსა,  
ზარით დაჰფენენ ნიშანსა სალამოს დაბინდებულსა,  
პირველად მედოშაქენი მზას იქმენ ქვეშ დაგებულსა.

ქალის ახალუხს ჩასდებენ, მასთანვე უნდა ქმრისანი,  
იქ დასხდენ მედოშაქენი, გამშლელნი იყვნენ თმისანი;  
ზედ ადგეს მღვდელი მოსილი, მკმეველი საკმეველისანი,  
სხვას სახლს დაჰფენენ სუზანსა, წესია ხელმწიფისანი.

დროზედ გარდშლიან ნიშანსა, ქათიბსა და მერმე ტყავსა,  
ორნი ყულნი ცოცხალსავით განკრძალვით ადგნენ თავსა;  
ოქროს ხმალსა დაუდებენ ქათიბისა მარცხნივ მხარსა,  
დაათენენ ტანისამოსს, ნაცვამია კაცის ტანსა.

ჭირისუფალთა მოეცვას მათთა ნიშანთა არენი,  
თვალ-მარგალიტით შემკული, ოხრობით შესაზარენი;  
დიდებულთ ცოლნი ტირიან, ხმა ისმის ამად მწარენი,  
საბრალოს ხმითა ვაებენ ქალნი, მნათობთა დარენი.

ცხენებს დააბმენ მკვდარისასა უკულმა შეკაზმულებსა,  
მეჯინიბეთათ-ხუცესი ზინდრით უჭირისუფლებსა;  
პატრონისათვის ტირილით ამოირთმევენ სულეპსა,  
ვინც მოტირალი უტირებს, შეუწუხებენ გულებსა.

მესამეს დამეს დახურვენ ქვრივსა ლეჩაქსა შავსაო,  
 პირისფარეში მოიტანს, ეუბნებიან ზარსაო;  
 დიდი ტირილი იქნების, შავს რომ დახურვენ თავსაო,  
 საქართველოში კარგ-გვარი ლხინი და ჭირი არსაო.

თხუტმედამდინა ლამითი იტირინ ნიშანზედაო,  
 გამოიტირონ თავს ცემით, პირ-ხოკვით დილაზედაო.  
 გათავდეს თხუთმეტი რა დღე, დაადგრენ მოთქმაზედაო,  
 კიდევ ნიშანსა დაჰფენენ, კვლავ ტირან ორმოცზედაო.

ორმოცზედა მკვდრის პატრონნი, რაკი გამოიტირებენ,  
 ნიშანს ჭირისუფლებისკენ თავს ცემითა წაიღებენ;  
 შევლენ სახლში ზარის თქმითა, დაიჩოქვენ, ისე რებენ,  
 ჭირისუფლებს ტირილითა ნიშანს ჩამოურიგებენ.

გათავებენ ტირილსა ორმოცის გამოსვლაზედა,  
 ნახევარს წელსა იტირონ და ერთსა წელიწადზედა;  
 მასუკან ხელი აიღონ ტირილსა და მოთქმაზედა;  
 რაცა ვთქვი ლხინი და ჭირი, ლამით ეს მოვა კაცზედა.

ზოგიერთი დეტალი ამ „წესისა“ თეიმურაზს დაუცავს თავისი მეუღლის თამარის გარდაცვალებისას, ყოველ შემთხვევაში 15 დღის ტირილი. აი რას გადმოგვცემს ამის შესახებ ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი: «იფხვრიდენ თმათა და იტყებდენ თხემთა, მიეყენეს ფრიადსა მწუხარებასა, წაასუნენეს მცხედარი დიდსა სამეფოსა ეკლესიასა მცხეთას, მისდევდეს ქართლისა და კახეთისა ჯარი, სრულიად დარბაისელნი ანუ ჯალაბნი დარბაისელთანი, ყოველნივე მცემელნი თავთანი და მხეველნი საყელოთანი, მღულრიოდენ ცრემლთა მიღებით. მიიღეს აღსავლის კარის ჩამოსწორ, იქავ წინ შუაგულობასა. ქართლსა და კახეთში რაც საღმთო დასნი იყვნეს, ყოველივე იქ შემოკრებულ იყვნეს: ანტონი კათალიკოზმან განადიდნა ყოველივე იმ დღის წესნი, ეგრე ხარისხი მაღლობით მიიღო. დაბძანდა ბატონი საბნელოსა შინა, იყვის თხუთმეტამდის ტირილი და ვაება გაუწყვეტელად, და რა თხუთმეტი გარდაწყდა, წამობძანდენ ქალაქს, მოიფლოსენენ ყოველნი შავთა ძაძათა მიერ, იყო ყოველგან წუხილი უზომო, რომე მეტი აღარ ეგებოდა»<sup>1</sup>.

საისტორიო მწერლობაში ყურადღების ღირსია ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის მიერ აღწერილი გლოვა და დასაფლავება მარიამ დედოფლის ერთადერთი შვილის (გურიელისაგან) ოტიასი. მართალია, აქ აღწერილია მეფის ოჯახში მიღებული „გლოვის წესი“, რომელიც საყოველთაო და ტიპიური აღბათ არც სამეფო ოჯახისათვის იყო, მაგრამ აქ ისეთი დეტალებია მოცემული, რომლებიც სხვაგან არ გვხვდება, ამიტომ მთლიანად მოვიყვანთ ამ აღწერილობას. ... ფორს მიიცვალა. შეიქნა დიდი გლოვა, ტირილი თორმეტს დღეს. იქივე გორს იყო ზარით ტირილი. ქართველნი ჯალაბობით, თავიანთი ჯარითა და შექლებითა ზარის თქმით მოვიდინ, უწინ მკვდართ მიმგზავსებულს, სახედანე-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, II, 389.

ულს, თმადაგლეჯილს, შეგნება-შეშლილს, ტანისამოს სისხლით გასერილს, მკვრივ ზედ მჯდომს, ღონე-იმედ-დაკარგულს ბატონ დედოფალს მიუტირობენ, მკვრივ გამდელს და ჩარიგებით მათს მზღებლებსა, მერმე მეფესა და ჭირისუფლებსა, თავადთა და აზნაურთა და მსახურთა და მოხელეთა; მერმე მცხედარსა მიუტირებდნენ და გარდასაბურავსა გარდაფენდიან. ამას უკან იარაღსა და მორთულობასა, ტანისამოსსა, მურასა ვეირავინსა და ჯილასა და ხმალსა და ხანჯალსა, მუზარათსა და ჯაჭვსა და ხელნავეებსა და ცხენსა და მისს შეკაზმულობასა, ყოველს ნიშანს ცალკე-ცალკე მიუტირებდენ და ერთს წელიწადსაც არ გათავდებოდა. მეფემ ბრძანა: „ვითაც გზახედ მიმავალთა, ისრევე ტირილში ერთმანერთს მოადვენონ“. დილით შუადღემდისინ იტირებდენ და სამზრობით მზის ჩასვლამდისინ გამოიტირებდეს. მაგრა მაშინც ბევრს რიგი და ნობათი არ ერგო ამ თორმეტს დღეში. მერმე მეფემ ბრძანა: „ვისაც აქ არ ეტიროსო, გზახედ მოვეტიროსო და ან ცხეთას იტირონო“. და რასაც მკვდარს თავს ადგენენ: კათალიკოზი, ეპისკოპოზნი, ბერნი და მღვდელნი რომ სახარებას და დავითნს კითხულობდენ, ასევე ბატონს დედოფალს ადგენენ მონაზონნი და ჩოხოსანნი და ამ სოფლით გადგომილნი მღვთის მონებაზედ მოწონებულნი დედანი და ქალწულნი, ცრემლის ფრქვევით სახარებას და დავითნს კითხულობდნენ. მაგრამე ბატონის დედოფლის შებრალებით ყველას ამდენი ეტირა, რომ მართლა ვეღარ ზედვედენ, ყოვლის ნიშანზედ ორმოცი ბერი და მღვდელი ადგენენ, სახარებასა და დავითნს კითხულობდენ, რვაასი მეორმოცე დაუყენეს და ქართველნი ძაძითა და შავით შეიმოსნენ, ლასტიჯინ დააწვენინეს, ვითაც კუბონი, და ბატონი დედოფალი, ვითაც მკვდარი, მაშვიგ მიიღეს და ზედ შავი ზეწარი გარდააბურეს, ქვეშ თავადნი და მათი ძმანი და შვილები შეუსხდნეს. აგრეთვე მცხედარსა ძვირ-ფასის ოქრო-ქსოვილები გარდააბურეს და ახალგაზილნი თავადის შვილები შეუსხდნენ საკაცეს ქვეშა: საქართველოს ჯარები, ვითაც დროშები, წინ წაიძღვანეს და ამ ვაებით სწორზედ გორიდაშენ ცხეთას ჩავიდნენ და ბატონის დედოფლის შვილი ოტია საფლავს მიიღეს. და მეფე მეორეს დღეს ქალაქს მიბრძანდა. და სააღაპო ძროხა, ცხვარი და თევზი და ხიზილალა, ბანბა და მარილი, სანთელი და საკმეველი ამდენი მოატანინა, რომ ორმოცამდინ ცხეთას იდგნენ, ხსნილის დღეებში ასი ძროხა და ცხვარი დაიკლოდა, მარხვის დღეებში ათასი ხმელი თევზი გაიჭრებოდა, ბანბასა და მარილსა და სანთელსა და საკმეველს გარდაისად, ამ ორმოცს დღეს დედოფალს მარილიანი ვერ აჭამეს, ქერის პურის მეტი მას არა უჭამია რა. და რა ორმოცი გათავდა, კიდევ ცხრა ასი მეორმოცენი დაუყენეს. ბატონმან დედოფალმან თავისის შვილის ქონება ზოგი იერუსალემს გაგზავნა, ზოგი საყდართა და მონასტერთა შეწირა და შვილის საფლავი მოათენინა, სომხითში დარბაზის სოფელი სვეტისცხოველს შესწირა, მისი გამდელი თავისი მზღებლებით შვილის საფლავზე დააყენა და სარჩო გაუჩინა. ტირილით საფლავს გამოეყარა და ქალაქს ჩაბძანდა. მოქალაქენი შეიყარნენ, კარს მოადგნენ, შეწვენისა და შეძლების ღონით გარდასაბურავნი მოართვეს და სამძიმარი მოახსენეს და ამათნი ჯალაბნი თვითოს დღეს თვის უბნისანი მივიდნენ და მიუტირებდენ. ვისაც შეძლება ჰქონდათ, ძღვენსა და გარდასაბურავს მიართმევდიან. და ამდენი ხარჯი გადიხადეს და ერთის შაურის ფასი

თემს არა სთხოვეს რა, მიცემის მეტი, და ეს ამდენი ხარჯი მეფემან თავისის სალაროდამ გაიღო. ოცს წელიწადს ბატონმან დედოფალმან არც ხოლოცა და არც შავი გამოიცივალა, და მის მეტი არც ვაჟი ჰყვანდა, არც ქალი და არცა შობისა და მოლოდინის იმედი. აქ ამისთვის ბრალია ერთის პატრონია<sup>1</sup>.

საინტერესო ცნობებია შემონახული ირაკლი მეორის დასაფლავების შესახებაც. თეიმურაზ ბატონიშვილის გადმოცემით, «დღესა ორმეოცსა ესვენა გვამი მეფის ირაკლისა თელავს, რადგან მოვიდოდნა კახეთით, ქართლით და ყოველთაგან სამეფოთა მისთა დედა-წულითურთ მცხოვრებნი და ჰყოფდეს ივინი გოდებასა და ტყეებასა დიდთა გვამსა ზედა მისსა»<sup>2</sup>. ირაკლის გლოვისა და დასაფლავების გამო თელავის სემინარიის რექტორს დავითს შეუღდენია საგანგებო «ცერემონია», რომელიც დარეჯან დედოფალს დაუმტკიცებია<sup>3</sup>. ეს მეტად ვრცელი, სპეციალურად ამ შემთხვევისათვის დაწერილი ძეგლია, რომელშიც ისმის რუსული ცერამონიალის გამოძახილი. არ არის აქ დავიწყებული არც საეკლესიო, არც სამოქალაქო-პოლიტიკური მხარე, რეგლამენტირებულია ყოველი ნაბიჯი თბილისიდან მცხეთისაკენ მიმართული პროცესიისა. დაწერილებით აღწერილია, როგორი რიგითა და წესით ღვანან და მიდიან, ან რას აკეთებენ საქართველოს თავადნი, სამღვდლოება, სახელმწიფო მოხელენი და სხვადასხვა მდგომარეობის ადამიანები, აღნიშნულია — ვის რომელი სამეფო რეგალიები მიაქვს და რა რიგით. «წავიდეს სვეტის-ცხოვლის დეკანოზი ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი, წინაუძღოდენ მოზარენი და ცერემონიებისტერი და საცა სახლსა და პალატსა შინა ბრძანდებოდეს მისი სიმაღლე დედოფალი დარეჯან, ზარით უკანასკნელი გამოსალმება და დათხევა ცრემლთა. ამას შეუღდენენ ძენი მეფისანი, ცხედარსა თანა მეფისასა მიმსვლენი. ამით შეუღდენენ პირველნი თავადნი, ამით მეორენი, ამით მესამენი და შემდგომად აზნაურნი და ყოველნივე თავიშველნი. ამისსა შემდგომად სძალნი მეფისანი და ასულნი მარცხენით ცხედარისა. ამით უნდა შეუღდენენ პირველთა თავადთა მეუღლენი, ამით მეორეთა თავადთა მეუღლენი, ამით მესამენი და შემდგომად აზნაურთა მეუღლენი. ესე ყოველნივე თავიშველნი და მღუმრად საღმობითა ცრემლთა დამთხვევლნი... ამას ჟამსა ქართველთა და სომეხთა ეკლესიათა შინა ზართა და სარეკელთა ცემა უნდა იყოს, სანამდისინ სანატრელი ცხედარი ირაკლისა წარიღებოდეს. ხოლო ესე ცერემონია სრულ რა იქნეს და აღიღონ ცხედარი მეფისა, მაშინ იქმნეს ზარბაზანთა ცემა, რაოდენცა შესაძლებელ იყოს».

დასასრულ, უნდა განვიხილოთ «წესი გლოვისა», რომელიც მოთავსებულია იოანე ბატონიშვილის «კალმასობაში» შეტანილს «ქართლის ისტორიაში». აგტორი თავისი შრომის შენიშვნაში ჯერ გვაცნობს მეფის კურთხევის «ცერემონიას» (ხელნ. H 2134, ფ. 704<sup>a</sup>—706<sup>b</sup>) ძველს საქართველოში და შემდეგ იძლევა

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება II, 523—525; «ივერია» 1888 წ. № 118, წერილი ეს ო მ ი - ს ა.

<sup>2</sup> «ივერია» 1898 წ. № 7.

<sup>3</sup> «ივერია» 1887 წ. №№ 89, 90.

„გლოვის წესის“ აღწერილობას (ფ. 706<sup>b</sup>—708<sup>a</sup>), რომელიც საყურადღებო ცნობათა სიუხვით და სიახლით. რადგანაც იოანე ბატონიშვილის ეს შრომა ჯერ გამოცემული არაა, მოგვყავს ის მთლიანად.

აქუნდა მეფესა ორი დიდი პალატი: ერთი სალხინოდ და მეორე საგლოველოდ. სალხინო პალატი იყო წითლისა ფარჩითა ანუ ხავედითა მოკრული სრულიად ჭერ-გვერდებითა და შუაზედ ჭერშია ეკერა შავი ჯუარი ფარჩისავე, და ესე იყო ნიშანი, რომელ ლხინში მყოფთა შეხედვითა მისითა მოეგონებინათ სიკვდილი და უჯეროდ არ განცხრომილიყვნენ. გარნა მას სალხინო სახლში იყო სამი ქუევერი თითო საპალნიანი შთადგმული, და რომ ესეოდენი დარბაზის ერნი დასხდებოდენ მას შინა, რომელ მათგან დალეულის ღვინის თასში დაშთომილი ღვინოა რა დანაჟურიან ქვევრებთა მათ შინა, სამივე ქუევერი აღივსებოდის, რომელ ესოდენ ღვინოა დაილეოდის, და მერე იმას განიყოფდენ მოსამსახურენი მეფისანი. ხოლო საგლოველი პალატი იყო ესრეთვე შავით მოკრული, ხავედით თუ სადა ფარჩითა, და ჭერის საშუალ ეკერა ჯუარი წითელი ფარჩისა, მომასწავებელ შემხედველთათვის, რომელ მწუხარებასა შეუდგების მხიარულება მოწყალებითა ღვთისაჲთა, და მით ინუგეშებდენ მგლოვარენი. გარნა გლოვა აწინდელ ქართველთა ესრეთ იყო, რომელ ზოგნი მათრახით იცემდენ ტიტველსა თავსა და ტანსა ზედა, ზოგნი თხისა შავისა ბალნისა ტყავითა შეიმოსებოდნენ, ზოგნი დუშაყთა ფერხთა შინა შეყრილნი და მხარგარდახდილნი მოვიდოდნენ და ესრეთ მიუტირიან მეფეთა. მერე შევიდოდნენ და მოუტირიან დედოფალს, და მერე სადაც იყო დაფენილ ტანისამოსი მკვდრისა მის და ქუდი, მასცა მიუტირიან. და წლამდის მგლოვიარენი არა იხმევდენ არცა თევზსა, არცა ხორცსა და თითქმის გარეთაც არა გამოვიდოდნენ. ისხდნენ შავსა ნაბადსა ზედა და მრავალნი ცხელთა ნაცართა ზედაცა დასხდებოდნენ, რომელ ესე ჩვეულება იმერთა შინაცა იყო, რაჟს დარჩომილი აქამომდე. ხოლო ზემოხსენებულნი გლოვანი შეუმსუბუქა იერუსალიმის პატრიარხმან და მრავალი მოაკვეთინა და განუცხადა დიდი წინააღმდეგობა ღმერთისა ესეგუართა მგლოვიარეთა. ხოლო კვალად იყო აბამიძეთა დაშთომილი მხარსა გარდახდა და შავის ტყავისა მოსხმა და დუშაყისა შეყრა, რომელი დროსა მეორე მეფისა ირაკლისასა, ოდეს გარდიცვალა ძე ამა მეფისა ლეონ, ამასახედ იტირეს აბამიძეთა და თანაჰყვით მოზარენიცა თვისნი. ხოლო აწ საქართველოსა შინა არღა არს ესეგუარი მგლოვიარობა; მათრახით აწცა იცვან ცემა ჩერქეზთა და აფხაზთა. ხოლო ოდეს სეფე გარდიცვალის, დამარხვა იყო მეფისა და წაღება საფლავად იყო დიდის ცერემონიითა ესრეთ, რომელ სამღუდელნი კათალიკოზითურთ სრულიად შემოკრებოდნენ, და აგრეთვე დიდებულნი ოთხნი სარდალნი: ქართლისა, სომხითისა, კახეთისა და სამცხისა, თავისის ჯარით წინაგანუძღვინ, უკანა ამისა მიეყუანდათ უკუღმა შეკაზმულნი ცხენნი და ამასთან მიაქუნდათ დროშანი მეფისანი, მას თანა საქურველნი მეფისანი, და ამასთან სამეფო ნიშნები, და მერე ამათ უკან მგლობელნი, და ამათ უკან მღუდელთმთავარნი და სამღუდელონი, მერეთ ლამპრებთა მრავალთა ხელთა მჭერალნი შინამსახურნი. და ამასთან მიაქუნდათ მეფე მძიმესა მორთულსა კუბოსა შინა მდებარე, და ედგა ზედან ქოლგა. და უსხდენ კუბოსა მას ქვეშე მოხელენი თავადნი, და ზედან

ებურა მეფესა პორფირი და კიდე წასახურავი. ამას უკან მისდევდენ მეფის ძენი და ნათესავნი და კვალად ჩინებულნი ერნი; ამათ უკან დედოფალი და მძაღლი და შინაბერნი მეფისანი, და ამათ უკან სახლის შინაშოხელენი და მოხელეთა ცოლნი, და ამათ უკან მოქალაქენი, და ესრეთ დიდებით წარასვენიან მეფე სასაფლაოდ. ხოლო მემკვიდრესა და დედოფალსაცა ამსახედ დამარხვიდიან, ხოლო სხუათა მეფის ძეთა და ძმათა უფრო ნაკლებს ცერემონიითა. და ასრე აქუნდათ ჭანწესება ვიდრე სამ სამეფოს გაყრამდის და მერე მათ თვისთვისნი დიდებულნი დამარხვიდიან ცერემონიით, გარნა არ იყო აწინდელისა ცერემონისა შესამგზავსები. იხილე ჩეულება ესე ძველთა მატიანეთა შინა და იოსებ თელაველის ქმნილსა წიგნსა შინა წესთა მეფეთა აღწერილობისასა.

ეს აღწერილობა, როგორც თეიმურაზ მეორისა, ორი ნაწილისაგან შედგება: ერთს ჩეულებრივი ადამიანი ჰყავს მხედველობაში, მეორეს მეფე. აქ მოცემულია ელემენტები, რომელთაც ადგილი აქვთ ვახუშტის, ფარსადან გორგიჯანიძის, თეიმურაზ მეორის და დავით რექტორის აღწერილობებში, მაგრამ მრავალი ისეთი ცნობებიცაა, რაც სხვაგან არ შეგვხვედრია. საყურადღებოა მიკუთვნება ამა თუ იმ ელემენტისა ამა თუ იმ ადგილისა (იმერეთი, რაჭა, ჩერქეზეთი, აფხაზეთი), გვარისა (აბაშიძენი) და დროისადმი (აწინდელი და ძველი — ვიდრე სამ სამეფოდ გაყრამდე), აგრეთვე აღნიშვნა იმისა, რომ მეფის, დედოფლის და მემკვიდრის გლოვის ცერემონია უფრო ბრწყინვალე იყო, ვიდრე სხვათა მეფის ძეთა და ძმათა, ხოლო უკანასკნელთა და დიდებულების უფრო რთული, ვიდრე მდბიოთა. მნიშვნელობას არაა მოკლებული არც ის ჩვენება ავტორისა, რომ ირაკლი მეორის ძე ლეონი საგანგებოდ ყოფილა დატირებული ყველასაგან, კერძოდ აბაშიძეთა მიერ. ჯველაზე მეტად საყურადღებოა, რომ ავტორი სახელდებით აღნიშნავს იმ წყაროებს, რომლებშიც მოიპოვება ცნობები „გლოვის წესის“ შესახებ. ესაა: ძველნი მატიანენი და იოსებ თელაველის „წიგნი წესთა მეფეთა აღწერილობისა“. გასაგებია, თუ რა არის „ძველნი მატიანენი“, რაც შეეხება იოსებ თელაველს, იმისა და მისი „წიგნის“ შესახებ ჩვენს მწერლობაში არავითარი ცნობა არ მოიპოვება. ავტორი, იოანე ბატონიშვილი, თანახმად ვახუშტისა, გადმოგვცემს, რომ მის მიერ აღწერილი ზომას — გადასული „წესი გლოვისა“, როგორც ღვთის საწინააღმდეგო ჩეულება, ქართველებს „შეუძმუბუქა“ იერუსალიმის პატრიარქმან. უზომი გლოვა და ტირილი მიცვალებულისა არ ურიგდება ქრისტიანულ წარმოდგენას სიკვდილის შესახებ. მოციქული პავლე სწერს მორწმუნეებს: «არა გუნებავს უმეცრებად თქუენი, ძმანი, შესუენებულთა მათთვის, რათა არა სწუხდეთ, ვითარცა იგი სხუანი, რომელთა არა აქუს სასოება» (1 თესალ. IV, 13). ამით აიხსნება, რომ იმპერატორმა იუსტინიანე დიდმა საგანგებო დადგენილებით აღკრძალა ამგვარი გლოვა-წუხილი და ტირილი და განკარგულება გასცა მის მაგიერ მიცვალებულისათვის იკითხონ დავითნი და საერთოდ საღმრთო წერილი.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ძველი ქართული ლიტერატურის  
ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. XII. 1).

ილია აბულაძე

## სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის განმარტების გარშემო

საქართველოს ისტორიის შესახებ მრავალი საყურადღებო ცნობა დაუცავს სომხურ ძველ საისტორიო მწერლობას, რომელიც მეტად მდიდარია წარსულის მომხსრობი ძეგლების მხრით. ეს ცნობები ძვირფას წყაროს წარმოადგენს საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიის გასათვალისწინებლად. განსაკუთრებით უხვია ცნობები XI—XIII სს-ის ისტორიკოსებთან, და ეს იმიტომ, რომ ამ ხანაში საქართველოსა და სომხეთს შორის მეტად მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა. ამ დროს სომხეთის უდიდესი ნაწილი საქართველოს სახელმწიფოებრივ ფარგლებში მოექცა და ამით ეს ორი მეზობელი ხალხი ერთმანეთის ჭირისა და ლხინის მოზიარენი შეიქმნენ. საქართველოსა და სომხეთს შორის დაფუძნებული ურთიერთობის ხასიათის გარკვევა პოლიტიკურს, ეკონომიურსა თუ კულტურის სფეროში უდავოდ საპატიო ამოცანაა როგორც ქართველოლოგიისათვის, ისე არმენოლოგიისათვის.

ურთიერთობის გარკვეული სფეროს ერთ-ერთი წინათ შენიშნული მოვლენის ახლებური გაშუქება ჰქონია მიზნად პროფ. მელიქსეთ-ბეგსაც თავისი წერილით: *Մի վկայութիւն գերագիւյն դատակարմութեան և դատավարմութեան մասին Հաքարյան Հայաստանում* (По поводу одного свидетельства об устройстве и процессе высшего суда в Захаридской Армении<sup>1</sup>), რომელიც დაბეჭდილია სომხეთის ს. ს. რ. მეცნიერებათა აკადემიის *Տիգրակեր*-ში 1945 წ. (№ 3—4, გვ. 73—81). ეს ნაშრომი მისმა ავტორმა გასულ, 1947 წელსაც გაიმეორა მოხსენებად [„სტ. ორბელიანის (XIII ს.) ისტორიაში უხვნაეს სამსჯავროს შესახებ დაცული იშვიათი ცნობის განმარტებისათვის“] სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე (29. X—3. XI), რომლის თეზისებს შორის პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მოხსენების თეზისებიცაა მოთავსებული (გვ. 14—16). ნაშრომის სათაურში მოხაზული მიზნისათვის ის ეყრდნობა სტეფანოს ორბელიანის ისტორიის 64-ესა და 65-ე თავებს, სადაც მოთხრობილია ნორაჲანის ჯვრის გარშემო ამტყდარი ცილობის ამბები და მის გადასაწყვეტად ჩატარებული ღონისძიება.

<sup>1</sup> ავტორისავე თარგმანია, რომელიც ნაშრომზე დართულ ვრცელ რუსულ რეზუმეს აქვს სათაურად.

სტეფანოს ორბელიანის ამ ცნობამ ყველაზე უწინარეს მიიპყრო ყურადღება აკად. ივ. ჯავახიშვილისა, რომელმაც ის დასახა, როგორც თანამედროვე დროინდელი საქართველოს პოლიტიკის ერთ-ერთი ნიმუში სახელმწიფოს ფარგლებში შემომავალი სხვადასხვა აღსარების ხალხისადმი, ხოლო თვით სამართლის წარმოება მიიჩნია, როგორც „ერთული დავის გადასაწყვეტად ერთი მეტად იშვიათი და იმ დროისათვის გასაოცარი საშუალება“<sup>1</sup>. ეს „დავა — აკად. ივ. ჯავახიშვილის თქმით — ორ სომეხთა ეპისკოპოსს შორის იყო ატეხილი ძვირჯასი ჯვრის საკუთრების გამო, რომელსაც ორივენი ერთმეორეს ეცილებოდნენ“<sup>2</sup>.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს ამავე ცნობის ანალიზის შედეგად გამოაქვს ისეთი დასკვნები, რომლებიც ეწინააღმდეგება აკად. ივ. ჯავახიშვილის ზემორე მოყვანილ დაფასებას. ეს, რასაკვირველია, გასაოცარი არ არის (რომელიმე მოვლენის გარშემო შეიძლება ორი კი არა, მეტი აზრიც არსებობდეს), მაგრამ საკვირველი ისაა, რომ მის მიერ დახატული სურათი თითქმის საქმის ნამდვილი ვითარებისა, გაუგებრობაზე აღმოცენებული. ჩვენი გამოხატულების მიზანი სწორედ ის არის, რომ გაჰვანტოს ეს გაუგებრობა და აღადგინოს ისევე სწორი შეხედულება, მაგრამ, სანამ ამას მივუყვართ ხელს, მოვიყვანთ დედანში იმ საბუთს, რომელიც პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს მოჰყავს, და გვერდით დაუურთავთ ქართულ თარგმანს.

[64]

ამ თავის დასაწყისში აღწერილია ის, თუ როგორ მოვიდა სივნიეთის მხრიდან ვაიოც ძორს, ნორავანის უდაბნოს დასამკვიდრებლად სასწაულ-მოქმედი იოვანე; როგორ მოუბოვა მან ნორავანს ადგილ-მამული...

*ს. აკაკის ხელნაწილი რაფიქრამ ამა<sup>1</sup>  
ქაქანანს ჰქონდა წილი 663:*

*ს. აკაკ... სხს თქრ შახიან-  
ნიო ზნირზაფარენ, ირ ს ქაქანანს  
ლიხსეა კსქარტქსნი, ს რნასხეა ს  
აილერ ილქანს ზირაქანსი. ეტ ხსნი  
აქნიონ ახერხაქ ტრ ს აკაკანსაქ.  
ს ზაქრ აიქსნი თქრ ზრქიქრ ანქსნი  
კაქრ ჰ ჰქრმქ: ს. ზასათათსაქ ენს  
ათნი აქნიოქ ხაქსლიაიიილქსანი<sup>2</sup>  
ათნიი ქარქანი ს აქქქ ჰ მსბ სქს-  
რქქსნი ქანს ქქანსქსი აქსრ... ს. აკაკ*

ესრე იცხოვრა მრავალი წელი და აღესრულა სომეხთა წელთაღრიცხვის 663-ს.

მერმე... მოვიდა უფალი სტეფანოს მაღლით შემკული, რომელსაც ფახრლ მსეჰი ეწოდა ათაბაგისაგან, და დაემკვიდრა ნორავანის წმიდა ძმობას [ან: მონასტერს], რადგანაც ძველი საყდარი აოხრებული და წამხდარი იყო; მამა მისიც უფალი გრიგოლი იქვე იდვა საბარეს. დაამტკიცა ის საეპისკოპოსო საყდრის სახლად, აიღო ფარმანი და სიგელი დიდი ათაბაგისაგან<sup>3</sup> ამ ხვედ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, თბილისი 1929 წ., გვ. 479—80.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 480.

<sup>3</sup> იგულისხმება: ელდიგუზი.





რა გარბიყვანს ანგერტს: *საყაზრა-  
მაქე ჰიჯეღე გეხაქსიოიონს და გნე  
აყაქმანს ნამა და ასაქ დაქსე იტე ჰამი  
გარეოქ ნუანქანს ანგერტს გარანანს  
თავსე ქარტინს გერეგა გაკაქ ქ დხი  
ქამ, და სხ თამ გნაქ ქ დხი გო, საყა  
ქსე იტე გარანა ილანაქს... ზრამაქ  
ადაგ ბქსნადაყარქანს ქარეოქ გქლანქანს  
სანადაქსე ანონს გნაქ გნე თხანს  
შარეგაქ და თაქ გქსაქს ქნაქ ქ გქრ-  
დაჩანს ილქათი. იტე და ათქამაქან  
ქათარეგადა: სე ნორა გნაგეხაქ  
ანონს გქსაქს ქანგოქსეამე, და ან-  
გესაქ ქილქსანაქსე გაკ, გასანსე ქ  
ნორაქანს ილქათ. და გნაქსეილანსე  
ანგერტს გთორე ნუანს. იტე და გექათ  
ქანქანანსე გქსიქსე ქარ თქე შახ-  
ქანსიო, გაკე თილდა ქ გქსა გე-  
რესაქ ქანქანს ქ ქაკართე 1000 გარს-  
ქანს ქარქმე, იტეგაქს ასაგეგნ: ქსე  
ქქქსეგნაქსაქსე და ქამარაქსაქსე  
ნაგექსე ანგერტს ქ გქსაილდა:*

ფურცელგადაკრული და კამარაშეკრული დარჩა იქვე კეჩარუს.

[65]

*საკე გარეგნეღანსე გეხაქსიოიონს თქე  
შარეგაქ, ქათ ქანქანანსე თხანს შახ-  
ქანსიოთიქ ქამსეაქ გქსეღე გქსეგექსე და  
განგეგნაგეილანსე გთორე ილქათან: სე  
ქე იაკე იონს ქსექსე აბქსაქსე ამა, და ქამქე  
ქსექსე აქთილქაკე შქანსეაქ შიქანანსე  
ანონსე გარეგეიორექსე თხანს შახ-  
ქანსიოთიქ. და გქსექსე ქსექსეამარ დხი-  
ნარეგექსე ანგ: ქსანს იტე აქსექსეოქ გგაქს-  
ილქილქანს და გიბთილქანს გქსეგესეოქ გე-  
ღანსექსე ქანაკეაქსეოთ თქე შარეგაქსე  
გილქანსეაქსე ქანქანსე ქ თქე შიქ-  
ანანსეაქსე, და ანონსე გქსაკე გორ გესიო,*

ამ ნეტარმა ეპისკოპოსმა, უფალმა  
სარგისმა, უფალი სტეფანოსის აღსრუ-  
ლების შემდეგ ინება აეშენებინა ეკლესია  
და გამოეჩინებინა [განედიდებინა] წმინდა  
ძმობა. იყო სხვა ვინმე, რომელიც მხარს  
უჭერდა მას და უნდოდა ყოფილიყო სი-  
ნიეთის საყდრის მპყრობელი\*, სახელი  
ერქვა იოვანე, (რომელიც იყო) უფალი  
სტეფანოსის მამის ძმისწული [ე. ი. ბიძა-  
შვილი]. წავიდა [ის] ახთამარს და იქ  
მიიღო ხელთდასხმა. რადგან არ უყვარ-  
და ეკლესიის ცილობა [ე. ი. წაიკლება]  
და განხეთქილება, მამათმთავართა შო-

\* მ. ბროსე აქამდის ამ წინადადებას ასე თარგმნის: Or il avait un rival, un autre prétendant au siège épiscopal de Siounie (ხოლო მას ჰყავდა მოცილე, სხვა პრეტენდენტი სი-  
ნიეთის საეპისკოპოსოს საყდრისა), რაც სწორი არაა; *ქსექსე აბქსაქსე ამა* მხარის დამჭერია და  
არა მოცილე (იხ. მისი: Histoire de la Siounie par Stéphannos Orbélian, SPB, 1846, p. 202).



ყარათი და ხერ ხეხეხეციონს და ყარათ  
ქრისტე კაცთნისაჲსანი ძაიანთი  
ქრისტე: *საყა აყამ დათათათანს*  
*კიქი ზანდიქხამე ზაღანსაქ სქამ-*  
*რქქინს და ამისაჲსი დაღმდიქხანი ადგ-*  
*ათაკიქი ქრესანანს* ზრამაქხეცინ ილ-  
ხსი ქესანს ანდაქინს და ანზამქამი  
ქყარათი და ხერიცნი:

*ჩაკ ხაქსიკიყიანი თქერ შარქი*  
*ქორჩხაქ დნე მხბ ქყარათი* აცსანს  
*ძხარანს მხბაქსათაკ აქესათანი*  
*და ანჯაქი ბახსიქე ქრინს დეხეხეცა-*  
*ქარმარ ხეხეხეცინ ქ ნორაქანი. და*  
*ათართხნი ესა ამი 7 ილქ ქორჩხი*  
*ქ ქოსაქანიქნი ზაკიე 672.*

მერმე აკურთხეს ეს ეკლესია. კურთხევას დაესწრო დიდი მთავარი ბუბა-  
გიც, რომელმაც სხვების მსგავსად თავისი ქვეყნიდან რამდენიმე ადგილი შეს-  
წირა მას.

უფალი სარგისი შემდეგში მიემგზავრება ერუსალემს, „როგორც ზემოთ  
ვთქვით“-ო, — ამბობს ისტორიკოსი — და იქ აღესრულება მარტვილობრივი სი-  
კვდილით.

*ხე კაქორქე ქ თხეცნი თქერ შოს-*  
*ქიანსი, ირ და აა დნახეხაქ აი მხბ*  
*ქაქორქიქიანი ზაკიე თქერ ზიასანიქრნი.*  
*და ქხერათინ ზასათათქ დანს ილქათ*  
*ქაქორი ხაქსიკიყიასე, და დქქენს დორ*  
*იანქერ დქაკიე დორ რიქორ და დნახ-*  
*ქოსანი და დბანიქ დასაიქნი. და აი-*  
*ხილ დქქარჩხარაქანი ქიქიქი:*

სტეფანოს ორბელიანის ისტორიიდან ზემორე მოყვანილი თავები, როგორც  
ვხედავთ, შეიცავს ისტორიას ნორავანის მონასტრისას, რომელიც ვაიოც ძორი  
მდებარეობდა.

პირველ თავში მოთხრობილია, თუ როდიდან და რა ეკლესიები არსებულა  
აქ (დასახელებულია იოანე წინამორბედისა და წმ. ფოკას ეკლესიები), როგორ  
ქცეულა ეს ადგილი თავშესაფრად სივნიეთის სხვა ადგილებიდან მოსულ საეკლესიო  
მოღვაწეთათვის, რომელთაგან დასახელებულია იოანე სასწაულმოქმედი  
და სტეფანოს ეპისკოპოსები. პირველი — ამბობს ისტორიკოსი — იყო ბაღი-  
დან, ამ კუთხის დიდი მთავრის შვილი, რომელიც გადმოიხვეწა აქ მისი ქვეყნის  
აოხრების შემდეგ, ხოლო მეორე მოვიდაო აქ იმის გამო, რომ ძველი საყდარი

დრაჰკანამდის, ჯერ არს იყოს ლიპა-  
რიტისა და მისი ეკლესიისა საბარდო-  
სო მემკვიდრეობადა. ამ სამართალს  
[ე. ი. განაჩენს] ფრიალი სიამოვნებით  
დაეთანხმნენ ათაბაგი და აზნაურ მთა-  
ვართა მთელი სიმრავლე და ბრძანეს  
ჰქონოდა ჯვარი უდაოდა და უცილობ-  
ლად ლიპარიტსა და მისიანებს.

ხოლო ეპისკოპოსმა, უფალმა სარგის-  
მა, იზრახა [ე. ი. ითათბირა] დიდ ლიპა-  
რიტთან და იწყეს ერთად დიდი შრომი-  
თა და უზომო წარსაგებლით ნორავანს  
მშვენიერი ეკლესიის აგება, რაც დაამთავ-  
რეს შვიდი წლის განმავლობაში, რვა  
ხორანიანად [ე. ი. კამარიანად], სომეხთა  
წელთაღრიცხვის 672-ს (ე. ი. 1223 წ.).

[ე. ი. საეპისკოპოსო საჯდომი] ათხრებული და წაძხდარი იყო, და ეს ახალი სამკვიდრო აქცია საეპისკოპოსო სახლადო; ერთმაცა და მეორემაცა და დაუმტკიცეს ნორავეანს მამულებიო.

ისტორიკოსი საგანგებოდ ჩერდება სარგის ეპისკოპოსის მოღვაწეობაზე, კერძოდ აღნიშნავს მის ღვაწლს იმ მთავარი სიწმინდის (*დასათილახანილჱს ილჱჱ ზუან ღასჱ მითქანსჩჱჱ ღასაჱ ქაჯან*-ის) დასაბრუნებლად, რომელიც სხვა ორთან ერთად სტეფანოს ეპისკოპოსს დაგირავებული ჰქონოდა აწობის მონასტერში, შაჰაონს, ვინმე პეტროს ეპისკოპოსთან, რომლისთვისაც ისინი ჩამოურთმევია ამ ქვეყნის მპყრობელს ვასაკ მთავარს, პროშის მამას, და პირველი უჩუქებია ივანე ათაბაგისათვის, ხოლო სხვები დაუსვენებია თავის საგანეში — კეჩარუს მონასტერში. ამ მთავარი ჯვრის გამოხსნაში, რომელიც ივანე ათაბაგს პეღნძაჰანქის მონასტერს ჰქონია დაცული, ნივთიერად დაჰხმარებია სარგის ეპისკოპოსს იმ კუთხის მთავარიც (ლიპარიტ ორბელიანი), სადაც მისი მონასტერი მავებარეობდა. გამოხსნილი სასწაულმოქმედი ჯვარი სარგისმა და ლიპარიტმა დააბრუნეს და ნორავეანს დაასვენესო.

მეორე თავში გადმოცემულია ისტორია სარგის ეპისკოპოსის წამოწყებისა — აეშენებინა ახალი ეკლესია ნორავეანს და ამით გამოეჩინებინა მონასტერი. ნახსენებია აქვე მისი თანამდგომიც ამ საქმეში, ვინმე იოანე, რომელსაც აზრად ჰქონია გამხდარიყო სივნიეთის საყდრის მპყრობელი, რისთვისაც მიუღია ხელთდასხმა ახთამარს მყოფი კათალიკოსისაგან. სარგისს, რადგან არ უყვარდა მას ეკლესიის განხეთქილება და დავაო, დაუთმია იოანესთვის მისი ეპარქიიდან ადგილები და თავისი საეპისკოპოსო საყდრის თემი [ე. ი. ეპარქია] შემოუფარგლავს ვაიოც ძორის, ნახჯავანისა და ჭაჰუკის კუთხეებით. ამ ამბის შემდეგ მოგვითხრობს ისტორიკოსი — „იქმნა აგრეთვე შფოთი წმიდა ჯვრისათვის და წავიდნენ ორნივე ეპისკოპოსნი, ლიპარიტი და მისი შვილი ელიგუმი სამსჯავროდ დვინს ივანე ათაბაგთანო“ და ნაამბობია დაწვრილებით ამ საქმის განკითხვა. დავის გადაწყვეტის შემდეგ სარგის ეპისკოპოსი ლიპარიტის ხელისშეწყობით სისრულეში მოიყვანს თავის განზრახვას და შვიდი წლის დიდი შრომის შემდეგ ამთავრებს ახალი ეკლესიის აშენებას, რომელსაც სტეფანე პირველმოწამის სახელი მიენიჭა.

სტეფანოს ორბელიანის ისტორიიდან მოყვანილი ადგილების ცნობაში მოხსენებული მომენტები და მათთან დაკავშირებული პირები, თუ საგნები, სხვაგანაც იხსენიება ამ ისტორიაში. ისინი ავსებენ მათ შესახებ აქ აღნიშნულ ზოგიერთ მხარეს, ისე რომ მათ გარეშე მარტო მოყვანილ თავებში წარმოდგენილი რომელიმე სურათი სრული და გასაგები ყოველთვის ვერ იქნება. ასეთი დაჰხმარე მასალა უპირველეს ყოვლისა დასახელებული თავების წინამორბედს, 63-ე თავში მოიპოვება.

ამ თავშიც აქვს ისტორიკოსს საუბარი ჩვენთვის საინტერესო ისეთი პირების შესახებ, როგორცაა ნორავეანს მოსული ეპისკოპოსი სტეფანოსი. შესავსებლად იმ ცნობებისა, რომელთაც ზემორე მოყვანილ თავებში ვხვდებით ამ პირის შესახებ, აქ ნათქვამია, რომ ის ათაბაგი, რომელმაც მას ფხარლმსეჰი, ე. ი. ქრისტეს მოყვარული, უწოდა, იყო ელდიგუზიო. მას პატივისცემით ეპყრობოდ-



ნენ ქართველი მეფეებიც — თამარი და ლაშა გიორგი, — ისე როგორც ამჟამად ამდროს სპასალარი ზაქარია და მისი ძმა ივანე ათაბაგიო. ამის გარდა აღსანიშნავია ერთი მომენტიც. მოყვანილ ამონაწერებში ნორავანი ამ ეპისკოპოსისათვის იხსენიება როგორც ახალი სამკვიდრო, — „ძველი საყდარი აოხრებული და წამხდარი იყო“. დამატებითი მასალით კი ირკვევა, რომ ეს აოხრებული ძველი საყდარი ტათევისაა, რომლის ეკლესიის განახლებისათვის ერთგვარი ზომები მასაც მიუღია, სახელდობრ მოციქულთა ეკლესიისათვის დაუდგამს გუმბათი.

ამრიგად, ყველა ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ სტეფანოს ეპისკოპოსი სხვათა მსგავსად ნორავანს შემოაპიჯნენ, რადგან მათი სამშობლო მხარე, სივნიეთის ერთ-ერთი კუთხე — ბალი — თურქ-სელჯუკთაგან აოხრებულია. აქ მას ეს მონასტერი დაუმტკიცებია საეპისკოპოსო საყდრად, მოუპოვებია მისთვის ადგილ-მამული და შემოუხაზავს ეპარქია.

საკმაო მასალას ვხვდებით ისტორიის იმავე დასახელებულ თავში სტეფანოსის მემკვიდრის, სარგის ეპისკოპოსის შესახებ. სარგისის თანამედროვე და ერთხანს მისი თანამდგომი იოანე, მოწადინე სივნიეთის საყდრის პურობისა და ამისთვის ახთამარს მყოფი კათალიკოსის მიერ ეპისკოპოსად ხელთდასხმული, ისტორიის ამ დამატებითი ადგილის მიხედვით ეწევა მიზანს, ე. ი. სივნიეთის საყდრის მპყრობელობას, და, როგორც იქაა ნათქვამი, ჯდება ტათევეს.

მოყვანილი ამონაწერებიდანაც შეიძლება იმის ვარაუდი, რომ იოანე ეპისკოპოსის ცდა — ეპყრა სივნიეთის საყდარი, — გულისხმობდა ტათევის კათედრალის აღდგენას და ამასთან ერთად კვლავ ფეხზე წამოდგომას ეპარქიისა, რომელიც ერთხანს გარეშე მტრის შემოსევის გამო მოშლილი იყო, რაც, როგორც თხრობიდან ჩანს, ნორავანის წამოწევის საბაზი გახდებოდა.

რა ურთიერთობა დამყარდა ძველისა და ახალი კათედრების მესაქეთა შორის ამ ახალ პირობებში, ამაზედაც პასუხს დასახელებულ დამატებით ადგილს ვპოულობთ.

*სე აჟუ თქერ შარქია რნასქერ  
ქ ჳაკიე ბირ, ქ ზორაქანაჲ ძნსათ-  
თანჩ, სე რაქანხაკ ექქამ ქქანასქინა  
ეჳაკიე ბირ რიქანდასქ ანთიქერ სა.  
სე დაქინ ქიდიქერ ქ თქერ შიქანანქანა:  
სე კაკამ ჩხთქ სე ათე კაკაჲ ჩასათა-  
თხეჲ სე აქნ იქათ აქიოი ხექისი-  
აქიოქანა. ექს ჳერ თიან სე თხექს  
ათეათთანჩ კახერმან ქამანასქინ  
თთან შქანხაჲ, თხექს ჩანდათხან სე  
ექქამქე ფხერქმანსაჲ რადიამ ხექი-  
სიქიოთაჲ:*

და ეს უფალი სარგისი მკვიდრობდა ვაიოც ძორს, ნორავანის მონასტერს. და განყო თემი სამწყსოსი — ვაიოც ძორი მთლიანად ამან აიღო, ხოლო სხვა დაუტოვა უფალ იოვანეს. ამიერიდან და მომავალშიც დამტკიცდა ეს ძმობა [ე. ი. მონასტერი] საეპისკოპოსო საყდრად, რადგანაც იყო სახლი და თავშესაფარებული ადგილი სივნიეთის აოხრების დროს, მრავალ ეპისკოპოსთა ადგილი მოსასვენებელი და სამარხი.

სხვა დამატებით ცნობებს რომ მეტად აღარ გამოვეყიდი, ამკარად ჩანს მოყვანილი მასალებიდანაც, რომ XII—XIII სს-ის მანძილზე შექმნილ პოლიტიკურ ვითარებათა გამო სივნიეთის ეკლესიის წიაღში წარმოქმნილა ახალი კათედ-

რალი ნორავანის სავანის სახით, რომელიც ძველის, ე. ი. ტათევის აღდგენის შემდეგ გარკვეულ საზღვრებს შორის მაინც ცალკე დარჩენილა.

ძველი კათედრალისა და ეპარქიის აღდგენას ნორავანის მესაქისათვის სრულიად უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. ჯერ არის და, როგორც ჩანს, იოვანე ტათეველს ტერიტორიულად საზღვრის დადება მოუთხოვია სარგის ეპისკოპოსისაგან, რაც ნორავანელს ერთგვარად, ნებისით თუ უნებლიეთ, დაუკმაყოფილებია (ისტორიკოსის თქმით ნებისით, ვინაიდან მშვიდობის მოყვარე იყო სარგის ეპისკოპოსი).

ძნელბედობის დროსვე სივნიეთიდან, კერძოდ ტათევიდან გატანილი სიწმიდეების დაბრუნების საკითხიც, ბუნებრივია, უნდა წამოეჭრა იოანე ტათეველს საზღვრებთან ერთად. და მართლაც შფოთი და უსიამოვნება ამითაც არ მოკლებია სარგისს. ამის გამოა სწორედ რომ ისტორიკოსი ნორავანის საზღვრების ამბებს უშუალოდ მოაყოლებს წმიდა ჯვრის გამო ატეხილ დავას შემდგომი სიტყვებით: *სას ქნჩ აყმძღ ქსანს აიღჳ ქაჯქნ...* (აგრეთვე იქმნა შფოთი წმიდა ჯვრისათვისო...). ამ სიტყვებიდან აშკარაა, რომ ჰქონია ადგილი სხვა შფოთსა და უსიამოვნებასაც, რომელიც, როგორც ვნახეთ, საზღვრის დადებას შეეხებოდა ტათევისა და ნორავანს შორის. განახლებული ტათევის მესაქე, იოვანე ეპისკოპოსი, ეპარქიის ფარგლების დადგენის შემდეგ, ცხადია, მოითხოვდა სარგის ნორავანელისაგან სიწმიდეების დაბრუნებასაც, კერძოდ იმ *ასათაბაშამიჯ აიღჳ ზუან ფაქჳ შიქლანანჩაქ ფასაჳ ქაჯნ-*ს (ღმერთშეხებულ წმიდა ნიშს, ანუ ძელს, უფალ იოვანეს მთავარ ჯვარს), რომელიც სივნიეთიდან ჩანს გატანილი<sup>1</sup> ვაიოც ძორს ქვეყნის აკლების დროს. სარგის ეპისკოპოსი, როგორც ჩანს, არ თმობდა მას ლიბარტი ორბელიანთან ერთად და ამის გამო მოცილე მხარეებს მიუმართავთ ივანე ათაბაგისათვის. სიტყვებს: „იქმნა აგრეთვე შფოთი წმიდა ჯვრისათვისო“, უშუალოდ მოსდევს ფრაზა: „და წარვიდნენ ორნივე ეპისკოპოსნი, ლიბარტი და მისი ძე ელიოჳმი სამსჯავროდ ივანე ათაბაგთან დვინსო“ (*ღ ღნან ზრღიღქნ ხაქსაქიყიყან ლ ლილარქან ლ ირღქ ჯჳ ნქსიღმნ ჯ ფასათასან აი აქსაქქ ჰქლანქნ ჯ ჴიქნ*). „ორნივე ეპისკოპოსნი“ ამ კონტექსტის თანახმად სხვა არაფერ არიან, თუ არ იოანე ტათეველი და სარგის ნორავანელი.

ასეთია ორბელიანის ისტორიის სხვადასხვა თავებში დაცული ცნობები ნორავანის ჯვრის გარშემო ატეხილი დავის შესახებ, რომელიც ივანე ათაბაგის კარს შემდგარი სამსჯავროს განხილვის საგნად იქცა.

ზემორე მოტანილი ტექსტებიდან და მათი შემცველი თხზულების სხვა დამატებით მოხმობილი მასალიდან აშკარა სიცხადით ჩანს, რომ ნორავანის ჯვრის გარშემო ამტყდარი დავა ორ სომეხურ მონასტერსა და ორ სომეხ ეპისკოპოსს შეეხება, როგორც ეს სამართლიანად აქვს შენიშ-

<sup>1</sup> გატანილი უნდა იყოს ტათევიდან, ვინაიდან სტეფანოს ორბელიანი თავისი ისტორიის VIII თავში იხსენიებს ამ სასწაულომოქმედ ჯვრის შექმნასა და მოკაზმვას ტათევის ეპისკოპოსის, უფალ იოვანეს მიერ. ეს ჯვარი გამოიხსნეს სარგის ეპისკოპოსმა და ლიბარტი ორბელიანმა ივანე ათაბაგისაგან, როგორც ეს მოთხრობილია ისტორიის 64-ე თავში.



ნული დასახელებული ცნობების საფუძველზე მათით ყველაზე უწინარეს დაინტერესებულ მკვლევარს, აკად. ივ. ჯავახიშვილს.

ამრიგად, პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ბრალდება, რომ აქ „ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მცდარი ინტერპრეტაცია“ იყოს, უსაფუძვლოა.

ვინ ეცილება ერთმანეთს დასახელებული სიწმიდისათვის? ზემომოყვანილი ჩვენი ანალიზის მიხედვით ერთმანეთს ეცილებიან ნორავანი და ტათევი იოანე ტათეველისა და სარგის ნორავანელის სახით, ორივე ანტიქალკედონიტ სომეხთა სავანე.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ქართულად დასტამბული თეზისებისა და სომხურად გამოქვეყნებული ნარკვევის მიხედვით კი დავა ატეხილა „არა სომეხთა მონასტრებს შორის, არამედ ქალკედონიანთა და ანტიქალკედონიან სომეხთა სავანეთა შორის“, სახელდობრ ნორავანსა (ანტიქალკედონიან სოჭხთა სავანესა) და პელნდაჰანქს (ქალკედონიან სომეხთა სავანეს) შორის.

საიდან გააკეთა ასეთი დასკვნა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა? ეს ხომ სტეფანოს ორბელიანის ისტორიის არც ერთი ცნობიდან არ გამომდინარეობს და მით უმეტეს მის მიერ დასახელებული 64-ე და 65-ე თავებიდან?

საერთოდ, არა აქვს მართებულად გაგებული პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს მოხმობილი ადგილები და. ცხადია, ანალიზის შედეგად ასეთ ნიადაგზე ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი. ჩვენ მიერ თქნული რომ ლიტონ განცხადებად არავინ მიიღოს, ამისათვის აქ მოვიყვანთ ჯერ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ნაშრომიდან სათანადო ამონაწერს და მერმე წარმოვადგენთ ჩვენს საბუთებს, რომლებიც სრულიად საწინააღმდეგოს დალადებენ იმისა, რასაც შრომის ავტორი მოგვახსენებს.

თავისი ნარკვევის ერთ ადგილს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი წერს: „საცილობელი სავანი იყო ლიპარიტის მიერ ნაგები ნორავანის «სახელგანთქმულისა და დიდებული მონასტრისა» (sic<sup>1</sup>) კუთვნილი «ღმრთის შემწყნარებელი (თუ ღმერთშეხებული) წმიდა ნიში», ე. ი. «საკვირველმოქმედი ჯვარი», რომელიც ერთ დროს გირაოდ ყოფილა დადებული ხსენებულ ვანქში (sic<sup>2</sup>), ხოლო 1216 წ. ვასაკ მთავარს, დაურღვევია რა პირობა (sic<sup>3</sup>), გამოუღია იგი იმ ადგილიდან (sic<sup>4</sup>) და უჩუქებია ივანე ათაბაგისათვის, რომელსაც ის დაუდევს «საცავს პელნდაჰანქში» (ან, როგორც ქართულად დასტამბულ თეზისებშია ნათქვამი, — დაუთმია პელნდაჰანქისათვის). მოსარჩლის როლში გამოდიან სტეფანოსი (sic<sup>5</sup>) და სარგისი, ნორავანის ეპისკოპოსები, ლიპარიტი, სივნიეთის მთავარი, და მისი ძე ელიგუმი, მოპასუხის როლში კი პელნდაჰანქი“ (sic<sup>6</sup>).

<sup>1</sup> ლიპარიტის ნაშენი ეკლესია დავის გადაწყვეტის შემდეგ აიგო მხოლოდ.

<sup>2</sup> ამაზე ცოტა ქვემოთ

<sup>3</sup> რომელ პირობაზეა საუბარი? ვასაკს პირობა არავისთან არა ჰქონია დადებული.

<sup>4</sup> ვასაკმა ეს სიწმინდეები აწოპიდან წაიღო და არა ნორავანიდან.

<sup>5</sup> სამსჯავროში სტეფანოსი ვერა წადგებოდა რადგან მიცვლილი იყო. ის ხომ ივანე თაბაგისაგან დაბრუნებულ ჯვარს ნორავანს ცაცხალით დაბრუნდოდა (იხ. ზემოთ გვ. 10ა, 6—9).

<sup>6</sup> *ლ. მელიქსეთ-ბეგის. ში ქალკედონის დარღვევის გამოწვევის შესახებ*

როგორც ვხედავთ, აქ გადმოცემულია სტეფანოს ორბელიანის 64-ე თავში აღწერილი თხრობის ის ადგილი, რომელიც ზემოთ მოთავსებულია 105-ე გვერდის 5 სტრიქონიდან — 31 სტრიქონამდის. ამ ადგილს ის კი არ არის ნათქვამი, „რომ აქ (ე. ი. ნორაენს) იყო ამავე მოსასტრის კუთვნილი ჯვარი დაგირავებული, არამედ ის, რომ ეს ჯვარი ნორაენს მოსულ სტეფანოს ეპისკოპოსს ჰქონდა დაგირავებული ვინაჲ პეტროს ეპისკოპოსთან აწოპს, შაჰაპონის მხარეში. ნორაენს ვერ ხელჰყოფდა ვასაკ სივნიელი და ვერ ჩამოართმევდა სიწმიდეებს, იმიტომ რომ ეს ადგილი ლიპარიტ ორბელიანის სამთავროში შედიოდა. წმიდა ნიშები მან პეტროს ეპისკოპოსისაგან წაიღო (ერთი ივანე ათაბაგს აჩუქა, ხოლო ორი სხვა თავის საეანეში კეჩარუს დაასვენა), რადგან, როგორც სამართლიანად აღნიშნავს გარეგინ ოგესეფიანი<sup>1</sup>, შაჰაპონი ვასაკის საგამგებლოში უნდა ყოფილიყო შემავალი.

მოსარჩლეებად სტეფანოსი და სარგის ეპისკოპოსები იყვნენ სივნიეთის მთავარ ლიპარიტთან და მის შვილ ელიგუმთან ერთად, რომ აცხადებს პროფ. ლ. მელქისეთ-ბეგი, არც ეს არის სწორი. საქმე ისაა, რომ ნორაენს დამკვიდრებულ სტეფანოს ეპისკოპოსს მოსარჩლეობა არავის წინაშე არ გაუწევია. მას მხოლოდ, როგორც ეს არის აღწერილი ზემოთ მოყვანილ ტექსტში (იხ. გვ. 105, 9—106, 22), იმ ჯვრის დასაბრუნებლად, რომელიც პეტროს ეპისკოპოსისათვის დაეგირავებინა, ხოლო უკანასკნელისათვის ვასაკ სივნიელს ჩამოერთმია და ივანე ათაბაგისათვის ეჩუქებინა, გაუგზავნია ათაბაგთან თავის სიცოცხლეში იქვე ეპისკოპოსად დადგენილი სარგის ეპისკოპოსი. ამას კი სტეფანოსის წერილობითი სათხოვარი გადაუცია ათაბაგისათვის და ნივთიერი შემწევობით ლიპარიტ ორბელიანისა, რომლის საგამგებლოს ნორაენი ეკუთვნოდა, გამოუხსნია ეს სიწმიდე, რაც დასაცავად პლენძაჰანქისათვის (ქალკედონიან სომეხთა მონასტრისათვის) ჩაებარებინა ივანე ათაბაგს. ივანე ათაბაგის განკარგულებით უბრუნდება ეს ჯვარი ნორაენს პლენძაჰანქიდან და ამის მეტად ეს უკანასკნელი დოკუმენტში აღარსად იხსენიება. რად უნდა დასცილებოდა ეს მონასტერი ნორაენს, გაუგებარია. მას ივანე ათაბაგმა მიაბარა ჯვარი და, როდესაც მან საჭიროდ დაინახა, კიდევაც დააბრუნებინა ის, რომლის ნორაენს მოქცევას სტეფანოს ეპისკოპოსი ცოცხალი აღარ მოსწრებია. ამნაირად, დასახელებული ადგილიდან სრულიად არა ჩანს არც ვისიმე მოსარჩლეობა და არც ვისიმე მოპასუხეობა.

დავა სიწმინდისათვის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ (იხ. გვ. 111-112) სულ სხვა დროსა და პირობებში ხდება. ლიპარიტთანა და მის შვილ ელიგუმთან ერთად, როგორც მოყვანილი დოკუმენტის სათანადო ადგილიდან ჩანს (იხ. 107, 9—108, 7), სამართლის განჩინებისათვის ივანე ათაბაგთან მიდიან მას შემდეგ, რაც ტათევის საეპისკოპოსო თემი ანუ ეპარქია იქმნა აღდგენილი, სარგის ეპისკოპოსი და მეორე ეპისკოპოსი, რომელიც, როგორც კონტექსტიდან და დამატებით

ქარიძეან მათხნ შაგარეან ჯაკათანიძე. ჯაკატანს შუი რა. სხეხკაქქ. 3—4, გვ. 75, ხრსან, 1945.

<sup>1</sup> რაქსეჩხნ ჯიქიხქიან, შაგარეანდ კამ რიქიანდ ჯაკიე აქთამიქიან მხლ... მათნ I, შაგარეანაქთ 1927, ტქ 49.



მოხმობილი ადგილიდან ჩანდა, იოანე ტათეველი, და არა სტეფანოს <sup>გაბისკლო</sup> პოსი, ჯვრის დაბრუნებას რომ ვედარც კი დაესწრო. ვერ მორიგდნენ ურთიერთ შორის დასახელებული ეპისკოპოსები და ამიტომ მიჰმართეს ქვეყნის განმგებელს, რომელმაც დავის განკითხვა მიანდო კომპეტენტურ პირებს, საქართველოს სახელმწიფოებრივ ფარგლებში შემავალ სხვადასხვა კულტის აღმსარებელთა და ზოგიერთ წარჩინებულ ქართველ და სომეხ საერო წრის წარმომადგენელთ.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ნარკვევში აღრევას სხვა მხრითაც აქვს ადგილი. ასე, მაგალითად, სამსჯავროს მონაწილეთა შორის მას დასახელებული ჰყავს ონოფრე ჭყონდიდელი. ჭყონდიდელი მართლაც იღებდა მონაწილეობას საქმის განხილვაში, იგი ისტორიკოსთან იწოდება, როგორც *ჟამხბ ღყაანღჩხატუნ, იჲ ხცხაყ ჯჲ ჴ ქადააღიღქნხუნ* (დიდი ჭყონდიდელი, რომელიც მოსული იყო სამეფოდან), მაგრამ რა ერქვა მას სახელად, დოკუმენტში დასახელებული არ არის. სტეფანოს ორბელიანის ცნობაში მოხსენებული ონოფრე კი (იხ. 106, 7-12) ჭყონდიდელი კი არაა, არამედ, როგორც იქაა თქმული, იგია *ასაღ ბიქნასაყარ ჴ ღჲ ი ჴქსანხუნ* (მთავარი მწიგნობარი მისი დივნისა, ე. ი. სამდივნოსი). მისი ი, აქ რომ არის აღნიშნული, ივანე ათაბაგს შეეხება მხოლოდ. თავისი სამდივნოს მთავარ მწიგნობარს, ონოფრეს, ივანემ უბრძანა გაჰყოლოდა ჯვრის დასახსნელად მოსულ სარგის ეპისკოპოსს, გადაეცა მისი განკარგულება პეღნდაჰანქის ძმობისათვის, რათა უკანასკნელს მიეცა სარგის ეპისკოპოსისათვის ათაბაგის მიერ იქ დასაცავად შენახული ჯვარი. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, უბრძანაო (*ღყაანაყ*) გამოთქმას ისტორიკოსი ვერ იტყოდა დიდი ჭყონდიდლის მიმართ ივანეს მხრით.

ეხლა რომ შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული, მივიღებთ შემდეგ მთავარ დასკვნებს:

1. ივანე ათაბაგის მიერ მოწვეული სამსჯავროს განხილვის საგანს წარმოადგენდა ნორავეანის საკვირველშოქმედი ჯვრის გარშემო ატეხილი ცილობა, — ეკუთვნის ის ნორავეანსა თუ ტათევს.

2. ჯვარს ეცილება ერთმანეთს ეს ორი ანტიქალკედონიტური სომხური მონასტერი იოვანე ტათეველისა და სარგის ნორავეანელის სახით.

3. არსაიდან არა ჩანს, რომ ცილობა წარმოებდეს სომეხ ანტიქალკედონიტურ მონასტერს, ნორავეანსა, და ქალკედონიტურ მონასტერს, პეღნდაჰანქს, შორის. ამდენად მოსარჩლე-მოპასუხე მხარეებისა და პირების პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისებური დასახელება მართებული არაა.

4. სამსჯავროს მონაწილე დიდი ჭყონდიდელი არ არის ონოფრე. ასეთი ვინმე ჭყონდიდლად ისტორიამ არ იცის. ისტორიკოსის ცნობით ონოფრე ივანე ათაბაგის სამდივნოს მთავარი მწიგნობარია. იგი სამსჯავროს მონაწილეთა შორის დასახელებული არაა.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძველი ქართული ენის კათედრა

Илья Абуладзе

## По поводу толкования одного свидетельства из истории Степаноса Орбелияна

### Резюме

В сочинении армянского историка Степаноса Орбелияна (XIII в.) рассказывается об одной святыне, чудотворном кресте, вокруг которого возникла тяжба; и для разрешения спорного вопроса пришлось Иване Мхаргрძელი, атабегу грузинского царского двора, созвать судилище в Двине, в 1216 г. Свидетельство это, на которое раньше других обратил внимание акад. И. А. Джавахишвили, было использовано им как один из редких примеров, характеризующих политику Грузинского государства в дни царицы Тамары по отношению к тем народам, которые принадлежали к разным конфессиональным течениям, входившим в состав грузинского царства.

Новое толкование этого свидетельства, в противовес якобы „ошибочно укоренившейся интерпретации в грузинской историографии“, попытался осуществить в последние годы проф. Л. М. Меликсет-бег (см. его статью: „По поводу одного свидетельства об устройстве и процессе высшего суда в Захаридской Армении“ в органе АН Армянской ССР, на армянском языке, № 3—4, 1945, стр. 73-81), что было доложено им и на научной сессии Тбилисского государственного университета им. Сталина в 1947 г. (29. X—3. XI. См. Тезисы к докладам, стр. 14-16).

Анализ доводов нового толкования проф. Л. М. Меликсет-бега и подробный разбор всех нужных мест из упомянутого источника привели автора настоящей статьи к тому, что попытка устранения якобы «ошибочно укоренившейся интерпретации в грузинской историографии» является неудачной, как в смысле понимания текста, так и в смысле исторической правдивости, что и не могло быть иначе, ибо этому мешали, во-первых, неправильное понимание привлеченных мест из истории Степаноса Орбелияна и, во-вторых, игнорирование полностью и других мест из того же источника, имеющих важное значение для уяснения действительной сущности дела.

Подробный же анализ всех этих мест уясняет, что:

1. Предметом созданного Иване атабегом судилища являлась тяжба между Нораванком и Татевом из-за чудотворного креста, которым одно время владел Татев, но после разорения этой области сельджуками, как выясняется, был вывезен в Вайоц-дзор, откуда он в конце концов поступил в Нораванк. По восстановлении Татевской епископской кафедры вопрос о возвращении креста, видимо, стал злободневным вопросом, чем и была вызвана упомянутая тяжба.



2. Спорили между собою эти два антихалкедонетских армянских монастыря в лице епископов Иоанна Татевского и Саргиса Нораванкского.

3. Нет фактических оснований предполагать, что тяжба шла между антихалкедонитским монастырем, Нораванком, и халкедонитским монастырем, Пгндзаанком, как это пытается установить проф. Л. М. Меликсет-бег.

4. Участник судилища великий Чкондидели не есть Онуфрий. Такого Чкондидели история не знает. По сведению историка Ст. Орбеляна Онуфрий является главным книжником (или секретарем) Иване атабега. Среди участников судилища поэтому он и не упоминается.

---

ბ. ბერაძე

## ლექტილური ჰეგზამეტრის გენეზისისათვის

არც ერთი საკითხი-ბერძნული კულტურისა არ არის ისე შეუსწავლელი, როგორც ბერძნული მეტრიკის საკითხი, და სამართლიანად სჩივიან მკვლევარნი: ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს არც ერთი მნიშვნელოვანი ბერძენი არ დაინტერესებულა მეტრიკის საკითხებით<sup>1</sup>.

თუ ეს საყვედური რამდენადმე გადაჭარბებულად შეიძლება ეჩვენოს ადამიანს, ყოველ შემთხვევაში უძველესი ლექსის — ბერძნული ჰეგზამეტრის მიმართ იგი სავსებით სამართლიანია. ბერძნული ჰეგზამეტრის შესწავლის საქმე მეტრიკის დანარჩენ საკითხთა შორის ყველას ჩამორჩება.

საქმის ასეთ ვითარებას შესაფერისი მიზეზი მოეპოვება. მართლაც, ბერძნული მეტრიკის მეცნიერება შედარებით გვიან დაიწყო, იმ დროს, როდესაც ჰომეროსის მოღვაწეობის დროიდან ოთხ საუკუნეზე მეტი იყო გასული. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ რაც უნდა დიდი ნიჭი და მეცადინეობა გამოეჩინა მკვლევარს, იგი მაინც ვერ შესძლებდა ბერძნული ჰეგზამეტრის სასიმღერო ფორმა აღედგინა და მის შესახებ მეცნიერულად დასაბუთებული აზრი შეემუშავებინა. ჩვენთვის ხომ ცნობილია, რომ უკვე ჰომეროსის დროიდან მოკიდებული საგმირო სიმღერების სიმღერით შესრულების წესი რეციტაციით იცვლება. შემთხვევითი კი არ უნდა იყოს, რომ ჰომეროსის პოემების „ილიადისა“ და „ოდისეის“ მიმართვანი მუზეუმისადმი ორი სხვადასხვა სიტყვითაა წარმოდგენილი, პირველ შემთხვევაში არის  $\xi \epsilon \mu \epsilon$  — „მიმღერე“, მეორე შემთხვევაში  $\xi \nu \nu \epsilon \pi \epsilon$  — „მიამბე“. ჰომეროსი უკანასკნელი აედია, მის შემდეგ რაფსოდები გამოდიან. ცნობილია, რომ აედები მღერიან, ხოლო რაფსოდები რეციტაციის წესით ასრულებენ საგმირო პოემებს. და აი სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ ლექსის სიმღერის წესით შესრულება თანდათანობით დაივიწყეს, შეუძლებელი გახდებოდა მკვლევარისათვის ჰეგზამეტრის სასიმღერო ფორმის გათვალისწინება. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ ბერძნული მეტრიკის საკითხების კვლევა ძვ. წ. მეოთხე საუკუნიდან იწყება. და ამ დროისათვის არა თუ ჰეგზამეტრის სასიმღერო ფორმა, ბერძნული ლირიკის

<sup>1</sup> იხ. P. Maas, Griechische Metrik = Einleitung in die Altertumswissenschaft Gercke-Norden, 1 ნაწილი, 7. რეეული. 1923, გვ. 2.

ზოგიერთი დარგიც კი იმდენად იყო მივიწყებული და სახეშეცვლილი, რომ მეცნიერი მოკლებული იქნებოდა საშუალებას სწორი წარმოდგენა შეეძინებინა ამ საკითხების შესახებ.

ამიტომაც არის, რომ მეტრიკა ძველებს ნაკლებად შესწავლილი აქვთ. საკითხის მეცნიერული შესწავლა მოითხოვდა ცოცხალი დაკვირვების მასალის — კვლევითი ობიექტის — შესაფერის მდგომარეობას, ხოლო ასეთი მასალა ხელთ არ იქნებოდა ჰომეროსის დროიდან ოთხი-ხუთი საუკუნით დაშორებულ პერიოდს.

ჰეზამეტრის შესწავლის საკითხთა შორის ყველაზე უძნელეს საკითხად ითვლება მისი წარმოშობა, მიუხედავად იმისა, რომ ამ საგანზე ბევრი დაწერილა და იქმულა.

ბერგკის<sup>1</sup>, უზენერის<sup>2</sup>, ალენისა<sup>3</sup> და სხვათა ცდის მიუხედავად, ჯერჯერობით დასავლეთ ევროპის მეცნიერებაში საკითხი ჰეზამეტრის წარმოშობის შესახებ ღიად შეიძლება ჩაითვალოს. დასახელებულ პირთა შრომებში წამოყენებული მოსაზრებანი ჰეზამეტრის წარმოშობის საკითხისათვის მეტად ადვილად იყო უკუგდებული.

შეიგს<sup>4</sup> და მაისტერის<sup>5</sup> შეხედულებების თანახმად ბერძნული ჰეზამეტრი არ უნდა იყოს ინდოევროპული წარმოშობისა. მაისტერი პირდაპირ აცხადებს: „როდია გამორიცხული შესაძლებლობა იმისა, რომ ეოლიელებმა ან იონიელებმა თავისი ლექსისა და თქმულებათა ხელოვნება გადმოიღეს ერთ-ერთ იმ ხალხთაგან, რომლებთანაც ისინი ურთიერთობაში მოხვდნენ მათი საბერძნეთში შესვლის დროს, ისევე როგორც ყოველივე ეს გვიან ლათინებში გადავიდა“<sup>6</sup>. ქვემოთ იგივე ავტორი მიუთითებს მცირე აზიის იმ ხალხებზე, რომელთაგან ბერძნებს შეეძლოთ გადმოეღოთ ლექსის ეს ფორმა. „ჩვენ უნდა დაუშვათ აგრეთვე იმის შესაძლებლობა, რომ ბერძნული ჰეზამეტრი საბოლოო ანგარიშში ეყრდნობა ფრიგიულ ან ლიკიურ ლექსს ან არსებითად რომელიმე მსგავსი ლექსის საესებით იდენტურია“<sup>6</sup>.

ეს აზრი უფრო საყურადღებოა. მართლაცა, ახლა, როდესაც ამ საკითხის კვლევას საკმაო ისტორია აქვს, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ განსაკუთრებით დასაწყის პერიოდში ბერძნები განიცდიდნენ მეზობლების უშუალო გავლენას. და აი ამ წანამძღვარის საფუძველზე შეიძლება წაიკვლინოთ დებულებანი ბერძნული დაქტილური ჰეზამეტრის წყაროს შესახებ:

1. არსებობს მითი ფრიგიელთა მეფის მიდასის შესახებ. ამ მითის მიხედვით ტრადიცია მას მიაწერს საბერძნეთში ექსლეროიანი ფლეიტის, ეგრეთწოდებული

<sup>1</sup> Th. Bergk, Über das älteste Versmass d. Griechen, Freiburg 1854 = Kleine Schriften II, 392 და შემდეგი.

<sup>2</sup> Usener, Altgriech. Versbau, 1837, გვ. 87 და შემდეგი.

<sup>3</sup> Fr. Allen, Über den Ursprung des homerischen Versmasses = Zeitschrift für vergleichende Sprachforschung, XXIV, 1879, გვ. 567 და შემდეგი.

<sup>4</sup> A. Meillet, Les origines Indo-européennes des mètres grecs, 1923, გვ. 73.

<sup>5</sup> K. Meister, Die homerische Kunstsprache. Leipzig 1921, გვ. 58.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 231.

პანის ფლეიტის შეტანას. ვინკლერისა<sup>1</sup> და სეისის<sup>2</sup> შეხედულების მიხედვით ეს მიდასი არის მოსხების მეფე მიტა. ასეთივე აზრისაა ამ საკითხის შესახებ ივ. ჯავახიშვილიც<sup>3</sup>.

ცნობილია, რომ მოსხები ითვლებიან უძველეს ქართველურ ტომად. საქართველოს ისტორიის ეხლახან გამოსულ სახელმძღვანელოში ნათქვამია: „მეორე ათასწლეულის დამდეგს, ძველი წელთაღრიცხვით, წინა აზიის მკვიდრი ხალხებიდან ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები. ხეთები და სუბარები ქართველების წინაპრები არიან. ხალხთა ამ გეოგრაფიკულ ზეგარეობას ჩვენ ხეთურ-იბერულს ვუწოდებთ, ვინაიდან მისი მთავარი წარმომადგენლებია: მცირე აზიაში — ხეთები, ევროპაში — იბერები და მესოპოტამიიდან კავკასიამდე — იბერ-სუბარები“<sup>4</sup>.

და აი სწორედ მოსხები, რომლებიც ხეთების ჯგუფში შედიოდნენ, არის სახელდობრ ის ტომი, საიდანაც საბერძნეთში პანის ფლეიტა — ექსტეროიანი სალამური უნდა იყოს შეტანილი.

2. პანის ფლეიტა დღევანდლამდე შენახულია მარტოოდენ საქართველოს მთიან ადგილებში.

სტე შენკო-კუფტინას საფუძვლიან გამოკვლევაში ამ უძველესი ინსტრუმენტის შესახებ წარმოდგენილია მეტად საყურადღებო ცნობები, რომლებიც მოპოებულია ამ საკრავის შენახვის და დაცვის ადგილას გურიასა და სამეგრელოში.

თავისი შრომის წინასიტყვაობაში ავტორს კარგად აქვს გათვალისწინებული მის მიერ დამუშავებული საკითხის მნიშვნელობა. იგი წერს: „მე კმაყოფილი დავრჩები, თუ ჩემ მიერ გამოქვეყნებული მასალა და მასთან დაკავშირებული საკითხები აღძრავენ ინტერესს თვით ინსტრუმენტისადმი და იმ ქვეყნისადმი, რომელსაც იგი აქამდე შემოუნახავს“<sup>5</sup>.

მართლაცდა, დაუფასებელია ის მასალა, რომელიც წარმოდგენილია ამ ნაშრომში ჩვენი საკითხის, ჰეგზამეტრის საკითხის, კვლევისათვის.

ექვს გარეშეა, რომ ეს საკრავი უძველესია და იგი დღევანდლამდე დაცულია ჩვენში, სადაც ყოველთვის დიდი ყურადღებით ინახავს ხალხი ძველთაგან გადმოცემულ ტრადიციას ხალხური ხელოვნების ყოველ დარგში. მართლაც „მრავალდეროიანი სალამურის არსებობა ხალხთა კულტურაში მეტად დამახასიათებელი გარემოებაა და საერთოდ მისი უძველესობის მიჩვენებელია, იმის მიჩვენებელია, რომ მას შეუნარჩუნებია ნიშნები პირველადი განვითარებისა, რომლის ძირებსაც მატრიარქატის პრიმიტიულ სტადიებამდე მივყავართ“<sup>6</sup>.

<sup>1</sup> H. Winckler, Altorientalische Forschungen, II, Reihe I, 3, 1898—1900, გვ. 136.

<sup>2</sup> A. H. Sayce, Hittite and Moscho-Hittite: Revue Hittite et Asiatique I, F 1, 1930, Paris.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1913 წ. გვ. 37—38.

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946 წ. ნაწ. 1, გვ. 20.

<sup>5</sup> В. К. Стащенко-Куптина, Древнейшие инструментальные основы грузинской народной музыки, I. Флейта Пана. Тбилиси, 1936, стр. XVI.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 7.

ამ საკრავის შესწავლის და მისი ბუნების დამახასიათებელ თავისებურებათა გამოვლინებისას ავტორს ყურადღება მიუპყრია იმ გარემოებისათვის, რომელთა პანის ფლეიტას ექვსი ღერო მოეპოება. „შესაძლებელია, რომ ციფრი 6, რაიც ახასიათებს აგრეთვე სვანურ ექვსსიმიან არფას-ჩანგს, საძიებელი იყოს ხალხის რომელიღაც ასტროლოგიურ წარმოდგენაში, რადგან ესოდენ დაკანონებული ციფრი უნდა ემყარებოდეს ხალხის წარმოდგენაში არსებულ რომელიღაც წანამძღვრებს<sup>1</sup>.

3. საქართველოში შენახულია ექვსღეროიანი პანის ფლეიტა სოინარი, ლარქემი; ამ საკრავმა დღევანდლამდე შეინარჩუნა ერთი უძველესი ჰანგი ექვსი მუხლის ზომისა... იგი „თემა—გამოსავალ ნ-დან—გეს-ამდე—6-მუხლიანი დაქტილური ზომით ხასიათდება (ხაზი ჩემია—პ. ბ.) თავდაპირველი 6-მუხლიანი დაქტილური აგებულება კი ამ რიტმული სტრუქტურის არქაულობას ამჟღავნებს“<sup>2</sup>.

ამრიგად: ა) ხალხური მუსიკის მასალა უდავოდ ადასტურებს, რომ ექვსღეროიანი სალამურის, პანის ფლეიტის ან ლარქემი-სოინარის სამშობლო საქართველოა და ბ) ჩვენებურ ექვსღეროიან სალამურზე სრულდება არქაული ჰანგი ექვსმუხლიანი დაქტილური ფორმისა.

მაგრამ საქმე ამით არ თავდება. ქართული ლექსის შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საშუალება გვძლევდა ლექსში დავინახოთ მრავალი ისეთი რამ, რაც ნათელს ჰფენს ჩვენ მიერ წამოყენებულ საკითხს.

4. ხეცურეთსა და სვანეთში დღემდე შენახულია საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების უძველესი ფორმები. მიუვალ მთებში მცხოვრებმა ხეცურებმა და სვანებმა დღევანდლამდე შემოინახეს უძველესი ტრადიციები. „სვანებისა და სხვა ქართველი მთიელების თემები იმის ნიმუშია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საერთოდ თავის დროზე, ძალიან ძველად საზოგადოებრივი წყობილება ყველა ქართველ ტომში, ვიდრე მათში კლასები და სახელმწიფო გაჩნდებოდა“<sup>3</sup>.


ამრიგად, საეხებით ბუნებრივია, რომ ძველ საზოგადოებრივ ფორმებთან ერთად მათ შეინარჩუნეს აგრეთვე ხელოვნების უძველესი ფორმებიც.

მართლაცაა, როგორც ხეცურულმა, აგრეთვე სვანურმა ხალხურმა შემოქმედებამ დღევანდლამდე მოიტანა უძველესი სასიმღერო ლექსის ფორმა, იმდროინდელი სახე ლექსისა, როდესაც იგი სრულდებოდა მარტოდენ სიმღერით, რადგან სხვაგვარი წესი შესრულებისა იმ უძველეს ხანაში არ არსებობდა. ამიტომ არ უნდა იყოს საკვირველი, რომ გარითმული ლექსების გვერდით ჩვენ მოგვეპოება ხეცურეთსა და სვანეთში აგრეთვე ურითმო სასიმღერო ლექსებიც. და აი სწორედ ეს ლექსები არის ის უძვირფასესი მასალა, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევის დროს სათანადო დასკვნის მიღება.

<sup>1</sup> სტეშენკო-კუფტინა, იქვე, გვ. 46.

<sup>2</sup> სტეშენკო-კუფტინა, იქვე, გვ. 234.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორია, გვ. 16



5. დღემდე მოღწეული ხევსურული ლექსის უძველესი ფორმა წარმოადგენს „ცოცხალი სიძველის“ იშვიათ ნიმუშს. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რომ ხევსურული „მთიბლურის“ სახით უძველესი ლექსის ფორმაა დაცული. ამ მოსაზრებას ადასტურებს ა. შანიძის მიერ ხევსურული ხალხური სიტყვიერების კრებულის წინასიტყვაობაში „მთიბლურზე“ გამოთქმული შეხედულება: „ყოველ შემთხვევაში ასეთ სიმღერებში უნდა გვქონდეს ერთ-ერთი ნიმუში უძველესი ქართული ლექსისა, რაიც ფრიად და ფრიად მნიშვნელოვანია ქართული მეტრიკის ისტორიისათვის“<sup>1</sup>.

ამ სახის ლექსის სიძველის დასამტკიცებლად ა. შანიძეს მოჰყავს სხვათაშორის ის საბუთიც, რომ ეს ლექსი იმღერება.

ხევსურულ „მთიბლურ“ ლექსში არ არის დაცული მარცვალთა გარკვეული რაოდენობა, ლექსის თითოეულ ნახევარში შეიძლება იყოს 8—9 მარცვალი, ხოლო ტერფთა რაოდენობა თითოეულ ნახევარში სამი იქნება. ამრიგად, „მთიბლური“ ექვსტერფიანი ლექსია. მთიბლურს არ გააჩნია რითმა, მაგალითად:

#### გ ვ ე ლ ი :

ტქმი იძაზა დათგამაა:  
 „მარიენრა შამაგიდაოა“.  
 დასალეგბსა ყმაწვრლებსაა  
 ზეჭლი წყალშრა მეყყოლაო.  
 თარმეტის სულის ჯალაფისიი  
 ქრთყმაწვილ დარჩა აკავანსაოა?<sup>2</sup>

როგორც ჩანს მოყვანილი ლექსიდან, იგი შედგება უმთავრესად სამმარცვლიანი დაქტილური ტერფებისაგან. ტაეპი ორ ნაწილს შეიცავს, თითოეულ ნაწილში სამი ტერფია.

ამრიგად, ქართული ხალხური ლექსის აქამდე დაცული უძველესი ფორმა დაქტილური ჰეგზამეტრის ფორმას ემსგავსება.

მაგრამ „მთიბლურის“ ანალიზი არ შეიძლება მარტოდენ ნათქვამით დასრულდეს. „მთიბლური“ იმღერება. მისი სასიმღერო ფორმა ექვსტაქტიანი, დაქტილურია. უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურული „მთიბლური“, „ხმითნატი-რალი“ და „მგზავრული“ თანაბარი ხასიათისა და მუსიკალური ფორმის სიმღერებს წარმოადგენენ. ეს გარემოება კიდევ ზედმეტ საბუთს გვაძლევს, რომ ამ სახის სიმღერები ხალხური შემოქმედების უქველეს ნიმუშებად მივიჩნიოთ. სამივე შემთხვევაში სიმღერა იწყება მაღალი ნოტიით და შემდეგ ეშვება ქვემოთ დაცურების — გლისანდოს წესით.

როგორც ირკვევა კომპოზიტორ გ რ . ჩ ხ ი კ ვ ა ძ ი ს მიერ თავაზიანად მოწოდებული ხელნაწერი შენიშვნებიდან ხევსურული მუსიკალური ფოლკლორის შესახებ, „ხევსურული სიმღერები ხასიათდება მეტად მარტივი ფაქტურითა და პრიმიტიულობით. რიტმის მიხედვით ისანი შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად. ერთ

<sup>1</sup> ა. შანიძე, ხალხური პოეზია. ხევსურული, 1931 წ. წინასიტყვაობა, გვ. 022.

<sup>2</sup> ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 290.



ჯგუფს ახასიათებს კვადრატობა (უმეტესად ორტაქტიანობა) და მეორეჯგუფს სამტაქტიანობა<sup>1</sup>. სწორედ ამ უკანასკნელ ჯგუფს განეკუთვნება ჩვენს შიგნით ხილული დაქტილური ხასიათის ექვსტაქტიანი სიმღერები.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხევსურული ლექსები: „მთიბლური“, „ხმით ნატირალი“ და „მგზავრული“ წარმოადგენენ სიმღერა-ლექსის უძველეს ფორმას. იგი შედგება ექვსი ტერფისაგან და თითოეული ტერფი ძირითადად დაქტილურია. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ ლექსის სასიმღერო ფორმაც დაქტილურია, ექვსტაქტიანია.

6. სვანური ხალხური სიმღერებიც აგრეთვე ინარჩუნებენ ჩვენი წარსული მუსიკალური კულტურის უძველეს ტრადიციებს, რადგან სვანეთშიც დღემდე დაცულია ძველი საზოგადოებრივი ყოფის გადმონაშთები. უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურეთის მუსიკალური ფოლკლორისაგან განსხვავებით განვითარების დონე სვანური სიმღერებისა გაცილებით უფრო მაღალია.

სვანურ პოეზიაშიც მოიპოვება ურთიმო სასიმღერო ლექსები. ხევსურულის მსგავსად ისინიც ექვს ტერფს შეიცავენ, თითოეული ტერფი დაქტილია. ასე, მაგალითად, სვანური „ლილე“ ექვსტერფიანი ლექსის საფუძველზეა გამართული. ექვი არ უნდა იყოს, რომ „ლილე“ უძველესი წარმართული ხანის სარწმუნოებრივი სიმღერაა. იგი გამართულია ექვს ტაქტად. თითოეული ტაქტი ანაპესტია<sup>2</sup>. რაც შეეხება მეორე აგრეთვე რიტუალურ სიმღერას „ზარს“<sup>3</sup>, ისიც ექვს ტაქტს შეიცავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ზოგი ტაქტი დაქტილურია, ზოგიც ანაპესტს წარმოადგენს. აღნიშნული გარემოება ფრიად საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან ცნობილია, რომ ანაპესტი შებრუნებულ დაქტილს წარმოადგენს. დაქტილის სამი მარცვლიდან პირველი გრძელი მარცვალია, ორი დანარჩენი მოკლეა. ანაპესტს ან, როგორც ბერძნულ მეტრიკაში უწოდებენ, ანტიდაქტილს, შებრუნებით, პირველი ორი მარცვალი მოკლე აქვს, უკანასკნელი გრძელი, ისე რომ ეს შენაცვლება დაქტილისა ანაპესტად ისევე კანონზომიერი მოვლენა უნდა იყოს ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში, როგორც ბერძნულისათვის სავსებით კანონზომიერია ქორეს შეცვლა იამბად.

ამგვარად, სვანურ სიმღერა-ლექსსაც შეუნარჩუნებია ექვსტაქტიანი დაქტილური ხასიათი.

7. მაგრამ სიმღერისა და ლექსის გარდა ჩვენ შეგვიძლია ხალხური შემოქმედების კიდევ სხვა დარგის მიხედვითაც დავადასტუროთ ჩვენ მიერ არჩეული კვლევის გზის სისწორე. ქართული ქორეოგრაფიაც, რომელიც ასე მჭიდრო კავშირშია სიმღერასთან, წარმოგვიდგენს კიდევ ახალ და უტყუარ საბუთს ქართული რიტმის დაქტილური ბუნების შესახებ.

ქართული ხალხური ცეკვის ძირითადი რიტმული ერთეული ზუსტად დაქტილურია. ქართული ქორეოგრაფიის ცნობილი მკოდნის დ. ჯავრიშვილის მიერ შედგენილი სქემების მიხედვით „მხედრულის“, „საცეკვაოსა“ და „ლეკუ-

<sup>1</sup> ზ. ფაღიაშვილი, ქართული ხალხური სიმღერების კრებული, 1909. თბ. ქართული ფილ. საზოგადოების გამოცემა, გვ. 46.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 38—39.

რის“ ძირითადი რიტმი ასეა გამონათული ——. გრძელი ხაზით აღინიშნება პირველი ნაბიჯი, და ორი მოკლე ხაზით ორი პატარა სწრაფად გადაღებული ნაბიჯი. მარჯვენა ფეხი ასრულებს პირველ გრძელ ნაბიჯს და მას მოსდევს ორი მოკლე ნაბიჯი შესრულებული ჯერ მარცხენა, შემდეგ მარჯვენა ფეხის მიერ. სხვაგვარად, ქართული ცეკვის ძირითადი რიტმული სქემა შეიძლება იყოს გადმოცემული ერთი მეოთხედისა, ხოლო ორი დანარჩენი — მერვედების სახით.

ამრიგად, როგორც ლექსი, ისე სიმღერა და ცეკვა ქართული ხალხური ხელოვნებისა ამჟღავნებს ძირითად, მისთვის დამახასიათებელ წამყვან რიტმულ ბუნებას — დაქტილურ ბუნებას.

8. ცნობილია, რომ ბერძნული დაქტილური ჰეგზემეტრი ადრე უკუგდებულ იქნა, იამბურ-ტროქეულმა რიტმმა დაჩრდილა დაქტილურ-ანაპესტური რიტმი. ბერძნულ დაქტილურ ჰეგზემეტრს შემდგომი განვითარება არ ღირსება, იგი დაივიწყეს. ასე, რომ უკვე VI საუკუნის დასაწყისიდან ჩვენი წელთაღრიცხვით საგმირო პოემებიც კი იამბური ტრიმეტრის ზომით იწერებოდა.


საკითხავია, რა ბედი ეწია ქართულ ექვსტერფიან ლექსს, განაგრძობდა იგი შემდეგ არსებობას, თუ დაივიწყებას მიეცა და არ გასცდენია ჩვენ მიერ აღნიშნულ ქართველ მთიელთა, ხევსურთა და სვანთა ფარგლებს?

უნდა აღინიშნოს, რომ ექვსტერფიანი დაქტილური ურიტმო ლექსის განვითარება არ შეჩერებულა ერთ დონეზე. თვით ხევსურეთსა და სვანეთში ურიტმო ექვსტერფიან ლექსთა გვერდით არსებობს გართობული ექვსტერფიანი ლექსიც.

ურიტმო ექვსტერფიანი დაქტილური ლექსიდან მივიღეთ დაბალი, ანუ გრძელ შაირის ლექსი. ეს ლექსი ექვსტერფიანია, დაქტილურია და ამ საზომით არის დაწერილი რუსთაველის პოემის უმეტესი ნაწილი. ეს ლექსი წარმოადგენს ქართული მეტრიკის ძირითად ფორმას.

9. ექვსტერფიანი შაირი, რომელიც წარმოადგენს ჩვენ მიერ განხილული ურიტმო ექვსტერფიანი დაქტილური სიმღერა-ლექსის შემდგომ განვითარებას, შედგება ორი ნახევრისაგან, თითოეულ ნახევარში ორი სამმარცვლიანი და ერთი ორმარცვლიანი ტერფია. ლექსის თითოეული ნახევარი უეჭველად სამმარცვლიანი ტერფით უნდა მთავრდებოდეს. რაც შეეხება იმ ერთ ორმარცვლიან ტერფს, რომელიც თითოეულ ნახევარშია მოთავსებული, მან შეიძლება გადაინაცვლოს ან პირველ ან მეორე ადგილზე. ორმარცვლიანი ტერფის ასეთ კადანაცვლებას შედეგად ლექსის რიტმის ცვალებადობაც მოჰყვება ხოლმე. ორმარცვლიანი ტერფის გადაინაცვლებით გამოწვეული რიტმული ცვალებადობა იმავე როლს ასრულებს, რასაც ბერძნულ ჰეგზემეტრში ასრულებს დაქტილების სპონდებად შენაცვლება. ჩვენს ნაშრომში, „რუსთაველის ლექსის რიტმი“<sup>1</sup>, ნაჩვენებია იყო, თუ როგორი ხელოვნებით იყენებს რუსთაველი ექვსტერფიანი

<sup>1</sup> იხ. რუსთაველის კრებული. რუსთაველის ინსტიტუტის გამოცემა. კ. კეკელიძის და პ. ინგოროვას რედ., თბ. 1938, გვ. 215—240.



ლექსის რიტმულ მრავალფეროვნებას, გამოწვეულს ორმარცვლიან და სამმარცვლიან ტერფთა ადგილის გადანაცვლებით.

ამრიგად, გრძელშაირის ლექსში, ორმარცვლიან და სამმარცვლიან ტერფთა ადგილის გადანაცვლება ასრულებს იმავე როლს, რასაც ბერძნულ ჰეგზამეტრში დაქტილების სპონდეებად შეცვლა.

10. თუ ქართული ჰეგზამეტრის დასასრული ლექსის ყოველ ნაწილში დაქტილური უნდა იყოს, რადგან ქართული ენის ბუნებას სწორედ ასეთი ვითარება შეეფერება, ბერძნული ჰეგზამეტრის როგორც ცეზურა, ისე დასასრული სრულიად საწინააღმდეგო სურათს წარმოგვიდგენს.

ცნობილია, რომ ბერძნულ ჰეგზამეტრს ორი მთავარი ცეზურა მოეპოვება — ვაჟური და ქალური. აღსანიშნავია, რომ პირველიცა და მეორეც არ სცილდება მესამე ტერფის ფარგალს. პირველ მთავანს ბერძენი მეტრიკოსები პენთემიმერესს, ხუთნახევრიანს უწოდებენ და იგი მოდის მესამე ტერფის პირველ გრძელ მარცვალზე.

1 — 2 — 3 | — 4 — 5 — 6 —


რაც შეეხება მეორე ცეზურას, მას ეწოდება „ტომე კატა ტრიტონ ტროქაიონ“, ე. ი. ცეზურა მესამე ტროქეს შემდეგ.

1 — 2 — 3 — | — 4 — 5 — 6 —

თუ სწორია ეს დებულება, რომ დაქტილური ჰეგზამეტრი დაქტილური უნდა იყოს, რადგან საგულისხმოა, რომ იგი დაქტილური ლექსის საფუძველზეა აგებული, მაშინ რით უნდა აიხსნას ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრის ასეთი ლტოლვა დაქტილისაგან? მართლაცდა, სწორედ იქ, სადაც შეჩერებაა და ამ შეჩერების ადგილას უნდა გამოვლინდეს ლექსის ნამდვილი ბუნება, სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრი გაურბის დაქტილს, რადგან ვაჟური ცეზურა, პენტემიმერესი, გამოავლინებს იამბს, ხოლო ქალური ცეზურა გამოავლინებს, როგორც ეს თვით ამ ცეზურის ბერძნული სახელწოდებიდან ჩანს — „ტომე კატა ტრიტონ ტროქაიონ“ — ტროქეს.

ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრის დაქტილისაგან თავისდაღწევის ტენდენცია ნათლად იჩინს თავს ლექსის დასასრულს და ეს გასაგებიცაა, ყველგან, სადაც შესვენებაა, იქნება იგი ჰეგზამეტრის სტრიქონისა თუ მისი შუა ნაწილის დამთავრებით გამოწვეული, ბერძენი პოეტები ხანგრძლივი ტრადიციის შედეგად ათავისუფლებენ ჰეგზამეტრს დაქტილისაგან და ამიტომაც არის, რომ ბერძნული ჰეგზამეტრის ბოლო ტერფი, როგორც წესი, არა დაქტილურია. ისიც ორმარცვლიანი ტერფით გვექნება გაფორმებული, ან ქორეს ან სპონდეს სახით. ამ გარემოებას თვით ბერძნულ მეტრიკაში შემუშავებული ტერმინიც ადასტურებს; ბოლო ტერფს კატალექტიკურს („შეკვეცილს“) უწოდებენ ხოლმე.

აღსანიშნავია ის, რომ ბერძნული ჰეგზამეტრის ყველაზე გავრცელებულ პენტემიმერესის ცეზურიან სახეობას განვითარების შეადგომი ისტორია აქვს. შემთავებით როდია, რომ ბერძნული ლირიკის პირველი ნაბიჯებისათვის სწო-



რედ ეს საზომი იქნა გამოყენებული. ბერძნული ელევგიური დისტიქის მეორე სტრიქონი — პენტამეტრი — პენტემიმერისის ორჯერ განმეორებით არის შედგენილი. ამასთანავე ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ პენტამეტრის მეორე ნახევარში დაქტილების სხვა ტერფით შეცვლა შეუძლებელია<sup>1</sup>, რადგანაც სხვა გზით ლექსი ვერ მიიღებდა ბერძნული ენის ბუნებისათვის შესაფერ კორეულ-იამბურ დასასრულს. ამ გზით კი ლექსის მეორე ნახევარში ასეთი დასასრული სრულიად უზრუნველყოფილია.

თუ ბერძნული ჰეგზამეტრი ასე გაურბის დაქტილს, ქართული გრძელშაირის ლექსი, შექმნილი უძველესი ქართული დაქტილური ჰეგზამეტრის საფუძველზე, დაქტილისადმი ერთგულებას ბოლომდე ინარჩუნებს.

ცნობილია, რომ გრძელშაირის ლექსმა, თუ კი შესცვალა სადმე დაქტილი, არავითარ შემთხვევაში ასეთი შეცვლა არც ლექსის დასასრულსა და არც ლექსის ცეზურის ადგილას არ შეეხება. როგორც წესი, გრძელშაირის ლექსი მუდამ დაქტილურ კლაუზულას შეიცავს:

a = 3 2 3 | 3 2 3 რომელმან შექმნა სამყარო | ძალითა მით ძლიერთა .

b = 3 2 3 | 2 3 3 ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, | გვაქვს უთვალავი ფერთა .

c = 2 3 3 | 3 2 3 თამარს ვაქებდეთ მეფესა | სისხლისა ცრემლ დათხეული .

d = 2 3 3 | 2 3 3 იყო არაბეთს როსტევან | მეფე ღვთასაგან სვიანი .

როგორც სქემის მიხედვით ჩანს, გრძელშაირის ლექსის ცეზურის ადგილი და დასასრული სამმარცვლიანი, დაქტილური ტერფითაა გაფორმებული.

ამრიგად, ირკვევა, რომ ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრი დაქტილს გაურბის და თავისი ენის ბუნებისათვის შესაფერ სალექსო ფორმაში, იამბურ-ქორეულ ფორმაში ჰპოვებს თავის გამოსავალს, ხოლო ქართული დაქტილური ჰეგზამეტრის მიხედვით შექმნილი ლექსი გრძელი შაირისა საკუთარ ბუნებას ბოლომდე ინარჩუნებს და დაქტილურ კლაუზულას ბოლომდე იცავს.

ზემოხატკვამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ უძველესი ფორმა დაქტილური ჰეგზამეტრისა დაკული ყოფილა ჩვენში, როგორც მუსიკალური ინსტრუმენტის, ისე სიმღერისა და ლექსის სახით.

ამრიგად, ირკვევა შემდეგი დებულებანი:

1. უძველესი ქართველური ტომის მოსხვების მეფე შიტა ითვლება იმ პიროვნებად, რომელსაც ტრადიცია საბერძნეთში პანის ფლეიტის შეტანას მიაწერს.

2. პანის ფლეიტა დღევანდლამდე დაკულია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენში — სამეგრელოსა და გურიაში.

3. პანის ფლეიტამ აქამდე შეინარჩუნა ჩვენში ექვსტაქტიანი დაქტილური ფორმა ერთ-ერთი ჰანგისა.

<sup>1</sup> იხ. Hephaest. Enchiridion, Append. Dionys, გვ. 316. ... το δε δευτερον πενθημι-  
μερες παντας εχει τους διατυλους δυο...

4. როგორც ხევესურულმა, ისე სვანურმა ხალხურმა პოეზიამ დღემდე დაცვა უძველესი სახეობა სიმღერა-ლექსისა.

5. ხევესურული სიმღერა-ლექსი შედგება ექვსი ტერფისაგან, თითოეული ტერფი წარმოადგენს უმთავრესად დაქტილს. ლექსი იყოფა ორ ნაწილად, თითოეულ ნაწილში სამ-სამი ტერფია.

6. ასეთივე ხასიათისაა სვანური ხალხური სიმღერა. ისიც ექვსი ტერფისაგან შედგება. ლექსის ტერფი და სიმღერის ტაქტის სრული თანხვედრის ვითარებაშია. სვანური სიმღერა-ლექსი დაქტილურ-ანაპესტური ხასიათისაა.

7. ქართული ქორეოგრაფიაც ამჟღავნებს დაქტილურ ბუნებას. ყველა ქართული ცეკვის ძირითადი რიტმული ელემენტი დაქტილური რიტმია.

8. ბერძნული ჰეგზამეტრი დავიწყებულ იქმნა და შემდეგ შეიცვალა ბერძნული მეტრიკისათვის უფრო შესაფერი საზომით. ქართულმა ჰეგზამეტრმა კი პოვა თავისი ახალი სახე გართმული ექვსტერფიანი შაირის ფორმით.

9. ბერძნული და ქართული ექვსტერფიანი ლექსი ცეზურის მიხედვით შუაზე იყოფა. გრძელ შაირში ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი ტერფის გადანაცვლება იმავე როლს ასრულებს, რასაც ბერძნულ ჰეგზამეტრში დაქტილების სპონდეებად შეცვლა.

10. თუ ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრი ცეზურისა და ლექსის დასასრულში გაუბრძის დაქტილს და მისთვის შესაფერ ტერფს, იამბურ-ქორეულ ტერფს, გამოიყენებს, როგორც ცეზურაში ისე დასასრულისას, ქართული დაქტილური ჰეგზამეტრიცა და იმის მიხედვით შექმნილი გრძელშაირის ლექსიც ბოლომდე დაქტილის ერთგული რჩება. გრძელშაირის კლაუზულა მარად დაქტილური არის.

ასეთნაირად გამოდის, რომ ძველი ბერძნული სალექსო ფორმის წარმოშობა შესაძლებელია ახსნილ იქმნას უძველესი ქართული ლექსის მიხედვით. უნდა ჩაითვალოს. რომ ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრი, რომლითაც იწერებოდა საგმირო ხანის პოემები, გადმოღებულა მცირე აზიაში მცხოვრები იმ უძველესი ქართველური ტომებისაგან, რომლებთანაც ბერძნები იყვნენ მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაში; ლექსის გარდა ბერძნები არა მცირედით ყოფილან მათგან დავალებულნი, როგორც სახეით ხელოვნების ისე თქმულებათა სესხების მხრივაც.

ეს გარემოება დასტურდება საქართველოს ისტორიაში გადმოცემული მოსაზრებით:

„როცა ბერძნები პირველად მოვიდნენ მცირე აზიაში, აქ ჯერ კიდევ ძლიერი იყო ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის — ხეთა-სუბარების კულტურა. ბერძნებმა შეითვისეს იგი. აქაურ ქალაქებში, განსაკუთრებით მილეტში, ჩაისახა და განვითარდა ბერძნული სამეცნიერო და პოეტური მწერლობა, ბერძნული ხელოვნება“ (Op. cit. გვ. 43).

ექვს გარეშეა, რომ დაქტილური ჰეგზამეტრი გამოყენებულია ეპიკურ პოემათა ორი უდიდესი შემოქმედის — ჰომეროსისა და რუსთაველის — ქმნილებებში, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ეს საზომი ბუნებრივია ქართულისათვის მაშინ, როდესაც ბერძნულისათვის იგი უცხოა და მიჩნეული. იგი ძირითადი სალექსო

ფორმაა ქართული ხალხური საგმრო სიმღერებისა და მათ შორის ქართველი ხალხის ისეთი უძველესი ქმნილებებისა, როგორცაა „ამირანი“, რომლის უძველესი ფრაგმენტები დაქტილებიან, — ექვსტერფიან ლექსს შეიცავს. თუ ბერძნულისათვის ჰეგზამეტრის გავრცელებულობა შედარებით ნაკლები დროით არის შემოფარგლული (ბერძნულში იგი უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნიდან არ გვხვდება), ქართული ჰეგზამეტრი ბერძნულზე უადრესიც ჩანს და დღევანდლამდე აღწევს, ისე რომ იგი გრძელი შაირის სახით რჩება ქართული ლექსის ძირითად ფორმად.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კლასიკური ფილოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. XI. 27).

П. Берадзе

## К генезису дактилического гекзаметра

### Резюме

Поиски основ древнегреческой стихотворной формы — дактилического гекзаметра не привели к надлежащим результатам. Западноевропейская наука не дала сколько-нибудь удовлетворительного разрешения этой проблемы. К. Мейстер в своей работе „Die homerische Kustsprache“, 1921 г., стр. 231 заявляет: „Несомненно, гекзаметр — результат долгого поэтического упражнения. Но его древнейшая форма не может быть выявлена на основе гомеровского гекзаметра в той форме, в какой он нам известен, а также не может быть получена на основе размеров индогерманских, или же неиндогерманских народов“.

Возможность происхождения гекзаметра из древнегреческой основы отрицается также французским ученым Мейе<sup>1</sup>.

К. Мейстер признает, что дактилический гекзаметр неиндоевропейского происхождения: „Не исключена возможность, что эоляне и ионяне свой стих и свои мифы заимствовали от тех народностей, с которыми они сталкивались, подобно тому, как все это позже перешло к латинянам“<sup>2</sup>.

Для выяснения древнейшей формы гекзаметра весьма важное значение имеет древнегрузинский гекзаметр, сохранившийся среди горных племен Грузии, а именно среди хевсуров и сванов. Наряду с древнейшим

<sup>1</sup> A. Meillet, Les origines indo-européennes des mètres grecs, 1923, Paris, стр. 73.

<sup>2</sup> Там же, стр. 231.



гекзаметром-стихом, состоящим из чистых шести дактилей с цезурой в середине, стихом нерифмованным, — грузинская версификация вывела из дактилического гексамetra рифмованный, шестистопный, дактилический стих, длинный или долгий шаири.

Данные, подтверждающие исконно грузинский характер дактилического гексамetra и возможность зависимости от него др. греческого гексамetra, таковы:

1. Традиция приписывает внесение в Грецию древнейшего инструмента — флейты Пана царю древне-грузинского племени мосхов Мита.
2. Флейта Пана сохранилась до наших дней среди мегрелов и гурийцев.
3. Флейта Пана по сей день сохранила шеститактную, дактилическую форму одного из своих наигриваний<sup>1</sup>.
4. Как хевсурская, так и сванская народная поэзия сохранила по сей день древнейшую форму стиха-песни.
5. Хевсурская песня-стих состоит из шести стоп, каждая строка делится на две равные части, по три стопы в каждой.
6. Такого же характера сванская народная песня, состоящая из шести стоп, при полном совпадении стопы и такта песни. Сванские стихи-песни носят дактило-анапестический характер („Лиле“, „Зари“).
7. Грузинская хореография выявляет также дактилический характер. Все грузинские народные танцы содержат, в виде основного ритмического элемента, дактилический ритм.
8. Греческий гекзаметр был предан забвению и заменен более удобным для греческой метрики стихом, а грузинский стих гексамetra нашел свое дальнейшее развитие в виде длинного шаири.
9. И греческий и грузинский гексаметры делятся на две части посредством цезуры. В грузинском стихе длинного шаири перемещение двухсложных и трехсложных стоп выполняет ту же самую роль, что и в греческом дактилическом гексаметре замена дактилей спондеями.
10. Если греческий дактилический гекзаметр избегает дактилей и в конце и в середине стиха, выставляя в этих местах ямбо-хореические стопы (а. Последняя катаlecticеская стопа или хорей, или спондей. б. Цезура мужская или женская в первом случае дает ямб, во втором трохей), грузинский дактилический гекзаметр до конца сохраняет верность дактилической стопе. Длинный шаири и в середине и в конце завершается безусловно дактилической стопой.

<sup>1</sup> В. С. Стещенко-Куртца, Флейта Пана. Тб. 1946.

### 3. დონეშა

## «ლიპარიტეთ»-ისა და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში

ეს სათაური გულისხმობს ერთ წყებას გვარების მნიშვნელ სახელებისას, რომლებიც ჩარჩენილია XI—XII—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში დამახასიათებელი -ეთ სუფიქსით და რომელთა რეალ-ისტორიული შინაარსი, გრამატიკულ აღნაგობასთან ერთად, როგორც ეს ქვევით ჩანს, კიდევ მოითხოვს შემოწმებას.

ამ რიგის სახელებს სპეციალურ ლიტერატურაში მიჰქცევია ყურადღება უკვე დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. სახელდობრ, მარი ბროსეს საგანგებო დაკვირვების საგნად დასაზღვია სწორედ ლიპარიტეთ სახელი და მასთან ერთად მეორე სახელიც, მსგავსი ფორმისა, — ეს, მეორე, სახელია — სუქმანეთი. ეპიგრაფიკული კვლევის დროს, გლოლას (რაჭა) ერთ დეფექტურ წარწერაში ჩხრეკისას, ბროსემ ივარაუდა, ანალოგიის წესით, «დავითეთი» გვარსახელის არსებობაც, ხოლო ამის გამო შენიშნა: ფორმა „დავითეთი, გვარის აღმნიშვნელი სახელის ფორმა, მეტად არქაულია და მხოლოდ ორჯერ-სამჯერ გვხვდება მთელ ქართლის ცხოვრებაში: მაგალითად, ლიპარიტეთ, ვითომ ლიპარიტის შვილები“<sup>1</sup>. ამასთანავე ავტორი მიუთითებს „ქართლის ცხოვრების“ მისეული ფრანგული თარგმანის იმ ადგილზე (=Hist. de la Géorgie, ტ. 1, გვ. 334, შენ. 5), სადაც აღრიცხულია სახელები: გაგიკეთი, ლიპარიტეთი და სუქმანეთი.

მეცნიერი გულისყურით მოჰკიდებია გვარსახელთა ამ -ეთ სუფიქსიან ფორმას და ერთ შემთხვევაში მკაფიოდ აღუბეჭდავს, რომ ეს ფორმა „ამიერიდან გრამატიკის მონაპოვარი“<sup>2</sup>.

გაკვრით შევნიშნოთ, რომ საერთოდ -ეთ სუფიქსიანი კრებითი სახელები სპეციალურ ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი. მაგრამ ამ წრის საკუთარი

<sup>1</sup> «La forme დავითეთ, du nom de famille, est très archaïque, et ne se trouve que deux ou trois fois dans toutes les Annales géorgiennes: p. e. ლიპარიტეთ, des fils de Liparit...». იხ. ბროსე, Rapports sur un voyage archéologique, და სხვ. [ნაკვ. III], ს. პეტერბურგი, 1851, 12-ე Rapport, p. 77.

<sup>2</sup> «Elle (=la forme) est désormais acquise à la grammaire» („ქართლის ცხოვრება“ ბროსეს მიერ ფრანგულად თარგმნილი, ტ. I გვ. 381, შენ. 2).

სახელებიდან იქ მაინცდამაინც ისევ გეოგრაფიული სახელებია გათვალისწინებული (იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები)<sup>1</sup>. სხვაგან ჩვენ ვკითხულობთ -ეთ სუფიქსის შესახებ: „ამ დაბოლოებას ძველ ლიტერატურულ ქართულში კრებითი მნიშვნელობაც აქვს, საერთოდ ქართულში იგი აწარმოებს სახელებს ქვეყნებისას, ვით კრებითი ცნებებისას, მოსახლეობის ადგილსამყოფელებისას (вместилищ населения), რომელი მოსახლეობაც ატარებს გარკვეულ ეთნიკურ სახელწოდებას“ (ნ. მარი)<sup>2</sup>.

ეს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ამა თუ სხვა შრომების სათანადო ექსკურსებში ჩვენთვის საინტერესო საკითხი უშუალო გამოძახილს მაინც ვერ პოულობს, მხოლოდ სიმონ ჯანაშია შეეხო მას. თავის ერთ შრომაში მან ვრცლად განიხილა გვარსახელთა მაწარმოებელი -ან სუფიქსის გამოყენების მაგალითები და ამასთან დაკავშირებით სქოლიოში შენიშნა: „აქ ჩვენ არ ვინილავთ ისეთ შემთხვევებს — წერს ავტორი — როცა -თ უშუალოდ აწარმოებს გვარისსახელებს. ამ კატეგორიის ფაქტი მრავლად გვაქვს დადასტურებული როგორც ისტორიულად (მაგ. ლიპარიტეთ | თი, კლდე-კარის ერისთავების, ბალუაშთა ერთი შტოს სახელი), ისე ეთნოგრაფიულად, აღმ. საქართველოში და მესხეთში...“<sup>3</sup>. აქ ავტორს, გარდა «ლიპარიტეთ-ისა, ჩამოთვლილი აქვს მაგალითებად გვარსახელები: თამარათი, ქოთილთა, შველათ... ბაღინანთ, ჯიგნიანთი, ორბელიანთ...», და ა. შ.<sup>3</sup>. ჩამოთვლილ მაგალითებში ლიპარიტეთ-ი იპყრობს ამჟამად ჩვენს ყურადღებას და კიდევ უფრო — ის, რომ ს. ჯანაშიას ლიპარიტეთ სახელი მიაჩნდა სწორედ გვარსახელად, მისი გამოთქმით — გვარისსახელად. რაც შეეხება მის სხვა მაგალითებს, ისინი ჩვენს წერილში რჩებიან იმის დასამოწმებლად, რომ საერთოდ გვარსახელების-შესახები საკითხი დიად პირველად არ არის აქ აღძრული<sup>4</sup>.

როგორც ზევით არის აღნიშნული, ბროსეს მიერ აღრიცხული იყო ჩვენთვის საინტერესო ფორმის სამი გვარსახელი: ლიპარიტეთ-ი, სუქმანეთ-ი და გაგიკეთ-ი. ქვევით ჩვენ მიერ აღრიცხული იქნება დამატებით: ვახტანგეთ-ი, შარვანშეთ-ი, დურძუკეთ-ი, კონონეთ-ი, ნონოსეთ-ი, პავლეეთ-ი და შამირამეთ-ი. ასე რომ ამ წყების სახელები რიცხვით მეტი გამოდის, ვიდრე ბროსე ვარაუდობდა, და ამ რიცხვმა იქნებ კიდევ იმრავლოს წყაროების ზედმიწევნითი შესწავლის შედეგად.

აღნიშნული სახელების ფუძედ, ერთის გამოწაკლისით (შარვანშეთ-ი), გამოყენებულია უბრალო თვალით დასანახი საკუთარი (პირის) სახელი, გართუ-

<sup>1</sup> ნაკვ. I (თბილისი, 1942), სვეტ. გვ. 135—137, სადაც -ეთ სუფიქსით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელთა ნაირი ნიმუშებია წარმოდგენილი.

<sup>2</sup> Н. Марр, «Грамматика древнелитературного грузинского языка (ლენინგრადი, 1925), გვ. 36.

<sup>3</sup> ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი..., და სხვ.; ენიკის მოამბე, I (1937), გვ. 214, შენ. 2 და 3.

<sup>4</sup> ამ საკითხის შესახებ იხ. ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში: „ჩვენი მეცნიერება“, აპრილი—მაისი, № 11—12 (თბილისი, 1924) სვეტ. გვ. 8, 9 და შენ. 1.

ლებული -ეთ სუფიქსით. აი ეს სახელები: ლიპარიტი, სუქმანი, ვახტანგი, დურძუკი (ტომი, მაგრამ ეთნარქიც), კონონი, ნონოსი, პავლე და შამირამი. თავის მხრივ შარვანშა (= შირვანშაჰ) ზოგადი სახელია, მაგრამ, როგორც ეს ქვევით ჩანს, წყაროში იგი ვაგებულია ვით სადინასტიო, resp. საკუთარი სახელი. რაც შეეხება ბროსესულ «დავითეთა»-ს, იგი, ჩვენს შემთხვევაში მაინც, მაგალითად ვერ გამოდგება, რამდენადაც ის ვარაუდის წესით გაჩნდა და ისტორიულად დადასტურებული არ არის.

ნათქვამის შემდეგ, ჩვენს მთავარ მიზანთან შეწონილად, უფრო ახლო განვიხილოთ მოცემულ სახელთა ნნიშვნელობა, მხოლოდ ისე, რომ სპეციალურ ლიტერატურაში აღრევე გამოთქმულს მცირედ თუ დიდად მნიშვნელოვან სათანადო მოსაზრებებსაც ჯეროვანი ყურადღება არ მოაკლდეს.

### 1. ლიპარიტეთ

ეს სახელი, მოცემული ფორმით, აღბეჭდილია „მატიანე ქართლისაჲ“-ს ტექსტში (XI ს.), იქ, სადაც ისტორიკოსი მოწმობს, რომ 1032 წლის ახლოხანს მტრობა ჩამოვარდნილა კლდე-კარის საერისთავო გვარსა და თბილისის ამირას, ჯათარს, შორის. რა ერთხელვე შუღლმა იჩინა მათში თავიო, — აღნიშნავს ავტორი, — მიერთვან დარჩა მტერობაჲ ლიპარიტეთ და ამირას შუა-ა<sup>1</sup>. ბროსეს, „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულად თარგმნისას, ეს წინაკითხი («...ლიპარიტეთ და ამირას შუა») გადმოუცია სიტყვებით: «... entre les gens de Liparit et l'émir»<sup>2</sup>. მოვიგონოთ, რომ მან თავისი არქეოლოგიური მოგზაურობის ერთ საანგარიშო მოხსენებაში (Rapport XII), ნავარაუდევით «დავითეთა»-ის ხსენებისას, მკაფიოდ განმარტა: ეს დავითეთ, მსგავსად ლიპარიტეთ-ისა, არქაული ფორმაა «გვარის სახელისა», «du nom de famille», და რომ ლიპარიტეთ ითარგმნებდესო, ვით «des fils de Liparit» (იხ. ზევით, გვ. 133, შენ. 1). ხოლო ამავე დროს, ტექსტობრივი თარგმნის მოცემულ შემთხვევაში, მას მოუმარჯვებია სიტყვები: «les gens de Liparit», რაც, შებრუნებული თარგმანით, შესატყვისი იქნებოდა ცნებისა: „ლიპარიტის კაცები“, „ლიპარიტის მსახურნი“, ან „ერნი ლიპარიტისნი“, და არა — „ლიპარიტის შვილები“, ვინა „ლიპარიტისენი“, როგორც იხმარებოდა ეს გვარსახელი მერმინდელ დროებში («ბაღუში, რომელი იყო ლიპარიტისქე»)³.

ჟნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერ მთარგმნელს ეს შემთხვევით დიად არ დამართია. საერთოდ, ბუნებრივია, უჩვეულო ლიპარიტეთ ფორმის თარგმნა (=ახსნა) მას ერთგვარად აბრკოლებს. აი მისივე შემდეგი განმარტებაც ამის თაობაზე: „ჩვენო — შენიშნავს .ის სქოლიოში, იქვე — უპირატესობას მივსცემდით [წინაკითხს] — „ლიპარიტს და ამირას შუა; მაგრამო, განავრძობს

<sup>1</sup> „ქართლის ცხოვრება“, ტ. I (ს.-პეტერბ., 1849, ბროსეს გამოც.), გვ. 223; „ქართლის ცხოვრება“, მარიამის გ-ტი (ე. თაყაიშვილის გამოც., თბილისი, 1906), გვ. 258.

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება“, ფრანგულად, ტ. I, გვ. 317.

<sup>3</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (=„საქართველოს გეოგრაფია“), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 20, 26.



მთარგმნელი, ფორმა ლიპარიტეთ, თავისთავად, უნდა ითქვას, იშვიათი, ხმარებული ჩვენს ორ ხელნაწერში<sup>1</sup>, ვერ აღნიშნავს იმავე საგანს, აღნიშნავს ფორმა ლიპარიტს—ო<sup>2</sup>. აქ მოსაწონი ის არის, რომ ლიპარიტეთ ფორმის კრებითობა და მისებურობა კარგად არის შენიშნული. ამ ფორმის იშვიათობის გამო ეს მოგლენა, წინააღმდეგ, უგულვებელყოფილი დარჩა, ციტაციის დროს, ჩვენს უფროს თანამედროვე ძველევარს, როდესაც მან მოიყვანა ტექსტის იგივე ადგილი შემდეგი სახით: «მეერთგან დარჩა მტერობა ლიპარიტსა და ამირას შუა—ო<sup>3</sup>. ასე ამ ფორმის გაუმართლებელი უგულვებელყოფის სხვა რამდენიმე შემთხვევა ქვევითაც არის მოყვანილი.

აი მეორე მაგალითი ლიპარიტეთ ფორმის ხმარებისა იმავე „მატიანე ქართლისაჲ“-ს ტექსტში. იქ ერთგან მოთხრობილია, რომ 1057 წლის ახლოხანს ბაგრატ IV-მ<sup>4</sup> დაიხუნა ლიპარიტეთ-გან ციხენია ესადაესო<sup>5</sup>. ბროსეს აქაც ისე შეუფასებია ლიპარიტეთ ცნება და მოყვანილი ადგილი ასე უთარგმნია: სულა ერისთავმაო, ბაგრატ IV-ის ვასალმა, «il avait enlevé aux gens de Liparit les forteresses...», და ა. შ.<sup>6</sup>

მესამე მაგალითი: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით (XII ს.), ზემოთ მოხსენებული ლიპარიტის შვილიშვილი, ისიც ლიპარიტი სახელად, გაუძეგვბია დავითს საქართველოდან, როგორც მოლაღატე, ვით «მამულ-პაპურთა კვალთა» მიმყოლი. ასე რომ გაძეგვბის შედეგად «მამული ლიპარიტეთი უმკვიდროდ დარჩომილი იყო სრულიად» და 1106 წლის ახლოხანს გელათის ლავრას შეეწირა მეფის მიერ. ბროსეს თარგმანით, «Les domaines de la famille de Liparit, restés sans propriétaire aucun...», და ა. შ.<sup>7</sup>

ამრიგად, სამი მოცემული შემთხვევიდან, როდესაც მთარგმნელი შეჭვედრია ლიპარიტეთ ფორმას, უკანასკნელ შემთხვევაში ეს სახელი მართებულად უთარგმნია როგორც «la famille de Liparit», ესე იგი სწორედ თანახმად მისივე აღრინდელი, ერთგვარად დეკლარაციული, განცხადებისა, რომ «ლიპარიტეთ»-ი გვარის სახელიაო. მაგრამ თარგმანის ორ დანარჩენ შემთხვევაში იგივე სახელი გამოდის სხვა, უფრო განვრცობილი, ცნების გამომხატველი, ვიდრეა «les fils» და «la famille», სახელდობრ ცნებისა—«ერნი ლიპარიტისნი», «les gens...». ამას ჰქვიან ყოყმანი და მოგვაგონებს იგი ს. ს. ორბელიანის განმარტებას, რომ ყოყმანი ჰნიშნავს—«სიტყვის თქმა არ ენებოს და ზარდებოდეს»-ო.

<sup>1</sup> იგულისხმება თეიმურაზისეული და რუმინანცევისეული ხელნაწერები, რომელნიც საფუძვლად დაედვენ ბროსეს გამოცემულ „ქართლის ცხოვრებას“.

<sup>2</sup> „ქართლის ცხ.“, ფრანგ., ტ. I, გვ. 317, შენ. 2.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II (თბილისი, 1914), გვ. 433. ლიპარიტეთ გვარსახელი ლიპარიტ სახელით შეუცვლია ვახუშტისაც. იხ. მისი საქართველოს ისტორია, ბაქრაძის რედაქციით (თბილისი, 1885), გვ. 152.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახელ. შრომა, გვ. 446.

<sup>5</sup> „ქართლ. ცხ.“, გამოც. ბროსესი, ტ. I, გვ. 228.

<sup>6</sup> „ქართლ. ცხ.“, ფრანგულად, ტ. I, გვ. 326.

<sup>7</sup> „ქართლ. ცხ.“, გამოც. ბროსესი, ტ. I, გვ. 243; გამოც. ე. თაყაიშვილის (=მარიამის გ—ტი), გვ. 254, ფრანგულად, გვ. 357.



ამის მიზეზი, ცხადია, თვით გვარსახელის მოცემული ფორმის მეტნაკლებად უცნობობაა, ეს არის გვარსახელებში ნაკლებ პოპულარული - ეთ სუფიქსიანი ფორმა, მოცემულ შემთხვევაში — ლიპარიტეთ, სხვა შემთხვევაში — ვახტანგეთ, სუქმანეთ... (იხ. ქვევით). ეს ფორმა გვარსახელისა, ჩანს, ისტორიულ პრაქტიკაში ვერ განვითარებულა ბრუნების მორფოლოგიურ ნორმებამდე. ის დარჩენილა თვალში საცემ ხელოვნურ ფორმად. გეოგრაფიული - ეთ სუფიქსიანი სახელები - გან თანდებულთან წარმოგვიდგება ცნობილ ფორმაში (ოსეთ: ოსეთ-ით-გან, ახალქართულზე — ოსეთიდან), ჩვენთვის საინტერესო სახელები — უცნაურ ფორმაში (ლიპარიტეთ: ლიპარიტეთ-გან! შდრ. «არავიეთ-გან», კიმენ. II, 105). აი რატომ ფრანგულზე ლიპარიტეთ და ანალოგიური ფორმები გადმოცემულია მხოლოდ აღწერითი წესით («ლიპარიტის კაცები», «ლიპარიტის გვარი») და არა ტრანსკრიფციის საშუალებით. მსგავსად ანალოგიური ფორმის გეოგრაფიული სახელებისა (მაგალითად: Kakheth გვ. 356; Héreth, იქვე, და ა. შ.). ამ წყების გვარსახელებს აკლიათ ისტორიულად ჩამოყალიბებული გვარსახელების სემასიოლოგიური ხასიათის სტაბილურობა (შეადარე, კერძოდ, «შვილიანი» და «ძიანი» სახელები). აი ამ მიზეზით გამოწვეული დაბრკოლება ლიპარიტეთ ფორმის სახელების ინტერპრეტაციაში, როგორც ქვევითაც ჩანს, მარტო ბროსეს არ შეჰხვედრია.

მაგრამ ახლა ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალის ახლო გაცნობა გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული წყების სახელების ხმარება ეთანხმება გარკვეულ კანონზომიერებას. განმარტების ცხადსაყოფად ცოტა რაემ კიდევ შევამჩნიოთ ზევით აღნიშნულ სამ მაგალითს, ხოლო დასკვნის სისწორეს შევამოწმებინებს ქვევით მოყვანილი მაგალითები.

ბროსესთვის ცნობილი მონაცემები, მაშასადამე, შემდეგია:

1. ლიპარიტეთ-გან (ციხეების ჩამორთმევა), 2. «ლიპარიტეთ და ამირას შუა (შულლი)» და 3. «მამული ლიპარიტეთი». პირველ ორ მაგალითში სახელი წარმოდგენილია წრფელობით ბრუნვაში, ხოლო მესამეში — იგივე სახელი მსახდვრელის დანიშნულებას ასრულებს და საზღვრულთან («მამული») ბრუნვაშია კიდევ შეთანხმებული, მხოლოდ ძველქართული ლიტერატურული ნორმის მიხედვით. ასეა მიღებული «მამული-ი ლიპარიტეთ-ი», ჩვენი განმარტებით — «ლიპარიტილების მამული». ამ მაგალითის «ლიპარიტეთი» ისევე განსხვავდება ორი წინა მაგალითის «ლიპარიტეთ»-ისგან, როგორც ნაცვალსახელებში «ჩვენ» (პირის ნაცვალსახელი) განსხვავდება სიტყვისაგან «ჩვენი» (კუთვნილების ნაცვალსახელი). საერთოდაც, აღებული წყების სახელები, ჩვენთვის ცნობილი წერილობითი ფაქტების მიხედვით მაინც, წარმოდგენილია ბრუნვის ნიშნით, თუ ისინი მსახდვრელის ფუნქციას ასრულებენ.

რაც შეეხება რეალ-ისტორიულ მნიშვნელობას, წრფელობით ბრუნვაში მოცემული სახელი გვაგულისხმებინებს უშუალოდ «ლიპარიტისძეებს», ამით გვარს, „სახლს“, ვით იურიდიულ პირს: შულლი ჩამოვარდა ამირასა და ლიპარიტისძეებს შუა; ჩამოერთვათ ციხეები ლიპარიტისძეებს. სხვა საქ-

<sup>1</sup> „ქართული ლექსიკონი“, თბილისი, 1928.

მეა, რომ თვით ლიპარიტისძეებს გარდა, მოქმედ პირებად, ციხეების ჩაპოროტ-მეისას, გამოვიდოდნენ «ლიპარიტის კაცებიც», «gens...», რამდენადაც ციხეების ჩაბარება, სათანადო პროცედურა მათი ხელით უნდა შესრულდებოდა, რამდენადაც ჩაბარების აქტს წინ უსწრებდა ლიპარიტისა და მისი ძის იოანეს შეპყრობა მეფის ერთგულთა მიერ (ლიპარიტის მეორე შვილი, ნიანია, «საბერძნეთს» გადახვეწილა)<sup>1</sup>. ეს «ლიპარიტის კაცები» უნდა ყოფილიყვნენ ალბათ ისინი, რომელთაც ჩაბარეს გამარჯვებულ მეფეს სახელდობრ არტანუჯი, ყველი, უფლის-ციხე და ბირთვისი<sup>2</sup>. ყოველ შემთხვევაში, კლდე-კარი მაინც, ლიპარიტის მთავარი სიმაგრე, როგორც ეს ნათლად ჩანს ისტორიული თხრობიდან, გადასცეს მეფეს სწორედ «ციხოვანთა ლიპარიტისთა»<sup>3</sup>. ასე ნიშანდობლივად ჰყავს ორჯერ აღნიშნული ეს «ციხოვანნი ლიპარიტისნი» მემკვიდრეს, რაქი, ვფიქრობთ, ის მათ საგანგებოდ ასხვავებდა თვით «ლიპარიტეთ-გან, ლიპარიტისძეებისაგან».

იგივე «ლიპარიტეთ» სხვა მოცემულ მაგალითებში მსაზღვრელობს და, მაშასადამე, აღნიშნავს არა უშუალოდ «ლიპარიტისძეებს», არამედ «ლიპარიტისძეების რაღაცას, resp. ვიღაცას», მოყვანილ მაგალითში — მამულს (მამული ლიპარიტეთი), სხვა მაგალითში — ნაყოფს, შვილსა და ძირს. ბროსეს მაგალითს გარდა, ანალოგიური მაგალითები შეიძლება ამოვიღოთ თამარ მეფის ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოძღვრის (XIII ს.) შრომიდანაც. «სიმდიდრით ალაღებულთა» და ქვეყნის შემაწუხებელ დიდგვარიან აზნაურთაგან იქ მოხსენებულია, კერძოდ, კახაბერის ხუთი შვილი, რომელნიც საქართველოს პირველი ვაზირის, მწიგნობართუხუცესის, ორი ძმის მკვლელობისათვის თამარს ჯერ ციხეში ჩაუმწყვდევია და მერმე მაკედონიაში გაუძევებია, სადაც ხუთნივე იქ, უცხოობაში, დაღუპულან — ომის ასაბრეზზე. ისინი თურმე წარმოშობით ყოფილან ლიპარიტის მოდემისანი, შვილით შვილამდე მეფეთა მოღალატე ლიპარიტიანთ ფესვთაგანნი, ისტორიკოსის მწარე სიტყვით, ის ბორცტი საქმე ჩაიდინესო «დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტეთთა». ჩვენ შემთხვევა გვქონდა ეს ადგილი ასე გვეთარგმნა: «... дети Кахабера, плоды, выросшие все на тех же гнилых корнях рода Липарита»<sup>4</sup>. ერთი ხუთთაგანი ცალკე იქნებოდა «ნაყოფ-ი ლიპარიტეთ-ი», მრავლობითის ირიბი ბრუნვით — «ნაყოფთა ლიპარიტეთთა». აი კიდევ მაგალითები.

## 2. ვახტანგეთ

იგივე ბასილი, რა აგვიწერს თამარ მეფის ტახტზე აყვანის ცერემონიას, აღნიშნავს, რომ სათანადო პირებმაო «დადგეს სუიანი ტახტი ვახტანგეთი...», ესე იგი დადგეს ვახტანგ გორგასლისა და მის მემკვიდრეთა, ანუ «ვახ-

<sup>1</sup> «ქართლის ცხ.», ტ. I, გვ. 227.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 228.

<sup>3</sup> იქვე: მარიამის ვ-ტი, გვ. 267.

<sup>4</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხორება მეფეთმეფისა თამარისი (გამოც. ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი, 1944), გვ. 24, 26. რუსული თარგმანი — შოთა რუსთაველის საიუბილეო კრებულში Памятники эпохи Руставели (ლენინგრადი, 1938), გვ. 59.

ტანგიდთა», ნაჯდომი ბედნიერი სამეფო ტახტიო, ჩვენი თარგმანით — «*ВЛИ СЧАСТЛИВЫЙ ТРОН ВАХТАНГОВСКИЙ*»<sup>1</sup>, სადაც ეს უკანასკნელი სიტყვა უნდა ითქვას, ვერ ასახავს ზუსტად ვახტანგეთი ფორმის კრებითობას. თუ არ სტილის საკითხი, შეიძლებოდა გვეხმარა «*ТРОН ВАХТАНГИДСКИЙ*». ხმარებული „*ВАХТАНГОВСКИЙ*“ ზედმიწევნილობით გადმოარუსულვდა, ვთქვათ, ქართულ ფორმის „ვახტანგიანი“, თუ ეს ფორმა გვექნებოდა მსგავსად მისი სინონიმისა «გორგასლიანი» («დროშაჲ იგი გორგასლიანი»)².

### 3. შარვანშეთ

ბასილი, თამარ მეფის მრავალნაყოფიერი ცხოვრების აღწერისას, ეხება ამ მეფის ღვაწლს, კერძოდ, საქართველოს მეზობელი ქვეყნების ხელმწიფეთა მიმართ იმის მოთვლით, თუ «რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა», რამდენს, ძლიერ დამპყრობელთაგან დამცრობილს, ტანტდაკარგულს, «უკუნ სცა სამეფო თვისი», და ა. შ. ყველა ამის საბუთსო, წერს ისტორიკოსი, წარმოადგენს ესადაეს, თამარის წყალობით ზურგ-გამაგრებული, ხელისუფლებად, ხოლო კერძოდ, «ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი»-ო³.

«სახლი» ნიშნავს გვარს, აქ სადინასტიო სახელეულობას; აგრეთვე — საჯდომელ ქალაქსაც, რეზიდენციას. შარვანშეთი, ისე, როგორც ამას გვიკარნახებს ზევით მოყვანილი მაგალითები, უნდა ჩავთვალოთ ნაწარმოებად სიტყვისაგან შარვანშა (შარვანშეთ), ანუ შირვანშაპ, რაიც ტიტულად ჰქონდათ შარვანის, მტკვარსჩრდილოეთი აზერბაიჯანის, ხელმწიფეებს. მსგავსად იმისა, რომ «ტახტი ვახტანგეთი» ნიშნავს «ვახტანგიანთ ტახტს», «სახლი შარვანშეთი» აღნიშნავს «შარვანშიანთ», «შარვანშასძეების» სახლს. ჩვენი საკითხის თვალსაზრისით საინტერესოა საილუსტრაციოდ, როგორ ემიჯნება ერთმანეთს გრამატიკული შეთანხმების მხრივ ორი ასეთი ენობრივი ფაქტი: იგივე «სახლი შარვანშეთი» და გეოგრაფიული — «მთა[-ი] შარვანშეთისა [-ი]»⁴.

### 4. ღურძუკეთ

თამარ მეფის ეგრეთ წოდებული პირველი ისტორიკოსი (XIII ს.) იქ, სადაც აღწერს ქართველი ლაშქრის მიერ მთიელი ტომების დამორჩილებას იარაღის საშუალებით (1212 წლის ახლახანს), მოწმობს, რომ ამ საქმეში მას ხელს უწყობდნენ ღურძუკეთა ტომის⁵ მეთაურები. ამის შესახებ ისტორიკოსი წერს,

1 დასახელ. ძეგლი, გვ. 13; რუსული თარგმ., გვ. 40.

2 „ისტორიანი და აზნანი“ (კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1941), გვ. 107.

3 დასახელ. ძეგლი, გვ. 35. ისტორიკოსი, ცხადია, აქ გულისხმობს სამხედრო დახმარებას, რომელიც თამარ მეფემ და დავით სოსლანმა აღმოუჩინეს აღსართან შარვანშაპს და მის სიძეს (შამქორის ომი) და რომლის ბრწყინვალედ დასრულების შედეგად, კერძოდ, შარვანშაპი, მანამდე გარეშე მტრისგან დამარცხებული და შირვანიდან საქართველოში გამოქცეული თავის საშველად, კვლავ დაბრუნდა თავის საბრძანებელში (იხ. „ისტორიანი და აზნანი“, კ. კეკელიძის რედაქციით, გვ. 101 და შდგ.).

4 ვახუშტი, საქართვ. გეოგრაფია, გვ. 128 და 129.

5 ღურძუკეთი — მერმინდელი ჩაჩნები. მათი ეთნარქი — ღურძუკი («ქართლის ცხ.» ტ. I, გვ. 22; მარიამის ვარ-ტი, გვ. 8).



თუ როგორ ამოვიდეს ძლუნითა მეფენი დურძუკეთი, მოსცეს ქატიველთ  
სარდალს] ლაშქარი, დაუდგეს გვერცა...», და ა. შ.<sup>1</sup>. დედნის «მეფენი დურ-  
ძუკეთი» ბროსეს გამოცემულ «ქართლის ცხოვრებაში მერმინდელი გადაკე-  
თებული უნდა იყოს, და იკითხება ასე: «მეფენი დურძუკეთანია»<sup>2</sup>. პირველი წანა-  
კითხი (მეფენი დურძუკეთი) სამაგიეროდ ივანე ჯავახიშვილის მიერ გას-  
წორებულია შემდეგი სახით: «მეფენი დურძუკეთისანია»<sup>3</sup>. მაგრამ უფრო სწორად  
მივიჩნევდით ჩვენ, აქაც გამოგვეყენებინა წინა მაგალითები და მათი მიხედვით  
და არქაული ფორმის შეცნობით წაგვეკითხა სახელდობრ «მეფენი დურძუ-  
კეთი», რაიც იგივე უნდა იყოს, რაც «დურძუკიდი მეფეები» (შეადარე: დურ-  
ძუკთა ეთნარქის სახელი «დურძუკ ძე ტირენისია»). მსაზღვრელი («დურძუ-  
კეთი») არ ეთანხმება საზღვრულს («მეფენია») რიცხვში, მაგრამ ეს ბუნებრივად  
ჩაითვლება, რაკი მოცემული ფორმა («დურძუკეთი») გაქვეავებული ჩანს.

## 5. სუქმანეთ

ყველა ზევით მოყვანილ შემთხვევაში, სადაც «ლიპარიტეთ»-ის სახე-  
ლი გრამატიკული მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს, მოცემულია აგრეთვე  
თვით საზღვრულიც, მაგალითად, შემთხვევაში — «მეფენი დურძუკეთანი». მაგრამ  
არის შემთხვევაც, როდესაც საზღვრული არ ჩანს, და მისი გამორკვევა ხერხ-  
დება, საკმაო ზედმიწევნილობით, კონტექსტის მიხედვით. ამის მაგალითს წარ-  
მოგიდგენს სუქმანეთი ი გვარსახელი, ხმარებული ლაშა-გიორგის-დროინდე-  
ლი მემატიანის (XIII ს.) მიერ.

დემეტრე პირველის, დავით აღმაშენებლის ძის, სამხედრო გამარჯვებათა  
მოხსენებისას ეს მემატიანე აღნიშნავს, თუ მეფემ 1130 წ. როგორ ფააქცივნა  
სუქმანეთნი»<sup>4</sup>. სუქმანეთ გვარსახელი ნაწარმოებია სუქმან სახელისა-  
გან, — უნდა იგულისხმებოდეს სუქმან II<sup>5</sup>, ერთ-ერთი «არმენიის შაჰი», ხლათის  
ქვეყნის ბატონი. თუ «სუქმანეთნი»-ს გვერდით საზღვრულად მივიჩნევდით,  
მაგალითად, სიტყვას «ნაყოფენი», მაშინ მივიღებდით, გრამატიკული შეთანხმების  
წესით, კანონზომიერ ფორმას — «ნაყოფენი სუქმანეთნი», იგივე სუქმანიანთ  
შვილი და ძირი (შეადარე: «ნაყოფენი ლიპარიტეთნი»). მაგრამ რაკი მემატიანე  
გვაუწყებს, რომ დემეტრემ ბრძოლაში, თუ ბრძოლებში, resp. ბრძოლის ველზე,  
დაამარცხა მოწინააღმდეგე და ასე ფააქცივნა სუქმანეთნი», ბუნებრივია საზ-  
ღვრულად ვიგულისხმოთ ლაშქარნი, ერნი და მისთანანი. ამრიგად, მოცემულ  
შემთხვევაში შესაწყნარებლად უნდა ვცნათ ბროსეს თარგმანი (=ახსნა) სუქ-  
მანეთნი სახელისა — «Les gens de Soukman», განვრცობილად — დემეტრემო

<sup>1</sup> «ისტორიანი და აზმანი» («ქართლის ცხ.», მარიაშის ვარ—ტი, გვ. 528: «მეფენი: და: დურძუკეთი»).

<sup>2</sup> «ქართლ. ცხ.», ტ. I, გვ. 333.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., წ. II, გვ. 632.

<sup>4</sup> «ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანე» (გამოც. ივანე ჯავახიშვილისა, 1927), სპეც. გვ. 12. — აქვე გვხვდება «სუქმანეთნი»-ს დეფექტური წანაკითხები: სუქმეთნი, სუქმთნი.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., II, გვ. 544.

«mit en fuite les gens de Soukman»<sup>1</sup>. სხვათა შორის, ნათქვამის თანახმად კორექტივს თხოულობს ასეთი სჯა: «... სუქმეთად (sic) აქ შეიძლება ნასარადღინ სუქმან II... იყოს ნაგულისხმევი»<sup>2</sup>, — სუქმ[ან]ეთად აქ ნამდვილად შეიძლება იგულისხმებოდეს სუქმანის, უკეთ, სუქმანიანთ ვილაც (არა თვით სუქმან!): მათი მოგვარე, მოყმე, მოლაშქრე, და ა. შ.

## 6. კონონეთ

აღმოსავლეთის ეკლესიის V—VI საუკუნეთა ისტორიის ფრიად საგულისხმო ეპიზოდს შეადგენდა ქალკედონიტური ქრისტიანობის ბრძოლა მონოფიზიტებთან.

თანამედროვე აგიოგრაფს, კირილე სკვითოპოლელს, სპეციალურად აღუწერია, კერძოდ, ის შფოთი და განხეთქილება, რომელსაც ადგილი ჰქონია მაშინ პალესტინაში, კერძოდ, საბა პალესტინელის მიერ აგებულ ორ ლავრაში<sup>3</sup>. ამ ორთაგან „დიდი ლავრა“ (გვ. 191) დარჩენილა ქალკედონიანთა ბურჯად, ხოლო „ნეა-ლავრა“ (იქვე) ხელთ უგდიათ მონოფიზიტებს (გვ. 221). კირილეს შრომის ქართული თარგმანი, მეცნიერი გამომცემლის დასკვნით, შესრულებული არა უგვიანეს VIII საუკუნის პირველი ნახევრისა და არა უადრეს VII—VIII საუკუნეებისა, ჩვენამდე მოსულა X და XI საუკუნეების ორი ნუსხის სახით. ამათგან გამომცემელს საშუალება ჰქონია გამოეყენებინა მხოლოდ მეორე, ბაგრატ IV მეფის დროინდელი ნუსხა, 1034—1042 წლებს შუა გადაწერილი<sup>4</sup>. ამრიგად, ქვევით მოყვანილი ენობრივი ფაქტები შემონახულა დაახლოებით იმავე დროიდან, რომელსაც მიეკუთვნება ზევით ნასარგებლვეი „მატიანე ქართლისა“<sup>5</sup>-ს ხელნაწერიც.

აღნიშნულ საეკლესიო განხეთქილების ისტორიაში ჩვენს ყურადღებას აპყრობს მონასტრების მებრძოლ მამათა ჯგუფები, უკეთ, ამ დასთა აღმნიშვნელი, ისევ ეთ სუფიქსით გაფორმებული, კოლექტიური სახელები. ეს არის სახელები კონონეთ და ნონონეთ.

ბრძოლაში ერთ მხარეზე მდგარან, კერძოდ, აბბა (= მოძღვარი) კონონი კილიციელი და მისი მოძმე-მოწაფენი, მისი „მავალნი“<sup>6</sup>, ესე იგი მიმდევარნი, ძეგლის გამოთქმით, „კონონ და მისთანანი“<sup>6</sup> და პარალელურად ხმარებული, ჩვენთვის საინტერესო, ფორმით — „კონონეთნი“, უფრო ზუსტად — „აბბა კონონეთნი“. «და ვითარცა აღვიდოდეს აბბა კონონეთნი კონსტანტინეპოლისა, — წერს ერთგან აგიოგრაფი, — თითო სახენი ქირნი შეაჩუენნა მათ ასკიდა» (გვ. 217); ესე იგი როდესაც აბბა კონონეთნი მიემგზავრებოდნენ კონსტანტინეპოლისაკენ, მათ მრავალგვარი ნწუხარება დაატეხა

<sup>1</sup> „ქართლის ცხ.“, ფრანგულად, ტ. I, გვ. 381; ქართული ტექსტი, გვ. 264.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 544.

<sup>3</sup> „კიმიენი“, ტ. II, გამოც. კორნ. კეკელიძისა, თბილისი, 1946.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 117 და 123.

<sup>5</sup> დ.სახელ. შრომა, 218.

<sup>6</sup> ტექსტში: «კონონ და მისთანთა» (მოთხრ. ბრ.), იქვე.



თავს ასკიდამ (= თეოდორემ, გვ. 211<sup>11</sup>), რომელიც ამ დროს მეთაურობდა ორიგენის მიმდევარ მონაზვნებს და განაგებდა ნეა-ლავრას.

ეს აბბა კონონეთნი ჰგულისხმობს აბბა კონონის არა გვარისა და სახლის, არამედ მის (აბბა კონონის) სხვა ვილაცას, კონტექსტით — მის „მავალთა“ წრისა, მისივე სახელით აღნიშნული კოლექტივის წევრებს. მაშ, კონონეთი მსაზღვრელის სათანადო საზღვრულად გამოდგებოდა **მავალი: [მავალ-ი] კონონეთ-ი**, მრავლობით რიცხვში — **[მავალნი] კონონეთნი** (შეადარე: „**ერნი სუქმანეთნი**“).

აღნიშნულისამებრ, ძველის პარალელური გამოთქმა „კონონ და მისთანანი“<sup>1</sup> პირდაპირი განმარტება გამოდის გამოთქმისა — „**კონონეთნი**“.

## 7. ნონოსეთ

ზევით მოხსენებული კირილე სკვითობოლელის მიხედვით, ნეა-ლავრის მოღვაწე მონოფიზიტებად გამოდიან **ნონოს** (ვით ბრძოლისა წინამძღუარი და უღმრთოებისა მთავარი)<sup>2</sup> და **მისთანანი**<sup>3</sup>. ამ გამოთქმისაჲც თან ახლავს მისი შესატყვისი, ჩვენთვის უმთავრესი, არქაული ფორმა — **ნონოსეთა**. აგიოგრაფის ცნობით, ერთხელ ამტყდარი შფოთის დროს ნონოსის მიმდევრებმა თურმე წერილით მფარველობა ითხოვეს იერუსალიმის მთავარეპისკოპოსისგან. ამის შესახებ ვკითხულობთ: **«მაშინ ნონოსეთ წიგნი მიუწერეს მთავარეპისკოპოსსა პეტრეს»,** და ა. შ. (გვ. 214).

აქ **ნონოსეთ** სახელი წრფელობით ბრუნვაშია მოთხრობითის მნიშვნელობით. **კონონეთნი** ფორმის ანალოგიით, სახელობითი იქნებოდა „**[მავალნი] ნონოსეთნი**“ (= „ნონოს და მისთანანი“) და, მაშასადამე, მოთხრობითში თითქო უნდა მიგველო „**[მავალთა] ნონოსეთთა**“. ჩანს, ეს არქაული, **ეთ** სუფიქსიანი, ფორმა ვერ ჰგუობს მოთხრობითი ბრუნვის ნიშანს. შდრ.: **«წარწყმედულობა არს მათდა, ვიეთ [=რომელთაც] შენი ისმინონ»,** კიმენ. II, 48. მოცემული „**ნონოსეთა**“ ამ მხრივ მოგვაგონებს პირთა სახელების ბრუნების ძველ ქართულ ნორმებს.

## 8. პავლეეთ

ჯერჯერობით უძველესად საგულგებელი რედაქციით „საქმე მოციქულთა“-ს ჩვენამდე მოუღწევია ათონისა და № 407 ნუსხის სახით (X საუკუნე). ამ ნუსხეებით, საქ. მოც. XIII, 13 ლაღადებს:

**«წარ-რაგ-ვიდეს პანფტო პავლეეთნი, მივიდეს იგინი პერგედ პანფილიასასა»,** ესე იგი წავიდნენ რა პანფე (=პაფო) ქალაქიდან, პავლეეთნი

<sup>1</sup> ტექსტში: **«ხოლო ნეტარმან კონონ და მისთანათა ვითარცა პოვეს ესე ვითარო უამი, შევიდეს მეფისა»,** და ა. შ. (დასახ. შრ., გვ. 218). ძველი ქართული **მისთანანი** (ნაცვალ-სახელის მრავლობითობით — „**მათთანანი**“, გვ. 214) ითარგმნება როგორც **მასთან მყოფნი**, მიმდევარნი, თანამოაზრენი.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 216.

<sup>3</sup> იქვე, გვ. გვ. 168, 211, 213, 214.

მისულან პერგე ქალაქს. გიორგი ათონელის რედაქციით (XI ს.), აგრეთვე ეფრემ მცირის რედაქციითაც, იგივე ადგილი იკითხება ასე: „წარ-  
ვიდეს პაფოთ პავლე [მოციქული] და მისთანანი იგი, წიად კდეს პერგედ პამფილიასა“<sup>1</sup>.

ეს არის სრული ანალოგია იმისა, რასაც წარმოადგენს ზევით მოყვანილი ჩვენი მაგალითები „კონონეთნი“, resp. „კონონ და მისთანანი“, „ნონოსეთნი“, resp. „ნონოხ და მისთანანი“. მოხსენებული „საქმე მოციქულთა“, XIII, 13, ბერძნულზე იძლევა შესატყვის წანაკითხს: «Ἀναχθέντες δὲ ἀπὸ τῆς Πάφου οἱ πέρσι τὸν Πάσλιον ἦλθον εἰς Πέργην τῆς Παμφυλίας».

ამას შეესატყვისება სომხური წანაკითხი: «*Եւ ամբարձեալ 'ի Պափեսայ Պօղոսեանց՝ եկին 'ի Պերգէ Պամփիլեսայ*».

მსგავსად სომხურისა („პოლოსეან-ქ“), ქართულსაც შეეძლო თითქმის უცოდველად გადმოეცა „პავლეეთნი“ სიტყვით — „პავლიანნი“. ყველა ზევით აღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობთ, დამატებითი განმარტება ამ პუნქტში მკითხველს აღარ სჭირდება.

### 9. გაგიკეთ

ბროსესთვის, ზევით აღნიშნულის თანახმად (იხ. გვ. 133), ლიპარიტეთ და სუქმანეთი ფორმების გარდა, ცნობილი იყო აგრეთვე გაგიკეთი ფორმაც. მომდევნო სტრიქონებში მკითხველი სცნობს, თუ საიდან წარმოდგება ამ უკანასკნელი სიტყვის ახსნის სირთულე და იმასაც, თუ რატომ ბროსესაც გასძნელებია მისი გაგება და გადათარგმნა.

მატიანე ქართლისაჲს-ს მიხედვით, ბაგრატ IV-ის ბრძოლა საქართველოს ძლიერებისათვის XI ს-ის მესამოცე წლებში გავრცელებულა ე. წ. ქვემო ქართლის თემებზე, სომხითის (resp. გუგარეთ-არწახის) მხარეში, მაშასადამე, შამქორ-განძის მისადგომებზე, სადაც, სავარაუდებელია, არსებობდა შუა საუკუნეებში განთქმული ციხე-სიმაგრე გაგი<sup>2</sup>. ცნობილია, რომ გაგი და ქურღ-ვაჭრის ხევი (=მდ. დებედა) ტერიტორიულად ერთმანეთთან ყოფილა დაკავშირებული. თამარ მეფის ისტორიაში აღნიშნულია ანონიმის მიერ<sup>3</sup>, რომ ამ მეფემ თავის ერთ სახელოვან სარდალს, ზაქარია ვარდანისძეს, ფეოდალური წესით, «უბოძა გაგი ქურღვაჭრითა [—მამული, გავწდილი] განძამდისა»-ო, და ა. შ.

ბაგრატ IV-ის შესახებ ზევით მოხსენებული მატიანის ტექსტში თავის ადგილზე იკითხება შემდეგი, ლაკონიკური, წინადადება: «და მოართუეს [ბაგრატს] გაგიკეთი და აღიღო აფხაზთა მეფემან [ბაგრატ] გაგი-ო»<sup>4</sup>. ეს მომხდარა მაშინვე, როდესაც მეფე, ალპ-არსლან სულტნის შუამდგომლობით, შერი-

<sup>1</sup> ეს მაგალითი ეთ სუფიქსიანი კოლექტიური სახელის ხმარებისა („პავლეეთნი“) და მისი აღწერილობითი წესით გადმოცემისა („პავლე და მისთანანი იგი“) ჩვენ თავაზიანად მოგვაშველა ილია აბთულაძემ.

<sup>2</sup> „ქართლის ცხ.“, ფრანგ., I, გვ. 228, შენ. 4 და 5.

<sup>3</sup> „ისტორიანი და აზმანი“ = „ქართლის ცხ.“, მარიამის ვ—ტი, გვ. 442.

<sup>4</sup> „ქართლის ცხ.“, გამოც. ბროსესი, ტ. I, გვ. 233 = მარიამის ვ—ტი, გვ. 275.



გებია განძის მფლობელს, თადლონს, მუსლიმანური დინასტიის, შედღაღიღებულს წარმომადგენელს, დაახლოებით 1069 წ.<sup>1</sup>

აღნიშნული წანაკითხი (და მთარუეს გაგიკეთი...) დაცული აქვს ანა დედოფლის „ქართლის ცხოვრების“ გამომცემელსაც (იხ. ქვევით). იგივე წანაკითხი ციტატად მოჰყავს სათანადო ადგილზე ი. ჯავახიშვილსაც<sup>2</sup>.

საგულისხმოა, რომ ვახუშტის თავის შრომაში, სადაც ჯერ არს, სიტყვა „გაგიკეთი“ სულ არ შეუტანია, ხოლო გეოგრაფიული სახელი გაგი რაღაც მიზეზით გაკი ფორმით ჩაუწერია: „და კვალად აღიღო გაკი ბაგრატი მეფემანა-ო, წერს იგი<sup>3</sup>“.

ბროსეც, თვითონ პირველი გამომცემელი და მთარგმნელი ტექსტისა, ჩაუთქვრებია შესამოწმებელ წინადადებაში სწორედ გაგიკეთი სახელს და მას უმჯობინებია ამ სახელის როგორმე მოვლა. მის თარგმანში ეს გაგიკეთი მართლაც შეცვლილია აღწერილობითი გამოთქმით — *გაგი და მისი ტერიტორია*, ხოლო მთელი წინადადება გამართულია ასე: *ამავე დროს მთარუეს (on offrit) გაგი და მისი ტერიტორია აფხაზთა მეფეს, და იგიც დაეუფლა გაგსა<sup>4</sup>*. გამოდის, ბროსემ, ხალხური ენით რომ ვთქვათ, იძალა და *გაგიკეთი* გადააკეთა *გაგის ტერიტორიად*. ეს იქნებ შესაწყნარებელიც ყოფილიყო, თუ დედანში გვექნებოდა ჩაწერილი არა გაგიკეთი, არამედ გაგეთი.

მთარგმნელის მიერ არჩეული ხერხი, ბუნებრივია, თვითონ ამრჩევლსაც არ მიუღია უეჭველობით. ბროსე ამის შესახებ სათანადო სქოლიოში ასე მსჯელობს (ფრანგულ ენაზე)<sup>5</sup>:

«სიტყვა გაგიკეთი, აქ [= „მატანე ქართლისაჲ“-ს დედანში] ნახმარი, თუმცა უჩვეულო, — წერს ბროსე, — მგონია, უნდა აღნიშნავდეს ცნებას — *გაგიკის ქვეყანა*. მაგრამ, — განაგრძობს მთარგმნელი, — წინადადების ბოლო, სადაც იკითხება *გაგია*, ვფიქრობ. უფლებას გვაძლევს — [გაგიკეთი] იმ მნიშვნელობითაც გავიგოთ, რომელიც მე ავირჩიე [= *გაგი და მისი ტერიტორია*].»

ამას უშუალოდ მოსდევს ბროსეს მჯელობა ვახუშტის იმ წანაკითხის გამო, რომელიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ და რომელიც, გავიმეოროთ, გაშართულია ასე: *და კვალად აღიღო გაკი ბაგრატი მეფემანა-ო. ი ბროსეს ნაფიქრი ამის თაობაზე: ამისდა მიხედვით, — მსჯელობს ბროსე, — თუ რა მანერით წერს ვახუშტი, გვ. 52<sup>6</sup>, ამ ფაქტს შესახებ, ჩვენ ვხედავთ, რომ მას საქმე ესმოდა პირველი მნიშვნელობით [= *გაგიკის ქვეყანა, le pays de Gagic*]: „ბაგ-*

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტ., წ. II, გვ. 453—455.

<sup>2</sup> დასახელ. შრ., გვ. 455.

<sup>3</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტ., რედ. დ. ბაქრაძე, თბილისი, 1885, გვ. 165.

<sup>4</sup> „ქართლის ცხ.“, ფრანგულად, ტ. I. გვ. 334

<sup>5</sup> იქვე, გვ. 334, შენ. 5.

<sup>6</sup> ეს ბროსეს მიერ მიითვლება გვ. 52 მჯელობას ვახუშტის სათანადო შრომის ხელნაწერის ჩვენს; ეს შრომა დაიბეჭდა, დ. ბაქრაძის მიერ, ბროსეს გარდაცვალების შემდეგ.

რატ მეფემ, მოწმობს იგი [=ვახუშტი], აილო ხელახლა (de nouveau)<sup>1</sup> „გაკი“  
თუ აქ, — განაგრძობს ბროსე, — საქმე ჰხებოდა ციხე გაგს, რომლის თაობაზე  
ერკლად იქნება მოხსენებული ორბელიანთ ისტორიაში<sup>2</sup>, მაშინ ის  
[=ვახუშტი] სხვარიგად დასწერდა.

ბროსე მთელ ამ შენიშვნას ათავებს მითითებით: «შეადარე ლიპარიტეთი,  
გვ. 181, 187, და სუქმანეთი, გვ. 381»<sup>3</sup>.

ბროსეს ამ შენიშვნაში, გარდა ხელოვნური გაიგივებისა (ვაგიკეთი =  
ვაგის ტერიტორია!), მთლად ნათელი არ არის მოსაზრებაც ვახუშტის  
შესახებ: მაინც რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ვახუშტის, რამდენადაც მას ჩაუ-  
წერია «გაკი» (და არა «გაგია»), ვაგიკეთიც შესმენილი უნდა ჰქონოდა, რო-  
გორც «ვაგიკის ქვეყანა». ბროსეს ეს მოსაზრება, ჩანს, დამყარებულია იმ  
ფაქტზე, რომ ვახუშტის მიერ შეთვისებულ ონომასტიკონში სახელი ვაგიკი  
მოცემულია ფორმით — «გაკია»; მისი მართლწერით, ვაგიკ დავითის ძე,  
მეფე კახთა (XI ს-ის შუა წლები) აღნიშნულია უცნაური სახელით — «გაკ-ია»  
«მაშინ იყო, — ვკითხულობთ ერთგან, — კახთა მეფე ვაკი ძე სომეხთა მეფისა»,  
და ა. შ.<sup>4</sup>. ბროსე, თავის მხრივ, როგორც ეს ემჩნევა მის, ზევით ციტებულ,  
შენიშვნას, ასე სჯის: თუ ვახუშტის ენაზე «გაკი» ჰნიშნავს ვაგიკ-ს, მაშინ  
ვახუშტისეული გეოგრაფიული სახელი «გაკია»-ც, ჩანს, უკავშირდება იმავე  
ვაგიკ-ს, ვაგიკეთი სახელის ფუძეში მოცემულს, სხვა სიტყვით — ვახუშტის  
ენაზე «გაკია»-ს შეეძლო აღენიშნა როგორც პირის სახელი ვაგიკი, ისე  
ცნებაც — «ვაგიკის ქვეყანა», იგივე ვაგიკეთი.

<sup>1</sup> დედანში: «კვალად», რაც აქ კანონზომიერად უნდა გადმოთარგმნილიყო სიტყვით  
«შემდგომ», «après».

<sup>2</sup> იგულისხმება სტ. ორბელიანის (XIII ს.) «სივნიეთის ისტ.», რომელიც ბროსე-  
სემ ფრანგულად დაბეჭდა სათაურით «Hist. de la Siounie, I—II livr., სპბ., 1864—1866.

<sup>3</sup> «Le mot ვაგიკეთი, ici employé, quoique insolite, me parait signifier «le pays de  
Gagica»; mais la fin de la phrase, où on lit ვაკი, me parait autoriser le sens que j'ai  
adopté. De la manière dont Wakhoucht parle de ce fait, p. 52, on voit qu'il comprend la  
chose dans le premier sens: «Le roi Bagrat, dit-il, prit de nouveau Gag. S'il s'agissait  
de la citadelle de Gag, dont il sera amplement fait mention dans l'histoire des Orbélians,  
il aurait je crois écrit autrement. Cf. ლიპარიტეთი, p. 181—187 et სუქმანეთი, p. 381».

ამ შენიშვნაში ბროსეს მიერ გვერდები აღნიშნულია „ქართლის ცხოვრების“, შემდგომ  
მისგანვე დაბეჭდილის, ხელნაწერის პაგინაციის მიხედვით. ამრიგად გამოდის ტექსტის — \*181,  
გვ. 223 (ფრანგულის გვ. 317). \*187, გვ. 228 (ფრანგ., გვ. 326) და \*231, გვ. 264 (ფრანგ.,  
გვ. 381 და არა გვ. 371, შეცდომით აღნიშნული გამოცემაში). ეს მითითებები ჩვენ სისრულით  
გვაქვს გამოყენებული.

<sup>4</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტ., დ. ბაქრაძის რედაქციით, გვ. 154. — რაც შეეხება  
«გაკი» სახელს, ის აღბათ ნაწყვეტია «გურგაკი» სახელისა («გურ-ვაკი»), ხოლო ეს «გურგაკი»,  
„ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეულ ნუსხაში, ორ შემთხვევაში ენაცვლება  
ვაგიკ სახელს: ახსართან კახეთის მეფის მამა ვაგიკი („ქართლის ცხ.“, გამოცემა ბროსესი,  
ტ. I, გვ. 230 = მარამის ვ-ტი, გვ. 270) იქიწოდება «გურგაკი»-ად („ქართლის ცხ.“, ანა დედო-  
ფლის ნუსხა, რედ. ს. ყაუხჩიშვილი, თბილისი, 1942, გვ. 192). მსგავსადვე ისახლება «გურგაკი»  
წანა სომეხთა მეფე (დასახელ. შრ., გვ. 176).



ამ სტრიქონებისა და, კერძოდ, ზემორე მოყვანილი ბროსეს შერევის მკითხველი თვითონვე დაასკვნის, რომ დასახელებული მკვლევრის წერნი მხოლოდ ართულებს ვახუშტის წინადადების ახსნას: «და კვალად აღილო გაკი ზაგრატ მეფემანა-ო. არ არის დამაჯერებელი ის მოსაზრებაც, თითქოს ვახუშტის აქ არ შეეძლო გულში ჰქონოდა გაგი. ამ მტკიცებას არ ეთანხმება წყაროების ზევით აღნიშნული ადგილები, რომელნიც ერთპირად ასახელებენ სწორედ გაგს.

მაინცდამაინც, ჩვენთვის უშუალო ინტერესს წარმოადგენს „მატიანე ქართლისაჲ“-ს თავის ადგილზე მოყვანილი წინადადება: «და მთართუეს [ზაგრატს] გაგიკეთი, და აღილო აფხაზთა მეფემან გაგია-ო. მართალია, ბროსე ამჯობინა — გაგიკეთი განმარტებულყო როგორც «გაგის ტერიტორია», მაგრამ, ამავე დროს, მოიგონა რა მის მიერვე შემჩნეული მნიშვნელობა სახელებისა «ლიპარიტეთი» და «სუქმანეთი», შესაძლებლად ჩასთვალა, რომ გაგიკეთი ახსნილიყო როგორც «გაგიკის ქვეყანა»-ც. საერთოდ, ეს ეგუება ყველა ზევით ნათქვამს — ვთ სუფიქსიანი გვარსახელების შესახებ, ოღონდ ბროსეს აქაც უგულებელყოფილი აქვს თანმიმდევრობის პრინციპი და გაგიკეთი ახსნილი, ვით «გაგიკის ქვეყანა» და არა როგორც, ჩვენი ფიქრით, უფრო ზუსტი — «გაგიკის გვარის (resp. სახლის) კუთვნილი ქვეყანა: როგორც მამულ-ი ლიპარიტეთ-ი», ისე — «ქუეყანაჲ გაგიკეთი».

მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ მოყვანილ წინადადებაში (და მთართუეს გაგიკეთი და აღილო აფხაზთა მეფემან გაგია), ვფიქრობთ, სულ უადგილოა მსაზღვრელი «გაგიკეთ-ი» (იგულისხმება — საძიებელი ქვეყანა-ი გაგიკეთ-ი). თუ, ვთქვათ, გაგიკეთი მართლა «გაგიკის ქვეყანა-ა», pays de Gagie, და გაგის ციხეც იქ იყო, მაშინ, ცხადია, მეფე მარტო გაგს არ აიღებდა («... და აღილო აფხაზთა მეფემან გაგია»). ან თუ გაგიკეთი არ უკავშირდება გაგს გეოგრაფიულად, მაშინაც დაუწყობელი გამოდის ეს «მთართუეს გაგიკეთი და აღილო ... გაგია»!

ან ვინ იყო ასე «მოპრთმევი», სად ჩანს ქვემდებარე? ამაზე პასუხის გისაცემად, ვფიქრობთ, შემწეობას იძლევა ისევ ე. წ. ანა დედოფლის «ქართლის ცხოვრება», ჩვენ მიერ ზევით დასახელებული, სახელდობრ, იქ დაცული «მატიანე ქართლისაჲ».

მის ტექსტში ჩვენთვის საინტერესოა წინადადება (და მთართუეს გაგიკეთი...), სარედაქციო მუშაობის პროცესში, გამომცემელს შეუჯერებია და შეუთანხმებია «ქართლის ცხოვრების» სხვა გამომცემებსა და ხელნაწერებთან, რომელნიც ნაწილობრივ ჩვენ მიერ არიან ზევით დასახელებული. ამის შედეგად იმ წინადადებისთვის შერჩეული აღმოჩნდა, როგორც ვითომ უფრო კანონზომიერი, წანაკითხი — «გაგიკეთი», ასე პოპულარული აღნიშნული ხელნაწერებისათვის, ხოლო ანასეული ტექსტის კუთვნილი წანაკითხი — «გაგიკეთა» (წრფელობითი ბრუნვა), როგორც ვითომ არა კანონზომიერი, ან ნაკლებ სანდო, ჩატანილია სქოლიოში სათანადო პირობითი ნიშნით<sup>1</sup>.

<sup>1</sup> დასახელებული შრ., გვ. 196 და შენ. 1.

ჩვენ სწორედ ამ წრფელობითი ბრუნვის ფორმაში ვამჯობინებდით. ნახა ეს სახელი (=გვარსახელი) და სათანადო წინადადება წაგვეკითხა. და მოართუეს გაგიკეთ (=გაგიკადებმა, გაგიკიანებმა), და აღილო აფხაზთა მეფემან გაგი. მაშ, «მიმრთმეენია» უნდა ყოფილიყვნენ «გაგიკეთ» (=გაგიკ და მისთანანი) და ამლები — მეფე. მოვივროთ ზევით განხილული, სრულიად ანალოგიური წინადადება: «მაშინ ნონოსეთ წიგნი მიუწერეს მთავარებისკოპოსსა პეტრეს» (იხ. ზევით, გვ. 142).

ამრიგად, ჩვენი წინადადების არქაული, უბრუნვისნიშნოდ ხმარებული გაგიკეთ შეესატყვისება ძველ ქართულ ფორმას — გაგიკ<sup>1</sup> და მისთანანი, გაგიკიანი (შეადარე: კონონეთ resp. კონონ და მისთანანი, იხ. ზევით, გვ. 142; ნონოსეთ, resp. ნონოს და მისთანანი, გვ. 142).

ზევით ჩვენ შევნიშნეთ, რომ გაგიკეთი, ბროსეს ინტერპრეტაციის თანახმად, შეიძლებოდა გაგებული ყოფილიყო ვით გაგიკის ქვეყანა-ც (იხ. გვ. 144). ხოლო ამას ის დაესძინეთ, რომ, თუ ჩვენ ტექსტში გვექნებოდა სახელდობრ გაგიკეთი (და არა ჩვენ მიერ ამარჩეული გაგიკეთ), მაშინ მართლა შეიძლებოდა აგვეხსნა ის ვით მსაზღვრელი ცნებისა «ქვეყანა», «ქუეყანა», მასთან სინტაქსური შეთანხმებით: «ქუეყანა-ა გაგიკეთ-ი», ისევე, როგორც ჩვენი «მამულ-ი ლიბარიტეო-ი». შემდეგ ამ სინტაქსური შეფარდებიდან შეიძლებოდა დარჩენილიყო მხოლოდ მსაზღვრელი — გაგიკეთი (იმავე მნიშვნელობით) სწორედ ისე, როგორც ეს შევნიშნეთ ჩვენ ასეთ შემთხვევებში: სუქმანეთი = [ნაყოფ-ნი] სუქმანეთ-ნი (იხ. ზევით, გვ. 140), გინა «სუქმან და მისთანანი»; კონონეთი = [მავალნი, resp. მიმდევარნი] კონონეთნი, იგივე კონონ და მისთანანი (იხ. ზევით, გვ. 141), პავლეეთი = [მავალნი] პავლეეთნი, ანუ «პავლე და მისთანანი» (იხ. ზევით, გვ. 143); აგრეთვე: «შამირამეთი», ქვევით, გვ. 150).

მსაზღვრელის მნიშვნელობის გაგება საზღვრულის მოუშველებლად, ნაგულისხმევი საზღვრულის აღდგენა თუ მიგნება, როგორც შევნიშნეთ ტექსტის წაკითხვის მოცემულ შემთხვევაში, ხდება კონტექსტის მიხედვით.

ერთხელვე პირობით ნახმარი ლიტონი მსაზღვრელი დროთა ვითარებაში «მავრდებოდა» და «ქვავედებოდა» მომხმარებელთა ცნობიერებაში და ენა-მეტყველებაში, მეტადრე როდესაც ნაგულისხმევი საზღვრული იყო «დიდი» რამე, სტაბილური და «მარადიული» ან მარადიული, ვთქვათ, კერძოდ, ქვეყანა, მისი ნაწილები.

ამ წერილში წარმოდგენილი ფაქტები, განხილული ეთ-სუფიქსიანი გვარსახელების ბუნება და ხასიათი, ვფიქრობთ, საფუძველს იძლევა საკითხის აღძვრისათვის გეოგრაფიული ეთ-სუფიქსიანი სახელების წარმოშობის შესახებაც.

ზევით მოხსენებული «მამული ლიბარიტეთი», როგორც იტყვიან, დროთა ვითარებას შეიძლებოდა გადარჩენოდა ლიტონი გაქვავებული მსაზღვრელის

<sup>1</sup> ეს გაგიკი უნდა იყოს ვახუშტის მიერ «გაკი» სახელით აღნიშნული მეფე (იხ. ზევით, გვ. 144), კახეთის მეფე, თანამედროვე ბაგრატ IV-ისა და მონაწილე 1039—1046 წ.წ. ამბებისა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტ., წ. II, გვ. 438—439).

სახით — «ლიპარიტეთი» (შეადარე: სალიპარტიანო)<sup>1</sup>, მსგავსადვე გაგიკეთი, იმავე ფუნქციის შემსრულებელი, როგორისაც სომხური ული სახელი გაგკაკერტი<sup>2</sup> (=გაგიკის კერტი, ანუ მხარე).

ერთი სიტყვით, «ლიპარიტეთი» და «გაგიკეთი» თეორიულად, ცხადია, შეიძლება გეოგრაფიულ სახელებად გადაქცეულიყო.

უთუოდ ამ გზით, გვარსახელებიდან წარმოშობით, უნდა ჩამოყალიბებულიყო ცნობილი ქართული გეოგრაფიული სახელები:

ბუზმარეთი<sup>3</sup> (= «მამულ-ი ბუზმარეთ-ი», ესე იგი ბუზმარიანთ გვარის მამული, სოფელი, ქვეყანა), ნაწარმოები პირის სახელისაგან — ბუზმარი<sup>4</sup>.

არშაკეთი (შეადარე: სომხ. გეოგრ. სახ. არშაკაევან, რომელშიც ფანანიშნავს «სახლს») — პირის სახელისაგან არშაკი. ევსტათი მცხეთელი (VI ს.), მისი განკითხვის შემს, ქართული მარტიროლოგის მიხედვით, აძლევდა უსტამ ცინისთავს მცხეთაში ასეთ ჩვენებას: «მე სოფლისა სპარსეთისაჲ ვიყავ, ვევისა არშაკეთისაჲ, ქალაქისა განძაკისაჲ ვიყავ...»<sup>5</sup>.

კვირიკეთი — პირის სახელისაგან კვირიკე (სოფელია გურიაში)<sup>6</sup>.

კვირიკეთის მთა (ვახუშტი, გეოგრაფია, გვ. 40). «კვირიკეთის მთას უწოდებენ ეკლესიისათვის, რომელი შენებულ არს თხემსა მთისასა, წმიდის კვირიკესი» (დასახელ. შრომა, გვ. 41).

სვიმონეთი — სოფელია იმერეთში (დასახელ. შრ., გვ. 152).

ქობულეთი — პირის სახელისაგან ქობული (შეადარე: ქობულის-ძე, ანუ ქობულიძე, ქვაბულიძე, ქობულაძე).

ამის ანალოგიით აგებულია ტიტულის აღმნიშვნელი სახელისაგან (პატრიკ, პატრიკიოზი) ნაწარმოები —

პატრიკეთი — სოფელია იმერეთში.

ცხადია, რომ გვარსახელების მსგავსად ტომობრივი სახელებისა — განაც უნდა წარმოებულიყო ეთ სუფიქსიანი ფორმის გეოგრაფიული სახელები, მაგალითად:

ოსეთი — ტომსახელისაგან ოსი;

რუსეთი, აფხაზეთი, კახეთი, და ა. შ.

<sup>1</sup> ვახუშტი, გეოგრაფია, რედ. თ. ლომოური და ნ. ბერძენიშვილი, 1941, გვ. 167.

<sup>2</sup> თომა არწრუნი, არწრუნიანთ სახლის ისტ., სომხ. ენაზე, ს.-პეტერბურგი, 1887, გვ. 256.

<sup>3</sup> იხ. «გურჯისტანის [=საქართველოს] ვილაჟეთის დიდი დავთარი» (XVI ს.); წ. II, გამოც. ს. ჯიქიასი, თბილისი, 1941, გვ. 210 და 211.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტ., წ. I, თბილისი, 1928, გვ. 217. — აქვე ვკითხულობთ: „საქართველოში რომ ამგვარი სახელი უნდა ყოფილიყო, ამას ჯავახეთის სოფლის «ბუზმარეთ»-ის სახელი ამტკიცებს“-ო.

<sup>5</sup> იხ. „ევსტათი მცხეთელის მარტივობა“ = ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, თ. 1946, გვ. 44, 45 და 48.

<sup>6</sup> შლრ. სოფ. კვირიკე (ს. ქდენტი, გურული კილო, თბ. 1936, გვ. 19).

თეორიულად, ოსეთი, მაგალითად, აღრინდელი შემეცნებით უნდა ყოფილიყო მსაზღვრელი, რომლისთვისაც იგულისხმებოდა საზღვრული «ქუეყანა», «მხარე»: «ქუეყანა-ჲ ოსეთ-ი». შემდეგ აქედან ბუნებრივად უნდა დარჩენილიყო ერთი ოსეთი, გაქვავებით უკვე გადაქცეული არსებით და არა ზედსართავ სახელად. სხვათა შორის, განვითარების სწორედ ანალოგიური წესით ჩანს წარმომდგარი კერძოდ გეოგრაფიული სახელი «კავკასია».

კავკასია არის ბერძნული ფორმის მსაზღვრელი (=კავკასკიე) საშუალო სქესისა, რომელიც ეთანხმებოდა საზღვრულს მრავლობით რიცხვში — მთანი: «ორე კავკასია» (ὄρη Καυκάσια)<sup>1</sup>, ამ შეფარდებას ცხოველ მეტყველებაში მოსცილდა «ორე» = მთანი და დარჩა კავკასია: იგივე შეფარდება მხოლოდობით რიცხვში ბერძნულში იქნება «ოროს კავკასიონ» (ὄρος Καυκάσιον); შესაძლებელია აქედან არის ჩარჩენილი ხმარებაში — კავკასიონი.

აქ აღარ ღირს იმის განმარტება, თუ შემდეგში რამდენად გავრცელდა ეს სუფიქსიანი ფორმა გეოგრაფიული სახელებისა. ანალოგიის წესით შესაძლებელი გახდა შემუშავებულიყო, კერძოდ, ფორმები: აჭრიკეთი<sup>2</sup>, ეგრეთი<sup>3</sup> (=ეგრისი), და სხვ.

## 10. შამირამეთ

ამ სახელის ინტერპრეტაციას საგულისხმო ისტორია აქვს.

ბასილი (XIII ს.) სხვა მის დროინდელ პოლიტიკურ მოღვაწეთა რიცხვში ასახელებს შესანიშნავ დედაკაცს, დედოფალ რუსუდანს. კარგად ცნობილია, რომ ის იყო თამარ მეფის მამიდა, 1184 წლის ახლობანს უკვე დაქვრივებული. ისტორიკოსის მოწმობით, ის ყოფილა გათხოვილი ირანში, იგულისხმება, სელჯუკურ-თურქულ სახელმწიფოში, უფრო დაწვრილებით — ის ერთ დროს ყოფილა რძალი ხორასნის «სულტნებისა» (მხოლოდ დაქვრივების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულა და აქ უძღვებოდა საქვეყნო საქმეს).

ბასილის ძველქართულით, რუსუდანი იყო სძალყოფილი დიდთა სულტანთა შამირამეთი<sup>4</sup>.

შევნიშნოთ, რომ ტექსტის ამ წანაკითხს — შამირამეთი — ერთ ხელნაწერში ვხედავთ შეცვლილს (უკეთ, წარყვნილს ასეთი ფორმის არ-მცოდნე გადამწერის მიერ). ტექსტის მეცნიერ გამომცემელს, თავის მხრივ, ორი მოცემული ფორმიდან სწორედ ფორმა შამირამელთა აქვს დატოვებული დაბეჭდილ ტექსტში, ხოლო უთუოდ კანონზომიერი არქაული ფორმა შამირამეთი სქოლიოშია ჩატანილი.

<sup>1</sup> პტოლემ., გეოგრ. = Латышев, Изв. древн. писателей, т. I, გვ. 238. — შედარე ლეონტი მროველის (XI ს.) «კავკასიანი» (=კავკასი, კავკასია; იხ. «ქართლის ცხ.» გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა, გვ. 276) და თურქ. «Kafkasya».

<sup>2</sup> «ქართლის ცხ.», მარიაშვილი, გვ. 327.

<sup>3</sup> იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, გვ. 349. გამოც. ზ. ჭიჭინაძისა, 1895.

<sup>4</sup> ბასილი ეხოლმოდვარი, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, თბ. 1944, გვ. 13, 11; რუსული თარგმ., გვ. 40.



ეს შერჩევა სამართლიანად დაიწუნა კ. კეკელიძემ<sup>1</sup>. მაგრამ ჩვენი განხილული ფაქტების გავლენით — ფიქრობთ, რომ პატივცემული მცნების კუთვნილი არჩევანიც არ არის წუნდაუდებელი. მისი განმარტება ამის თაობაზე პრინციპული მნიშვნელობისა გაზღავთ, და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, ტექსტულურად მოვიყვანოთ აქ შესაფერისი ციტატი.

მკვლევარი ეხება ჩვენთვის საინტერესო წანაკითხს (სძალ-ყოფილი დიდთასულტანთა შამირამეთი) და კითხულობს: «რას ნიშნავს ამ წინადადებაში «შამირამეთი»? — და პასუხად იძლევა შემდეგს:

«ბასილის ისტორიის გათმომცემელს, აკად. ი. ჯავახიშვილს, და ამ ისტორიის რუსულად მთარგმნელს, პროფ. ვ. დონდუას, ეს სიტყვა გაუგიათ, როგორც გეოგრაფიული სახელწოდება: სულტანთა შამირამელთა — султанов: шамирамских; მაგრამ, — განაგრძობს ავტორი, — ჯერ ერთი, ასეთი გეოგრაფიული პუნქტი [scilicet: შამირამი — Шамирам რომ ჰქვიოდეს] ცნობილი არაა, მეორე — ტექსტში არის არა «შამირამელთა», არამედ «შამირამეთი». ჩემი აზრით, — განმარტავს შემდგომ მკვლევარი, — «შამირამეთი» არის გაერთიანება ორი სპარსული სიტყვისა, რომელნიც შემდეგი დროის გადამწერისთვის გაუგებარნი აღმოჩენილან; ერთი მათგანია საკუთარი სახელი «შამირა», ხოლო მეორე — დამახინჯებული სპარსულივე «მეჰინა», რომელშიაც ბოლოკიდური ნ ქართულში გადმოსვლისას მოვარდნილა, შ-კი გრაფიკულ ნიადაგზე, ნუსხა ხუცურში მსგავსების გამო, გადამწერს მიუღია თ-და (გვ. 2, სვეტი 3).

აქ ყურადღებას იქცევს ჯერ კატეგორიული და ჩვენთვის მოულოდნელი მტკიცება პატივცემული მკვლევარისაგან, თითქო ისეთი გეოგრაფიული პუნქტი, რომელსაც ერქვას შამირამი, ცნობილი არ იყოს. «ჯერ ერთი, ასეთი გეოგრაფიული პუნქტი ცნობილი არაა»-ო. ეს მტკიცება, რა თქმა უნდა, გაუგებრობაზეა დამყარებული, რამდენადაც, შამირამი, ვით გეოგრაფიული პუნქტი, რასაკვირველია, ცნობილია.


ჩვენ არ ვიცით, ივანე ჯავახიშვილი, ვით სპეციალისტი ისტორიული გეოგრაფიისა, რამდენს დაასახელებდა შამირამის სახელით ცნობილ პუნქტს. ჩვენის მხრივ აღვნიშნოთ შამირამი (შამირამ, resp. შამირამ ციხე) ქაოშის თემისა<sup>2</sup> (ვასპურაკანში), აგრეთვე «შამირამის ქალაქი», იგივე ქ. ვანი (მოსე ხორენელი და მერძინდელი სომეხი მეისტორიენი).

ეს გეოგრაფიული სახელი არაბულ წყაროებშიც ყოფილა მოხსენებული X—XI საუკუნეების ამბებთან დაკავშირებით: იქ ჩანს დეილემის თემის (გილანი) ქებული ქალაქი Samirōm, იგივე Chamirān, Samirān<sup>3</sup>.

<sup>1</sup> კორნელი კეკელიძე, საქართველო და ნიზამი განჯელი, გაზ. „სახალხო განათლება“, 25. IX. 47, № 39, გვ. 2.

<sup>2</sup> თომარაწრუნი (სომხ. ტ—ტი, ს.-პეტერბ., 1887), გვ. 270.

<sup>3</sup> Ci. Huart, Le Mosâfirides de l'Adherbaïdjân კრებულში A volume of oriental studies presented to Edward G. Browne (კემბრიჯი, 1922), გვ. გვ. 252, 254; 233. — ამ შრომაზე ჩვენ თავაზიანად მიგვიითია ი. პეტრუშევსკიმ.



მაგრამ უმთავრესი ახლა ჩვენთვის, ცხადია, ეს გეოგრაფიული «**შამირა**» არ არის. კორნელი კეკელიძის ზევით ციტატად მოყვანილი განმარტების თანახმად, ბასილის ისტორიის სათანადო ადგილას შეუბუღალავი წანაკითხი თითქო უნდა ყოფილიყო ასეთი: «...სძალ-ყოფილი დიდთა სულტანთა **შამირა** [=საკუთარი სახელი] **მეჰინ** [=დიდი]...», ხოლო ციტატის მეტი გაშლით: — «ვარდაი-ცვალა მეფე გიორგი და იქმნა გლოვა და მწუხარება უზომო [,] უფროსდა [=მეტადრე] დასა თუისსა **რუსუდანს**. ესე იყო სძალ-ყოფილი დიდთა სულტანთა **შამირა მეჰინ** და დედოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა...».

ჩვენის შეხედვით, **შამირამეთი**-დან ასე **შამირა მეჰინ**-ის აღდგენის ცდა ხელოვნურია. საერთოდ, ქართულ ძეგლში ეს სპარსული ზოგადი სახელი «მეჰინ» (=დიდი) მოცემულ კონტექსტში ხორცმეტად გამოჩნდებოდა. მკვლევარის ამ კონიექტურას ძალას ვერ ჰმატებს მისი არგუმენტაციის დანარჩენი ნაწილიც, რომელიც, ავტორის ზოგიერთი ლაკონიკურად გამოხატული აზრის საჭირო განვრცობით, შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით.

ბასილი, კ. კეკელიძის აზრით, რუსუდანს უწოდებდა «**შამირა მეჰინ**»-ს და არა «**შამირამეთი**»-ს. რომ ბასილის ხელნაწერში თავდაპირველად ვითომ უნდა წერებულყო «**შამირა მეჰინ**», ამის შემოწმება თითქო ხერხდება ბასილის შრომასთან ნიზამი განჯელის პოემის, «ხოსროვ-შირინიანის», შეჯგურებით. ნიზამის ეს პოემა პატივცემული მეცნიერისათვის, მისი წერილის მიზანდასახულების შესაბამისად, დიდი მნიშვნელობის წყაროს შეადგენს. ეს პოემა თითქო ჰშველის ავტორს — დაასაბუთოს ის, მისთვის მთავარი, დებულება, რომ «**ნიზამი პირადად, უშუალოდ იცნობდა საქართველოს**» (გვ. 2, სვეტი 2), მის საზოგადოებრიობას, მის შემოქმედებას. და აი, მკვლევარიც ავითარებს შემდეგ დებულებებს:

ნიზამის თავის პოემაში გამოხატული ჰყავს, სხვა პირთა შორის, ვინმე დიდი ბანოვანი, «მბრძანებელი, მეფეთა შთამომავლობის», პორტრეტული ნახაზებით საერთოდ მსგავსი რუსუდან დედოფლისა. ამ მსგავსებას, რომელიც, მკვლევარის სამართლიანი მოწმობით, სხვა სპეციალისტებსაც<sup>1</sup> აღუნიშნავთ (გვ. 2, სვ. 2—3), ჩვენ კიდევ შევცხებით ქვევით. შემდგომ: ნიზამით, იმ დიდ ბანოვანს სახელად ეწოდებოდა **შამირა**, მასვე ეწოდებოდა აგრეთვე **მეჰინ ბანუ**, ქართულად — **დიდი ქალბატონი** (სვ. 3).

მაშასადამე, — მოწმობს მკვლევარი, — ახალი საშუალებით მტკიცდება ცნობილი დებულება, რომ ნიზამის «**დიდი ქალბატონი**» — რუსუდანია. ამ ორ ქალს საერთო აქვთ თვით სახელიც — **შამირა** და ეპითეტიც — **მეჰინ**! ასე ირკვევა, რომ, შესულა რა რუსუდანი ნიზამის პოემაში გმირ-ქალად, მას იქ, ბუნებრივად, თან გადაჰყოლია მისი, როგორც ამას ჰფიქრობს მკვლევარი, — კუთვნილი სახელიც — **«შამირა მეჰინ»**, სწორედ ის სახელი, რომელიც ვითომ აღბეჭდილი

<sup>1</sup> მკვლევარი სახელდებით იხსენიებს ი. მარს, ა. ბოლდირევს და დ. კობიძეს, მხოლოდ — ჩანს, საგაზეთო წერილის შედარებითი სიმოკლის გაკა — ამ ავტორთა შრომების დაუსახელებლად (სვეტი 3, შენ. 6).



უნდა ჰქონოდა ისტორიკოს ბასილის, თუ არ მისი მერმინდელი შეცვლის «**შამირამეთი**» სიტყვით.

ამრიგად, ნიზამისა და ბასილის ნაწარმოებში მკვლევარის ხელში ამ მიმართულებით ამოწმებენ და ავსებენ ერთმანეთს. მკვლევარის დასკვნაც ასეთია: 1. ნიზამი იცნობდა საქართველოს, მან იცოდა, კერძოდ, თუ რას და როგორ უწოდებდნენ რუსუდან დედოფალს საქართველოში თუ სხვაგან; 2. თავის მხრივ, ნიზამის «**შამირა**» და «**მეჰინ**» (=ბანუ) გასაღებია შებლაღული წანაკითხისა — «**შამირამეთი**», რომელშიც თითქო ამოსაკითხავი გვაქვს «**შამირამეჰინი**». აქედან გამოდის მკვლევარის ის თეზისიც, რომ წინანდელი მოსაზრება ნიზამის **შამირასა** და ჩვენი რუსუდანის იგივეობის შესახებ ახლა «საყრდენს ონომასტიკონშიც პოულობს»-ო (გვ. 2, სვეტი 3).

კ. კეკელიძის მივლ ამ მსჯელობაში ცალკე უნდა გამოიყოს ერთი, დედებითი მნიშვნელობის, მომენტი — მიზანდასახული დაკავშირება ნიზამისეული „**შამირა**“-სი და ბასილისეული «**შამირამეთი**»-სა<sup>1</sup>. ნიზამი უთუოდ იცნობდა რუსუდანის სახელს, — და პოეტის მიერ ხმარებული **შამირა** სახელი, მართლაც, ამოკითხება **შამირამეთი** სიტყვაში. მაგრამ, ვფიქრობთ, ამოკითხვა ეწყობა არა იმ ხერხით და საშუალებით, რომელსაც პატივცემული მკვლევარი მიმართავს, რაკი ის ხერხი და ის საშუალება — გავიმეორებთ — ხელოვნურია და ამდენადვე ვერ-დამაჯერებელიც.

«**ლიპარიტე**»-ისა და ანალოგიური ფორმების განხილვა, ზევით ჩვენ მიერ წარმოდგენილი, გვარწმუნებს, რომ ამ ფორმებისა და სათანადო ფაქტების საფუძველზე ძალდაუტანებლად და მარტივად წყდება «**შამირამეთი**»-ს საკითხიც.

როგორც ლიპარიტ სახელისაგან ნაწარმოებია ლიპარიტეთ გვარსახელი, მსგავსადვე **შამირამ** (ნიზამით, **შამირა**) სახელისაგან ნაწარმოებად ჩანს **შამირამეთ** გვარსახელი, უკეთ, ხელოვნურად შექმნილი დინასტიური ხასიათის სახელი. მაშასადამე, როგორც ლიპარიტეთ აღნიშნავდა «**ლიპარიტიანებს**», ისე «**შამირამეთი**»-იც აღნიშნავდა «**შამირამიანებს**», **შამირამის** ჩამომავალთ.

**შამირამ** — ეს იგივე ძველი აღმოსავლეთის განთქმული დედოფალი **სემირამიდა**, რომლის ეს სახელი სომხური ისტორიული ტრადიციებით, ვით ქართულითაც, იწერება **შამირამ**<sup>2</sup>, ნიზამით — **შამირა**. იური მარს პირდაპირ დეტისით შეუკრავს ერთგან ამ სახელის ფორმები **შამირა-სემირამიდა**: «Шемира-Семирамида»<sup>3</sup>, რადგან, ცხადაა, მის თვალშიც ეს ორივე — ერთი და იმავე სახელის ფორმად ჩანდა, ერთი — აღმოსავლურად, მეორე — დასავლურად.

ზევით ჩვენ გვქონდა გრამატიკული მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმებით-მიღებული ენობრივი ფაქტები: «ნაყოფი ლიპარიტეთი», «ტახტი ვახტანგეთი», «სახლი შარვანშეთი» და სხვ.

<sup>1</sup> ეს აზრი მკვლევარს წინათაც გამოუთქვამს. იხ. მისი „ქართ. ლიტერატურის ისტორია“, ტ. II (1941), გვ. 259.

<sup>2</sup> მოსენ ხორენელი და რიგი სხვა სოკეხთ მწერლებისა.

<sup>3</sup> ი. მარსი, «Хакани. Незами. Руставели». მ.—ლ., 1935, გვ. 8.

ამათ გვერდით ჩვენ განვიხილეთ ფორმა «სუქმანეთნა»-ც და დავახასიათეთ თეა იგი როგორც ისეთი შემთხვევის მაგალითი, როდესაც მსაზღვრელს (სუქმანეთნი) უშუალოდ თან არ ახლავს საზღვრული და იგი, მაშასადამე, მოითხოვს — კონტექსტით მივაჯნოთ სათანადო საზღვრულს. მოვიგონოთ ზევით კონტექსტით აღდგენილი შეთანხმება **«ერნი სუქმანეთნა»**.

რუსუდანის შესახებ ცნობაშიც მსაზღვრელი «შამირამეთი» მსგავსადვე მოითხოვს სათანადო საზღვრულის კონტექსტით მივინებას. ბასილის ცნობით, რუსუდანი «... იყო სძალ-ყოფილი დიდთა სულტანთა [,] შამირამეთი...», ვითომ რუსუდანი იყო დიდი სულტანების ნარძლარი, ამასთანავე **«[ნაყოფი] შამირამეთი»** (შეადარე: «ნაყოფთა ლიბარტეთთა»), შამირამ-სემირამიდას ძირი და ფესვიც.

რამდენადაც რუსუდანი დიდი დედოფალი იყო ოქროს ხანის საქართველოსი, რეგენტიც კი სამეფოსი თამარის გამეფების წინა ხანში, ე'ოთ დროს ნადედოფლარი ახლო აღმოსავლეთშიც, ამდენადვე იგი ისტორიაში გამოიხატა, როგორც ერთგვარი შთამომავალი და მემკვიდრე ძველი აღმოსავლეთის უდიდესი დედოფლის შამირამისა.

საგულისხმოა, რომ რუსუდანს ქართველი ისტორიკოსი ამკობს **«შამირამეთა-შამირამიანობით** (თამარ მეფეს მისი ისტორიკოსი — **«ალექსანდრიანობით»**, ესე იგი ალექსანდრე მაკედონელთან თანატოლობით), რაც იმდენად ცნობილი ფაქტი ყოფილა, რომ, კერძოდ, ნიზამი რუსუდანის სახელად აკი **«შამირა-ს სთელის**. როგორც ცნობილია, სხვა მერმინდელი დიდი დედოფლებიც შეუმკიათ თანამედროვეებს ამ **«შამირამოჭითა»**. გავიხსენოთ ვოლტერისგან რუსთა დედოფლის ეკატერინე მეორის მიმართ ნახმარი გამოთქმა: **«La Semiramis du Nord»**.

აღნიშნულის საფუძველზე მკითხველი თვითონვე გამოიტანს, კერძოდ, იმ დასკვნას, რომ **«შამირამეთი-ს** შედგენილობაში, მართლაც, ადგილი არა აქვს **«მეჰინ»** სიტყვას. მაგრამ, ამისგან დამოუკიდებლად, ამ სიტყვას, კ. კეკელიძისაგან ასე საგანგებოდ აღრიცხვაზე აღებულს, ჩვენც დიად არ ვსტოვებთ უყურადღებოდ (თუმცა, ცხადია, მას ჩვენს თემასთან უშუალო კავშირი არ აქვს). პირობით, ნიზამის **«მეჰინ ბანუ»** ჩვენ მიგვაჩნია ფრიად მნიშვნელოვან დეტალად — და სწორედ იმ პრინციპული საკითხის თვალსაზრისით, რომელიც გულისხმობს ნიზამის ურთიერთობას (ნაცნობობას) საქართველოსთან და რომელიც, ერთხელვე აღძრული, კვლავ წამოაყენა კ. კეკელიძემ დასახელებულ საეციალურ წერილში.

ამ **«მეჰინ ბანუ»-ს** ირგვლივ საქმის ვითარება ჩვენ ასე გვეხატება: ნიზამი წერს თავისი გმირი-ქალის შესახებ, რომ ამ მბრძანებელ ქალს უწოდებდნენ **«შამირას»** (= შამირამს). პოეტი, თავის მხრივ, საჭიროდ ცნობს განუმარტოს მკითხველს (იგულისხმე: სპარსულზე დაწერილი მისი პოემის მკითხველს), თუ რას ნიშნავს **«შამირა»** სახელი. **«შამირა»** ნიშნავს (სპარსულზე გადმოთარგმნით) **«მეჰინ ბანუ»-ს**. — აქედან, სხვათა შორის, ცხადია, **«შამირა»** სპარსულზე მეტყველ პოეტს არ ესმოდა სპარსულ სიტყვად და ვერც მიიჩ-

ნევდა, რამდენადაც, წინააღმდეგ კ. კეკელიძის მტკიცებისა (გვ. 2, სვეტიცხოველში) ის არ გამოდის სპარსული წარმოშობისად<sup>1</sup>.

ჩვენ ვფიქრობთ, შემთხვევით არ უნდა იყოს, თუ ნიზამი ნიშანდობლივ აღნიშნავს, რომ იმ მბრძანებელს **მეჰინ ბანუ** ეწოდებოდა, ვითომ — **დიდი ქალბატონო**, ხოლო ერთგან ის ზევით აღნიშნულ განმარტებას იძლევა: «შამირა ნიშნავს **დიდ ქალბატონს**»<sup>2</sup>. მაინც, რა საფუძველზეა დამყარებული ნიშამის კუთვნილი (თუ ნიშამის მიერ ნასესხები) ეს ეტიმოლოგია, და, საერთოდ, რამ შეაჩერა საგანგებოდ პოეტი ასე ამ ცნებებზე: «**დიდი ქალბატონი** ეწოდება», «შამირა ნიშნავს **დიდ ქალბატონს**».

საბუთი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამ ეტიმოლოგიის — «დიდი ქალბატონი» — გაჩენის მიზეზი გახდა ქართული სიტყვა **დედოფალი**, რუსუდანის დასასახელებლად საჭირო ტიტული და ეპითეტი.

3. სიტყვათა პოეტური ურთიერთობის სპეციფიკა, სიტყვის ემოციური ტონი;
4. ბგერის პოეტური ორგანიზაცია, სიტყვის ემოციური იერი.

ყველა ეს პრობლემა გადაჭრას პოულობს პოეტიკურ სტილისტიკაში და წარმოდგენილია პოეტური ლექსიკით, პოეტური სემანტიკით, პოეტური სინტაქსითა და პოეტური ფონეტიკით.

### პოეტური ლექსიკა

რთული საქმეა, საზოგადოდ, ამა თუ იმ ენის ლექსიკური შემადგენლობის ანალიზი. ამ შემთხვევისათვის გარკვეული უნდა იყოს:

1. ენის საერთო მარაგის მოცულობა;
2. ენის ლიტერატურული მარაგის ხასიათი;
3. ენის მხატვრული მარაგი და პოეტური საშუალებები.

ენის მთლიან ლექსიკურ მარაგს ლექსიკოლოგია შეისწავლის, მაგრამ ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, საინტერესოა მხოლოდ პოეტური ლექსიკა, რომელმაც საერთო ლექსიკური მარაგის მოცულობის გათვალისწინებით უნდა მონახოს პოეტური მეტყველების მარაგის ფორმების სპეციფიკა.

ქართული ენა მდიდარი ლიტერატურული ენაა. ეს სიმდიდრე ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების რთული საფეხურების გამომხატველია, დიდი კულტურული წარსულის ენობრივი ფიქსაციაა, პოეტიკური ანალიზის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნული მომენტი.

ყოველი ენა ვითარდება, მდიდრდება საწარმოო ურთიერთობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შედეგად. ენის ლიტერატურული გამდიდრებისა და პოეტური მოქნილობის გამოვლენის თვალსაზრისით შემდეგი წყაროებია საგულისხმო:

1. საზოგადოებრივი ძირეული ცვლილებები, რომელთა შედეგად კვდება ზოგიერთი ძველი სიტყვა; იცვლება საწარმოო ურთიერთობა, ჩნდება ახალი სიტყვები — ნეოლოგიზმები;

2. ნაციონალური ლიტერატურული ენის ლექსიკის გამდიდრება სხვადასხვა კუთხის ენობრივი მარაგით, დიალექტებით;

3. ეპოქის მოთხოვნილების შესაბამისად გამოცოცხლება ზოგიერთი არქაული სიტყვისა;

4. კულტურული ურთიერთობა მოწინავე ქვეყნებთან და იქიდან შემოტანა აუცილებლად საჭირო უცხო სიტყვებისა; ეს უცხო სიტყვები ნაციონალურ ფორმას იღებს და მოცემულ ენის კუთვნილებად იქცევა;

5. საერთაშორისო ხმარების სიტყვათა მარაგის საერთო სიუხვე;

6. სიტყვის წარმოქმნა, რომლის მიხედვით ერთი სიტყვა რამდენიმე ფუნქციას კისრულობს, მაგ., კოსტუმი — საკოსტუმე, კაცი — კაცური, წითელი — სიწითლე, გაწითლება და ა. შ.

ყველა ეს წყარო უნდა შეისწავლოს ლექსიკოლოგამ, — მაგრამ პოეტურმა ლექსიკამ ამ საერთო მონაცემებიდან მისთვის საინტერესო სფერო უნდა გამოიყოს, ეს სფერო მხატვრული მეტყველების სიტყვიერი მარაგის სამყაროა.

მხატვრული მეტყველების სიტყვათა მარაგის შემადგენლობისა და სიტყვათა შერჩევის ორგანიზაციის საქმეს პოეტური ლექსიკა შეისწავლის. პოეტური ლექსიკის სფეროს განსაზღვრა გულისხმობს: პოეტური ენის სიტყვათა მარაგის საერთო სიმდიდრისა და მხატვრული ნაწარმოების ენობრივი მასალის მრავალფეროვნების ანალიზს, ცალკეულ სიტყვათა ემოციური იერისა და აზრობრივი ნიუანსების სხვადასხვაობის გამოვლენის ხერხების ბუნების ახსნას.

მხატვრული ნაწარმოების ლექსიკური ანალიზით ყოველთვის მიუფიქრობთ სიტყვათა მარაგის შემადგენლობის სხვადასხვა მნიშვნელობაზე. ვარკვევთ, რატომ იხმარა მწერალმა ესა თუ ის სიტყვა, იხმარება თუ არა იგი დღეს, მართებულია თუ არა ამ სიტყვისა და ფორმის გამოყენება, ლიტერატურუ-

ლია თუ კუთხური, უცხო სიტყვაა ის თუ მშობლიური, ერთმნიშვნელობიანია თუ მრავალმნიშვნელობიანი.

ყოველ ენას; თითოეულ მწერალს, ცალკეულ ეპოქას პირდაპირი მნიშვნელობის სიტყვათა გარკვეული მარაგი მოეპოება. ამ მარაგის სიუხვე არ იზღუდება მხოლოდ ლიტერატურული ენის ფორმებით, არამედ იგი ხალხური მეტყველების აღურაცხელი სიმდიდრის შემცველიცაა.

პოეტურმა ლექსიკამ უნდა შეისწავლოს მხატვრული ენის მარაგის შენაკადები და სიტყვათა შერჩევის შესაძლებლობა, უნდა განსაზღვროს პოეტურ სიტყვათა შემადგენლობის ხასიათი, მისი მხატვრული და იდეური ფუნქცია.

პოეტური ლექსიკა შემადგენლობის თვალსაზრისით რამდენიმე სახეს შეიცავს ისტორიულად; მათ შორის საგულისხმოა: არქაიზმი, ნეოლოგიზმი, დიალექტიზმი, ბარბარიზმი, სინონიმები, ომონიმები, პლენაზმი და ტაქტოლოგია. პოეტური ლექსიკა, როგორც პოეტიკური სტილისტიკის შემადგენელი ნაწილი, ახსნის რა თითოეული ამ სახის სპეციფიკას, არკვევს ცალკეული სიტყვის ისტორიულ და თანამედროვე მნიშვნელობას და განსაზღვრავს მათი მხატვრული გამოყენების შესაძლებლობას.

### არქაიზმი

არქაიზმი ხმარებიდან გასული სიტყვების კვლავ გამოყენებას, მოძველებული ფორმების აღდგენას გულისხმობს, ე. ი. არქაიზმი ეწოდება ცოცხალი მეტყველებისათვის მკვდარი სიტყვებისა და ფორმების ხმარებას.

არქაული ფორმებისა და სიტყვების ხმარების ორი შემთხვევაა საგულისხმო: 1. როცა მწერლის შემოქმედებაში არქაიზმი წარმოდგენილია როგორც სისტემა; 2. როცა კოლორიტის დაცვის მიზნით მწერალი ხმარობს არქაულ სიტყვებსა და ფორმებს. არქაიზმის გამოყენების ორივე მომენტი ძირითადად ისტორიულ თემატიკასთან არის დაკავშირებული.

პირველი შემთხვევა უფრო მეტად ვარაუდობს მწერლის მსოფლმხედველობრივ კონსერვატივობას, წარსულის ყოფით შეზღუდვას. ამ მხრივ საუკეთესო მასალას იძლევა როგორც რუსული, ისე ქართული ენისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია. საილუსტრაციოდ საკმარისი იქნებოდა დავევსახელებინა „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა XIX საუკუნის 60—70-იანი წლების საქართველოში. „მამები“ თავგამოდებით იცავდნენ მეტყველების არქაულ ფორმებს, შვილებმა ამ ჩამორჩენილობას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს.

როგორც ცნობილია, ბრძოლა ქართული ენის განახლებისათვის ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დაიწყო. კამათი წარმოებდა „ცისკარში“, მაგრამ ამ კამათს არა მარტო საეურნალო, პუბლიცისტიკური ხასიათი ჰქონდა, არამედ მხატვრულ ლიტერატურაშიც პოვა მწვავე გამოძახილი. ილიასა და მის თანამოაზრე ახალთაობის მიერ ქართული ენის რეფორმისა და დემოკრატიზაციის მოთხოვნამ და ამ მოთხოვნის პრაქტიკულმა გადაწყვეტამ „მამათა“ გულისწყრომა გამოიწვია. მნიშვნელოვანია არა მარტო ბარბარე ჯორჯაძისა და სხვათა წერილები, „შვილების“ წინააღმდეგ მიმართული, არა-



მედ გრ. ორბელიანის ლექსიც „პასუხი შვილთა“, რომლითაც გაკვირვებული არიან შვილები ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრების გამო.

აი ნიმუშიც:

„ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!..  
მათ უსწავლელთა,  
ცრუ რუსთაველთა,  
სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,  
ენა მაღალი,  
მის ძალი, მადლი,  
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!“...

როგორც ვხედავთ, დიდი პოეტი გრ. ორბელიანიც კი ვერ ურიგდებოდა „შვილების“ მიერ მოთხოვნილ ქართული ენის განახლების აუცილებლობას. მაგრამ ილია და მისი თაობა არ მოერიდნენ ბოზოლა მამათა წყენას, მათ პრაქტიკულად განახორციელეს ქართული ენის დემოკრატიზაცია და ილიას ლექსით ასე უპასუხეს მამებს:

„ენა მდიდარი,  
თქვენს ხელში მკვდარი,  
ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,  
და ამასაც თქვენ  
ცოდვად გვითვლით ჩვენ,  
რალა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!...“

ილია ქავჭავაძე იყო პირველი, რომელმაც უარყო მოძველებული ხუთი ასოს ხმარების საჭიროება და დაასაბუთა, რომ იგი ზედმეტია ქართული მეტყველებისათვის. ილიამ ფართო გზა მისცა სალიტერატურო ენაში ხალხური მეტყველების ახალ ნაკადს; ილიასა და აკაკის მიერ იქნა დამკვიდრებული ახალი სალიტერატურო ენა, რომელიც დაედო საფუძვლად ახალი ქართული ენის შემდგომ განვითარებას. ენის განახლებისათვის ბრძოლის საკითხები შეიქნა ჩვენი სამოციანელთა იდეური ბრძოლის ერთგვარი სათავეც. „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა დამთავრდა შვილების გამარჯვებით და ქართული ენის განვითარება ახალი გზით წავიდა.

ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე რუსეთში XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე და განსაკუთრებით XIX საუკუნის 10—20-იან წლებში; ყურადღებას იპყრობს შიშკოველთა და კარამზინელთა დავა რუსული ენის ლექსიკური შემადგენლობისა და გრამატიკული ფორმების შესახებ.

კარამზინელები იცავდნენ ახალი სალიტერატურო ენის შექმნის აუცილებლობას, რუსული ენის ახალ წყობას. საკითხი ეხებოდა მკითხველისათვის გასაგები ენის საჭიროებას, რაც მოითხოვდა რუსული ენის ძირეულ რეფორმებს. დასაყრდენი უნდა ყოფილიყო ცოცხალი რუსული ენა. კარამზინმა შეამცირა ძველი სლავური გამოთქმები და არ დაერიდა ნეოლოგიზმების შემოტანასაც.

წინააღმდეგ კარამზინელებისა შიშკოველები მოითხოვდნენ სლავური ენის ფორმებისა და ტრადიციების კვლავ შენარჩუნებას; ეფარებოდნენ რა

ლომონოსოვის ავტორიტეტს, იცავდნენ მაღალი „შტილის“ სიდიადეს, შიშკოველები გაურბოდნენ რუსული ენის რეფორმას და კონსერვატიული ტენდენციებით იზღუდებოდნენ.

ბრძოლა კარამზინელებისა და შიშკოველებისა ვასცდა ფორმალური ძიების საკითხს და ეროვნული განახლებისათვის ბრძოლის სათავედ გადაიქცა. ბრძოლა კარამზინელთა გამარჯვებით დამთავრდა, რუსულმა ენამ ახალი მდინარება მიიღო.

თუ შიშკოველები ლომონოსოვის სახელით იმაგრებდნენ ზურგს, „მამათა“ ბანაკი საქართველოში ანტონ კათალიკოსის გრამატიკის კატეგორიებს იშველიებდა. როგორც შიშკოველები რუსეთში, ისე „მამები“ საქართველოში არქაიზმის, როგორც სისტემის დაცვის, პოზიციებზე იდგნენ, რაც მათ მსოფლმხედველობრივ კონსერვატიზმზე მიუთითებს.

ენის განახლებისათვის საქართველოში წარმოებული ბრძოლები როდინიშნავს რომელიმე ქვეყნის გავლენას ან წაბადვას, არამედ ქვეყნის ცხოვრებაში შექმნილმა პირობებმა საქართველოშიც დასვა საკითხი ენისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების აუცილებლობისა. ძველის რღვევისა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამკვიდრების შედეგად ვითარდებოდა ყველგან აზრიცა და ენაც — ასე განვითარდა რუსეთსა და საქართველოშიც.

არქაული ფორმების გამოყენების მეორე შემთხვევა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ სინამდვილის ნიშანდობლივი მხარეების ჩვენებისათვის მწერალი მეტყველების არქაულ ფორმებს იყენებს, როგორც პოეტური გამოსახვის ხერხს. გმირს ალაპარაკებს ეპოქის ენით და მით გვიჩვენებს ისტორიული სინამდვილის თავისებურებას; ამ გზით, ხშირად, გარკვეული ეფექტია მიღწეული. როცა ილია ჭავჭავაძე, თუმც დიალექტით, მაგრამ მაინც არქაული ფორმით, ამეტყველებს მოხევეს — „ადრიდა ავად თუ კარვად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედო“ — არავის აზრად არ მოუვა ილიას ჩამორჩენილობა, წარსულის იდეებით შებოჭვა, არქაული ფორმების როგორც სისტემის გამოყენება. აქ მხოლოდ ისტორიული კოლორიტია დაცული და გადმოცემული, რითაც დიდმა მწერალმა მაღალმხატვრული დამაჯერებლობა მისცა გმირის თქმასა და ნაწარმოების ძირითად იდეას.

ილიას „მგზავრის წერილები“ შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებია, სადაც ერთდროულად მოცემულია მეტყველების არქაული ფორმა და გამართული სალიტერატურო ენა. არქაული ფორმით ნაჩვენებია ისტორიული ცხოვრების ფონი და მწერლის თანამედროვე სინამდვილე. ამ ფონზე ახალი სალიტერატურო ენით გაკვალულია საქართველოს მომავალი ცხოვრების გზა, მოხაზულია მწერლის სამოღვაწეო პროგრამა.

ორიგინალური და მაღალმხატვრული ღირსებისაა ილიას უკვდავი პოემა „განდეგილი“, რომელიც მკითხველს წარმოუდგენს შუასაუკუნეებრივი ქრისტიანული სამყაროს გარკვეულ სფეროს. არქაული ფორმები ამ პოემაში გამოყენებულია მხატვრული მიზნით, რომ ცხოვლად გვაგონობინოს განდეგილის ცხოვრების უფერულობა, სიმარტოვე, ასკეტიზმის მომაკვდინებელი

ხასიათი. ამ აზრის გამოვლენის მხატვრულ და იდეურ ფონად გამოყენებულია წარმტაცი ბუნება, რომლის წიაღში უწინ ყვავოდა ცხოვრება, მაგრამ დღეს კი სიცარიელეს, უკაცურობას მოუკავს.

აი ის ადგილიც:

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა  
ორბნი, არწივნი ვერ შეჭებნიან,  
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,  
მზისგან აროდეს არა დნებიან,  
სად უდაბურსა მას მყუდროებას  
კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენია,  
სად მეუფეთა ჭეჭა-ქუზილსა,  
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშოენია, —  
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა  
გამოუქვებავთ მუნ მონასტერი,  
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს  
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ვრი“.

თუმც მომჯადოვებელ მშვენიერების, მაგრამ მიუვალ ბუნებაში „ყოფილა უწინ კრებული“.

„... აქა გამდგარან, განშორებნიან  
ამ წუთისოფლის სამაცდუროსა,  
აქ ჰღირსებნიან მართალთა თანა  
სავანესა მას საუკუნოსა“.

დრონი გადასულან, ტაძარიც გაუქმებულა, მაგრამ კვლავ ერთი ვინმე

„მეუდაბნოე შეჭკედლებია;  
საიქიოსთვის ეს საქაო  
დაუთმია და განშორებია;

აუღია ხელი ამქვეყნიურ ცხოვრებაზე, დაუტოვებია სწორნი და მეგობარნი.

„განდევილა და ამ ყინულებში  
სულ მარტოდ-მარტო დაყუდებულა“.

მოტანილი ადგილები ნაწარმოებისა შესავალია პოემის სიუჟეტური გაშლისათვის, მაგრამ აქვე იგრძნობა არქაული ფონი.

რაკი „განდევით“ დახატულია გადასული ეპოქის სურათები და ნაჩვენებია სახე ამქვეყნიური ცხოვრებიდან გამდგარი ადამიანისა, ამიტომ სრულიად გამართლებულია ილიას მიერ გამოსახვის არა მარტო მეტყველების არქაული ფორმების, არამედ არქაული ტონის გამოყენებაც. აქ არის ილიას, როგორც ხელოვანის, ძალა მხატვრული ფორმის ოსტატური გამოყენებისა სინამდვილისადმი დამოკიდებულების გამოსავლენად.

არქაულობის თვალსაზრისით დიდი ინტერესის შემცველია აგრეთვე ვ. ბარნოვის რომანების უმრავლესობა, სადაც მწერალს არქაულ ფორმებზე დაყრდნობით მკითხველი გადაყავს წარმართობის ხანაში. არქაულია ასახული ეპოქა, არქაულია სამკაულები და მეტყველების ფორმები. არქაულობის ეს ისტორიული პერიოდი მწერალს აძლევს შესაძლებლობას ფართოდ გაშალოს სამხატვრო ტილო და დაგვანახოს გადასული ეპოქის ნათელი სურათები.



არქაიზმების ანალიზით უნდა გავარკვიოთ მწერლის შემოქმედებაში ამ ფორმის ხმარების მიზნობრივი ფუნქცია, რის შედეგადაც ახსნილი იქნება მისი გამოყენების სპეციფიკა. უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოების არქაული სიტყვებით თუ ფორმებით დატვირთვა არ შედის მწერლის შემოქმედების აქტივში, მაგრამ არქაიზმის გამოყენება ხშირად სასურველ შედეგს იძლევა. ისტორიული რომანები, ისტორიული პოემები, უპირატესად ისტორიული ქრონიკები და მონოგრაფიები ძნელად თუ არქაული ყოფის ჩვენების თუ ფორმების გამოყენების გარეშე შეძლებდნენ წარსული ეპოქის სურათების დახატვას და მკითხველის ჩაწვდენას ისტორიული მოვლენების სულის სიღრმეში. მაგრამ ამ შემთხვევაში დიდი მწერლები იცავენ ზომიერებას, უგულველყოფადაც საზარალო იქნებოდა როგორც იდეურობის, ისე მხატვრულობის თვალსაზრისით.


როცა საუბარია მეტყველების არქაულ ფორმებზე, პოეტური ანალიზი და დასკვნები უნდა ემყარებოდეს ძველი ქართული მწერლობის კლასიკურ ნიმუშებს; უპირატესად ქართულ ლიტერატურის ისტორიის ამ სფეროში უნდა ვიგრძნოთ დღეს არქაული, მაგრამ თავის დროზე სალიტერატურო შარავნდებით მოსილი სიტყვების ძალა და ღირებულება. დამწერლობის ამ უბნიდან უნდა აეხსნათ არქაულის გამოვლენის ფორმათა სახეები ახალი ეპოქის ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არა ყოველი ძველი სიტყვა არის არქაული. არქაული სიტყვები იქნება დღეს, რომ ვიხმაროთ: არღა, ბანოვანი, გარნა, მაშვრალი, მთოვარე, მუნ, ვითარცა, ვითარმედ, არს, დაშვრა, ფერხნი, სამზღვარი, სავანე, წიგნი — წერილის ნაცვლად და სხვ.

ჩამოთვლილი სიტყვები დღევანდლობისათვის მკვდარია, მაგრამ თავის დროზე მხატვრული და ლიტერატურული სიცოცხლის მქონე იყო. სამაგიეროდ, ქართულმა ენამ უხვად შემოინახა ფერუცვლელი, მარად გაუხუნებელი თქმები და სიტყვები.

არქაული სიტყვების გამოყოფისა და არქაიზმის ბუნების განმარტებების დროს უნდა ხაზგასმულ იქნას, ერთი მხრივ, რომ არქაული შეიძლება იყოს არა მარტო სიტყვები, არამედ მორფოლოგიური ფორმები და წინადადების აღნაგობაც; მეორე მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ სიტყვათა სიკვდილისა და კვლავ გაცოცხლების მომენტები.

ცნობილია, რომ არქაული სიმღიდრე სიტყვათა თუ ფორმათა მარაგისა ხშირად ცოცხლდება და თანამედროვეობაში ხელს უწყობს ენის მრავალფეროვნების გამოვლენას. არქაულობის გამოყენების შესაძლებლობის ეს მხარე არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან, რომ არ შეიქნას შთაბეჭდილება: რაკი ძველია, უვარგისია. არქაული სიტყვა მწერალმა შეიძლება იხმაროს ისეთ ფორმაში, რომ სიტყვას კვლავ მისცეს მხატვრული სიცოცხლე, მაშინ იგი მიიღებს ახალ იერს და იქცევა სამეტყველო ლექსიკური მარაგის გამდიდრების ელემენტად.

რომ არ ვილაპარაკოთ არქაული მრავალი სიტყვის გაცოცხლებაზე, საკმარისი იქნებოდა მიგვეთითებინა მრავლობითობის გამომხატველ ნართანინა.



ფორმებზე, რომლებიც კვლავ გაცოცხლდნენ და უხვად არიან წარმოდგენილი თანამედროვე ქართულში. ძველსა და ახალი ფორმების შედარებისას მკვარცხანის მავალითების გათვალისწინება კარგი საშუალება იქნება დავინახოთ მეტყველების ლექსიკურ და გრამატიკულ ფორმათა ისტორიული მორფოლოგია. არქაული სიტყვებისა და ფორმების გულდასმით განხილვით მოგვეცემა შესაძლებლობა შევიგრძნოთ ისტორიულად მდიდარი, ათასწლოვანი ქართული მხატვრული მეტყველების სილამაზე და ემოციური ძალა.

ძველი ქართული ლიტერატურის დიდ წარმომადგენელთა ნაწარმოებების განხილვის დროს ხშირად შეგვიძლია მივუთითოთ ჩვენი ეპოქისათვის მოძველებულ სიტყვებსა და ფორმებზე. მაგრამ ეს ხომ არ იქნება არქაიზმი. არქაიზმია მაშინ, როცა მწერალი ხმარობს ეპოქის ენისათვის შეუსაბამო მოძველებულ სიტყვებს და ფორმებს, წინადადების კონსტრუქციას. იაკობ ცურტაველის ეპიკური ტილო „შუშანიკის წამება“, თუ ბესარიონ გაბაშვილის მომჯადოებელი სატრფიალი ლექსების ენა თავისი დროისათვის ეპოქის სალიტერატურო ენის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენდა, დღეს კი, ძველი ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა ლექსიკური ზოგიერთი მარაგი და გრამატიკული ფორმები რომ გამოვიყენოთ, არქაული იქნებოდა. მაგრამ ეს მომენტი არ ნიშნავს იმას, რომ გასული საუკუნეების დიდ მწერალთა სამეტყველო ლექსიკური მარაგიდან ზოგიერთი საჭირო სიტყვის გამოყენება ამცირებდეს პოეტურ სიდიადეს.

ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრება, ვითარდება ენა, ამიტომაც ყოველი ეპოქა თავისი ენით მეტყველებს. მხატვრული ლიტერატურის პოეტიკური ხანალიზი არქაულ ფორმათა ისტორიული საფეხურებისა და ენის განვითარების კანონზომიერების გათვალისწინებას უნდა შეიცავდეს ყოველთვის.

### ნეოლოგიზმი

ნეოლოგიზმი არქაიზმის საპირისპირო აზრისა და ფორმის შემცველია. თუ არქაიზმი ხმარებიდან გასული ძველი სიტყვებისა და ფორმების შეუსაბამო აღდგენაა, ნეოლოგიზმი ახალი სიტყვების შექმნასა და შემოტანას გულისხმობს. არქაიზმისა და ნეოლოგიზმის არსებითი განსხვავების ჩვენების დროს პოეტიკას შედარების გზით სასურველი შედეგის მიღება შეუძლია სამეტყველო ლექსიკონის გამდიდრების გზების საჩვენებლად.

თუ ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკურ ძეგლებს გულდასმით გავანალიზებთ, შესაძლებლობა გვექნება გავცნოთ ქართული მხატვრული მეტყველების ისტორიულად მდიდარ პოეტურ მემკვიდრეობას და ამ საფუძველზე ვნახოთ განსხვავება ძველსა და ახალ თქმებს შორის.

ნეოლოგიზმის დამკვიდრების გზების ჩვენებითა და ამ ნიადაგზე საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებით გამოწვეული ენაში მომხდარი ისტორიული ცვლილებების გათვალისწინებით, ენის განვითარების კანონზომიერება იქნება მოხაზული, მკვიდრდება ახალი საწარმოო ურთიერთობა, ჩნდება წარმოების ახალი სახეები, ჩნდება ახალი სიტყვები. იცვლებიან ეპოქები, იცვლება მეტყველების სიტყვათა ლექსიკური მარაგი.



ოქტომბრის რევოლუციამ ძირითადად შესცვალა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრება. ჩვენი ეპოქა სოციალიზმის მშენებლობის, ისტორიულად უჩვეულო დინამიკის ეპოქაა. დიდ საწარმოო და კულტურული აღმავლობის შედეგად გაჩნდა მრავალი ახალი სიტყვა, ნეოლოგიზმები. მაგალითად: დამკვერელი, სტახანოველი, ელექტრომავალი, ფრიადოსანი, მედალოსანი, კომბაინი, ატომური ენერჯია, საბჭოთა მეურნეობა და სხვ. აგრეთვე საბჭოთა კომპოზიტები; სახელგამი, ზაჰესი, მტსი, კომმეურნეობა, კომკავშირი, საბლიტგამი და მრავალი სხვა.

ნეოლოგიზმი ორგვარი წარმოშობისაა: 1. უცხოური და 2. ნაციონალური. ქართული მეტყველებისათვის უცხო წარმოშობისაა: კომბაინი, კონვეიერი, ექსპრესი, კომიტეტი, ტრაქტორი, კომბინატი, ანალიზი, რეპატრაცია, ასამბლეა, თეორია, რეჟისორი და სხვ.

ნაციონალური ხასიათის ახალი სიტყვებია: სახელგამი, საბლიტგამი, მტსი, საბჭოთა მეურნეობა, ზაჰესი, თვითმფრინავი, რიონჰესი, წითელ ფლოტელი, კომკავშირი. ყველა ამ სიტყვების ძირი ქართულია, ზოგიერთი მათგანი წარმოშობის თვალსაზრისით უცხოურია.

ქართული ენა ამჟღავნებს ძლიერ ტენდენციას, რომ ყოველი უცხო სიტყვა გააქართულოს, ყოველ შემთხვევაში ქართულ ჩარჩოში ჩასვას, ქართული ენის გრამატიკულ კატეგორიებს დაუმორჩილოს. ამით უცხო სიტყვები ქართულ ნაციონალურ იერს იღებს. მაგალითად: სტახანოველმა, კომბაინის, ექსპრესივით, კონვეირად, საკოსტუმე, ატომურმა ენერჯიამ და ასე შემდეგ. საერთოდ ნეოლოგიზმები და საერთაშორისო ხმარების სიტყვები ამდიდრებენ ნაციონალური ენის ლექსიკურ მარაგს და ხშირად ავსებენ ტერმინოლოგიურ ხარვეზებსაც. ამიტომ მათი მართებული გამოყენება სავსებით მიზანშეწონილია.

ისტორიულად დიდი სოციალური ცვლილებების შედეგად ყოველთვის ჩნდება ახალი სიტყვები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოგონილი სიტყვები ვერ ხეირობენ, ახალ სიტყვებს უნდა ჰქონდეს სოციალური საფუძვლები, საწარმოო შესაბამისობა. ქართულ სალიტერატურო მეტყველებას საუკუნეების ისტორია აქვს, მაგრამ ჩვენ ქვეყანას არ ახსოვს ქართული მეტყველების ისეთი გამდიდრება ახალი სიტყვებით და გამოთქმებით, როგორც მოხდა ამ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში. დღეს ქართული სალიტერატურო და სამეცნიერო ენა ისე მრავალფეროვანია და ლექსიკურად მდიდარი, რომ ძნელი წარმოსადგენია ისეთი წინადადება ამა თუ იმ უცხო ენაზე, რომლის ზუსტი და მოხდენილი გადმოცემა შეუძლებელი იყოს ქართულ ენაზე.

ახალი სიტყვების ანუ ნეოლოგიზმების თვალსაჩინო ნიმუშებს ვხვდებით XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ ამ მხრივ უფრო მეტად მდიდარია, საერთოდ, უახლესი ქართული ლიტერატურა და, კერძოდ კი, საბჭოთა მწერლობა. ამიტომ ნეოლოგიზმის გაანალიზების დროს უნდა შევის-

წავლოთ ქართული საბჭოთა პოეზიის მაღალმხატვრული ნაწარმოებები, თანამედროვე სამეცნიერო ტერმინოლოგია და ჩვენი ცენტრალური პრესის კური მარაგი.

### დიალექტიზმი

დიალექტიზმი ისეთ სიტყვებს ეწოდება, რომელთა ხმარება, მხოლოდ ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებლების ან პროფესიის წარმომადგენელთათვის არის დამახასიათებელი. საქართველო ეთნიკურად მრავალფეროვანია და ხალხური მეტყველებაც მრავალწახნაგოვანი. თითოეულ კუთხეს სიტყვათა თავისებური მარაგი და ფორმა მოეპოვება. მაგრამ ყოველი ეს სიტყვა თავისებურად კანონზომიერია კუთხური მეტყველების თვალსაზრისით. გურული, იმერელი, მოხევე, რაჭველი თუ კახელი შესაბამისად შესაძლო სიტყვებს ხმარობს და თავისებურადად უქცევს, რასაც სათანადო ისტორიული გამართლება აქვს. კუთხური სიტყვების, გამოთქმებისა და ფორმების ნიმუშებია: „მიდღემჩი“, „ნენა“, „ციცა“, „კილაჲ“, „წულო“, „ბეჩა“, „ბაღანა“, „იქინე“, „მენა“, „ტალავარი“, „მოვიდის“, „წაილის“, „ჭოვ“, „ქვეჭი“, „რა მოიტანეყე“ და სხვ. მაგრამ კუთხური მეტყველება მოტანილი მაგალითების მაგვარ ფორმებითა და სიტყვებით მარტო როდი განისაზღვრება; კუთხურ ენას მოეპოვება ხოლმე მეტყველების ისეთი მარაგი და ფორმები, რომელიც ძვირფასი საგანძურია სალიტერატურო ენის გამდიდრებისათვის.

ქართული სალიტერატურო ენა ქართულ ხალხურ მეტყველებას ემყარება, მაგრამ იგი საერთო ქართულია და არა რომელიმე კუთხის ენა. იგი ხელოვნური ენაა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დიალექტების ენობრივი სიმდიდრე და მრავალფეროვნება არ გამოვიყენოთ. პირიქით, ხალხური მეტყველების ბარაქიანობით უნდა გამდიდრდეს სალიტერატურო ენა. ამ გზით მიმდინარეობდა ისტორიულად სალიტერატურო ენის შექმნა. მაგრამ ეს უკანასკნელი არც იმას ნიშნავს, რომ დიალექტების ტყვეობაში მოვექცეთ. საჭიროა სიფრთხილე, სიტყვიერი მასალის დაკვირვებული შერჩევა, სალიტერატურო ენა არ უნდა გადაიტვირთოს დიალექტიზმებით.

დიალექტიზმის ელემენტების განხილვის დროს უცილობელია ყურადღება მივაქციოთ ვულგარიზმს იმ მოსაზრებით, რომ ავიცილოთ უხეში, შეუსაბამო და უცენზურო გამოთქმები, დავიცვათ ენის ესთეტიკური მხარე, ენის სიწმინდე, ლიტერატურულობა, მხატვრულობა.

მხატვრული ნაწარმოების ენობრივი ანალიზით უნდა ვაჩვენოთ მოცემულ ნაწარმოებში ორი ენის თანაარსებობა. პირველი იქნება მწერლის ენა, მეორე კი ენა პერსონაჟებისა.

პირველ შემთხვევაში სავალდებულოა მწერალი მეტყველებდეს გამართული სალიტერატურო ენით. მეორე შემთხვევაში კი პერსონაჟი საუბრობს ან თავისი კუთხის ენით — დიალექტებით ან პროფესიული ენით, ან კიდევ სოციალური დიალექტის ენაზე. გმირი შეიძლება მეტყველებდეს სალიტერატურო ენითაც. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა სინამდვილის მხატვრული ასახვა, არსებულის მხატვრული გადმოცემა.



ყოვლად გაუმართლებელი და დამაჯერებლობას მოკლებული იქნებოდა ილიას „მგზავრის წერილების“ გმირს მოხევეს სალიტერატურო ენით ემეტყველა. მაშინ მოიხსნებოდა კოლორიტის სპეციფიკა, რაც ნაწარმოებს ავენებდა მით, რომ მკითხველზე ემოციური ზეგავლენის ძალას მაქსიმალურად შეამცირებდა.

ასევე შეუსაბამო იქნებოდა ილიას „ოთარ ანთ ქვრივის“ გმირს არჩილს რომელიმე კუთხის ენით ესაუბრა.

როცა მწერალი ხატავს პერსონაჟს, წარმოგვიდგენს მას, როგორც გარკვეულ ინდივიდუალობას, რომელსაც გარკვეული ხასიათი აქვს. მწერალი გვიჩვენებს, თუ რომელი წრით, პროფესიით ან სოციალური მდგომარეობით არის განსაზღვრული გმირის ბუნება. ამ უკანასკნელით იქნება შეპირობებული მისი მეტყველების ფორმაც.

პერსონაჟი უნდა მეტყველებდეს საკუთარი ენით. აქ უნდა გამოჩნდეს პროფესიული თუ კუთხური კილოს სასაუბრო თავისებურება, საერთო კოლორიტი. ავტორი უნდა მეტყველებდეს გამართულ სალიტერატურო ენით, ავტორის ენა უნდა იყოს წამყვანი. პერსონაჟისათვის დამახასიათებელი სასაუბრო კილო არ იქნება ფოტოგრაფიულად გადაღებული, არამედ იგი უნდა იყოს ტიპიური. ეს ასეა ყველა დიდი მწერლის შემოქმედებაში. მეტყველების კულტურის დაუფლებისათვის აღნიშნული მომენტის გულდასმით შესწავლაა საჭირო. მხატვრული ნაწარმოების პოეტიკური ანალიზით, საერთოდ პოეტიკისა და კერძოდ სტილისტიკის კანონების მომარჯვებით უნდა ვნახოთ კანონზომიერი განსხვავება კუთხურ, პროფესიულსა და სალიტერატურო ენას შორის. ეს უკანასკნელი უნდა დაფუძვალთ საფუძვლად სწორი მეტყველების განვითარებას. აღნიშნულ ამ საერთო ელემენტების გათვალისწინების გარეშე მეტყველების მაღალ კულტურაზე ლაპარაკი ძნელი იქნებოდა.

დიალექტიზმის თვალსაზრისით საინტერესო მასალაა მოცემული ეგნატენინო შვილის, დ. კლდიაშვილის, ალ. ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ეს დიდი მწერლები მეტყველებენ გამართული სალიტერატურო ენით, მაგრამ რამდენადაც მათ მოთხრობებსა და პოემებში ნაჩვენებია საქართველოს ამა თუ იმ კუთხის ყოფა-ცხოვრება, ბუნებრივად, ვმირები საუბრობენ თავიანთი კუთხისათვის დამახასიათებელი ენით.

როცა ვარკვევთ დიალექტების ბუნებას, მხატვრულ ნაწარმოებში უნდა ვაჩვენოთ ორი ნაკადი მეტყველების ფორმებისა, ერთი მხრივ, სალიტერატურო ენა, ენა მხატვრულად გამართული, მეორე მხრივ — კუთხური და პროფესიული ენის თავისებურება. შედარების ხერხით რელიეფურად შეინიშნება სალიტერატურო ენისა და დიალექტების სხვაობა და ნათესაობა.

### ბარბარიზმი

ბარბარიზმი ნაციონალურ ენაში უცხო სიტყვების უადგილო ხმარებას ნიშნავს, ან უკეთ, მშობლიური ენისათვის შეუსაბამო უცხო სიტყვების ხმარებას ბარბარიზმი ეწოდება. როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული ენის ანალიზის დროს ყურადღებას ვაქცევთ მწერლის მიერ უცხო სიტყვათა გამო-

ყენების სხვადასხვა ხერხს. ამ შემთხვევაში რამდენიმე მომენტი საინტერესოა: 1. როცა მწერალს მოაქვს ისეთი სიტყვები, რომელთა შესატყვისი მშობლიურ ენაში არ მოიპოვება, მაგალითად: კალოში, პალტო, კოსტუმი, სამოვარი და სხვ.; 2. როცა მწერალი იყენებს ინტერნაციონალურ, საერთაშორისო ხმარების სიტყვებს, მაგ.: სოციალიზმი, კომუნისმი, რადიო, ექსპრესი, ელექტრონი, უნივერსიტეტი, თეორია, კლასი, გენერალი, მინისტრი და სხვ.; 3. როცა მწერალი, დაცინვის მიზნით ხმარობს ამა თუ იმ სიტყვას, ასე, მაგალითად:

1. რა ვაკეთებ? რას ვშვრებოდით?  
— „На плечо“ — ბა გვასწავლეთო —  
მთავრობას ვეხვეწებოდით“.
2. „შემაწუხე ამდენი კითხვით,  
„პოქალუსტა“ დამეხსენი“.

თუმც ილიას ამ თქმებში „На плечо“-ბა და „პოქალუსტა“ ბარბაროზ-მებია, მაგრამ დაცინვა, მხილება, ერთი მხრივ, ცარიზმისა და, მეორე მხრივ, თავადაზნაურობისა. ასევე დამცინავი ხასიათისაა აკაკის „აპელაციის მცოდნეს“ შემდეგი ადგილი:

„ლექური ვზიზღება, მოსწონს ტანცი-მანცია“.

არის შემთხვევა, როცა მწერალი უცხო სიტყვას ხმარობს პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ უცხო დამწერლობით. ხშირად ეს სიტყვა იდიომატური ხასიათისაა, ტიპიურობას გამოხატავს და მისი ხმარებაც დასაშვებია. ამ შემთხვევაში საგულისხმოა, თუნდაც „на плечо“-ბა და სხვა მისი მაგვარნი. უცხო სიტყვების ხმარება აუცილებელიც არის, როცა მოცემულ ენაში არ მოიპოვება შესაბამისი ტერმინი. ამ მომენტისათვის უცხო სიტყვების ხმარება გამართლებული იქნება ტერმინოლოგიური საჭიროებითაც.

ყოვლად შეუწყნარებელია, როცა მწერალი — მხატვრული სიტყვის ოსტატი იქნება იგი თუ ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი ან სხვა რომელიმე დარგის პრაქტიკული მოღვაწე — ხმარობს ისეთ უცხო სიტყვებს, რომელთა შესაბამისი ვაქვს მშობლიურ ენაში.

პრაქტიკულ მეტყველებაში, ხალხის სასაუბრო ენაში, სამწუხაროდ, ხშირად გვესმის სიტყვები: პრავდნიკი, პარავოზი, ელექტროვოზი, ნაჩალნიკი, ოტპუსკი ან სპიჩკა, რაც ისევე გაუმართლებელია, როგორც გ. ერისთავის „ვაყრის“ გმირის ივანეს რუსიზმებით აჭრელებული ლექსიკონი. თუმცა ეს უკანასკნელი შემთხვევა იმითაც არის ანგარიშგასაწევი, რომ მწერალი ტიპიურობის გამოსანახავად გმირს ამეტყველებს დამახასიათებელი ბარბაროზებით.

მეტყველების დატვირთვა ბარბაროზებით ენას გაუგებარს ხდის, უკარგავს მას სიტხადეს, ემოციურობას, აღუნებს ენის ნაციონალურ ბუნებას. იცავდა რა რუსული ენის სიწმინდეს, დიდი ლენინი სასტიკად ილაშქრებოდა ბარბაროზების წინააღმდეგ; იგი წერდა: „რუსულ ენას ჩვენ ვაფუჭებთ. უცხო სიტყვებს მაშინაც ვხმარობთ, როცა ეს საჭირო არ არის. ვხმარობთ მათ უმართებულოდ“<sup>1</sup>. უფრო მეტიც. გენიალური ლენინი პოეტურად გამო-

თქვამდა რა თავის აზრს, ასე სვამდა საკითხს: „ხომ არ არის დრო გამოვუცხადოთ ომი უცხო სიტყვების ხმარებას, როცა ეს საჭირო არ არის?“. მისი პასუხი იყო: „არა, რომელიც ბარბაროზმის წინააღმდეგ ბრძოლის დიდ სერიოზულობაზე მიუთითებს. ლენინის ეს შენიშვნები ფასდაუდებელია ყველა ენისათვის, ეს შენიშვნები ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ქართული ენის ეროვნული სიწმინდის დასაცავად.“

ბარბაროზმი, როგორც აღვნიშნეთ, ენას უკარგავს სისხარტეს, მკაფიობას, ჩრდილავს და ამცირებს მის ეროვნულ ღირსებას, ანელებს აზრის გავებას. ალბათ, ამიტომ წერდა ლიტერატურის ფრანგი თეორეტიკოსი ბუალო: „ჩემი ჭკუა და გონება არ იკარებს ბარბაროზმს“. რაკი უცხო სიტყვების უადგილო ხმარება აზრს გაუგებარს ხდის და მშობლიურ ენას აბლაგვებს, უნდა შევძლოთ დავნერგოთ ჩვევა უცხო სიტყვების მართებული გამოყენებისა.

ბარბაროზმი არა მარტო უცხო სიტყვების უადგილო, საჭიროების გარეშე ხმარებას გულისხმობს, არამედ სიტყვათა უცხოურ განლაგებას, წინადადების არამშობლიურ სინტაქსურ კონსტრუქციასაც.

მხატვრული ნაწარმოების პოეტიკური ანალიზით მკითხველის ინტერესი და ყურადღება უნდა წარვმართოთ მშობლიური ენის კანონების სიწმინდის დასაცავად. მშობლიური ენისათვის მოცემული ლექსიკური მარაგისა და ფორმების ყველა შემთხვევა თავს იჩენს ბარბაროზმში, ამიტომ ბარბაროზმის ხმარების ხერხების გულისხმიერ შესწავლას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია სწორი მეტყველების დაუფლების საქმეში საერთოდ.

ქართულ ენაში, და საერთოდ ყველა ენაში, უამრავი უცხო სიტყვებია შესული, მაგრამ ზოგი მათგანი ისე დამკვიდრდა, რომ არავის აზრად არ მოუფა ბარბაროზმად გამოაცხადოს, მაგალითად, ისეთი სიტყვები, როგორცაა: უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, ჟურნალი, ანალიზი, თეორია, ლიტერატურა, აკადემიკოსი, პოეტიკა და მრავალი სხვა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უცხო სიტყვები წარამარა ვინმართ ყოველგვარ საჭიროების გარეშე. მხატვრული ნაწარმოების პოეტურმა ანალიზმა უცხო სიტყვათა ხმარების ადგილი უნდა მონახოს.

რადგანაც ქართულ მეტყველებაში არცთუ იშვიათია ბარბაროზმები, ამიტომ ენის დაკვირვებულნი შესწავლით, ნაწარმოების გულისხმიერი ანალიზით, უცხო სიტყვათა უადგილო ხმარების შეუსაბამობაზე უნდა მივუთითოთ.

### სინონიმები

სინონიმები სიტყვათა შინაარსულ მსგავსებაზე მიუთითებენ; ფორმით სხვადასხვა, მაგრამ აზრით კი ახლო ნათესაურნი არიან. ამიტომ შინაარსით მსგავს, მაგრამ ფორმით სხვადასხვანაირ სიტყვებს სინონიმები ეწოდებათ.

ერთი და იგივე სიტყვა ყოველთვის არ გამოხატავს ერთსა და იმავე მნიშვნელობას. იგი წინადადებაში, სიტყვათა ურთიერთობაში, კონტექსტში ავლენს აზრის ნიუანსსა და ნაირსახეობას, მაგ.: „ბედნიერია ჩანჩურა! შვილი ჰყავს

მას საქები“, ან კიდევ: „უპ, რა შვილი დამდგარა! რა სწავლული ვაყენებდი სიტყვები „ბედნიერი“, „საქები“, „რა შვილი დამდგარა“, „რა სწავლული ვაყენებდი საქები“ საწინააღმდეგო იერსა და შინაარსზე მიუთითებს, ამ შემთხვევაში სიტყვამ შეიცვალა ძირითადი მნიშვნელობა. ასეთი მომენტების შეგნებული გათვალისწინებაა საჭირო როგორც დამწერის, ისე წამკითხველის მიერ აზრისა და ემოციის ზუსტად გადმოცემისათვის. ასევე სათუთ დამოკიდებულებას მოითხოვენ შინაარსეულად მსგავსი სიტყვებიც.

სინონიმების ხმარების დროს არ არის გამორიცხული სიფრთხილე, რადგანაც შეიძლება ორაზროვანმა სიტყვამ ბუნდოვანი გახადოს აზრი, ენას დაუკარგოს სიტყვადე. ყოველ ენაში და კერძოდ ქართულში უხვად მოიპოვება ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვები, სინონიმები: კვკვიანი და გონიერი, გამბედავი და გულადი, ბეჯითი და მუყაითი, მამაცი და უშიშარი, მუშაობა და შრომა, ბიჭი და ვაჟი, ლამაზი და მშვენიერი, ზვირთი და ტალღა, სახედარი და ვირი, მალი და სწრაფი, სათნო და კეთილი, თხმელა და მერყანი, იენისი და თიბათვე; ასევე სინონიმური ხასიათისაა: ენამოთაფლული, ოქროპირი, ენამოქარგული, ენაწყლიანი და მრავალი სხვა. ყოველ ენას აქვს ერთი საგნის, ცნების თუ მოვლენის გამოსახატავი დაახლოებითი მნიშვნელობის სიტყვები. თუმცა ფორმით სხვადასხვანაირი და შინაარსით თითქოს ერთნაირი სიტყვების სიმრავლე მოცემული ენის სიმდიდრეზე მიუთითებს, მაგრამ ამ მსგავსი სიტყვების იდენტურობაზე ლაპარაკი მეტად საძნელოა. მართებულა საკითხის დაყენება: „არსებობს თუ არა ნამდვილი სინონიმები“<sup>1</sup>. საესეებით ერთნაირი მნიშვნელობის სინონიმური ფორმები მრავლად მოიპოვება ქართულ მეტყველებაში და მისი შესწავლა და გამოყენება უთუოდ დიდი ღირებულების შემცველი იქნება მეტყველების ფორმებისა და ლექსიკური მარაგის გამდიდრების საქმისათვის. ამიტომ მხატვრულ ნაწარმოებზე მუშაობისა და მხატვრული ტექსტის პოეტური ანალიზის დროს სასურველია ყურადღების გამახვილება, რათა გარკვეულ იქნას სიტყვათა მნიშვნელობის სხვადასხვა ხასიათი, რომ ადვილი იყოს სინონიმური სიტყვების მართებული გამოყენება.

ყოველ მწერალსა და ეპოქას შეზღუდული მარაგი აქვს სიტყვებისა. ეს მარაგი ხშირად არ არის საკმარისი, ამიტომ ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით არის გამოყენებული. ერთგვარ ფორმებში სხვადასხვა შინაარსია მოქცეული, რაც კონტექსტში გაიარკვევა. სიტყვის ეს ორმაგი ბუნება ზუსტად უნდა იქნას გარკვეული, როგორც წინაპირობა სამეტყველო ლექსიკონის გამდიდრებისა. სიტყვათა ერთგვარი ფორმების სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენება ომონიმებს ახასიათებს.



### ომონიმი

თუ სინონიმურ სიტყვებში შინაარსეულ ერთგვარობასთან და ფორმალური გამოსახვის სხვადასხვაობასთან გვაქვს საქმე, ომონიმურ სიტყვებში მოხსნილია შინაარსეული ნათესაობა, სამაგიეროდ, იგი ემყარება ფორმალურ გარეგნულ მსგავსებას. ამიტომ ფორმით ერთნაირი, მაგრამ სხვადასხვა შინაარსის გამომხატველ სიტყვას ომონიმი ეწოდება.

რამდენადაც თითოეულ ენაში სინონიმებით წარმოდგენილია ენის სიმდიდრე და მრავალფეროვანება, ამდენადვე ყოველ ენას აქვს ერთგვარი სიღარიბე ცნებების, საგნების თუ მოვლენების გამოსახატავი სიტყვებისა. ამიტომ იძულებულია მწერალი ერთი და იგივე ფორმაში სხვადასხვა შინაარსი მოათავსოს, ასე მაგ.: კარი — სახლის კარი, კარი — წიგნის პირველი კარი; ხელი — გიჟი, ხელი — ადამიანის ხელი<sup>1</sup>, ლამაზი ხელი — ლამაზი წერა; წერა — წერა კალმით, ფანქრით, წერა — ბედის მნიშვნელობით; ბარი — სამუშაო იარაღი, ბარი — სიტყვა ვაკის შესატყვისი; ველი — მინდორი, ველი — მოლოდინის მნიშვნელობით; ჯამი — მათემატიკური ტერმინი, ჯამი — თიხის ჭურჭელი; თავი — ადამიანის თავი, თავი — წიგნის პირველი თავი და სხვ.

როგორც ვხედავთ, ომონიმურ სიტყვებთან ორაზროვნება, ორმნიშვნელობა დაკავშირებული, რაც ხშირად ომონიმურ სიტყვებს ბუნდოვანსა და გაუგებარს ხდის. ამიტომ ომონიმური სიტყვების ხმარება დიდ სიფრთხილესთან არის დაკავშირებული.

ენის სიცხადე ორაზროვნების აცილებას მოითხოვს. მართალია, მეტყველების სიცხადე, აზრის სიცხადეს გულისხმობს, მაგრამ გამოსახვის ფორმალურ მხარეს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. არის მომენტები, როცა მწერალი ხმარობს ისეთ სიტყვას, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ამ შემთხვევაში დაკვირვებით უნდა ექნას გამოყენებული ომონიმური სიტყვა როგორც მხატვრულ, ისე პრაქტიკულ მეტყველებაში, იგი ისე უნდა ჩაისვას კონტექსტში, რომ აზრის ორჭოფობა არ გამოიწვიოს.

ომონიმური სიტყვების ვარიაციას ემყარება მაჯამური ლექსი, რომლის მიუღწეველი მწვერვალი რუსთაველია. მაჯამურ ლექსთა შორის საინტერესოა თეიმურაზ პირველის „მაჯამა“, რომელიც პოეტური ოსტატობისა და მაჯამური ლექსის თვალსაჩინო ნიმუშად არის მიჩნეული ქართულ ლიტერატურაში; აი მაგალითიც:


„მოგწონდების დამნაზველთა თმა მელნისა და გიშრისა,  
მიმძიმს მისსა მგონებელსა, თვალთა წყარო და გიშრისა,  
ჰე, რიტორნო, თქვენც აქებდით, ენა თუ არ და გიშრისა,  
და მზე მთვარეთა სინათლესა, ვფიცავ, რომ ის და გიშრისა“.

ან კიდევ:

„რა ვთქვა წამწამთა დარაზმა, მიჯრით მიწყობა წარბისა,  
ვარდისა ბალსა ელვა კრთის, ზედან ციალი წარბისა,

<sup>1</sup> ძველი ქართულისათვის „კელი“ და „ხელი“ ომონიმები არ არის.

მისთა ნაყნოსთა სურნელთა სული გაეს განა წარბისა,  
მისი ბნდებიან მჭკრეტელნი. ქვე ყრიან, ვერვინ წარბისა“<sup>1</sup>.



როგორც ვხედავთ, მოტიანილ სტროფებში პოეტი ემყარება სიტყვების „დაგიშრის“ და „წარბისა“-ს სხვადასხვა მნიშვნელობით გამეორებას.

XIX საუკუნის დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსი „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“, რომელსაც მეტად საპატიო ადგილი უკავია ქართულ ლირიკულ პოეზიაში, \*მაჯამური ლექსის ბრწყინვალე ნიმუშია:

„აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,  
სერზე შევდეგ, ჰმუნვის ალი მენელა  
მზემან სხივი მომაფინა მაშინა,  
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.  
შემიდულდა მაშინ სული და გული;  
იმ ნადულში თვით მე ვიყავ და გული.  
გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყა;  
ჩანგმაც თვისი მე სიმები დამიწყა“ და სხვ.

სიტყვის დიდი ოსტატი აკაკი ამ ლექსში რამდენიმე ერთგვარი ფორმის სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვების განმეორებით ქმნის ლექსის მაღალ მუსიკალობას.

სიტყვის დამორჩილება შეუძლიათ მხოლოდ დიდ ოსტატებს, მაგრამ შიში ორაზროვნებით გამოწვეული აზრის ბუნდოვანობისა არ არის მოხსნილი ომონიმური სიტყვების გამოყენების შემთხვევებში. ეს შიში უფრო მეტად იგრძნობა მაჯამურ ლექსში, რადგანაც ხშირად პოეტი ვერ პოულობს შესაფერ სიტყვას და პოეტურ მეტყველებაში ფორმალური მომენტის გატაცება აზრის საზიანოდ ვითარდება.

მართალია, სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება მეტყველებაში გარკვეულ პოეტურ ეფექტს იწვევს, მაგრამ თუ სიტყვა წინადადებაში თავის ადგილას არ ზის და კონტექსტში გარკვეული აზრით არ არის შეკრული, იგი გაუგებარი გახდება. ამიტომ ომონიმების ხმარება დიდ სიმახვილეს მოითხოვს.

### პლეონაზმი

პლეონაზმი გულისხმობს ისეთ ერთცნებიან სხვადასხვა სიტყვების გამოყენებას, რომელთა შორის ერთი ყოველთვის ზედმეტია. მაგალითად: გიორგი დაბრუნდა უკან. სიტყვა უკან რომ ამოვიღოთ, აზრობრივად არავითარი ცვლილება არ მოხდება წინადადებაში, რადგანაც სიტყვა „დაბრუნდა“ ამ შემთხვევაში თავისთავად შეიცავს ცნებას „უკან“. ასეთივე ხასიათის იქნება მნიშვნელობის თვალსაზრისით შემდეგი მაგალითები: კიბე ჩადის ძირს სარდაფში, ახალგაზრდა გოგონა ბეჯითად სწავლობს, ირგვლივ შემოუსხედით მაგიდას, ერთი უღელი ხარი შევაბი და სხვ. სიტყვები: ძირს, ახალგაზრდა, ირგვლივ, ერთი და მაგვარნი სიტყვები ტვირთავს წინადადებას. ხაზგასმული სიტყვების გარეშეც აზრი ნათელი და გასაგებია.

<sup>1</sup> თეიმურაზ I, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, 1933 წ.



მაგრამ არის შემთხვევა, როცა პლეონაზმი აზრის დაზუსტებას, დაკონკრეტებას იწვევს. ამიტომ მისი ოსტატური გამოყენება სასურველად მსგავსაა მისი ლიტერატურული გამოყენებისა. ამის შესახებ სრულიად არაფერი დაწერილა; პირველ რიგში მე ვარ მსურველი; მე ჩემი ყურით ვაგვიგონე; ჩემი თვალთ რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი და სხვ. სიტყვები სრულიად, პირველ რიგში, ჩემი ყურით, ჩემი თვალთ, — მიუთითებენ აზრობრივ სიზუსტეზე. ამ თვალსაზრისით პლეონაზმი საპატიო ადგილს იკავებს პოეტურ ლექსიკაში, როგორც ლოგიკური დამაჯერებლობის ძალის შემცველი მეტყველებაში. ეს მომენტი უნდა გამოყენებულ იქნას აზრის ზუსტად გადაცემის მიზნით.

### ტავტოლოგია

პოეტური სინტაქსი იცნობს გარემოებას, როგორც მხატვრული შთაგონების ხერხს, რომლითაც ზეგავლენისა და შთაბეჭდილების ძალა ერთიორად ძლიერდება. ტავტოლოგიაც, თუმცა შეიცავს გამეორებას, მიუხედავად ამისა, იგი მოკლებულია ესთეტიკურობას და მხატვრული შთაბეჭდილების შექმნის ძალას. ტავტოლოგია ზედმეტი სიტყვების გამოყენებით უახლოვდება პლეონაზმს, მაგრამ სიტყვები და წინადადებები რამდენჯერმე გამეორებულია უაზროდ, რითაც ტავტოლოგია სცილდება გამეორებას; როგორც პოეტური გამოსახვის ხერხს. ტავტოლოგიისათვის ნიშანდობლივია ერთგვარი ცნებების გამომხატველი სიტყვების საჭიროების გარეშე გამოყენება და გამეორება.

ტავტოლოგიის კლასიკური ნიმუშია ილია ჭავჭავაძის „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენების“ გმირის გლახა ქრიაშვილის მეტყველება. ამ ნაწარმოებში მთელი წინადადებები ერთი და იგივეს მომბაზვრებელი განმეორებაა. სიტყვათა და წინადადების გამეორების ეს ფორმა მწერალს გამოყენებული აქვს გაუმართავი და დაუსრულებელი უაზრო მეტყველების გასაკიცხავად.

ტავტოლოგია გამეორების მნიშვნელობით არა ყოველთვის არის მხატვრულობას მოკლებული, უარყოფითი ხასიათის მოვლენა. არის შემთხვევები, როცა ის მჭიდროდ დაუკავშირდება პოეტურ გამეორებას და მით დამაჯერებლობის ძალას გაადიდებს. ამიტომ ტავტოლოგიაში, როგორც ერთი და იგივე ან მონათესავე სიტყვების გამეორების გამოვლენაში, ყოველთვის უნდა ვაგარჩიოთ მისი გამოყენების უარყოფითი ხასიათი და დადებითი მნიშვნელობა. მხატვრული გამეორების უამრავი მაგალითების მოტანა შეიძლებოდა ქართული მხატვრული ლიტერატურიდან. საინტერესოა იქნებოდა ამ თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძის ცნობილი მოთხრობა „მგზავრის წერილები“, აკაკი წერეთლის „თავო ჩემო“, გალაქტიონ ტაბიძის „მესაფლავე“ და მრავალი სხვა.

გამეორება შეიძლება იყოს ლექსიკური, გამეორება რითმებისა, გამეორება ბგერებისა და სხვ. მაგრამ გამეორების მხატვრული პოეტური ხერხების აღნიშნული სახეების შესახებ ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც ეს საკითხი არ შედის პოეტური ლექსიკის განსაზღვრის სფეროში. გამეორება ამ შემთხვევაში საყურადღებოა, როგორც ტავტოლოგიისა და მხატვრული გამეორების

შემხვედრი მომენტები. ტავტოლოგიის ბუნების ახსნით უნდა ვაჩვენოთ საზღვარი მხატვრული გამეორების პოეტურ ხერხსა და უაზრო გამეორების, მეტყველების გაუმართავ ფორმათა ნიმუშს შორის. ამ აქტის თვალსაზრისით შესრულება გარკვეულ დახელოვნებას გულისხმობს.

მხატვრულ ნაწარმოებთა პოეტიკური ანალიზით პოეტურმა ლექსიკამ მხატვრული მეტყველების არა მარტო ლექსიკური მარაგის შემადგენლობა და თავისებურება უნდა გააჩიოს, არამედ უნდა განსაზღვროს პოეტურად ნახშირი სიტყვის ადგილი საერთო მხატვრულ სიტყვა-ხმარებაში. ამ მიზნით უნდა დავეყრდნოთ პოეტიკის მიერ დადგენილ საერთო თეორიულ მონაცემებს. აქედანვე უნდა განვსაზღვროთ სხვადასხვა მნიშვნელობისა და შემადგენლობის სიტყვების ბუნება, რასაკვირველია, მარაგის თვალსაზრისით.

პოეტური ლექსიკის ბუნების შესწავლით უნდა შევძლოთ სიტყვათა მარაგის შესაძლო შენაკადების განსაზღვრა, უნდა გავმიჯნოთ პოეტური ლექსიკის თითოეული სახის ფუნქცია მეტყველების ფორმების განვითარებისა და იდეური გამოვლენის თვალსაზრისით. პოეტიკის თეორიული მონაცემები ისე უნდა გამოვიყენოთ პრაქტიკულად, რომ ჩავწვდეთ მშობლიური ენის ლექსიკური მარაგის სიმდიდრეს.

პოეტური მეტყველების ფორმები არა ყოველთვის გამოდგება პრაქტიკული მიზნით, მაგრამ პოეტიკა იძულებული იქნება მეტყველების ლექსიკური მარაგის ანალიზის სფერო არ შეზღუდოს მხოლოდ მხატვრული მეტყველების ნორმებით, საჭიროა გათვალისწინება სალიტერატურო კრიტიკისა და ჟურნალ-გაზეთების ენის ლექსიკური შემადგენლობის თავისებურებისაც.

მეტყველების როგორც ლექსითი, ისე პროზული ფორმის სიტყვიერი მარაგის შესაძლო პრაქტიკული გამიზვნა, სალიტერატურო, მაგრამ არამხატვრული პროზის ლექსიკური მთელი მარაგის შესწავლა და ანალიზი მეტყველების მაღალი კულტურის დამკვიდრებას და სინამდვილის ესთეტიკურად შეცნობის საქმეს უნდა ემსახურობოდეს.

### ლიტერატურა

Маркс, Энгельс, Ленин, Сталин: О проблемах языка и мышления, 1933.

ლენინი ლიტერატურის შესახებ, თბ. 1945.

არისტოტელი, პოეტიკა, პროფ. ს. დანელიას თარგმანი და გამოკვლევა, თბ. 1944.

Гораций, Наука поэзии (Сочинения), Academia, М. 1936.

Античные теории языка и стиля под ред. О. М. Фрейденберг, 1936.

ბუალო, პოეტური ხელოვნება, 1936.

М. Горький, О литературе. 1935.

ა. შანიძე, ქართ. გრამატიკის საფუძვლები, I, 1942.

ა. შანიძე, ქართ. გრამატიკის საფუძვლები, II, 1943.

არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, 1946.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი ქართული ლიტერატურის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1948. VI. 28).